საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

გ. აკოფაშვილი

ჩაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში

თბილისი
„მეცნიერება"
1992

63.3(2Г)
ა427

ნაშრომში განხილულია ქართული რაინდობის ჩამოყალიბება და გავრცელება IX—XII საუკუნეთა საქართველოში, როგორც შედეგი ფეოდალური ურთიერთობების განვითარების მაღალი დონისა. ნაჩვენებია, რომ ქართული რაინდობა აღნიშნულ ეპოქაში საუკეთესო სამხედრო თვისებების მქონე პროფესიონალ მეომართა მრავალრიცხოვან ფენას წარმოადგენდა. ნაშრომი მოგვითხრობს რაინდული იდეალების, ზნე-ჩვეულებების, ფიზიკური აღზრდის, სამხედრო აღჭურვილობის, სპორტული შეჯიბრებების და ქართული რაინდული საზოგადოების საერთოდ მაღალგანვითარებული სულიერი კულტურის შესახებ XI—XII საუკუნეთა საქართველოში. მოცემულია ქართული რაინდობის შედარება ევროპულ რაინდობასთან, დადგენილია როგორც მათი საერთო ნიშნები, ასევე საკუთრივ ქართული რაინდობისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

იმ დროს, როდესაც ევროპული რაინდობის ისტორიის შესახებ ფართო სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, ქართული ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ ვალშია ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გაშუქების მხრივ.

წარმოდგენილი ნაშრომი ერთგვარი ცდაა აღნიშნული ნაკლის შეძლებისდაგვარად შევსების მიმართულებით.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი ქვ. ჩხატარაიშვილი

რეცენზენტები: საქ. მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპონდენტი
მ. დუმბაძე
ისტ. მეცნ. დოქტორი ო. სოსელია

ა 0503020906 / M607(06)—92 153—91

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1992

ISBN 5—520—00978—3

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თითქმის ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე იქმნება რაინდ-მეომართა ლაშქარი მეტ-ნაკლებად განვითარებული სახით. რაინდობა, რაინდული ლაშქარი, როგორც სოციალური წოდება, განსაკუთრებით დამახასიათებელი და გავრცელებულია შუა საუკუნეთა იმ ფეოდალურ ქვეყნებში, სადაც ფეოდალური ურთიერთობა მთელი სისრულით არის გამარჯვებული, ბოლომდე ჩამოყალიბებული და ყოვლისმომცველი.) ასეთ ფეოდალურ ქვეყნებში მწარმოებელთა კლასი, გლეხობა მთლიანად ფეოდალურ დამოკიდებულებაშია მოქცეული, ამასთანავე ამ დამოკიდებულების განსაკუთრებით მძიმე — ბატონყმობის სახით. ასეთ პირობებში (სამეფო ხელისუფლების სისუსტე, გლეხთა ექსპლუატაციის ბატონყმური ფორმა) მებატონე-ფეოდალებს განსაკუთრებით ჭირდებათ თავიანთ კარზე კარგად გაწვრთნილი სამხედრო ძალის არსებობა, რომელიც უზრუნველჰყოფს ბატონყმური უღლის ქვეშ მოქცეული ყმა-გლეხების მუდმივ მორჩილებაში ყოლას და დაეხმარება გლეხთა წინააღმდეგობის დათრგუნვის საქმეში. ასეთ ძალას ფეოდალი პოულობს წვრილი ფეოდალების სახით, რომელთაც ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის გამო თვითონაც ძლიერ ესაჭიროებათ მძლავრი პატრონის მფარველობა მეზობელი ფეოდალების შემოტევებისა და ძალმომრეობისაგან დასაცავად, ანდა საკუთარი ყმა-გლეხების დასამორჩილებლად. მყარდება ფეოდალთა კლასის შინაგანი ორგანიზაციის ფორმა — ვასალიტეტი, რომლის დროსაც ძლიერსა და სუსტ ფეოდალთა შორის დადებული ხელშეკრულების უმცროსი კონტრაგენტი — ვასალი კისრულობს სამხედრო სამსახურს და ერთგულებას სიუზერენის მიმართ, ხოლო ეს უკანასკნელი ვასალს მფარველობასა და ყოველგვარი მოძალადისაგან დაცვას პირდება. მთელი ფეოდალური საზოგადოება ყალიბდება რთული, მრავალსაფეხურიანი იერარქიის სახით; სიუზერენი — ვასალი — სუბვასალი. ასეთი ტიპის საზოგადოება ფეოდალური ურთიერთობის სრულიად დამთავრებულსა და ღრმად განვითარებულ სახეს ქმნის.

მეორე მხრივ, არსებობს ქვეყნები, სადაც ფეოდალური ურთიერთობა ემყარება ფეოდალისა და ფეოდალურად დამოკიდებული,

მაგრამ პირადად თავისუფალი გლეხობის ურთიერთობას. გლეხს ასეთ შემთხვევაში შენარჩუნებული აქვს რა პირადი თავისუფლება და სხვა მხრივაც უფლებრივად ნაკლებად არის შეზღუდული, ექსპლუატაციის შედარებით უფრო მსუბუქი უღლის ქვეშ იმყოფება. ასეთ ფეოდალურ ქვეყანაში, ჩვეულებრივ, არსებობას განაგრძობს ჯერ კიდევ ფეოდალური ურთიერთობის გარეშე დარჩენილი თავისუფალი გლეხობაც, რომელიც უშუალოდ მეფეს ემორჩილება ქვეშევრდომობის პრინციპით. ყოველივე ამის გამო აქ შედარებით უფრო მტკიცეა ცენტრალური ხელისუფლება და მას ძალუძს სახელმწიფოში საჭირო წესრიგისა და მშვიდობიანობის დაცვა. ამგვარ პირობებში — გლეხობის ექსპლუატაციის შედარებით მსუბუქი ფორმისა და ცენტრალური ხელისუფლების ერთგვარი სიმტკიცის დროს არ იქმნება ვასალიტეტის დამყარების აუცილებლობა მსხვილ ფეოდალებსა და საშუალო ანდა შედარებით სუსტ ფეოდალებს შორის. ფეოდალთა კლასის ყველა წარმომადგენელი, ანდა მათი უდიდესი ნაწილი მაინც, მეფის უშუალო ვასალებად რჩებიან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ უკანასკნელი ტიპის ფეოდალურ სახელმწიფოთა ნიმუშს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ვხვდებით, ხოლო ფეოდალურ სახელმწიფოთა ის ტიპი, სადაც ფეოდალიზმს განსაკუთრებით ღრმა და დასრულებული სახე აქვს, დამახასიათებელია დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. განსაკუთრებით ტიპიურია ამ მხრივ ჩრდილოეთ საფრანგეთი, გერმანიის დასავლეთი და ნაწილობრივ ინგლისი. ამიტომაა, რომ ამ ქვეყნებში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა სამხედრო ლაშქრის რაინდულმა სახეობამ, რაინდობამ, რომელმაც არა მარტო საკუთარი ზნე-ჩვეულებები გამოიმუშავა, არამედ მაღალი სულიერი კულტურაც შექმნა.

საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის სწორედ ამ ტიპის ფორმას ვხვდებით, დამახასიათებელს დასავლეთევროპული ქვეყნებისათვის. ამაზე მიუთითებს საქართველოში ბატონყმობისა და მრავალსაფეხურიანი ვასალიტეტის ფართო გავრცელება, ამაზევე მეტყველებს ცენტრალური ხელისუფლების გარკვეული სისუსტე ფეოდალური წყობილების გამარჯვების ჟამს და ადრეფეოდალური ხანის საქართველოში. ამდენად სრულიად ბუნებრივია, რომ სენიორ-ვასალურ ურთიერთობაზე დამყარებულმა სამხედრო ლაშქარმა — რაინდობამ განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოში საკმაოდ მაღალ განვითარებას მიაღწია და, ისე როგორც ევროპის მრავალ სახელმწიფოში, საკუთარი მაღალი კულტურაც შექმნა.

ქართული რაინდობის წარმოქმნა-განვითარების საკითხები ჩვენს ისტორიოგრაფიაში საგანგებო შესწავლის საგანი არ ყოფილა, მაგრამ

XI—XII საუკუნეთა საქართველოში რაინდობის როგორც გარკვეული სოციალური კატეგორიის არსებობა აღუნიშვნელი არ დარჩენილა ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა, ჩვეულებრივ, მას მხოლოდ მოკლედ და სხვათაშორის იხსენიებენ და, უფრო მეტად, ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში შემონახული რეალიების საფუძველზე.

პირველი, ვინც ყურადღება მიაქცია ძველ საქართველოში რაინდობის ინსტიტუტის არსებობას, XIX საუკუნის ფრანგი ქართველოლოგი აკადემიკოსი მარი ბროსე იყო. რუსეთის საიმპერატორო აკადემიის სხდომაზე 1837 წლის სექტემბერში მან წაიკითხა მოხსენება მიძღვნილი შუა საუკუნეთა ქართული სათავგადასავლო-საგმირო რომანის „ამირან-დარეჯანიანის“ ანალიზისადმი. მომდევნო 1838 წელს ეს მოხსენება დაიბეჭდა კიდევაც აკადემიის სამეცნიერო ორგანოში — Bulletin Scientifique de l'Academie impériale des Sciences, III, 1938, Mélanges asiatiques.

საკითხის განხილვას მ. ბროსე იწყებს ქართულ საზოგადოებაში ისტორიულად შემონახული რაინდული იდეალებისა და ზნე-ჩვეულებების დახასიათებით. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქართველები დაჯილდოებულნი არიან გმირული სიმამაცით, რის გამოც მათგან შემდგარი ცხენოსანთა რაზმი რჩეული იყო ხოლმე სპარსულ ჯარში. ქართული რომანების ავტორები ერის მეომრული გემოვნების დასაკმაყოფილებლად თხზულებათა პერსონაჟებად ირჩევენ ისეთ გამორჩენილ ადამიანებს, რომელთაც ახასიათებთ ომისა და სახიფათო თავგადასავლებისადმი მიდრეკილება, ფიზიკურად ძალღონით სავსენი არიან, მარჯვედ ხმარობენ საბრძოლო იარაღს, ამავე დროს ახასიათებთ მაღალი თავაზიანობა, საუკეთესო განათლება, კეთილშობილური მეტყველება.

ამგვარი იდეალების საუკეთესო მაგალითად მ. ბროსეს მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, რომლებიც სახიფათო თავგადასავლებით აღსავსე სამსახურს კისრულობენ, თავს მძიმე გასაჭირსა და ხიფათში იგდებენ იმისათვის, რომ მოიპოვონ უმშვენიერესი რჩეული ქალის მოწონება და სიყვარული, ან კიდევ იმისათვის, რომ თავიანთ სუვერენს აუსრულონ სურვილი, გაუწიონ ჰუმანური სამსახური. ამაში მ. ბროსე შუა საუკუნეთა რაინდებისათვის ჩვეული იდეალების აშკარა გამოძახილს ხედავს. იგივე იდეალებს ხედავს „ამირან-დარეჯანიანშიც“. ორივე ნაწარმოები, მ. ბროსეს აზრით, ქართული ისტორიული სინამდვილის ასახვას წარმოადგენს და ამ სინამდვილეს დიდი სიახლოვე ახასიათებს რაინდული ეპოქის ევროპასთან.

მ. ბროსე ადარებს აღნიშნულ თხზულებაში ასახულ ისტორიულ ყოფას ფრანგული რაინდების ზნე-ჩვეულებებს და იდეალებს და ასკვნის, რომ მათ მრავალი რამ აქვთ საერთო — შეიარაღება, მებრძოლი

სული, ქალისადმი დამოკიდებულება, ქალის კულტი და რაინდული ურთიერთმეგობრობა.

ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში აღწერილი ცხოვრება რაინდული ყოფისა და რაინდული იდეალების გამოხატულებად მიაჩნია აკად. ნ. მარსაც. 1910 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში — „Вступительные и заключительные строфы „Витязя в барсовой коже"—ნ. მარი წერდა, რომ XII საუკუნის ქართულ ძეგლებში ნახმარი ტერმინები—ყმა, მოყმე, რაინდის მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული. ამასთანავე, იჩენდა რა გარკვეულ სიფრთხილეს, მეცნიერი იქვე უმატებდა — „Хочу надеяться, что из-за этого в Грузии не станут а-приорно предполагать полноту европейского рыцарства со всеми его аттрибутами"[1].

ქართულსა და ევროპულ რაინდობას შორის მსგავსება-განსხვავების შესახებ საუბარი ქვემოთ გვექნება, ხოლო ამ შენიშვნასთან დაკავშირებით წინასწარვე ვიტყვით, რომ ქართული და ევროპული რაინდობის, ცხადია, არასრული გაიგივებისათვის, მაგრამ ახლო მიმსგავსებისათვის სრული საფუძველი არსებობს, რასაც ქართული და ევროპული ფეოდალიზმის ტიპოლოგიური მსგავსებაც იძლევა.

შემდეგ ნ. მარი ჩამოთვლის იმ ძირითად ზნეობრივ ნიშნებს ქართველი მოყმე-ჭაბუკის იდეალს რომ ახასიათებს მხატვრული ძეგლებისდამიხედვით: საგმირო საქმეები, მტრებთან ომში ბრწყინვალე გამარჯვებები, ავ სულებთან და მხეცებთან ძლევამოსილი შეჭიდება, მეტოქეებთან ორთაბრძოლაში საქვეყნოდ სახელის მოხვეჭა, ცხენოსნობის, მშვილდოსნობის, ბურთაობის მაღალი ოსტატობა, პატრონისადმი უსაზღვრო ერთგულება, მუდმივი მზადყოფნა სუსტისა თუ გასაჭირში ჩავარდნილის დასახმარებლად, უაღრესი ხელგაშლილობა და უანგარობა; მეფისადმი არა მარტო მორჩილება, არამედ თაყვანისცემა და თავდადება. ამას გარდა, ნ. მარი აღნიშნავს, აგრეთვე, ქართველ რაინდებს შორის გავრცელებულ დაძმობილების ჩვეულებას, რომელიც ურთიერთისადმი დახმარებისა და თავდადებული ერთგულების ვალდებულებას აკისრებდა. ქართული რაინდობა, ნ. მარის აზრით, ადგილობრივი მოვლენაა სავსებით „есть основание думать, что в древней Грузии рыцарь... продукт местной жизни, родной институт а не заносное культурно-социальное понятие, с которым грузины знакомились лишь в литературных памятниках, переводах с персидс-

---

[1] Тексты и разыскания по армяно-грузинской филлологии, кн. XII, СПб., 1910, с. XIII.

кого. Вопрос во всяком случае заслуживает дальнейшего исследования[2]".

საინტერესო მსჯელობა რაინდობის შესახებ XI—XII საუკუნეების საქართველოში მოეპოვება აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის კაპიტალურ ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია". იხილავს რა ტერმინებს „ლაშქარი" და „სპა", ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ორივე სიტყვა სპარსულიდან არის შემოსული ქართულში და ორივე ენაზე „ჯარს" ნიშნავს. „მაგრამ ქართულში ეს ორი სიტყვა, — წერს მკვლევარი, — განსაკუთრებული მნიშვნელობითაც იხმარებოდა და საგანგებო ცნების აღმნიშვნელ ტერმინებადაც იქცა". ივ. ჯავახიშვილს მოაქვს ამ ტერმინების ძველ ქართულ წყაროებში ხმარების მაგალითები, საიდანაც ირკვევა, რომ იქ უბრალო ჯარზე კი არ არის საუბარი, „არამედ რომელიღაც მაღალსა და გავლენიან სამხედრო წრეზე, რომელსაც შეუძლიან მეფეს გაუბედოს და თავისი წადილი მოახსენოს" და რომ ამგვარი „ლაშქრისა" თუ „სპის" დამახასიათებელი და შემაკავშირებელი თვისება... სამხედრო ხელობა და მამაცობა იყო. მაგრამ ისინი უბრალო მეომრები კი არ ყოფილან, არამედ მეომართა რჩეული ნაწილი, ქვეყნის ბედ-იღბალსა და კეთილდღეობაზე მზრუნველი წრე. უნებლიედ დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების რაინდობა გვაგონდება, რომელიც ამგვარადვე რჩეულს და გავლენიან წრეს შეადგენდა და განსაკუთრებული რაინდული წესებითა და ზნე-ჩვეულებით იყო ცნობილი. საგულისხმოა, რომ აქაც რაინდობის სახელად იხმარება milites, ე. ი. მეომარნიო. ძველ საფრანგეთშიც ლათინური სიტყვა milis, რომელიც რაინდის გამომხატველ ტერმინად იყო მიღებული, ერთსა და იმავე დროს მხედარსაც ნიშნავდა და წარჩინებულსაც. მაშასადამე, სახელის მხრივ ზემოაღნიშნულ ქართულ მოვლენასა და დასავლეთ ევროპის რაინდობას ერთგვარი მსგავსება აქვს. ნ. მარის იმ ნაშრომზე დაყრდნობით, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს, რომ „ძველი ქართული „მოყმე" უდრის სწორედ დასავლეთ ევროპის „რაინდს", ხოლო თვით „რაინდობა"-სათვის, ვითარცა ერთეული დაწესებულებისათვის, ქართულად, მაშასადამე, ტერმინად ან „ლაშქარნი" ან არა და „სპანი" იხმარებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ საქართველოშიაც ლაშქარში ყოფნა და სამსახური მარტო მოქალაქეობრივი მოვალეობა კი არ იყო, არამედ საპატიო და საამაყო უფლებად ითვლებოდა ყოველი კეთილშობილი ადამიანისათვის. ისეც კი ყოფილა, რომ როდესაც დამნა-

---

[2] Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. XII, СПб., 1910, с. XXVII.

შავის მოქალაქეობრივი დასჯა სურდათ, მაშინ მას თურმე ამ უფლებას ჩამოართმევდნენ ხოლმე“[3].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, XI—XII საუკუნეთა საქართველოში არსებობდა დასავლეთ ევროპის რაინდობის მსგავსი რჩეულ მხედართა წრე, რომელიც სახელმწიფოში დიდი გავლენით სარგებლობდა და რომელსაც თავის ზნე-ჩვეულებათა გარკვეული კოდექსი ჰქონდა, ამ წრის ზოგადი სახელწოდება იყო „სპა“ და „ლაშქარი“ ამ სიტყვათა უფრო ვიწრო, საკუთრივი მნიშვნელობით.

ქართული რაინდობისა და, კერძოდ, რაინდული იდეოლოგიის შესახებ X—XII საუკუნეთა საქართველოში თავისი შეხედულება აკად. ს. ჯანაშიამაც გამოთქვა. მან აღნიშნა, რომ ამ პერიოდის საქართველოში „დასავლეთ ევროპის მსგავსად, დიდ განვითარებას პოულობს აგრეთვე რაინდობა („მოყმე“, „ჭაბუკი“) და მისი იდეოლოგია“, ფეოდალი-რაინდი, წერს ს. ჯანაშია, გამუდმებულ საომარ ექსპედიციებსა და საშოვრისა და სახელის ძებნაში მყოფი, თავისი „მოცალეობის“ საამო შინაარსით ასავსებად ეწაფება რაინდულ რომანს, რომლის გვირგვინია რუსთაველის პოემა[4].

ქართული მწერლობის ისტორიის მკვლევართა ნაშრომებშიც გარკვევით არის საუბარი „ფეოდალურ-რაინდულ საზოგადოებაზე“ XI—XII საუკუნეთა საქართველოში, როდესაც იქმნებოდა რაინდული იდეალებითა და სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებები.

კ. კეკელიძე თავისი კაპიტალური ნაშრომის „ძველი ქართული მწერლობის“ II ტომის შესავალში განიხილავს რა XI—XII საუკუნეთა საქართველოში საერო მხატვრული ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზეზებს, აღნიშნავს, რომ ამ დროის ქართულ ფეოდალურ მონარქიაში დაწინაურდნენ საერო ფეოდალური და სამხედრო ელემენტები, რომელთაც თავიანთი გემოვნების შესაფერისი კულტურა შექმნეს. „კულტურულად დომინანტ“ ტიპად მიღებულ იქნა სამხედრო-აზნაურული ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც არა მხოლოდ ფიზიკური და მეომრული თვისებებით გამოირჩევა, არამედ განათლებული ადამიანიც არის და ჰუმანური იდეალების მქონე. „ეს ის სოციალურ-კულტურული ტიპია, რომელიც დასავლეთ ევროპაში კურტუაზიულ მხედარ-რაინდითაა წარმოდგენილი“[5]. კ. კეკელიძის აზრით, „იმ სადევგმირო და სამიჯნურო-რომანტიკული მოტივების დამუშავება, რომელნიც ასაზრდოვებენ ახლად აღმოცენებულ საერო ლიტერატურას, ის „ქალის კულტი“, რო-

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, 1928, გვ. 61—62.

4 ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. შრომები II, გვ. 430, 432—433.

5 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1952, გვ. 9.

მელიც დამახასიათებელია აბსოლუტური მონარქიის ცხოვრებისა და რომელიც ქვაკუთხედია ამდროინდელი საერო ლიტერატურისა, შესაძლებელი იყო მხოლოდ ფეოდალურ-რაინდული საზოგადოებრიობის პირობებში"[6].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, XI—XII საუკუნეთა ქართულ საზოგადოებას კ. კეკელიძე ფეოდალურ-რაინდულს უწოდებს. ამ საზოგადოებამ თავისი რაინდული ლიტერატურა შექმნა. „რაინდული სადევგმირო რომანის" ნიმუშად კ. კეკელიძეს „ამირანდარეჯანიანი" აქვს დასახელებული[7].

(რაინდობის ჩამოყალიბების საკითხს საქართველოში კ. კეკელიძე სხვა თავის ნაშრომებშიც ეხება და თვლის, რომ რაინდობა საქართველოში სავარაუდებელია მხოლოდ XI საუკუნიდან. ნაშრომში „ადრინდელი ქართული ფეოდალური ლიტერატურა" კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ საქართველოში „პროფესიულ რაინდობაზე ლაპარაკი მეცხრე საუკუნეში ნაადრევია"[8]. ეს აზრი იმ კონცეფციას ემყარება, რომლის მიხედვითაც რაინდობის საფუძველი — ვასალიტეტი საქართველოში გაერთიანებული ქართული მონარქიის შექმნის შემდეგ ყალიბდება[9]. ეს თვალსაზრისი დღეს მიუღებელი ჩანს. ვასალიტეტი, როგორც ცნობილია, ისახება და განვითარებას პოულობს არა გაერთიანებულ ფეოდალურ სახელმწიფოში, არამედ უფრო ადრე—ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის, ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და ფეოდალური დაშლილობის, სენიორიების ჩამოყალიბების პირობებში. ამდენად, რაინდობის საფუძვლების ჩამოყალიბება საქართველოში სწორედ IX საუკუნიდან არის სავარაუდებელი.)

კ. კეკელიძე წერს, რომ „რაინდთა ინსტიტუტი გარკვეულად ჩამოყალიბდა თავისი კორპორატიული ეთიკეტითა და წოდებრივი ტრადიციებით XII საუკუნის ნახევრიდან"[10]. მართლაც, რაინდობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნის სრული სახით გამოკვეთა და რაინდობის განსაკუთრებული აყვავება „თავისი კორპორატიული ეთიკეტითა და წოდებრივი ტრადიციებით" დაახლოებით ამ დროისათვის შეიძლება ვიგულისხმოთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძე ტერმინ „რაინდობას" ხმარობს მხოლოდ ერთი, ვიწრო მნიშვნელობით — როგორც წვრი-

---

6 კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

7 იქვე, გვ. 80.

8 კ. კეკელიძე, ადრინდელი ქართული ფეოდალური ლიტერატურა, 1935, გვ. 130.

9 К. Кекелидзе, Социально-политическое и культурное состояние Грузии в эпоху Руставели. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1974, XII, გვ. 36—37.

10 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1952, გვ. 11.

ლი და საშუალო აზნაურთა გარკვეული წრის სახელს. „ამირანდარეჯანიანი“, — წერს კ. კეკელიძე, — გვისაბუთებს სულისკვეთებასა და იდეალებს გაბატონებული ფეოდალური კლასისას, განსაკუთრებით კი მისი საშუალო წვრილაზნაურული ფენისას, საიდანაც რაინდები, ყმები და ჭაბუკები გამოდიოდნენ“[11]; „ქართული რაინდობა უმთავრესად წვრილ მემამულე თავადაზნაურთაგან შედგებოდა“[12]. „რაინდობის“ ამგვარი გაგება ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, განსაკუთრებით გავრცელებულია. მაგრამ „რაინდობას“, მეორე, უფრო ფართო მნიშვნელობაც აქვს, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, და ამ გაგებით გარკვეული დროიდან ის მოიცავს მთელი ფეოდალთა კლასის გარკვეულ წრეს: მათი უმაღლესი არისტოკრატიის ჩათვლით. „რაინდი“ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით გვხვდება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, XII საუკუნის თუ უფრო ადრინდელი ხანის ქართულ წყაროებშიც. „რაინდის“ შესატყვისია ქართული ტერმინები — „ჭაბუკი“, „ყმა“, „მოყმე“. „ყმად“ და „მოყმედ“ იწოდებიან „ვეფხისტყაოსანში“ არა მარტო რიგითი ფეოდალი მეომრები, მათი უმაღლესი არისტოკრატიის ჩათვლით, არამედ მეფეებიცა და უფლისწულებიც[13].

ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა მიერ XI—XII სს. საერო მწერლობის თვალსაჩინო ნიმუში — „ამირან-დარეჯანიანი“, ჩვეულებრივ, სარაინდო-სათავგადასავლო რომანად არის აღიარებული[14]. მკვლევართა ნაწილი, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ზოგიერთი სპეციალისტი, რაინდულ რომანად მიიჩნევს „ვეფხისტყაოსანსაც“[15].

ამგვარ შეხედულებებს მკვეთრად უპირისპირდება პ. შარიას

---

[11] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

[12] იქვე, გვ. 28.

[13] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან; ქართული ლიტერატურის ისტორია, 1958, ტ. I, გვ. 28—59 და სხვ.

[14] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 195; С. С е р е б р я к о в. К вопросу о типологических соответствиях между творчеством певцов любви европейского средневековья и романом Руставели, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, 1976, გვ. 113—141; ვ. შ ი შ მ ა რ ი ო ვ ი, შოთა რუსთაველი (რამდენიმე პარალელი და ანალოგია), ენიმკის მოამბე, 1938, ტ. III, გვ. 229—250; S c h o t a R u s t a v e l i, Der Reske im Tiferfall. A. georgisches Poem, Deutsche Nachdichtung von Hugo Huppert, Berlin, 1955, გვ. 26 და სხვ. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის სპეციალისტთა აზრს „ვეფხისტყაოსნისა“ და ევროპული სარაინდო რომანების ჟანრობრივ-იდეური სიახლოვის შესახებ საკუთარ ემხრობა ალ. ბარამიძეც. ამავე დროს, სრულიად სამართლიანად, ყურადღებას ამახვილებს ქართული პოემის იდეურ-მხატვრულ უპირატესობასა და მაღალზნეობრივ სიფაქიზეზე დასავლეთ ევროპის სარაინდო რომანებთან შედარებით (იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 218).

[15] ვ. შ ი შ მ ა რ ი ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 229—251.

თვალსაზრისი გამოთქმული მის წერილში — „К вопросу о жанровой принадлежности Руставели и ее месте в истории мировой литературы“.[10] პ. შარიას აზრით, რაინდობა საქართველოში არ არსებობდა და, ამდენად, „ვეფხისტყაოსანის“ რაინდულ პოემად გამოცხადება ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. პ. შარია თვლის, რომ აზრი რაინდობის არსებობის შესახებ საქართველოში ნ. მარის მცდარი შეხედულებებიდან მომდინარეობს, ხოლო ნ. მარი არ ფლობდაო მარქსისტულ მეთოდოლოგიას და სოციალურ პრობლემას ლინგვისტური გზით წყვეტდა, ტერმინის „ყმის“ ანალიზით, იმის მაგიერ, რომ გაერკვია არსებობდა თუ არა საქართველოში რაინდობა როგორც ინსტიტუირებული მოვლენა. პ. შარიას აზრით, ცნება „რაინდის“ შინაარსის გადამწყვეტია ის ნიშნები, რომელიც რაინდად კურთხევის პროცედურასთან არის დაკავშირებული; ანდა, როგორც წერს ის, რაინდული კორპორაციების ფორმალურ კოდექსთან მაინც. ვინაიდან რუსთაველის პოემის გმირები — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი „არ ჩანს, რომ რაიმე კორპორაციის წევრები ყოფილიყვნენ, რომ არაფერი ვთქვათ სპეციფიკური რაინდული ორდენების შესახებ, ამდენად ისინი რაინდებად ვერ ჩაითვლებიან და საერთოდ შუა საუკუნეთა საქართველოს სინამდვილე რაინდობას როგორც ისტორიულ მოვლენას არ იცნობდა“.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ აღვნიშნავთ ამგვარი თვალსაზრისის და საერთოდ ნაშრომის მხოლოდ ძირითად ნაკლს: ნაშრომი არ ემყარება მოვლენის — რაინდობის წარმოქმნისა და განვითარების ისტორიული საფუძვლების სწორ მეცნიერულ გაგებას და თვლის, რომ ცნება „რაინდის“ ძირითად შინაარსს ის ნიშნები წარმოადგენს, რომელიც რაინდად კურთხევის ფორმალურ პროცედურასთან, რაინდული კორპორაციების არსებობასთან არის დაკავშირებული.

დაბოლოს, 1982 წელს, გამოქვეყნდა ს. კაკაბაძის ნაშრომი „დიდგორის ომი“, სადაც შედარებით ვრცლად (§ 13—20) არის საუბარი ქართულ რაინდობაზე X—XII საუკუნეთა საქართველოში. გარჩეულია ქართული ფეოდალურ-რაინდული ლაშქრის ორგანიზაციის, წყობის, რიცხობრივი შემადგენლობის საკითხები. მოტანილია პარალელური ცნობები დასავლეთევროპული რაინდობის შესახებ და გაკეთებულია სამართლიანი დასკვნა, რომ „ქართველების სარაინდო ინსტიტუტი, ზოგადად, ჰგავდა დასავლეთ ევროპის ანალოგიურ ინსტიტუტებს“ (გვ. 67). ავტორი მიმართავს რა ზოგჯერ ამასთანავე, მისივე სიტყვით, თეორიულ გამოთვლებს და ვარაუდობს, ზოგ შემთხვევაში ფაქტებით შეუმაგრებელ და ამდენად არადამჯერებელ დასკვნებსაც იძლევა. ასეთია, მაგალითად, მისი მსჯელობა საქართველოში რაინდული ორ-

[10] Литературная Грузия, 1970, № 8, с. 59—67.

დენების არსებობის შესახებ (გვ. 67—71); მეტისმეტად მიახლოებითია მისი მსჯელობა რაინდული ლაშქრის რიცხვის შესახებ XII საუკუნის საქართველოში და სხვ. საინტერესოა დიდგორის ომში გამოყენებული იარაღების აღწერილობა. რაც შეეხება ქართველი მეომრის შეიარაღებას, ის მხოლოდ ერთადერთ ქართულ წყაროს „აბდულმესიანში“ დამოწმებულ მასალას ემყარება.

ვამთავრებთ რა იმ ლიტერატურის ძალიან მოკლე და ზოგად მიმოხილვას, რომელშიც ქართული რაინდობის შესახებაა საუბარი, საჭიროა მოვიხსენიოთ აგრეთვე შეხედულება, რომელიც ქართულ ხელოვნებათმცოდნეობით ლიტერატურაშია მოცემული. მაგალითად, აკად. გ. ჩუბინაშვილი, როდესაც საუბრობს IX—XII სს. ქართულ ჭედურ ხელოვნებაში წმ. გიორგის სახის ფართოდ გავრცელებაზე, ამ მოვლენას საქართველოში რაინდობის მძლავრ განვითარებას უკავშირებს.

აღებული ხანის ქართული სახვითი ხელოვნება, ისევე როგორც ქართული მხატვრული ლიტერატურა, მართლაცდა მრავალ უტყუარ მოწმობას შეიცავს რაინდის ინსტიტუტის ფართოდ გავრცელების დასადასტურებლად საქართველოში. ქართული ნარატიული და დოკუმენტური ისტორიული წყაროების პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩვენებანი უხვ მასალას იძლევა ქართული რაინდობის შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი როლის წარმოსაჩენად.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში, ჩვენი აზრით, ერთობ მკრთალად ანდა საერთოდ არ არის გახსნილი რაინდობის როგორც საზოგადოებრივი მოვლენის სოციალურ-პოლიტიკური არსი და მნიშვნელობა და რომ შუა საუკუნეთა ქართული სახელმწიფოს ძლიერების ხანაში, XI—XII საუკუნეებში ფეოდალური ლაშქარი ძირითადად სწორედ რაინდებისაგან შედგებოდა და იყო ის უმთავრესი ძალა, რომელმაც თავისი ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებებით XII საუკუნის სიგრძეზე ფეოდალურ საქართველოს მანამდე არნახული პოლიტიკური ძლევამოსილება მოუპოვა.

დასავლეთევროპული რაინდობის როგორც შუა საუკუნეთა დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის შესწავლისა და შეფასებისადმი ევროპის ქვეყნების საისტორიო, განსაკუთრებით ფრანგულ საისტორიო ლიტერატურაში მრავალი ნაშრომი და სპეციალური გამოკვლევაა მიძღვნილი. ქართული საისტორიო ლიტერატურა ამ მხრივ ჯერ კიდევ ვალშია. ჩვენი ნაშრომი მორიდებული ცდაა ქართული შუა საუკუნეების ამ თვალსაჩინო მოვლენის გარშემო ყურადღების გამახვილებისა. ვიმედოვნებთ, რომ ის ქართული რაინდობის არსის გარკვევისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მთელი სისრულით შესწავლისა და წარმოჩენის საქმეს მომავალში რამდენადმე ხელს შეუწყობს და გამოადგება.

თავი I

ქართული რაინდობის სათავეებთან

(რაინდობა ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბება-განვითარების თანმდევი მოვლენაა, მისი პირმშოა. ის განსაკუთრებით დამახასიათებელია განვითარებული ფეოდალიზმის სტადიისათვის, მაგრამ მისი ჩასახვა უკვე ადრეფეოდალურ ხანაში ხდება და ამ პერიოდის დასასრულისათვის აღწევს სრულ ჩამოყალიბებას როგორც მეტად მნიშვნელოვანი სოციალური კატეგორია.)

ადრეფეოდალურ ხანაში, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების გარიჟრაჟზე, სამხედრო საქმე არ წარმოადგენს რომელიმე ერთი სოციალური ფენის საქმეს. ომებსა და სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა ერთნაირად სავალდებულოა იარაღის ხმარების შემძლე ყველა მამაკაცისათვის, იქნება ის გლეხი თუ დაწინაურებული დიდკაცობის წარმომადგენელი.

გარდა სახალხო ლაშქრისა, რომელიც იკრიბება ხოლმე საჭიროების შემთხვევაში, მეფეს თავის კარზე მუდმივად ჰყავს მრავალრიცხოვანი პირადი სამხედრო რაზმი (ევროპაში მას „ანტრუსტიონი“ ეწოდება, რუსეთში „დრუჟინა“, მათი ქართული შესატყვისია „ტაძრეული“). ეს სამხედრო რაზმი მეფის სასახლეში ან მის უშუალო სიახლოვეს ცხოვრობს და მეფის კმაყოფაზეა. განსაკუთრებული ერთგული სამსახურისათვის მეფე ზოგიერთ მათგანს მიწით აჯილდოებს ხოლმე, რომელსაც ალოდის სახით (უპირობო საკუთრებად) გასცემს. იქმნება კერძო მიწათმფლობელობა, რომლის ჩამოყალიბება, გარდა ამისა, მიწების ძალმომრეობით დატაცების გზითაც ფართოდ წარმოებს. ამავე გზებით მიმდინარეობს თავისუფალი მიწისმწარმოებლების მსხვილ მიწათმფლობელთა დამოკიდებულებაში მოქცევაც.

თავისუფალ მწარმოებელთა ფენა ადრეფეოდალური ხანის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ მწარმოებელი საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენს. მაგრამ ამ ფენის შიგნით მიმდინარე ეკონომიკური დიფერენციაცია დროთა განმავლობაში სულ უფრო ღრმავდება, რის შედეგადაც მისი გაღატაკებული და უმიწაწყლოდ დარჩენილი ნაწი-

ლი იძულებული ხდება წარჩინებულთაგან აიღოს ნაკვეთები დასამუშავებლად და მათ სასარგებლოდ იკისროს გარკვეული გადასახადების გაღების ვალდებულება და, მაშასადამე, ფეოდალური ექსპლუატაციის მძიმე უღელში შეებას.

ამავე დროს სამხედრო სამსახურის შესრულება მწარმოებლისათვის სულ უფრო ძნელი ხდება. მიმდინარეობს საომარი აღჭურვილობის გართულება, მისი გაძვირება, რის შედეგადაც საომარი იარაღის შეძენა სულ უფრო ძნელად ხელმისაწვდომი ხდება საზოგადოების დაბალი ფენებისათვის. სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმულ მოსახლეობას ძლიერ უჭირს საომარ ოპერაციებში ხშირი მონაწილეობა, მით უმეტეს, რომ შეიარაღების გართულება ახლა სისტემატურ სამხედრო წვრთნას მოითხოვს, და, მაშასადამე, თავისუფალ დროს, რომელიც მიწისმოქმედ საზოგადოებას ძნელად მოეძებნება.

თავისუფალი მწარმოებელი მოსახლეობის ფეოდალურ უღელში მოქცევისა და საომარი საჭურველის გართულებასთან დაკავშირებით ცვლილებას განიცდის სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციაც. თუ მანამდე სახელმწიფოს სამხედრო საქმის ვალდებული მთელი თავისუფალი საზოგადოება იყო, ახლა, მიწისმოქმედი მოსახლეობის მძიმე ფეოდალური ექსპლუატაციის უღლის ქვეშ მოქცევასთან და, აგრეთვე, სამხედრო საქმის გართულებასთან ერთად, მოლაშქრეობა ფეოდალური საზოგადოების მხოლოდ გარკვეული წრის საქმიანობად იქცა, იმ წრის საქმიანობად, რომელსაც სათანადო სახსრები ჰქონდა მძიმე საომარი აღჭურვილობის შესაძენად და ჰქონდა მოცალეობაც სისტემატური ფიზიკური წვრთნისა და საომარ ექსპედიციებში მონაწილეობისათვის. სამხედრო საქმე, ამრიგად, პროფესიად იქცევა, პირველ რიგში და უმთავრესად შეძლებულთა პირად საქმედ.

თავისუფალ მწარმოებელთა — მეთემეთა და მიწის წვრილ მესაკუთრეთა გაქრობა, მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობის წარმოქმნა მიწისმფლობელებზე ფეოდალურად დამოკიდებული მწარმოებლებით, მაშასადამე, ძირითადად მხოლოდ ფეოდალურ ექსპლუატაციაზე გადასვლა — ადრეფეოდალური საზოგადოების განვითარებული ფეოდალიზმის სტადიაზე გადასვლას მოასწავებს. მსხვილი მიწისმფლობელები იმასაც აღწევენ, რომ თავიანთ მამულებში გადასახადების აკრეფისა და მართლმსაჯულების წარმოების შეუვალ უფლებებსაც ღებულობენ მეფისაგან წყალობის სახით.

ამავე დროს ხდება კიდევ ერთი ვასალიტეტის ჩამოყალიბებისა და ფეოდალიზმის სრული გამარჯვების მომასწავებელი მნიშვნელოვანი მოვლენა: ადრე, როდესაც თავისუფალი მიწისმოქმედი ფენა ჯერ კიდევ ძლიერი იყო და მრავალრიცხოვანი და სახელმწიფო ქვეშევრდო-

მობის ძალით გარკვეული სამსახურისა და ბეგარა-გადასახადების ვალდებული სახელმწიფოს წინაშე, სახელმწიფოს მეთაურს, მეფეს თავისი მრავალრიცხოვანი კარის შესანახად ჯერ კიდევ საკმაო შესაძლებლობა, საკმაო სახსრები ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც თავისუფალი მწარმოებელი სულ უფრო მეტად და მეტად კარგავს თავის თავისუფლებას და ფეოდალური დამოკიდებულების უღელში ებმება, ესე იგი, მას შემდეგ, რაც სამეფო ხელისუფლებასა და მწარმოებელ მოსახლეობას შორის მსხვილი მიწისმფლობელი — სენიორი ჩადგა, ცენტრალურ ხელისუფლებას საგრძნობლად აკლდება შემოსავალი, რომელსაც ის ამ მოსახლეობისაგან ღებულობდა ბეგარა-გადასახადების სახით. ამის შედეგად, ბუნებრივია, მეფეს უკვე დიდად უძნელდება საკუთარი სამხედრო რაზმის — ანტრუსტიონის და კარის მრავალრიცხოვან მსახურთა ხარჯით შენახვა. მეფეს ახლა ურჩევნია და უფრო მოხერხებულიცაა, რომ მის ხელთ არსებული მიწების ფონდიდან ანტრუსტიონის წევრებს მიწის ნაკვეთები გამოუყოს თავსარჩენად. ტარდება, მედიევისტიკის ენაზე რომ ვთქვათ, ე. წ. ბენეფიციალური რეფორმა, რომელიც, ამგვარად, მთელი მწარმოებელი საზოგადოების ფეოდალური ექსპულატაციის უღელში მოქცევის და, ამდენად, სახელმწიფოში ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო გამარჯვების უშუალო შედეგია და მისი მაჩვენებელი. ბენეფიციალური რეფორმის არსი კი ასეთია: მეფემ ისინი, ვინც მას მეომრობით ემსახურებოდა მიწისმფლობელებად, ფეოდალებად აქცია — დაურიგა რა მიწის ნაკვეთები სამხედრო სამსახურის პირობით. ეს მიწები — ბენეფიციუმები უკვე აღარ წარმოადგენს ისეთ უპირობო საკუთრებას, როგორიც იყო ალოდი, ადრე მეფე ჯილდოს სახით რომ აძლევდა თავის ერთგულთ განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ახლა, სამსახურის ვალდებულებით გაცემული მიწა ეძლევა კაცს მხოლოდ მისი ცხოვრების მანძილზე, და, რაც მთავარია, სამსახურის მოხდის ვალდებულებას აკისრებს. მისი სიკვდილის შემდეგ ბენეფიციუმი კვლავ მიწის პატრონს უბრუნდება. ასე წარმოიქმნა პირობითი — ფეოდალური მიწისმფლობელობა. მაგრამ ფეოდალურ ქვეყანაში ყოველგვარ მფლობელობას მემკვიდრეობით მფლობელობად გადაქცევის განუხრელი ტენდენცია აქვს და ბენეფიციუმიც ძალიან მალე მემკვიდრეობით მფლობელობად — ფეოდად ანუ ლენად გადაიქცა. ფეოდიც (ლენი) პირობითი მფლობელობაა სამხედრო სამსახურისა და ერთგულების პირობით დამძიმებული, ოღონდ მისი მფლობელის გარდაცვალების შემდეგ ფეოდი მიწის უზენაეს მეპატრონეს კი არ უბრუნდებოდა, არამედ მიწის ფაქტიური მფლობელის მემკვიდრეს რჩებოდა იგივე სამსახურის პირობით.

ბენეფიციუმი და ფეოდი ვასალურ ურთიერთობათა წარმოქმნას ვულისხმობდა.

ვასალურ ურთიერთობათა წარმოქმნა-გავრცელება ფეოდალებს შორის მიმდინარეობდა მიწისმფლობელობისათვის გაშლილი ბრძოლის პირობებში — ფეოდალები ურთიერთის დამორჩილებას ცდილობენ, ძლიერი იმორჩილებს სუსტს. ცენტრალური ხელისუფლების არარსებობა ანდა სისუსტე სწორედ ის საფუძველია, რომელიც ვასალურ ურთიერთობათა ფართო გავრცელებას იწვევს. მცირე შეძლების მქონე წვრილ ფეოდალს განსაკუთრებით უჭირს ქვეყანაში წესრიგის შემომტანი ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის პირობებში თვითონ დაიცვას თავი ყოველგვარი შინაური თუ გარეშე მტრებისაგან, გაუმკლავდეს ეკონომიურ სიძნელეებს და ამიტომ ცდილობს „ღონედ უძლურებისა თვისისა“ უფრო ძლიერი ფეოდალის მფარველობა მოიპოვოს — მისი ვასალი გახდეს. ფართოდ ვრცელდება ე. წ. კომენდაცია — სუსტი ფეოდალი თავის მიწას ძლიერ ფეოდალს გადასცემს და უკანვე ღებულობს მას ამ უკანასკნელისაგან, ოღონდ უკვე აუცილებელი სამსახურის ვალდებულებით დამძიმებულს. თავის მხრივ, ძლიერი ფეოდალიც დიდად არის დაინტერესებული, რომ თავის დამოკიდებულებასა და სამსახურში მოაქციოს წვრილი ფეოდალები, რამდენადაც სწორედ ეს ვასალებია, რომლებიც ქმნიან მის სამხედრო ძლიერებას, მისი ხელისუფლების საყრდენს შეადგენენ და რომლის მეშვეობითაც ეწევა ის თავისი მამულისა და საყმოს მოვლა-პატრონობას. მსხვილ ფეოდალს — სიუზერენსა და მის მფარველობაში შესულ ვასალს შორის იდება გარკვეული ხელშეკრულება — სიუზერენი კისრულობს ვასალის დაცვას ყოველგვარი საფრთხისაგან, ხოლო ვასალი თავს იდებს სიუზერენის ერთგულ სამსახურს. ეს სამსახური კი უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ ვასალი პირადად და თავისი სამხედრო რაზმით საჭირო შემთხვევაში სიუზერენს ახლავს და მის სამხედრო ძალას ქმნის საომარ ველზე.

სიუზერენ-ვასალის ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს ფეოდალთა გაბატონებული კლასის შინაგანი ორგანიზაციის ფორმას აგებულს მიწის ფეოდალური საკუთრების იერარქიულ სტრუქტურაზე.

სიუზერენ-ვასალური დამოკიდებულება რამდენიმე საფეხურიანი შეიძლებოდა ყოფილიყო — ვასალს, რომელსაც სიუზერენი ჰყავდა, შეიძლებოდა თავადაც ჰყოლოდა ვასალები, და ეს უკანასკნელნიც თავიანთი ვასალების სიუზერენები ყოფილიყვნენ.

იბმება ფეოდალთა ურთიერთკავშირის მრავალსაფეხურიანი კიბური, რომლის მწვერვალზეა სახელმწიფოს მეთაური — მეფე. ფეოდალთა ამ შინაკლასობრივ ორგანიზაციაში მეფე ერთადერთი ფეოდალია, რომელიც არავის ვასალი არ არის და მხოლოდ თავისი უშუალო ვასალების სიუზერენია, დანარჩენ ფეოდალთა დიდი ნაწილი კი ერთ-

დროულად სიუზერენიცაა და ვასალიც. ხოლო ამ კიბურის უმდაბლეს საფეხურზე მდგომნი, დაბალი ეკონომიური შეძლების წვრილი ფეოდალები მხოლოდ ვასალები არიან.

ამრიგად, მწარმოებელი მოსახლეობის ფეოდალურ უღელში მოქცევას, ამასთანავე სამხედრო საქმის გართულებას შედეგად მოსდევს ის, რომ მოლაშქრეობა საზოგადოების გარკვეული ნაწილის საქმიანობად იქცევა — ყმა-მამულის მფლობელ, მიწის სამუშაოებისაგან თავისუფალ ფეოდალთა კლასის საქმიანობად, იმ კლასისა, რომელსაც საკმარისი სახსრები აქვს ძვირადღირებული საომარი საჭურველის ანდა საბრძოლო და სათადარიგო ცხენების შესაძენად, აქვს აუცილებელი თავისუფალი დრო, რათა სიყმაწვილიდანვე რთული შეიარაღების ხმარებისათვის საჭირო ჩვევები გამოიმუშაოს, გაიაროს შესაფერისი სამხედრო წვრთნა და სისტემატური მონაწილეობა მიიღოს ხოლმე საომარ ექსპედიციებში. ამრიგად, სამხედრო საქმე ფეოდალთა კლასის პროფესიად იქცევა. გლეხები ამიერიდან იშვიათად, განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენებიან ლაშქრობებში; ომი, სამხედრო საქმე ფეოდალ-მემამულეთა საზოგადოებრივ ფუნქციად იქცა.

სამხედრო ფუნქციის ძალით ფეოდალ-მეომარნი გამოეყოფიან საზოგადოებას და ცალკე სოციალურ კატეგორიას — რაინდობას ქმნიან.

ფეოდალიზმის გამარჯვების, ვასალიტეტის წარმოქმნის და რაინდობის გამოკვეთის ზემოაღნიშნული პროცესები დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე, სახელდობრ, ფრანკთა სახელმწიფოში VIII—IX საუკუნეებში მთავრდება. დაახლოებით ამავე ხანებში, კერძოდ VIII საუკუნის დამლევს, IX საუკუნისათვის ფეოდალიზმის ჩამოყალიბება სრულდება საქართველოშიც. იქმნება ვასალიტეტის სისტემა, ყალიბდება რაინდობა.

მოკლედ შევჩერდებით თავისუფალ მწარმოებელთა ფეოდალურ დამოკიდებულებაში მოქცევის — ვასალიტეტის სისტემის ჩამოყალიბების აღმნიშვნელ ერთ-ერთ უკანასკნელ აქტზე VIII საუკუნის შუა ხანებში რომ გაატარა ქართლის მეფემ (ერისთავარმა) არჩილმა. იმ რეფორმებს შორის, რომლის გატარებაც ამ მეფეს მიეწერება, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ღონისძიება, რომელიც მეფის პირადი რაზმის — ტაძრეულების მიწაზე დასმას (ინფეოდაციას) შეეხება. XI საუკუნის ისტორიკოსის ჯუანშერის სიტყვით, მეფე არჩილმა „ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყუნა იგინი“[1]. ეს ლაკონიური ფრაზა მრავლის მთქმელია. ჩანს, თავისუფალი მწარმოებლების ფეოდალურ უღელში მოხვედრასთან დაკავშირებით არჩილ მეფეს შემოაკლდა სახელმწიფო შემოსავალი, რომელიც გადა-

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 1955, გვ. 243.

სახადების სახით შემოდიოდა თავისუფალი მოსახლეობისაგან, და ეკონომიურად გაუძნელდა თავის ხარჯზე მრავალრიცხოვან მეომართა შენახვა. ამის გამო მან თავის მეომრებს (ტაძრეულებს) სამეფო დომენიდან კახეთში გამოუყო მიწები ზედ მოსახლე მწარმოებლებით, რამაც ახლა უკვე ამ აზნაურ-რაინდად ქცეულთ თავისი თავის დამოუკიდებელი შენახვისა და სამხედრო აღჭურვილობის შეძენის საშუალება მისცა; ამ გზით ისინი მოუხდიან მეფეს სამხედრო სამსახურის ვალდებულებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო ამგვარი ღონისძიების გატარების პირველი შემთხვევა. ის, როგორც ჩანს, დრო და დრო ტარდებოდა ხოლმე უფრო მცირე მასშტაბით ფეოდალური ურთიერთობის განვითარებისდა კვალად. მაგალითად, იგივე ისტორიკოსი ჯუანშერი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ მეფე ვახტანგ გორგასალმა (V ს-ის მეორე ნახევარი) „წარჩინებულ ქმნა მჯედარნი, მსახურნი მხნედ და გამოცდილნი წყობასა მას შინა ოვსთასა“[2]. აშკარაა, საქმე ვახტანგ მეფის პირად მეომრებს შეეხებათ — მჯედრებს „წყობასა შინა“ მსახურთ. აქაც გარკვეული სოციალური ხასიათის სახელმწიფო ღონისძიება იგულისხმება — მეომართათვის სარჩენად მიწების მიჩენა, რის შედეგადაც ისინი უკვე „წარჩინებულებად“ ანუ ფეოდალთა კლასის წევრებად იქცევიან.

მეომართა მიწაზე დასმის ამ თანდათანი პროცესის დამამთავრებელ ეტაპად წარმოგვიდგება, როგორც ვთქვით, არჩილ მეფის ღონისძიება. ტაძრეულ-მეომარნი მიწისმფლობელ ვასალებად იქცევიან. ისინი უკვე რაინდები, რაინდული ლაშქრის წევრები არიან. რაინდი — ეს ხომ ცხენზე ამხედრებული და მძიმე საჭურველის მქონი მეომარი არ არის მხოლოდ — ის გარკვეულ სოციალურ კატეგორიას ქმნის, ის არის სამხედრო საქმის ვალდებული მიწათმფლობელი — ფეოდალური იერარქიის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლი, იმ სოციალური ფენის წევრი, რომლის საზოგადოებრივი ფუნქცია პროფესიული მეომრობაა და რომლის ეკონომიკური კეთილდღეობა მიწისმფლობელობას და გლეხთა ფეოდალურ ექსპლუატაციას ემყარება.

ფეოდალიზმის გამარჯვებას, ჩვეულებრივ, ქვეყნის პოლიტიკური დაშლა-დაქუცმაცება მოჰყვება ხოლმე, როგორც ცალკეულ საფეოდალო-სენიორებში პოლიტიკური ძალაუფლების თავმოყრის ბუნებრივი შედეგი, რაც ზედმეტად ხდიდა ცენტრალური ხელისუფლების არსებობას. ქვეყანა ასეთ დროს წარმოადგენს სენიორიების კრებულს, რომელთა შორის ურთიერთქიშპი და შინაომები ყვავის. ასე მოხდა საქართველოს ტერიტორიაზეც — ის მრავალ მსხვილ და არამსხვილ საფეოდალო-სამთავროებით დაიფარა. ქვეყანაში ამ დროს მრავალი

---

2 „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 1955, გვ. 158.

ფეოდალური ციხე-სიმაგრე ჩნდება და თითოეული საფეოდალო გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენს, საკუთარი ციხე-სიმაგრით და მისი მცველი რაინდობით. რაინდობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მაგრამ ფეოდალიზმის გამარჯვებას მძლავრი ეკონომიკური აღმავლობაც მოჰყვება აგრეთვე, რაც თანდათან ბადებს ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების საყოველთაო მოთხოვნილებას და იქმნება ერთიანი ძლიერი ეროვნული სახელმწიფო. ქვეყნის ფეოდალური გაერთიანება საქართველოში X საუკუნის დასასრულს მთავრდება. საქართველოს გაერთიანებულ სამეფოში კიდევ უფრო იზრდება რაინდობის შნიშვნელობა და პოლიტიკური წონა. ეს ის ხანაა, როდესაც ახალგაზრდა ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოს მრავალი სისხლისმღვრელი ომის გადატანა უხდება გარეშე მტრების შემოსევებისაგან თავისი მიწა-წყლის დასაცავად. ანდა მიტაცებული მიწების დასაბრუნებლად და შემოსაკრებად. რაინდობა ამ დროს თავისი აყვავებისა და განმტკიცების ხანას განიცდის. ამ პერიოდში — XI—XII საუკუნეთა მანძილზე, რაინდულმა საზოგადოებამ თავისი მდიდარი ზნე-ჩვეულებები, ცხოვრების წესი, საკუთარი იდეოლოგია გამოიმუშავა, მაღალი კულტურა შექმნა და ფეოდალურ ყოფას მეტად საინტერესო თავისებური კოლორიტი მისცა.

ყოველივე ამის, ქართული რაინდობის დამახასიათებელი ნიშნების და თავისებურებების ჩვენებას შევეცდებით ქვემოთ შესაძლებლობისდა ფარგლებში.

თავი II

ცნება „რაინდი“ ძველ ქართულში

(თანამედროვე ქართული სიტყვა „რაინდი“ მეომარ-ფეოდალის იმ ისტორიულ კატეგორიას აღნიშნავს, რომელიც რუსულად გამოიხატება სიტყვით „рыцарь“, ფრანგულად — „Chevalier“, გერმანულად— „rilter“ და ინგლისურად „kneight“. ცნება „რაინდი“ ისტორიულად მოიცავს საგანგებოდ გაწვრთნილ, იარაღის ტარების შემძლე ყველა ფეოდალ-მეომარს, ის აღიარებს „რაინდულ“, დაწერილსა თუ დაუწერელ კოდექსს და ემსახურება ე. წ. რაინდულ იდეალებს. რაინდული იდეალების ჩამოყალიბება რაინდობის გაფურჩქვნა-აყვავების ხანას შეესაბამება და მას ემთხვევა. ის გადატანითი მნიშვნელობა, რომლითაც „რაინდი“ დღევანდელ მეტყველებაშია შესული და მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე ადამიანს გამოხატავს, ამ ძველი რაინდული იდეალების გამომუშავების შედეგია.)

ზემოხსენებული ისტორიული ცნების გამომხატველი ქართული სიტყვაა „რაინდი“. არის თუ არა ეს ტერმინი თვით ამ მოვლენის, საქართველოში რაინდობის გაჩენის თანადროული? არსებობდა თუ არა ის ამ მნიშვნელობით ფეოდალური ხანის საქართველოში და თუ არ არსებობდა, რა შესატყვისით გამოიხატებოდა ის მაშინ?

უძველესი ქართული ძეგლი, რომელშიც სიტყვა „რაინდს“ ვხვდებით, არის „ამირანდარეჯანიანი“. ეს ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები თავისი ძირითადი სახით XI—XII სს. განეკუთვნება და სწორედ რაინდული ხასიათის თხზულებას, რაინდული ცხოვრების ამსახველ სხვადასხვა სიუჟეტების კრებულს წარმოადგენს. მაგრამ სიტყვა „რაინდი“ ამ ნაწარმოებში მხოლოდ ერთხელ გვხვდება და ისიც მეტად სპეციფიური, დღევანდელი გაგებისაგან განსხვავებული მნიშვნელობით. მეომარ-მოლაშქრეთა ნადიმისა და დროსტარების აღწერისას აქ ნათქვამია, რომ ნადიმზე „იმღერდიან მოშაითნი და იქმოდიან აჯაბთა, ჰხედნიდიან რაინდნი ცხენთა და ზოგნი ჭადრაკთა იმღერდიან, ზოგნი ღვინოსა სმიდიან“. ამ ჟანრული სცენის აღწერილობიდან ვგებულობთ, რომ მეომარნი, ღვინის სმასა და ჭადრაკის თამაშს გარდა,

ერთობიან სხვადასხვა სანახაობათა ცქერით. ეს სანახაობანია — „მოშაითთა მღერა“, რაც თანამედროვე ენაზე, აკრობატების მიერ თავიანთი ოსტატობის ჩვენებას აღნიშნავს: „აჯაბთა“ ანუ „საკვირველთმოქმედთა მღერა“ ოინბაზობა ხელოვნებაა. ხოლო ამათ გვერდით თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ, თურმე, ეგრეთ წოდებული „რაინდებიც“, რომელნიც „ჰხედნიან ცხენთა“ ანუ ცხენზე ჯდომის და ჯირითის და, ალბათ, სხვადასხვა საცხენოსნო ტრიუკების დემონსტრირებას ახდენენ. მაშ, რაინდი აქ საცხენოსნო ვარჯიშში გაწვრთნილ ოსტატს ნიშნავს. ამიტომაა, რომ დავით ჩუბინაშვილი 1887 წ. გამოცემულ ქართულ-რუსულ ლექსიკონში სიტყვა „რაინდს“ ასე განმარტავს: „მხედარი ან ცხენის მწვრთნელი, всадник, берейтор, наездник. რაინდობა — наездничество, ვჰრაინდობ — наездничать, быть всадником“. ლექსიკოგრაფის ეს განმარტება, როგორც ლექსიკონშივე მოცემული მითითება გვიჩვენებს, ემყარება ძველ ქართულ თხზულებებს — „ამირანდარეჯანიანს“, „ისტორიანსა და აზმანს“ და „ქილილა და დამანას“. „რაინდის“ ამგვარსავე განმარტებას იძლევა სულხან-საბა ორბელიანიც: „რაინდი, — ესე არს ცხენთა გამწვრთნელი“.

„რაინდის“ ეს მნიშვნელობა შენიშნული აქვს ივ. ჯავახიშვილსაც ნაშრომში „ქართული ფილოლოგიისა და ძველი მხატვრული ეპოსის ისტორიის ამოცანები“[1]. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ რაინდის საქმიანობა, როგორც ჩანს, ცხენის ხედნა იყო და ერთგვარ ხელობას წარმოადგენდა და „ამ შემთხვევაში ცხენების ხედნა, ფიცხი კვიცის მოშინაურება-გაწვრთნასთან დაკავშირებული ძალისა და ხიფათის დაძლევის უნარიც ერთგვარ სანახაობა-გასართობად არის ნაგულისხმევი“.

1966 წ. გამოცემულ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ II ტომში, „ამირან-დარეჯანიანის“ ლექსიკის გარჩევასთან დაკავშირებით (გვ. 51), სამართლიანადაა შენიშნული, რომ ამ „ძეგლის ლექსიკაში თხზულების თემასთან მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტერმინი „რაინდი“, რამდენადაც აქ მას არა აქვს დღევანდელი მნიშვნელობა მამაცი მებრძოლის, ღირსეული ვაჟკაცისა. მისი გაგება აქ უფრო ვიწრო უნდა იყოს და, ალბათ, ნიშნავს ჩვეულებრივ მხედარს, „ცხენთა მწვრთნელს“.

მეორე ძველი ქართული თხზულება, რომელშიც ტერმინ „რაინდობას“ ვხვდებით, XIII საუკუნის დამდეგს დაწერილი საისტორიო თხზულებაა — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. აღწერს რა თამარის მეფობას, ისტორიკოსი ამბობს: „ხოლო სხვანი ზნენი: გამარ-

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 63.

ჯვებულობანი, აღვლანი საზღვართა მიმართ, მამადობანი და ტომთა მისთანი, ოდესმე რაინდობანი და მკვირცხლ-მოქმედობანი და მჯედრობანი მჯედართანი... ეუწყენ მსმენელთა". აქ „რაინდობანი" წარმოდგენილია „მამადობათა" (ე. ი. მამაცობის, სიმხნე-სიძლიერის), მხედრობის (მეომრობის), მკვირცხლ-მოქმედობის (ქვეითად ბრძოლის) რიგში და, ამრიგად, „სამამაცო ზნეთა" ერთგვარი შემადგენელი ნაწილია. კერძოდ, ამ „ზნეთა" ის სახეობაა, რომელიც საცხენოსნო ოსტატობასთან არის დაკავშირებული[2].

ცნება „რაინდის" საცხენო ხელოვნებასთან ახლო კავშირი ჩანს ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაშიც — „ცხოვრება მეფეთ მეფის თამარისი". აქ ჩამოთვლილია რა ის კეთილი თვისებები და ღირსებანი, რომელიც დავით სოსლანს ჰქონდა, ნათქვამია, რომ დავითი იყო „მჯნე და მჯედარი ძლიერი, რაინდობითა უსწორო და მშვიდობითა შემმაერთებელი"[3] — ე. ი. ისეთი ჩინებული ცხენოსანი, რომელსაც, სწორი არ მოეპოვებოდაო.

ამგვარივე მნიშვნელობით ვხვდებით „რაინდს" შედარებით გვიანდელ ქართულ ძეგლებშიც. ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებაში" ნათქვამია, რომ მეფე შაჰნავაზი (ვახტანგ V) იყო „რაზმთა და წყობათა შინა კეთილად განმზრახი სარდალი, რაინდობათა შინა უებრო მორბედი და ყოველსავე სამამაცოსა ზნეობასა შინა უსწორო"[4]. „რაინდობათა შინა უებრო მორბედი", ცხადია, აქაც ჩინებულ მოჯირითე ცხენოსანს აღნიშნავს.

სიტყვა „რაინდობას" ამავე მნიშვნელობით ხმარობს ანტონ კათალიკოსიც თავის აგიორგაფიულ ნაშრომში „მარტირიკა". ერთ-ერთ ქართველ მოწამეს — მეფე ლუარსაბ II-ს ანტონი ასეთი სიტყვებით ამკობს: ის იყო მშვენიერი შესახედაობის ჭაბუკი, ძლიერი, მკვლავმაგარი „რაინდობათა შინა", ჭიდაობაში თუ სხვადასხვა საბრძოლო იარაღის — ოროლის, შუბის, ლახტის, ხმლის ხმარებისას; ძლიერი და

---

2 კ. კეკელიძე ძეგლის ამ ადგილს — „ოდესმე რაინდობანი და მკვრცხ-მოქმედებანი და მჯედრობანი მჯედართანი ირეოლად საგონებლობანი" რუსულად ასე თარგმნის: „[illegible]щарские воистине героические деяния пехотных и конных воинов..." ე. ი. სიტყვა „რაინდობა" დღევანდელი მნიშვნელობით აქვს გაგებული (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XII, 1973, გვ. 1921). ასევეა გაგებული და ახსნილი ეს სიტყვა „ამირანდარეჯანიანის" უახლესი გამოცემისადმი დართულ ლექსიკონში: „რაინდობა — რაინდი, მოლაშქრე". „ამირანდარეჯანიანი", 1969, გვ. 829.

სიტყვა „რაინდის" ამგვარი განმარტება ძველი ეპოქისათვის შეუფერებელია და ამ ტერმინის დღევანდელი შინაარსით აღქმის შედეგია.

3 „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, 1959, გვ. 122.

4 იქვე, გვ. 440.

მარჯვე „საგდებელის სროლაში“ (სულხან-საბას განმარტებით, „საგდებელი სროლა“ ნიშნავს თოკის შორს გატყორცნას „რემათა“, ე. ი. უხედნი ცხენების შესაპყრობლად), ჩოგანის ცემაში (ბურთის თამაშში) და ყოველგვარ სხვა სამხედრო და „საჭაბუკო“ წვრთნაში გამოცდილი[5]. როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილია სამხედრო და საჭაბუკო წვრთნა-დაოსტატების სხვადასხვა სახეობანი — იარაღის ხმარება, სპორტული თამაშობანი. ერთ-ერთი ამ სახეობათაგანია — რაინდობა და, როგორც ჩანს, ნიშნავს ის სხვას არაფერს თუ არა სწორედ საცხენოსნო სპორტში დაოსტატებას.

საინტერესოა, გვხვდება თუ არა „რაინდი“ იმავე ხანის დოკუმენტურ წყაროებში და თუ გვხვდება რა შინაარსით, XIII—XVII საუკუნეების დოკუმენტებში ამ სიტყვის ხმარების მაგალითს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ XVIII საუკუნის 20-იან წლებში შედგენილ ერთ მზითვის წიგნში შევხვდით ამ სიტყვას. ეს მზითვის წიგნი გაცემულია თავად წულუკიძის მიერ. საბუთის გამცემი წერს, რომ მან თავისი ასული ხვარამზე მიათხოვა წარჩინებულ თავად მიქელაძეს და მას შემდეგი ეპითეტებით ამკობს: „ჩინებული ცხენოსან-რაინდათ მოასპარეზე... მეთობობით უცნაურად მსროლი“ და სხვ.[6] ცხადია, აქაც საუბარია მიქელაძის ჩინებულ ცხენოსნობაზე — ეპითეტი „ცხენოსან რაინდად მოასპარეზე“ მიქელაძის საცხენოსნო ხელოვნებაში დიდ გაწვრთნაზე მიუთითებს.

XVIII ს. კიდევ ერთი დოკუმენტი გვაქვს, სადაც სიტყვა რაინდია ნახსენები. აქ ის ნახმარია რუსთველი მიტროპოლიტის ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის მისამართით. რუსთველის შემამკობელ სხვა ეპითეტებს შორის ნათქვამია — „მყრობელი სამწყსოსა ხვიროსან-კვერთხისა და რაინდი სამიტრაპოლიტოსა მენაკის“[7]. მენაკი ძველ ქართულში ასასვლელ მწვერვალს, მაღალ ხარისხს, მაღალ საფეხურს ნიშნავს. მოცემულ კონტექსტში სიტყვა „რაინდი“ რამდენადმე გაუგებარია, ბუნდოვანი. ერთი რამ არის ცხადი — ავტორს სურს ხაზი გაუსვას ნიკოლოზ მიტროპოლიტის თვისებას — დიდი სიმაღლეების აღების სიმარჯვე და ოსტატობა.

„რაინდის“ წარმოშობა-წარმომავლობის შესახებ — შემოსულია ის ქართლში სხვა ენიდან თუ რომელიმე ქართული გამოთქმიდან არის ნაწარმოები, — სამწუხაროდ, გადაწყვეტით ვერაფერს ვიტყვით. ის

---

5 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1980, წ. VI, გვ. 42.

6 მ. ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, 1974, გვ. 95.

7 ქართული სამართლის ძეგლები, 1965, გვ. 360.

კია, რომ თავის აღნაგობით და შინაარსით ცხენოსნობასთან დაკავშირებულ მეორე ქართულ (?) სიტყვას — ისინდს მოგვაგონებს. გარეგნული მსგავსებით მოგვაგონებს აგრეთვე აღმოსავლურ „რინდს“, მაგრამ შინაარსობრივად მისგან იმდენად შორს დგას, რომ რაიმე დაკავშირება გამორიცხულია. გარეგნულად და გარკვეული კუთხით შინაარსობრივადაც „რაინდი“ თითქოსდა ახლოსაა რუსულ ისტორიულ ტერმინთან „рында“ — ესაა მეფეთა და მთავართა საჭურველთმტვირთველებისა და პირად მცველთა რაზმი XVI—XVII სს-ის რუსეთში. რინდას წევრები ახლავან მეფე-მთავრებს ლაშქრობასა და მოგზაურობაში; სასახლეში საზეიმო ცერემონიების დროს მეფეს ტახტის ორივე მხრივ უდგანან; რინდა წარჩინებულ საგვარეულოთა ჭაბუკებისაგან შედგება. მაგრამ ძლიერ საეჭვოა ამ ტერმინის პირდაპირი კავშირი ქართულ „რაინდთან“; შესაძლოა, მხოლოდ დავუშვათ — ხომ არა აქვთ მათ საერთო წარმომავლობა, ე. ი. ხომ არ მომდინარეობენ რომელიმე საერთო აღმოსავლური ტერმინიდან? ერთი რამ კი ცხადია — „რაინდის“ ძველი ქართული მნიშვნელობა უშუალო კავშირში უნდა იყოს რაინდის დღევანდელ გაგებასთან, რომელიც, საფიქრებელია, მის განვითარებას წარმოადგენს. დღევანდელი სიტყვა „რაინდი“ ისტორიული გაგებით გულისხმობს, რომ ამ სახელწოდების მატარებელი პირი დაოსტატებული ცხენოსანი და მოჯირითეცაა სხვა უფრო არსებით თვისებებთან ერთად და აი ამ მხრივაა, რომ „რაინდის“ დღევანდელი მნიშვნელობა ძველ შინაარსს უკავშირდება.

ვფიქრობთ, „რაინდმა“ თავისი დღევანდელი მნიშვნელობა გვიან, XIX საუკუნეში (მის შუა ხანებში ან დამლევს) მიიღო და, იქნებ, კიდევაც ევროპული ტერმინის ზეგავლენით, სადაც რაინდის აღმნიშვნელი ტერმინები („შევალიე“ და სხვა) სწორედ სიტყვა „მხედარი“-დან არის წარმომდგარი. ქართულშიც მათ შესატყვისად შინაარსობრივად ახლო მდგარი სიტყვა „რაინდი“ იქნა გამოყენებული.

დღევანდელი ცნება „რაინდის“ მაგიერ ძველად სხვა ტერმინი, და არა ერთიც, არსებობდა, ესენია: ჭ ა ბ უ კ ი, ყ მ ა, მ ო ყ მ ე.

ა) **ჭაბუკი.** ძველი ქართული მწერლობის ამ ტერმინს ჯერ კიდევ აკად. ნ. მარმა მიაქცია ყურადღება და დაასკვნა, რომ, გარდა მისი პირდაპირი მნიშვნელობისა — ახალგაზრდა (რუსული — отрок, юноша), რომელიც დღესაც ცოცხალია, ეს სიტყვა რაინდის მნიშვნელობითაც იხმარებოდა[8]. ამასვე აღნიშნავს და სათანადო მაგალითებით ასაბუთებს კ. კეკელიძეც. ამგვარი მნიშვნელობით „ჭაბუკი“ განსაკუთრე-

---

[8] Н. М а р р, Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. XII, СПб., 1900, გვ. XXX.

ბით ხშირად „ამირანდარეჯანიანში“ გვხვდება. აქ ის უპირატესად ნიშნავს არა ახალგაზრდას, ყმაწვილს, არამედ პირველ რიგში და უმთავრესად საბრძოლო-რაინდული თვისებებით განთქმულ ადამიანს, რჩეულ მეომარს. ამ ნაწარმოების ერთ-ერთი გმირის, იამან ჭაბუკის შესახებ ნათქვამია, რომ ის იყო „კაცი ბერი და შვენიერი. ჰგვანდა, რომე ყოფილიყო ლომი ჭაბუკი“. ის თავის თავზე ამბობს: „მე ბერი-კაცი ვარ და აღარ ძალმიძს ომნი მტერთა ზედა, თორემ ვიმოწმებ ღმერთსა, რომე ჭაბუკობისათვის არავისი მინდოდის ქენება“. ამასთან დაკავშირებით კ. კეკელიძე წერს: „ბერი“ ასაკის, მოხუცებულობის აღმნიშვნელია, აქედან, ცხადია, ყოვლად შეუძლებელი იყო თქმა „იამან ჭაბუკი კაცი ბერი“, ჭაბუკი რომ ასაკის, ახალგაზრდობის აღმნიშვნელი ყოფილიყო. ამრიგად, ჭაბუკი, როგორც სოციალური ტერმინი, აღნიშნავდა იმ პირს, რომელიც პროფესიულ რაინდთა კორპორაციას ეკუთვნოდა; ამირან-დარეჯანიანის ავტორს სურს თქვას, რომ დღეს უკვე მოხუცებული, დაბერებული იამანი პროფესიით ჭაბუკი ან რაინდია“[9]. „ამირანდარეჯანიანი“ იწყება იმით, რომ ინდოეთის მეფე აბესალომი, თავისი დიდებულების თანხლებით, ერთ მშვენიერ დღეს სანადიროდ გასული, წააწყდა უდაბურ ადგილას მდებარე ქვითკირის სახლს, რომლის კედლები მოხატული ყოფილა. ერთ-ერთ კედელზე 3 ჭაბუკი და ერთი ქალი იყო გამოხატული, მეორეზე კიდევ 3 ჭაბუკი. აღწერილია ერთ-ერთი მათგანის, როგორც ჩანს, ამ ჭაბუკებს შორის უფროსის ჩაცმულობა — მას ჯაჭვის პერანგი აცვია და ხელთ უპყრია ხმალი. ეს ჭაბუკი განსაკუთრებით დიდადაა წარმოჩენილი და წარწერაც მისი სახელითაა ამოკვეთილი იქვე. ყველა ექვსივე ერთნაირად ჭაბუკებად იწოდებიან (თუმცა მათ შორის ზოგი პატრონია და ზოგი ყმა, ვასალი). ერთ-ერთი მათგანი, ბადრი იამანიძე, როგორც შემდეგში ირკვევა, „გამორჩეული“ ჭაბუკი, მოიწიფა თუ არა, ეძებდა ვის შებმოდა და ცდილობდა განსაკუთრებით ცნობილ ჭაბუკებს შეხვედროდა შეჯიბრში: „სადა სახელოვანი ჭაბუკი ითქმოდის“, იქ მიაშურებდა და ორთაბრძოლაში იწვევდა. თავისი ცხოვრების გზაზე მას მრავალი ასეთი გამოჩენილი ჭაბუკი შეხვედრია — „დიდად მარცხენი“, ე. ი. შეჯიბრებებსა და ორთაბრძოლებში მოწინააღმდეგის დამმარცხებელნი. „ჭაბუკი“ ამ ნაწარმოებში, როგორც ვხედავთ, გულადსა და მარჯვე მეომარ-მებრძოლს აღნიშნავს, „ჭაბუკობა“ — რჩეულ ვაჟკაცობას, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს კაცი მეომარი. „ამირანდარეჯანიანის“ ერთ-ერთი გმირთაგანი ამბობს: „ჭაბუკობა გვინდა და აწ გამოვჩნდებით. რა-ძი ჭაბუკნი ვიყვნეთ“. გზაზე შეხვედრილ შებმა-

---

[9] კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 129, 130.

შეჯიბრის მძებნელ ჭაბუკს მიმართავს: „თუ ჭაბუკი ხარ, გამოედ და შემაქციე“. ზღვათა მეფემ შეუთვალა ბადრის: „სიძე ეგეთი ჭაბუკი მინდა. აწ გაისრულე ჭაბუკობა შენი“ — შეები ჩემს კაცებს, თუ დაამარცხებ, სიძე ხარ ჩემიო. ბადრიმ მიუგო: „მე ჭაბუკობისა ძებნად წამოსული ვარ სახლითა ჩემით“, თუ გინდ, ათასს შევებმევიო. მართლაც-და ბევრს შეება და გამარჯვებაც მრავალი მოიპოვა და დაიმსახურა ხალხში აზრი, რომ „არა არს პირსა ყოვლისა ქვეყნისასა ჭაბუკი ბადრი იამანიძისებრი“. მოქალაქეებმა მიულოცეს: „კურთხეულმცა არის მარჯუენე შენი და ჭაბუკობა შენი“. თავადაც აღიარებს: „ჭაბუკობისა მძებნელი ვიყავ და ვცან ძალი ჭაბუკობისა ჩემისა“. ასეთივე ჭაბუკები, რჩეული მეომრები არიან და მრავალ საჭაბუკო საქმეს სჩადიან ნაწარმოების სხვა გმირებიც და ყველაზე მეტად კი ამირან-დარეჯანის ძე. სიტყვა „ჭაბუკი“, „ჭაბუკობა“ ამ ნაწარმოებში, როგორც ვხედავთ, ძალიან ხშირად იხმარება და თვით ნაწარმოებიც თავის მთლიანობაში ჭაბუკთა და ჭაბუკობის დაუღალავ შესხმა-სიმღერას წარმოადგენს. ხშირია გამოთქმები: „ლომი ჭაბუკი“, „კარგი ჭაბუკი“, „ჭაბუკი უსწორო, გამარჯვებული“, „არნახული“. ესენი უნარჩევესნი არიან რჩეულ ჭაბუკთა შორის. ამავე დროს ჭაბუკთა დიდი სიმრავლე სუფევს, „აქა ჭაბუკნი მრავლად არიან“, ნათქვამია ერთ ადგილას, ვხედებით გამოთქმას — „აზნაურნი ჭაბუკნი“. ასე რომ, ჭაბუკთა რიცხვი დიდია, ხოლო ზოგიერთნი მათ შორის განსაკუთრებით გამოჩენილნი არიან თავიანთი საბრძოლო თვისებებით, წვრთნა-ვარჯიშის დიდი გამოცდილებით, გულადობითა და ვაჟკაცობით. ვხვდებით გამოთქმას — „საჭაბუკო საქმეს“ და ირკვევა ისიც, თუ რა შინაარსი ძევს ამ გამოთქმაში. ესაა: საბრძოლო იარაღის ოსტატური ხმარება, ნადირობის კარგი ცოდნა და გამოცდილება, მარჯვე ასპარეზობა (ეს უკანასკნელი სიტყვა — ასპარეზობა რაინდულ შეჯიბრებათა, ევროპული რაინდობის ისტორიაში ცნობილი „ტურნირების“ ძველი ქართული ბადალია).

აქ არის ასეთი გამოთქმაც — „არა ჭაბუკთა ჯელია უომრობა“. მაშასადამე, ჭაბუკთა „ჯელი“, ე. ი. ხელობა ომი და ბრძოლაა, ანუ სწორედ ის, რაც „რაინდს“ მოეთხოვება.

კ. კეკელიძე იძლევა რა „ამირან-დარეჯანიანის“ ლიტერატურულ ანალიზს, აღნიშნავს: „საყურადღებოა სარაინდო ტერმინების ხმარება ამ რომანში: გმირი, გოლიათი, ბუმბერაზი, ყველაზე უფრო ხშირად — ჭაბუკი და ყმა...“ ჭაბუკი „არის ტექნიკური ტერმინი“ რაინდის აღსანიშნავად, „გოლიათი, გმირი, ბუმბერაზი“ არის ეპითეტი ფიზიკური თვისებების აღმნიშვნელი, ხოლო „ყმა“ და „მოყმე“... სოციალური მომენტისა“[10].

---

10 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 75.

„ჭაბუკი“ თავისი შინაარსით, მართლაც „რაინდის“ აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინია, ყველაზე გავრცელებული იმ დროისათვის.

ამავე მნიშვნელობით „ჭაბუკი“ ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებშიც იხმარება, თუმცა უფრო იშვიათად. ამგვარი ხმარების ყველაზე ადრინდელი მაგალითი კ. კეკელიძეს დამოწმებული აქვს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“. აქ ნათქვამია: „მაშინ გიორგი მოუწოდა ვისმე ჭაბუკსა ჰასაკითა, რომელ არს ძალითა“. აკად. კ. კეკელიძე წერს: „ჩვეულებრივი გაგებით „ჭაბუკი“ ნიშნავს ახალგაზრდას, ძალ-ღონით სავსე ადამიანს, იმას, ვისაც რუსულად, მაგალითად, юноша ეწოდება; ამ აზრითა და მნიშვნელობით ეს სიტყვა ნახმარია აღნიშნულ შემთხვევაშიც. მაშ რაღა საჭირო იყო მისთვის მიმატება განმსაზღვრელი სიტყვებისა „ჰასაკითა, რომელ არს ძალითა?“ ამ მიმატებით ავტორს უნდა გვაჩვენოს, რომ მის დროს სიტყვა „ჭაბუკი“, გარდა ახალგაზრდა ადამიანისა, სხვა რამესაც აღნიშნავდა, და, ცნებათა აღრევა რომ აცილებული ყოფილიყო, სიტყვისათვის დაურთავს საჭირო განმარტება. ეს სხვა აზრი ტერმინისა არის მისი სოციალური შინაარსი, რომელიც ორგვარი ყოფილა. ჭაბუკი, როგორც სოციალური ტერმინი, პირველ ყოვლისა, აღნიშნავდა იმას, ვისაც მომდევნო საუკუნეთა მხატვრული ლიტერატურაში „რაინდი“ (рыцарь) ეწოდება“[11].

„ცხოვრებას სერაპიონ ზარზმელისა“, სადაც „ჭაბუკის“ არა მხოლოდ ასაკობრივი კატეგორიის აღმნიშვნელი ცნებაა დამოწმებული, ჩვენს ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ავტორი სხვადასხვაგვარად ათარიღებს (VII საუკუნით დაწყებული X საუკუნის პირველი ნახევრით გათავებული). უკანასკნელი დროის გამოკვლევით, ეს ძეგლი VII ს. პირველი ნახევრის ნაწარმოებად არის მიჩნეული და თუ ეს მართლაც ასეა და ვგონებ რომ ასეა, ტერმინს „ჭაბუკი“ იმ დროისათვის „რაინდის“ დღევანდელი მნიშვნელობა თავისი ჩამოყალიბებული სახით ჯერ კიდევ ვერ ექნებოდა. სოციალური კატეგორიის სახით ის ჯერ კიდევ გამოკვეთილი არ უნდა ყოფილიყო. ამ დროს ჭაბუკი თავისი მეორე მნიშვნელობით, პირადი საბრძოლო და ვაჟკაცური თვისებებით გამორჩეული ადამიანის ეპითეტად შეიძლებოდა ყოფილიყო ნახმარი. მაგრამ უფრო გვიან, კერძოდ IX საუკუნეში კი ამ ტერმინის არსებობა დღევანდელი რაინდის მნიშვნელობით სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია. ის კიდევაც გვხვდება X საუკუნის ძეგლში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, სადაც IX საუკუნის ამბებია აღწერილი. აქ მოთხრობილია ასეთი ეპიზოდი: „იყო სამცხეს შვილი საჩინოისა ვისიმე კაცისა ზენონ““, მას ჰყავდა გაუთხოვარი და, რომელიც „შეაცთუნა ვინმე უკე-

---

[11] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 129.

თურმან კაცმან“. ზენონმა გადაწყვიტა შურისძიება და დაედევნა ამ კაცს, მაგრამ გზაში ხელი აიღო განზრახვაზე შემდეგი მოსახრებით: „ვარ მე ჭაბუკი სახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს“, ამიტომ არ შემშვენის მე მას თავი გავუყადრო. კ. კეკელიძე ასკვნის: „ჩანს, წარმოშობით და გვარიშვილობით ზენონი უფრო „სახელოვანი“ და „საჩინო“ ყოფილა, ვიდრე მისი დის შეურაცხმყოფი კაცი, ამიტომ წოდებრივ-არისტოკრატიულ თავმოყვარეობას ნება არ მიუცია მისთვის გამკლავებოდა შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ „ჭაბუკს“. ვამბობ „ჭაბუკს“ მეთქი, რადგანაც ეს კაციც, უეჭველია, არისტოკრატიულ გვარს ეკუთვნოდა. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ დიდისა და „საჩინო“ არისტოკრატის ზენონის დას სამეჯნურო კავშირი გაებას მდაბიოსთან, — გლეხთან თუ მონასთან; ამიტომ მარტალი არ უნდა იყოს ნ. მარი, რომელსაც ზენონის „ჭაბუკობა“ მიაჩნია არა გვარიშვილობის საზოგადოდ, არამედ პროფესიული რაინდობის აღმნიშვნელ ტერმინად, პროფესიულ რაინდობაზე ლაპარაკი მეცხრე საუკუნეში ნაადრევია“[12]. ამიტომ, თვლის კეკელიძე, აქ უნდა გვქონდეს „ჭაბუკის“ როგორც სოციალური ტერმინის მეორე მნიშვნელობასთან საქმე, რაც „მდგომარეობდა იმაში, რომ ის აღნიშნავდა საერთოდ თავისუფალს, აზნაურს, იმას, ვისაც ჩვეულებრივ არისტოკრატია და კეთილშობილთა წოდებას აკუთვნებდნენ, მიუხედავად იმისა, შედიოდა ის რაინდთა კორპორაციაში თუ არა“[13].

ვფიქრობთ, კ. კეკელიძის ეს უკანასკნელი დასკვნა, რომ პროფესიულ რაინდობაზე საუბარი ნაადრევია IX საუკუნეში, გამართლებული არ არის.

სადღეისოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ IX საუკუნისათვის საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარება იმ დონეზეა, როდესაც ვასალური ურთიერთობანი, პატრონის მიერ ვასალისადმი სამხედრო სამსახურის პირობით გაცემული მიწისმფლობელობის ფორმები, საყოველთაო გავრცელებას პოულობს და როდესაც, რაც მთავარია, სამხედრო სამსახური გამოცალკევებულია მიწის მწარმოებელთა ვალდებულებათაგან და ის, ე. ი. სამხედრო სამსახური ფეოდალთა კლასის არა მარტო ვალდებულებას, არამედ მის საპატიო პრივილეგიას წარმოადგენს. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, მივიღოთ, რომ ამ დროის საქართველოში და მით უმეტეს მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომლის მკვიდრიცაა ზენონი, ფეოდალთა კლასი უკვე რაინდული კორპორა-

---

12 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

13 იქვე.

ციის სახით არის ჩამოყალიბებული, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ჩამოყალიბების უკანასკნელ სტადიაზეა მაინც, და როდესაც ზემოთ მოტანილ ძეგლში ზენონი თავს სახელოვან ჭაბუკად რაცხს, ეს სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა იმას, რომ მას თავი რაინდად — ჭაბუკად მიაჩნია, და მეტიც, სახელოვან ჭაბუკად, განსხვავებით თავისი მოწინააღმდეგისაგან, რომელიც „შეურაცხ არს“, უღირსია; უღირსია თუნდაც იმიტომ, რომ რაინდის ღირსების დამამცირებელი საქციელი აქვს ჩადენილი. ჩანს, გვარიშვილობითაც უფრო დაბლა დგას ზენონზე, რომელიც ხომ „საჩინო კაცის შვილია“ და არა ჩვეულებრივი რიგითი აზნაური, რაინდული დაუწერელი კოდექსი კი მხოლოდ თანასწორის თანასწორთან შებმას სცნობდა დასაშვებად, სხვაგვარად წესი არ იყო (იხ. „ამირან-დარეჯანიანი“).

„ჭაბუკი“ რაინდის მნიშვნელობით თანდათან უფრო ხშირად გვხვდება; „ამირან-დარეჯანიანში“ ის უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებული და ძალიან გავრცელებული ტექნიკური ტერმინია რაინდის აღსანიშნავად. ამავე მნიშვნელობით ვხვდებით მას XII—XIII საუკუნეთა ძეგლებშიც. XII ს. დამდეგს დაწერილ ისტორიულ თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ „ჭაბუკი“ მეომრის მნიშვნელობით რამდენჯერმეა ნახსენები: იხსენებიან „სახელგანთქმულნი ჭაბუკნი“ „ლიხთ იმერნი და ამერნი“[14]; მეფე გიორგი III-ს ავტორი ახასიათებს როგორც სახელგანთქმულსა და უძლეველ მხედარს და „უებრო ჭაბუკს“[15]; ერთ-ერთი ბრძოლის აღწერისას აღნიშნულია, რომ მებრძოლნი იყვნენ „გამოცდილნი და ლომნი ჭაბუკნი“[16]. დემეტრე მეფის შესახებ ისტორიკოსი ამბობს, რომ ის იყო „ჯელმწიფე დიდი და სახელგანთქმული, ჭაბუკი გორგასლიანი“[17]; ზაქარია ვარდანის ძეზე წერს: „იგი კაცი ერთგული იყო და ჭაბუკი გამოცდილი“[18] (საინტერესოა, რომ მ. ბროსე ამ ადგილს ასე თარგმნის: „héros exercé dans les combats“, ე. ი. ჭაბუკი თარგმნილი აქვს „ბრძოლებში დახელოვნებულ გმირად“). ძეგლის ერთ ადგილას ასეა ნათქვამი: „შეიქმნა ომი, ვითა ხვდებოდა რჩეულებასა იმერთა და ამერთა მოყმეთასა, რომელ კმა იყო ძველთაგანცა გოლიათთა და ჭაბუკთა ომად“[19]. ესე იგი: ატყდა ისეთი ომი, რომ ძველადაც გოლიათთა და ჭაბუკთა საკადრისი იყო (ნ. მარის რუსულ თარგმანშია — сделало бы честь).

---

14 „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 7.
15 იქვე, გვ. 11.
16 იქვე, გვ. 19.
17 იქვე, გვ. 43.
18 იქვე, გვ. 51.
19 იქვე, გვ. 52.

როგორც ვხედავთ, „ჭაბუკი“ ყველგან აქ მაღალი საბრძოლო თვისებების მქონე ადამიანს, გამორჩეულ მეომარს აღნიშნავს. ასევე, მაღალ საბრძოლო თვისებათა ერთობლიობის გამომხატველია ცნება „ჭაბუკობა“; თამარ მეფის ქორწილში მოვიდნენ სტუმრად ოვსთა მეფის შვილები — „შვენიერნი და სახე-კეთილნი მოყმენი... ღირსნი და მინდობილნი ჭაბუკობისანი[20]. „მინდობილნი ჭაბუკობისანი“, როგორც ჩანს, ნიშნავს — „თავიანთი მაღალი ფიზიკური და საბრძოლო თვისებების მოიმედენი“ (კ. კეკელიძეს ეს ადგილი რუსულად ასე აქვს თარგმნილი — „надеясь на свое молодочество“[21]). სარგის მხარგძელს ისტორიკოსი ასე ახასიათებს: „კაცი გუარნი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა“[22]. ამ უკანასკნელ გამოთქმაში — „ჭაბუკობათა შინა“ უფრო მეტი იგულისხმებოდა, ჩანს, ვიდრე მხოლოდ ლაშქრობებისა და ომებში გამოცდილება, თორემ გამეორება იქნებოდა. როგორც ჩანს, აქ ლაშქრობა — ომებს გარდა, ორთაბრძოლა-შეჯიბრებებში ანუ ევროპული ტერმინით — ტურნირებში გაწვრთნილებაც იგულისხმება.

მეფე გიორგი III-ის ძმისშვილს დემეტრეს ისტორიკოსი ახასიათებს როგორც სახე-კეთილ, მარჯვე და ნასწავლ ადამიანს, მაგრამ რამდენადაც ის ღვთის მგმობელი და მეფის მოღალატე გამოდგა, ამით მან გააქარწყლაო ეს თავისი დადებითი თვისებები — „სახე-უკლებლობა“, ანუ გარეგნული სილამაზე, „სწავლულობა“, ე. ი. განათლება და ვაჟკაცობა, რაც, როგორც ჩანს, მაღალ საბრძოლო გაწვრთნილებასა და ვაჟკაცობასთან ერთად რაინდული კოდექსისა და იდეალებისადმი ერთგულებას აღნიშნავს.

ისტორიკოსის სიტყვები, მწიგნობართუხუცესის ანტონის შესახებ ნათქვამი, რომ ანტონი იყო „კაცი შესახედავითაცა ჭაბუკი და გუარტომად“, როგორც ჩანს, უნდა გავიგოთ ასე: ანტონი რაინდი იყო თავისი გარეგნობით და ფიზიკური თვისებებითაც და წარმოშობითაც.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს ბასილ ეზოსმოძღვარსაც ნახმარი აქვს თავის ნაწარმოებში ტერმინი „ჭაბუკი“: „მოსწყდეს ყივჩაღთა მიერ კარგნი ჭაბუკნი ბრძოლასა შინა“[23]. აქაც ეს „კარგნი ჭაბუკნი“ რჩეულ რაინდებს გულისხმობს.

ჭაბუკს რაინდის და ხშირად არა უბრალო, არამედ გამორჩეული რაინდის მნიშვნელობით ვხვდებით „ვეფხისტყაოსანშიც“ (თუმცა აქაც,

---

20 „ქართლის-ცხოვრება“, გვ. 37.

21 „История и вохваление венценосцев“, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XII, 1974, გვ. 194.

22 „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 33.

23 იქვე, გვ. 131.

ისე როგორც „ისტორიანსა და აზმანში“ რაინდის აღსანიშნავად უმთავრესად „ყმა“ და „მოყმეა“ გამოყენებული). „ჭაბუკებს“ უწოდებს ავტორი ამ რჩეულ რაინდებს — ავთანდილს, ტარიელს და ფრიდონს: „იგი ჭაბუკნი შუქითა ვნახენ მზისაცა მეტითა“[24]. მაღალი საბრძოლო თვისებები ახასიათებს კარგ „ჭაბუკს“: „არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა“[25]. „ჭაბუკი“ უფრო ხშირად არა უბრალოდ რაინდის, არამედ ჩინებული რაინდის მნიშვნელობას შეიცავს: მოქარავნენი ავთანდილზე ამბობენ, რომ ის არის „ყმა ვინმე ჭაბუკი, არა ჩვენებრივ რიდითა, აქვს თავისაგან იმედი, ვიყვნეთ გულითა მშვიდითა“[26]. აქ ნახმარი „ყმა“ უკვე რაინდს აღნიშნავს, ხოლო მისთვის დამატებული ჭაბუკი რჩეულ რაინდს გულისხმობს, როგორც ჩანს.

ვხვდებით პოემაში „ჭაბუკთა“ სიმრავლესაც, მასას. ქაჯთა ძნელად მისადგომი ქალაქის აღწერისას პოეტი ამბობს, რომ ქალაქის შიგნით მაგარი კლდეა, სადაც ნესტან-დარეჯანია დამწყვდეული და ამ კლდეში შესასვლელი გვირაბის კარს დღე ნიადაგ 10 ათასი ჭაბუკი იცავს — „ყველაკაი ხასები“[27], ე. ი. ყველა გამორჩეული.

ამრიგად, „ჭაბუკი“ IX—X საუკუნეებისათვის რაინდული ტიპის მეომრის აღმნიშვნელი ტერმინის სახით უკვე არსებობს. განსაკუთრებულ გავრცელებას ეს ტერმინი „ამირან-დარეჯანიანში“ პოულობს. აქ ის რაინდის აღსანიშნავი ერთადერთი ტერმინია (ბუმბერაზი, გოლიათი, გმირი — არსებითად ეპითეტების როლს ასრულებს), XII—XIII საუკუნეებში კი „ჭაბუკის“ გვერდით, რომლის გამოყენების შემთხვევები ამ დროისათვის შედარებით კლებულობს, სულ უფრო მეტ გავრცელებას პოულობს ამავე მნიშვნელობის სხვა ტერმინები — „ყმა“ და მისგან ნაწარმოები „მოყმე“. ჩავუკვირდეთ მათ.

„ყ მ ა“ და „მ ო ყ მ ე“. უძველეს ქართულ სიტყვას „ყმა“ („ყრმა“) სემანტიკის თვალსაზრისით საინტერესო ისტორია აქვს. მისი თავდაპირველი მნიშვნელობაა — ბავშვი, ჭაბუკი, ახალგაზრდა, ე. ი. ადამიანის გარკვეული ასაკობრივი მდგომარეობა. ეს მნიშვნელობა მას დღემდე შერჩა. ამასთანავე, დროთა ვითარებაში „ყმა“ გარკვეულ სოციალურ შინაარსსაც იძენს — დაქვემდებარებული პირის, მოსამსახურის, ფეოდალური ხანის „მონის“ შესატყვის ტერმინად იქცევა. ამ მნიშვნელობით გვხვდება „ყმა“ ადრეფეოდალური ხანის ორიგინალურსა თუ ნათარგმნ ძეგლებში, „ბიბლიასა“ და „შუშანიკის მარტვილობაში“ და

---

24 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1951, სტროფი 1409 (ქვემოთ ყველგან ამ გამოცემას ეასახელებთ).

25 სტროფი 597.

26 სტროფი 1036.

27 სტროფი 1243.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“. ეს ნათლად არის ნაჩვენები ჩვენს ლიტერატურაში[28].

შემდეგი საფეხური ამ სიტყვის შინაარსობლივი განვითარების გზაზე სახელმწიფოში ვასალიტეტის ანუ ქართულად პატრონყმობის ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული. ვასალურ ურთიერთობათა ფართო მასშტაბით გავრცელების შემდეგ, „ყმის“ ცნება ფართოვდება, ვასალის მნიშვნელობასაც იტევს[29] და თანდათან ფეოდალზეც ვრცელდება, რამდენადაც ფეოდალი ამა თუ იმ ზემდგომი ფეოდალის ანდა მეფის მიმართ დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია მოქცეული. ეს არის ყმის როგორც მსახურის შემდგომი განვითარება[30].

ამასთანავე, XI—XII საუკუნის საქართველოში „ყმის“ კიდევ ერთ შინაარსობლივ გამდიდრებასთან გვაქვს საქმე.

თუ „ყმის“ ცნება „ვასალად“ გადაიზარდა პატრონყმობისა და მის საფუძველზე რაინდობის წარმოქმნა-ჩამოყალიბების შედეგად, „ყმის“ ცნების ახალი გაფართოება რაინდობის როგორც სოციალური მოვლენის შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას მოასწავებდა. „ყმის“ ეს ახალი მნიშვნელობა მთელი სიცხადით არის ასახული ქართულ რაინდულ პოემა-რომანში „ვეფხისტყაოსანი“. აქ „ყმა“ მრავალჯერ და არაერთი მნიშვნელობით იხმარება — ასაკობრივი, ვაჟის (ქალის საპირისპირო), ვასალის და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ზოგადად მეომრის და ჩინებული ვაჟკაცის, რაინდის მნიშვნელობით. საინტერესოა, ამასთანავე, რომ სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა პოემაში დიდად ჭარბობს ყველა დანარჩენს. თუ „ყმა“ ასაკობრივი მნიშვნელობით სამჯერაა ნახმარი, ვაჟის (სქესის) აღსანიშნავად — 5-ჯერ და ვასალის გაგებით 16-ჯერ, დანარჩენ, თითქმის 140-ჯერ, ის საერთოდ მეომარ-რაინდი ვაჟკაცის მნიშვნელობას ატარებს. „ყმად“ ამ გაგებით არიან წოდებულნი ავთანდილი, ტარიელი,

---

[28] И. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, გვ. 73; კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა, 1935, გვ. 128—129; ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 468 და სხვ.

[29] უფრო დაწვრილებით „ყმის“ როგორც ვასალის მნიშვნელობის შესახებ საუბარი გვაქვს წერილში „ყმა, მსახური, ტაძრეული“, მაცნე, 1981, № 2, გვ. 135—138.

[30] ნ. ბერძენიშვილს თავის პირად არქივში დაცულ ჩანაწერებში ასეთი ვარაუდი აქვს გამოთქმული: „ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისას მსახური, სამხედრო ვალდებული დაწინაურდა, შვილი და ყმა გახდა (ასე, რომ, XIII საუკუნეში მისი სისხლი ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე გლეხისა). მონასაც ამავე სამსახურის საფუძველზე ყმა ეწოდა, თუმცა „მონება“ და „მონა“ ყმობასა და ყმისაგან განსხვავებული, მაინც შერჩა“, „... რატომ და როგორ ეწოდა სამსახურის სუბიექტს ყმა, ყმა შვილი, იმიტომ ხომ არა, რომ ყველა ესენი სახლის შინანი იყვნენ?...“ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, 1973, გვ. 260.

ფრიდონი და კიდევ რამდენიმე სხვა პერსონაჟი და ყველა ისინი ყმებად არიან სახელდებულნი ისეთ კონტექსტში, რომელიც გამორიცხავს მათ ვასალად გაგებას. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

შერმადინი ავთანდილის ყმა და მონაა, ხოლო ავთანდილი შერმადინის პატრონი, მაგრამ მათი ბაასის გადმოცემისას ავტორი ავთანდილს „ყმას“ უწოდებს[31].

მეფე როსტევანისა და მისი ამალის ტარიელთან პირველი შეხვედრის აღწერისას ტარიელი, ისე როგორც შემდეგ, „ყმად“ იწოდება — „მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად“[32], ანდა „შესხდეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მისაწევებლად“[33]. ვისი ყმაა ტარიელი ამ სიტუაციაში არავისი, მაგრამ მაინც ყმად იწოდება, რადგან ის მეომარ-რაინდად შეიცნეს მნახველებმა გარეგნული მონაცემების გამო (ცხენი მდიდრულად შემკული აღჭურვილობით, თვითონაც შეიარაღებული ხრმალ-კაპარჭით...); ყმად იწოდება ფრიდონიც[34], რომელიც არა თუ ვისიმე ვასალია, არამედ მეფეა; ყმად იწოდება ხვარაზმ-შაჰის ძე[35], ნესტან-დარეჯანის საქმრო, ხელმწიფის შვილი და არა ვისიმე ვასალი.

მრავალი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ დავკმაყოფილდეთ კიდევ ერთით, რომელიც მოტანილი აქვს ნ. მარსაც „ყმის“ „რაინდის“ მნიშვნელობით გაგების დასასაბუთებლად:

თინათინი მიმართავს ავთანდილს —
ასრე გითხრა: სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ ყმა ხარ, ჯორციელი არვინა გყავს შენათ სწორად,
მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია არ ნაჭორად,
წადი იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად[36].

ავთანდილს მეფის ასულის სამსახური მართებს უმთავრესად („პირველ“) იმის გამო, რომ ის ყმაა და, მაშასადამე, მაღალი ზნეობრივი და საბრძოლო თვისებებით არის შემკული — არავინ ჰყავს სწორი.

გამომდინარე აქედან ნ. მარი, ნაშრომში „Вступительные и заключительные строфы „Витязя в барсовой коже“, წერს: ყმა „и в данном месте трудно понять иначе как витязь (рыцарь)[37].

ნ. მარს მოაქვს კიდევ სხვა მაგალითები და ასკვნის, რომ „ყმა“

---

31 „ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 162.
32 სტროფი 94.
33 სტროფი 96.
34 სტროფი 597, 609 და სხვ.
35 სტროფი 541, 557, 558 და სხვ.
36 სტროფი 130.
37 Н. Я. Марр, Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже. Тексты и разыскания... кн. XII, 1910, СПб, გვ. XI.

რუსთაველის პოემაში გაგებული უნდა იყოს უფრო ხშირად რაინდის მნიშვნელობით — „в смысле витязя“, ამბობს ის და დასძენს: „я решаюсь даже сказать—в смысле рыцаря“[38].

მეომარ-ვაჟკაცის, რაინდის მნიშვნელობით „ყმას“ ვხვდებით XI—XII სს. ქართულ საისტორიო თხზულებებშიც. ერთი ასეთი მაგალითი „ისტორიანი და აზმანიდან“ მოტანილი აქვს ნ. მარს, კერძოდ ის ადგილი, სადაც ავტორი ზაქარია ფანასკერტელს, ძინიელთ და კალმახელთ „კარგ ყმებს“ უწოდებს[39].

მოვიტანთ ჩვენც ერთ მსგავს მაგალითს იმავე წყაროდან: ამირ-მირმანი, შირვანის მფლობელი მოაწამლინა აბუბაქარმა. აბუბაქარის წინააღმდეგ „გავიდეს და შეიბნეს ყმანი ამირ-მირმანისეულნი“. ტექსტში, ცოტა ქვევით, გახსნილია ამ „ყრმათა“ ვინაობაც — ვინც დამარცხების შემდეგ გადარჩა ცოცხალი, გარდაიხვეწა, ლტოლვილნი „დიდებულნი ხასაგიანნი და მონანი ამირ-მირმანისეულნი“ მიიღო ქართველთა მეფემ[40]. მაშ, „ყმანი“ ყოფილან ფეოდალები („დიდებულნი, ხასაგიანნი“) და „მონანი“ ანუ მათი მსახურნი და ყველა ისინი, როგორც მეომარ-რაინდები, ერთიანდებიან საერთო ცნებაში — „ყმანი“.

„ქართლის ცხოვრების“ გამოცემისადმი დართულ ს. ყაუხჩიშვილისეულ ლექსიკონში ყმის ორი განმარტებაა მოცემული: 1. ვასალი და 2. ვაჟკაცი, მეომარი[41]. ამ მეორე მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მითითებულია სწორედ ის ადგილი „ისტორიანი და აზმანისა“, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ.

ცხადია, „ყმის“ როგორც მეომარ-რაინდის მნიშვნელობა პირველად მაშინ არ გაჩენილა, როდესაც „ისტორიანი და აზმანი“ თუ „ვეფხისტყაოსანი“ იწერებოდა, არამედ ის ბევრად უფრო ადრე ყალიბდებოდა, XI საუკუნის ძეგლში „მატიანე ქართლისაჲში“ უკვე ვხვდებით ისეთ გამოთქმას, სადაც „ყმა“ არ შეიძლება ნიშნავდეს არც ყმაწვილს და არც ვასალს და რომელიც სწორედ ფეოდალ-მეომრის ცნებას უკავშირდება. მხედველობაში გვაქვს გამოთქმა — „დარბაზის ყმა“. ხსენებულ წყაროში ნათქვამია, რომ მეფე ბაგრატ IV-ს შეეგებნენ „ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი... და ყოველი ერი

---

38 ნ. მ ა რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. XIII.

39 „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 55.

40 იქვე, გვ. 74.

41 იქვე, ლექსიკონი, გვ. 613.

ქუეითი"[42], „ყმა" აქ, ვფიქრობთ, არ შეიძლება ვასალის მნიშვნელობით გავიგოთ — „დარბაზის ვასალები" აზრს მოკლებული ჩანს.

ძველი ქართული ძეგლების გამოცემებისათვის დართულ ლექსიკონებში „დარბაზის ყმა" ასეა განმარტებული: „დარბაზის წევრები"[43], „სასახლის ყმა"[44], ანდა: „დარბაზის სხდომებზე წესრიგისა და ზეიმის მოსაგვარებლად დანიშნული მოხელეები"[45], რუსულ თარგმანშია: „дворцовые слуги"[46]. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „დარბაზის ყმანი" პაჟები არიან[47]. ამ განმარტებებს, ვფიქრობთ, აკლია დარბაზის ყმების, როგორც ფეოდალური საზოგადოების პრივილეგირებული ჯგუფის აღმნიშვნელი შინაარსი, რაც საკმაოდ აშკარად ჟღერს წყაროთა გამონათქვამებში. მათი უშუალოდ ქალაქის ბერების გვერდით მოხსენიება მეფე ბაგრატთან საზეიმო შეხვედრის აღწერისას, ამაზე მიუთითებს. საპატიო ღირსების აღმნიშვნელია „დარბაზის ყმა" „ისტორიანი და აზმანის" მიხედვითაც: ივანე მხარგრძელი, მსხვილი ფეოდალის ,ზაქარია მხარგრძელის უმცროსი შვილი მეფემ „ითაყვანა დარბაზის ყმად"[48]. ცხადია, აქაც მსხვილი ფეოდალისათვის შესაფერის განსაკუთრებულ პატივზეა საუბარი.

ამდენად, „დარბაზის ყმანი" სამეფო თუ ქალაქის მმართველთა სასახლეში მყოფსა და მის მცველ ფეოდალ-რაინდების საპატიო ჯგუფს შეადგენენ და „ყმა" ამ შემთხვევაშიც მეომარ-ფეოდალს, რაინდს ნიშნავს.

მ ო ყ მ ე. ყმისაგან ნაწარმოებია რაინდის ცნების გამომხატველი კიდევ ერთი ქართული ტერმინი — მოყმე. თუ „ყმა" XI—XII საუკუნეებში ისევ და ისევ ვასალის აღსანიშნავადაც იხმარება, „მოყმე" თავისი ძირითადი მნიშვნელობით უკვე მხოლოდ და მხოლოდ რაინდის შესატყვისია. ნ. მარის თქმით, ამ სიტყვის ეს მნიშვნელობა არა სასხვათაშორისოა, არამედ ძირითადი („не привходящее, а основное"[49]) ხშირად ხმარებული სიტყვაა ის, როგორც „ისტორიანსა და

---

42 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299.

43 იქვე, გვ. 456.

44 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 1941, გვ. 143.

45 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 613.

46 Матиане Картлиса, 1976, გვ. 149.

47 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია.

48 ასევე ვარაუდობდა, როგორც ჩანს, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი — მის ჩანაწერებში ასეთი ფრაზა გვხვდება: „მეფის სასახლის დარბაზის ყმანი, რაინდული წესების მოწაფენი, მეფის „გაზრდილნი"...; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, 1974, გვ. 116.

49 ნ. მ ა რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. XII.

აზმანში“[50], ასევე „ვეფხისტყაოსანში“. ამ ორივე ძეგლიდან ნ. მარს მოაქვს მაგალითები „მოყმის“ რაინდად განმარტების დასასაბუთებლად. ოთხი ასეთი მაგალითი აქვს მოყვანილი ნ. მარს, როგორც ჩანს, მისი შეხედულებით ყველაზე მკაფიო. კ. კეკელიძე კი ამ ძეგლის გამოცემისათვის დართულ ლექსიკონში „მოყმეს“ ასე განმარტავს: „ვაჟკაცი, კარგი ყმა, გმირი ჭაბუკი“ და უმატებს: „ერთს შემთხვევაში (63₃₄) რაინდი“. ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის ლექსიკონში „მოყმე“ განმარტებულია როგორც რაინდი, ვაჟკაცი[51].

„ისტორიანსა და აზმანში“ ტერმინი მოყმე თითქმის 25-ჯერ არის ნახმარი და ყოველთვის მას რჩეული მეომრის, რაინდის შინაარსი აქვს. „მოყმეთ“ უწოდებს ისტორიკოსი თავისი დროის გამოჩენილ პირებს— ზაქარია მხარგრძელს, ამირსპასალარს, მსახურთუხუცესს ყუბასარს[52] და ყველაზე ხშირად კი თამარ მეფის ქმარს დავით სოსლანს. დავითზე ისტორიკოსი ამბობს, რომ ეს იყო „მოყმე დღითი დღე მატებული და წარმართებული და წაკუეთებული ომთა და ლაშქრობათა“[53]; რომ ის ეკუთვნოდა სახლს, რომლის წევრნიც არიან „მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა“[54]; რომ დავითი იყო „მოყმე ფერ-ნაკუეთად კარგი, ბეჭ-ბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი“[55], მსგავსი „დიდებულთა ბუმბერაზთა“ და სახელგანთქმულთა მოყმეთა (აქ ისტორიკოსი „შაჰნამეს“ გმირებს — როსტომსა და გივის ასახელებს)[56]. თამარ მეფის პირველ ქმარზე გიორგი იურის ძეზეც წერს, რომ ის იყო „მოყმე... მჭურეტთაგან მოსაწონი“[57]. „კარგ მოყმედ“ არის წოდებული რანის სულტანი ამირ-მირმანი[58]. თამარის თანამოსაყდრედ დაჯდომის კანდიდატებს შორის ისტორიკოსი ასახელებს, რომ ისინი იყვნენ „ოვსთა მეფეთა შვილნი შუენიერნი და სახე-კეთილნი“ მოყმენი და მინდობილნი ჭაბუკობისანი“[59], ე. ი. საჭაბუკო, სარაინდო ზნის მორჩილნი. „მოყმენი პირ-წალმართნი“ (პირ-მართალნი) არიან, ისტორიკოსის თქმით, „მხარგრძელნი, ძენი სარგისისნი და ვარამისნი“ — ზაქარია და ზაქარია, ივანე და სარგის, რომლებიც სალაშქროდ მიდიან დვინს

---

50 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941, გვ. 148.
51 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 583.
52 იქვე, გვ. 55.
53 იქვე, გვ. 30.
54 იქვე, გვ. 60.
55 იქვე, გვ. 46.
56 იქვე, გვ. 65.
57 იქვე, გვ. 37.
53 იქვე, გვ. 66.
59 იქვე, გვ. 39.

და ბრუნდებიან „გამარჯვებულნი“ და ალაფაღვსებულნი და „სახელოვანნი“[60].

„მოყმენი“ არიან არა მხოლოდ ერთეული პირები, თითებზე ჩამოსათვლელი გმირები, არამედ საერთოდ მოლაშქრენი, ყოველ შემთხვევაში მისი ძირითადი ბირთვი თავისი ზედა ფენითურთ: მეფემ ლაშქრობა უბრძანა „ამირსპასალარსა მისსა ზაქარიას და მსახურთუხუცესსა ივანეს, ჰერეთის ერისთავსა გრიგოლს და სხუათა მოყმეთა“; მტერი „მსწაფლ იძლივნა“ „დავით მეფის და მისთა მოყმეთაგან“[61]. მეფე იდგა „მცირედითა ლაშქრითა“ ლორესა და დმანისის მთებში და ნადირობდა. აქ მას მტერი წაადგა თავს. მეფეს გაცლა მოუხდა, მაგრამ გზაში მეფე და ეს მისი მცირე ლაშქარი — „მისნი მოყმენი“ არაერთხელ მიუბრუნდნენ მტერს და ხოცეს[62]. „ისტორიანი და აზმანის“ ამ ადგილის შესახებაა, რომ კ. კეკელიძე შენიშნავს: „მოყმე“ იმ ერთ შემთხვევაში — რაინდიაო[63].

„მოყმენი“ ფეოდალური საზოგადოების ორგანული და მეტად თვალსაჩინო ნაწილია, ეს ის წრეა, რომლის საქმიანობა, მთელი ცხოვრება მეომრობასთან, რაინდობასთან არის დაკავშირებული. გიორგი III-მ ბრძოლის დაწყების წინ გასამხნევებელი სიტყვებით მიმართა თავის მხედრობას, თავის ცხენოსან ლაშქარს და ასეთი მიმართვით დაიწყო თავისი სიტყვა — „მოყმენო“![64]

ამრიგად, უკვე მხოლოდ ის მასალა, რომელსაც „ისტორიანი და აზმანი“ იძლევა ტერმინ „მოყმის“ გაგებისათვის, საკმაოა დასკვნის გამოსატანად, რომ XII საუკუნის მეტყველებაში „მოყმე“ განასახიერებდა საუკეთესოდ გაწვრთნილ მაღალ საბრძოლო და ვაჟკაცური თვისებებით შემკულ მეომარს, ანუ სწორედ იმას, რასაც დღევანდელი ტერმინი „რაინდი“ გამოხატავს.

„მოყმის“ ასეთივე, რაინდის ცნების გამომხატველი სიტყვის მაგალითები შოთა რუსთაველის პოემაშიც მრავალია. აქ ეს სიტყვა სულ ცოტა 34-ჯერ არის ნახმარი და ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ მეომრის, ვაჟკაცის, რაინდის მნიშვნელობით. საკმარისია გავიხსენოთ „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“[65], სადაც „მოყმედ“ ტარიელი იგულისხმება, ანდა მეფე ფრიდონის მოყმედ წოდება — „ნურადინ ფრიდონ მეფეა

---

60 ქართლის ცხოვრება, გვ. 39.
61 იქვე, გვ. 67.
62 ქ. ცხ., II, გვ. 14.
63 კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.
64 იქვე.
65 სტროფი 254.

ამა ქვეყნისა ჩვენისა, მოყმე მხნე, უხვი, ძლიერი, ფიცხლად მომხლტომი ცხენისა"[66] და სხვა მისთანა მრავალი მაგალითი.

როგორც სამართლიანად წერს ნ. მარი, ტერმინი „ყმა" და „მოყმე" XII საუკუნის საქართველოში გამოხატავს წარმოდგენას ისეთი გმირი ვასალის შესახებ, რომელიც განადიდებდა თავის სიუზერენს, პატრონს თავისი საგმირო საქმეებით, ცხენოსნობით, მშვილდოსნობით, სპორტული მიღწევებით, წარმატებებით ბრძოლაში გარეშე მტრებთან, ანდა მხეცებსა და ბოროტ სულებთან ბრძოლებში, თავისი გამარჯვებებით შეჯიბრებებზე ისინი, ვინც მოყმისა და ყმის საპატიო წოდებას ატარებენ, მუდამ ოცნებობენ მსოფლიო დიდებაზე, ეძებენ სახელის მოხვეჭას, რისთვისაც სცდიან ბედს შეჯიბრებებზე, გამოჩენილ ყმათა შორის რომ ეწყობა ხოლმე.

უეჭველია, ტერმინი „ყმა" ვასალობის მომენტსაც შეიცავს, შერწყმულს საკუთრივ რაინდობასთან, თუნდაც, მაგალითად, მაშინ, როდესაც ავთანდილი ამბობს:

პირველ ყმა ვარ, წასვლა, მინდა პატრონისა სამსახურად,
— ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმისა ყმურად.

პატრონის სამსახური, მეფეთა ერთგულება, ყმურად „ყოფა" — ესაა რაინდ-ვასალის მორალურ ნორმათა კოდექსი[67].

ამრიგად, როგორც დავინახეთ, XI და XII საუკუნეებში ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს რაინდის აღმნიშვნელი ორი ტერმინი — „ჰაბუკი" და „ყმა" (var.: „მოყმე"). თუ „ჰაბუკი" რაინდის მნიშვნელობით დადასტურებულია ჯერ კიდევ X საუკუნემდელ ძეგლებში, „ყმა" რაინდის გაგებით შედარებით გვიანდელი ფაქტია. ის განვითარდა ვასალური დამოკიდებულების აღმნიშვნელი ტერმინიდან და ამ განვითარების შედეგად მოიცვა მთელი ფეოდალთა კლასი, მისი იმ მწვერვალის ჩათვლით — მეფით, რომელიც არავის ვასალი არ არის.

ახალი ტერმინის გაჩენა რაინდობის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზრდასთან უნდა იყოს კავშირში.

თუ „ჰაბუკი" ცალკეული პროფესიონალი მეომრის ზედწოდება იყო და უპირატესად გამოჩენილი მეომრის შესამკობელ სიტყვად იხმარებოდა, „ყმა" და „მოყმე" გარკვეული სოციალური ჯგუფის აღმნიშვნელია, გარკვეულ სოციალურ სტატუსს შეიცავს.

შეიძლებოდა დაგვეშვა ერთი ვარაუდი: „ყმის" რაინდის მნიშვნელობით გაჩენა, შესაძლოა, კორპორაციული დანიშნულების წარმოქმნის მომასწავებელი იყო. სამწუხაროდ, ამ ვარაუდის დოკუმენტურად შემაგრება, სათანადო მასალების სიმცირის გამო, ძალიან ძნელია და ამჯერად ის მხოლოდ ლიტონ სიტყვად რჩება.

---

66 სტროფი 971.

67 ნ. მ ა რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. XIII—XIV.

თავი III

ქართველი მეომრის სამხედრო აღჭურვილობა

ქართველი მეომრის შეიარაღების შესახებ წერილობითი ცნობები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან გვაქვს. ცნობებს გვაწვდის I საუკუნის ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი. მისი სიტყვით, ქართველი ცხენოსანი მეომრები იბრძვიან ოროლებითა და მშვილდ-ისრით შეჭურვილნი, შემოსილი არიან ჯავშნით და ნადირის ტყავის მუზარადით, ხმარობენ ფარს და სხედან შეჯავშნულ ცხენებზე[1].

საფიქრებელია, რომ ამგვარ რთულ აღჭურვილობას — ჯავშანი, შეჯავშნული ცხენები და სხვ., ამ დროს უპირატესად საზოგადოების ზედა ფენა ფლობდა. მეომართა ფართო მასა, რომელიც ამ დროს მწარმოებელი მოსახლეობისაგან შედგებოდა, საამისო მატერიალურ შესაძლებლობას მოკლებული იყო. მეომართა ეს ქვეითი, მრავალრიცხოვანი ლაშქარი, უეჭველია, გაცილებით უფრო მარტივად, ძირითადად მშვილდ-ისრით უნდა ყოფილიყო შეიარაღებული.

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი, აღწერს რა V საუკუნის ქართლს, აღნიშნავს, რომ მეფე ვახტანგ გორგასალი საომრად გადიოდა ჯავშნით შეჭურვილ ცხენზე მჯდომი და ვიგრის ფარით ხელში, რომელსაც ვერა ჰკვეთდა მახვილი[2]. ხოლო სალაშქროდ გამზადებული ქართველთა ჯარი ამავე ისტორიკოსს ასე ჰყავს აღწერილი: ლაშქარს წინ უძღვის თოროსან ცხენებზე ამხედრებული ჯაჭვ-ჩაბალახოსანთა მოწინავე რაზმი, ხოლო მათ უკან მიჰყვება ქვეითი ჯარის მრავალრიცხოვანი მასა, რომელსაც ბოლოს კვლავ მხედართა რაზმი ახლავს.

აკად. ს. ჯანაშია ერთი გვიანდელი წყაროს ცნობებზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ ჯარის მეთაურს დანარჩენი მასისაგან განასხვავებდა

---

1 სტრაბონი, გეოგრაფია, თავი IV, § 5; თავი XIV, § 9. (წიგნში: თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. 1957); ს. ჯანაშია, ნაშრომები, I, გვ. 193. სტრაბონის ამ ცნობებს შესანიშნავად ადასტურებს ძველი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით დათარიღებული საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური განათხარი მასალა.

2 ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 197; ქართლის ცხოვრება, გვ. 154.

„გარეგნულ ნიშანთა შორის განსაკუთრებული იარაღი, საჭურველი, დროშა, შუბი და აგრეთვე თოროსანი, ჯავშნიანი ცხენი“[3].

უფრო გვიან, რაინდული ჯარის ეპოქაში, ე. ი. იმ დროს, როდესაც მთელი ფეოდალური ჯარი საქართველოში პროფესიონალი მეომრებისაგან შედგებოდა ძირითადად, საომარი აღჭურვილობა კიდევ უფრო გართულებული იყო. საბრძოლოდ გამოდიოდნენ იარაღის არა ერთი რომელიმე სახეობით, არამედ სხვადასხვა სახის საომარი იარაღით და მათი არაერთი სათადარიგო ნიმუშით, სამარქაფო ცხენებით, რაც უეჭველად გულისხმობდა, რომ მეომარ-რაინდს ბრძოლაში უსათუოდ თან უნდა ხლებოდა მსახური, ანდა მთელი ჯგუფი მსახურთა — საჭურველთმტვირთველნი, ანუ, ძველი ქართული გამოთქმით — მეაბჯრენი, რომლებიც საჭიროების ჟამს რაინდს შეუცვლიდნენ დამტვრეულ, მწყობრიდან გამოსულ იარაღს, მიაწვდიდნენ სამარქაფო ცხენს მოკლული ცხენის ნაცვლად და, საერთოდ, ყოველგვარ მომსახურებას და დახმარებას გაუწევდნენ ბრძოლაში.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ერთ-ერთი ბრძოლის აღწერისას შენიშნავს, რომ დავით მეფეს, რომელიც უშუალო მონაწილეობას ღებულობდა ფიცხელ ომში, ბრძოლის პროცესში სამი ცხენი მოუკლეს და უკვე მეოთხე ცხენზე მჯდომმა დაასრულა გამარჯვებული ბრძოლაო. მეფეს, არა ერთი, არამედ მრავალი მეაბჯრე ჰყავდა, მათ უფროსს მეაბჯრეთუხუცესი ერქვა, რომელსაც, აგრეთვე, სამეფო საჭურველთსაცავის — ზარდახანის დაცვაცა და მეთვალყურეობაც ებარა.

XI—XII საუკუნეებში შექმნილი მხატვრული ნაწარმოების, „ამირანდარეჯანიანის“ გმირები ორთა ბრძოლასა თუ ფიცხელ ომებში არაერთ ხმალს შეალეწავენ და მიამტვრევენ ხოლმე მოწინააღმდეგის რკინა-ჯაჭვს. მაგალითად, ამბრი ჭაბუკმა და მისმა მოწინააღმდეგემ, ბუმბერაზმა, შებმისას ბრძოლის სიცხარეში „გარდალეწეს თუითო ხრმალი ერთმანეთისა და მეორე გამოიწოდეს“. არის შემთხვევები, როდესაც მეომარნი ბრძოლის პროცესში სამჯერ და მეტჯერ იცვლიან ხმალს თუ სხვა სახის იარაღს ისევე როგორც საბრძოლო ცხენებს.

ყოველგვარი საომარი იარაღის ზოგადი, კრებითი სახელი რაინდულ ეპოქაში (IX—XII სს.) — აბჯარია. IX საუკუნიდან დაწყებული ის ცვლის ადრე გავრცელებულ ამავე მნიშვნელობის სიტყვას — „საჭურველს“ და საბოლოო ჯამში კიდევაც გამოდევნის მას ხმარებიდან. აბჯარი გვხვდება IX—X საუკუნეების ძეგლებში — შატბერდისეულ წმინდა ნინოს ცხოვრებაში, ლეონტი მროველის თხზულებაში, ხოლო

---

3 ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 198.

XI—XII საუკუნეთა ნაწარმოებებში—„ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ — უკვე სრულიად ბატონდება. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ „ტერმინის „ს ა ბ ჟ ა რ ს მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლის შემდგომ შეეძლო. ცხადია. რაღაც ცვლილება უნდა მომხდარიყო, რომელმაც ძველად განმტკიცებული ტერმინი მოსპო და ახლის შემოღება აუცილებელი გახადა“[4].

საკვლევი სამართლიანი ვარაუდია, მით უმეტეს, რომ ა ბ ჟ რ ი ს როგორც საბრძოლო იარაღის ზოგადი ტერმინის შემოსვლა და გაბატონება სწორედ რაინდული ეპოქის დადგომა-განვითარებას ემთხვევა, ეპოქას, რომელიც, უეჭველია, იარაღის შემადგენლობასა და ხასიათში უსათუოდ გარკვეულ ცვლილებებს შემოიტანდა.

აბჯარი ამ დროს იარაღის ზოგად ცნებასთან ერთად უფრო ვიწრო მნიშვნელობითაც იხმარებოდა — საკუთრივ თავდაცვითი საჭურველის, ჯავშნის აღსანიშნავადაც. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს „ამირანდარეჯანიანიდან“: ამირანმა პოლოტიკნი რკინანი „აბჯრის ქუეშე დაიპყრა უჩინრად“[5]. აბჯარი აქ, ცხადია, თავდაცვითი იარაღის **იმ ნაწილს** გულისხმობს, რომელიც ტანთ მოსავს ამირანს და რომლის ქვეშაც მალავს ის რკინის ფირფიტებს — პოლოტიკებს („ბრძოლაში მკერდთა და ღლიათა დასაკრავს“, სულხან-საბას განმარტებით). შემდეგ: საბრძოლო შებმის ერთ-ერთ მონაწილეზე ნათქვამია, რომ ის გამოვიდა საბრძოლველად „კაბითა“ და მის მოწინააღმდეგეს გაუკვირდა „აბჯრისა ტანსა უცმელობა“ — „აბჯარი ტანს ჩაიცუი მეთქი“, უთქვამს მასზე[6].

ამ მაგალითებიდან აშკარაა, რომ აბჯარი ხელში ასაღები იარაღი კი არ არის ასეთ შემთხვევაში, არამედ ტანთ ჩასაცმელი საჭურველია — რკინის პერანგია.

„ვეფხისტყაოსანში“ აბჯარი, უმეტეს წილად, ზოგადად იარაღის მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ ვხვდებით მას ტანთ შესამოსელი საჭურველის მნიშვნელობითაც. მაგალითად: „კაცსა და ცხენსა ე მ ო ს ა აბჯარი ხვარაზმულია“[7] — ცხენს მაინც ხომ მხოლოდ ჯავშანი-ღა ეკვნიბოდა „შესამოსელად“. ან კიდევ: „ციხისა მცველი ყველაი იდგა მართ ვითა სნეული, თავით ფეხამდის დაჭრილი, აბჯარი მუნ დახეული“[8]. „დახეული“ კი მხოლოდ ტანთ შესამოსელზე შეიძლებოდა ყოფილიყო ნათქვამი.

---

4 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1962, გვ. 206.

5 ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა, 1969, გვ. 249. ქვევით ყველგან ამ გამოცემას ვემყარებით.

6 იქვე, გვ. 414—415.

7 ვეფხისტყაოსანი, სტროფი 1419.

8 იქვე, სტროფი 1567.

სულხან-საბას აბჯრის არც ეს ვიწრო მნიშვნელობა არ დარჩენია აღუნიშვნელი. ის ასე განმარტავს აბჯარს: „ესე ზ ო გ ა დ ი სახელი არს ყოველთა საჭურველთა დ ა უ ფ რ ო ს ა დ ს ა ც ვ ა მ თ ა ჯ ა ჭ ვ თ ა“.

უფრო გვიან, დაახლოებით XV საუკუნიდან, როგორც აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, აბჯრის ადგილს თურქული სიტყვა — იარაღი იკავებს. აბჯრისაგან განსხვავებით, ის უკვე „ყოველგვარი ხელსაწყოს, მათ შორის საომარისაც და სახელოსნოსაც, ყოველი საშუალების ზოგადი სახელი და ტერმინი იყო“[9].

მეომარ-რაინდის საბრძოლო იარაღი, აბჯარი ორ ძირითად ჯგუფად დაიყოფა — თავდაცვით და შემტევ იარაღად[10].

თ ა ვ დ ა ც ვ ი თ ი ი ა რ ა ღ ი. თავდაცვით იარაღებს შორის ძირითადია ჯავშანი — ტანთ ჩასაცმელი რკინის პერანგი, რომელიც მეომრის მთელ ტანს ფარავდა მხრებიდან ვიდრე მუხლებამდე. ის წარმოადგენდა პატარა რგოლებისაგან შემდგარი ჯაჭვის პერანგს, რის გამოც მას ზოგჯერ მარტივად ჯაჭვსაც უწოდებდნენ.

„ჯაჭვი“, როგორც საბრძოლო საჭურვლის ნაწილი, გვხვდება XI საუკუნის დოკუმენტში — ნიკორწმინდის დაწერილში. ის აქ იხსენიება როგორც სავაჭრო გაცვლა-გამოცვლის ერთეული. ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი სხვადასხვა პირთაგან იძენს მიწებსა და გლეხებს და საფასურს სხვა ნივთებთან ერთად ჯაჭვითაც იხდის. მაგალითად, ვინმე დებორიანის-ძისაგან მას უყიდია გლეხი, რის საფასურადაც, სხვა ნივთებთან ერთად, ჯაჭვი მიუცია, ხოლო მიქელ ერისთავთერისთავს უყიდია ტყიანი მიწა და ფასად 2 ჯაჭვი გაუღია[11].

ჯავშნის გარდა, რომელიც უმთავრესად ადამიანის ზედატანს ფარავდა, არსებობდა სხეულის სხვა ნაწილების დასაფარავი იარაღიც. იმ საბრძოლო იარაღს შორის, რომელიც XIV საუკუნის ძეგლის „გარიგება ჯელმწიფის კარისას“ მიხედვით მეფის საჭურველთსაცავში — ზარადხანაში ინახებოდა, თავდაცვის იარაღთაგან, ჯაჭვს გარდა, დასახელებულია ქაფა, მუზარადი და საბარკული.

ქაფა ანუ ქაფი, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სამხარიღლიე ჯავშანია. ქაფას ვხვდებით ზემოთ დასახელებულ XI საუკუნის „ნიკორწმინდის დაწერილში“. მიწასა და გლეხებში გაღებულ საფა-

---

9 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

10 კ. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეთნოგრაფია. საჭურველი, 1964.

11 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, 1984, გვ. 40.

სურს შორის აქ დასახელებულია „ქაფი ჯაჭვისა“[12]. ჩანს, იყო ქაფი არა ჯაჭვისაც. ვხვდებით ქაფის ხსენებას „ვეფხისტყაოსანშიც“ — ტარიელი ამბობს: „დავეკაზმენით საომრად ჯაჭვ-ჯავშანითა, ქაფითა“[13]. ე. ი. მოემზადნენ რა საომრად, შეიჭურვნენ ჯაჭვ-ჯავშნით, ანუ ჯაჭვის პერანგით, აგრეთვე ქაფით. აქვე ვხვდებით ასეთ კომპოზიტსაც — „ჯავშან-ქაფი“:

კაცსა უკრავად დაბნედდის ხმა ტარიელის ხაფისა
აბჯარსა ფრეწდის, გაცუდდის სიმაგრე ჯავშან-ქაფისა[14].

ამ კომპოზიტში „ჯავშან-ქაფი“ ქაფი თითქოს ისეთივე ზოგადი ტერმინი ჩანს, როგორც ჯავშანი და ორივე ერთად გამოხატავს ერთ მთლიან თავდაცვით საჭურველს, სადაც „ქაფი“ საკუთრივ სხეულის ცალკეული ნაწილების საფარ რკინის ფირფიტებს უნდა აღნიშნავდეს, მათ მეორენაირად და უფრო მარტივად ასეც გამოთქვამდნენ — „რკინანი“. ეს გამოთქმა განსაკუთრებით ხშირად „ამირანდარეჯანიანში“ იხმარება, ხმარობს მას რუსთაველიც — „ჯაჭვნი მაბიან, რკინანი“. აქ „რკინანი“ ჯაჭვს კი არ ნიშნავს, არამედ რკინის ნაწილებს, რომელიც მეომრის სხეულს იცავს ჯაჭვთან ანუ ჯაჭვის პერანგთან ერთად.

საინტერესოა, რომ ევროპაში ჯაჭვისაგან ნაკეთები ჯავშანი — რკინის პერანგი თანდათან, XI—XII საუკუნეებიდან დაწყებული ცალკეული რკინის ფირფიტებით, ფილებით იცვლება და ეს ფილები ნაწილ-ნაწილ მთელ სხეულს ფარავს. ესენია — რკინის სამკერდე, სახელოები, საბარკულები, სამუხლეები. ისინი ფრანგულად ერთი სიტყვით la cuirasse (რუსულად — латы) გადმოიცემოდნენ.

ამდენად, ვფიქრობთ, შეიძლება დავუშვათ, რომ ასეთივე ტენდენცია — ჯაჭვის ჯავშნის რკინის ფილებისაგან შემდგარი ჯავშნით შეცვლისა საქართველოშიც არსებობს. ამას მიგვანიშნებს შუა საუკუნეთა ქართული ფერწერის ზოგიერთი ნიმუშიც, სადაც არამარტო ჯაჭვის ჯავშანია გამოსახული, არამედ სხვა სახისაც, მაგალითად, თევზის ფარფლის მაგვარი რკინის ფილებისაგან შემდგარი ჯავშანიც. მაგალითისათვის დავიმოწმებთ „დავითიანის“ ერთ-ერთი ხელნაწერის მინიატურებს, სადაც მრავალი ბატალური სცენაა ასახული, აგებული სხვადასხვა ბიბლიურ სიუჟეტზე. ხელოვნებათმცოდნეთა დათარიღებით მინიატურები XV საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული[15].

ამ მხატვრობაში რამდენიმე სახეობის ჯაჭვის პერანგია გამოსახული, მათ შორის არა ჯაჭვის, არამედ მიჯრით მიწყობილი რკინის

---

12 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, 1984, გვ. 40.
13 სტროფი 441.
14 სტროფი 1416.
15 Л. А. Шервашидзе, О грузинской светской миниатюре, 1964.

ფილებისაგან შემდგარიც. ეს ფილები, როგორც ჩანს, ტყავზეა დაკრული. თითოეული ფილის ზედა ნაწილი კუთხეებწაჭრილია, მომრგვალებულია და ზედა რიგის ფილების ბოლოები ქვედა რიგის ფირფიტების ზედა ნაწილს ფარავენ.

მეომართა ჯავშანი, ამავე გამოსახულებათა მიხედვით, კიდევ სხვა ნაწილებსაც შეიცავს — სახელურებს, რომელიც ფარავს მეომრის ხელს მაჯიდან იდაყვამდე, სამუხლეებს და საბარკულს (ეს უკანასკნელი სულხან-საბას განმარტებით „საწვივე აბჯარია") — რომელიც ფეხს მუხლს ქვევიდან ვიდრე კოჭებამდე მოსავს. ყველაფერი ამის საერთო სახელი იყო — „პოლოტიკნი რკინანი"[16]. „რკინანი" ანუ „პოლოტიკნი რკინანი", როგორც ვთქვით, განსაკუთრებით ხშირად „ამირანდარეჯანიანის" გმირების სატარებელ თავდაცვით იარაღებს შორის იხსენიება. მოვიტანთ ერთ ადგილს ამ ნაწარმოებიდან: ერთ დღეს ამბრიმ შეუთვალა ინდო ჭაბუკს — მოემზადე საომრად, შეჯექ ცხენზე, დაიკიდენ პოლოტიკნი რკინანი სატკივართა ადგილთა და მეც ეგრე ვიქმო. ფიცხელ ორთა ბრძოლაში ინდომ შეუტია მოწინააღმდეგეს — „ჰკრა ოროლი და გატეხნა იგი პოლოტიკნი რკინანი, აბჯარი და, რაც იყო ტანსა მისსა, ყუელა და დაკოდა ცოტად". მაშ, არც ეს რკინის საფარი იყო მთლად უეჭველი და სანდო, მაგრამ რამდენადმე მაინც უზრუნველჰყოფდა თავდაცვას და კარგად შეიარაღებული რაინდისათვის აუცილებელი სატარებელი იყო.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ამავე ძეგლშია აღნიშნული. მძიმედ შეიარაღებული მხედრის ბარკლები ზოგჯერ ცხენზე იყო მიმაგრებული — „დაკრული". რკინის აღჭურვილობა იმდენად მძიმე და მოუხერხავი იყო, რომ ბრძოლის დროს მეომარი ადვილად შეიძლებოდა ჩამოვარდნილიყო ცხენიდან, და რომ ეს არ მომხდარიყო, მას საგანგებოდ დაამაგრებდნენ, დააკრავდნენ ცხენზე: „ამირანდარეჯანიანში" მოთხრობილია: ამბრი არაბმა თავის მოწინააღმდეგეს „ჰკრა წელთა ზედა ჯრმალი და ზედათ კერძო მოჰკვეთა და ბარკალნი თურმე დაკრულნი იყვნეს ცხენსა ზედა და ზედავე შერჩეს"[17].

რკინის ფილებისაგან შემდგარი მძიმე ჯავშნის არსებობას ძველ საქართველოში მოწმობს ჯავშნის ერთი გვიანდელი ნიმუშიც. საერთოდ, ძველი ქართული ჯავშნის არცერთი ნიმუში XVIII საუკუნეზე ადრინდელი საქართველოში შემონახული არ არის. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „მხოლოდ ბერლინის ცოიგჰაუზში (იარაღის მუზეუმში) ნახავს ადამიანი საქართველოდან (ხევსურეთიდან) XIX საუკუნეში გატანილს,

---

16 სულხან-საბას განმარტებით, პოლოტიკი — რკინის ფიცარია „ბრძოლაში მკერდთა და ღლიათა დასაკრავი".

17 ამირანდარეჯანიანი, გვ. 41.

მანეკენზე წამოცმულს XIII ს. რაინდისა და ცხენის ორს მთლიანს „საუცხოო ანაკრებს“[18]. დღეს მოგვეპოვება ცნობა, თითქოს საბერძნეთში, ათონის მთაზე ყოფილ ქართულ მონასტერში დაცულია თორნიკე ერისთავის ჯავშნის ფრაგმენტები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში კი, არსებითად მხოლოდ XIX საუკუნეში ნაკეთები საჭურველია შემონახული გარდა ერთი გამონაკლისისა, რომელიც ჩვენთვის იმ მხრივ არის განსაკუთრებით საინტერესო ამჯერად, რომ ის რკინის ნაჭრებისაგან შემდგარ ჯავშანს წარმოადგენს. არსებობს ცნობა, რომ ის ეკუთვნოდა ერეკლე II-ის დიდმოხელეს — სარდალ ივანე მუხრანბატონს. ეს ჯავშანი შედგება ერთმანეთზე გადაბმული ლითონის 5 ნაჭრისაგან. შუაშია საგულე, მარჯვნივ და მარცხნივ ორი საფერდე და ორიც საზურგე[19]. გვიანდელი სპარსული ტერმინით მას ბეგთარი ეწოდება, რაც სულხან-საბას განმარტებით „მორკინული საცმელია საომარი“. „ბეგთარი“ ძველ ძეგლებში არ გვხვდება. რკინის ფილებს ჯავშნად გამოყენებულს იქ, როგორც უკვე ვთქვით, ქაფი და პოლოტიკნი რკინანი ჰქვიან.

რკინის ნაწილებისაგან შემდგარ ჯავშანს საქართველოში არ განუდევნია ჯაჭვის პერანგი. ის შემდეგშიც სახმარ საბრძოლო იარაღებს შორისაა ჩამოთვლილი, მაგალითად, XIV საუკუნის „გარიგებაში ჭელმწიფის კარისა“. აქ ის დარბაზობის აღწერისასაც იხსენიება: „ერთსა სეფესა ჯაჭვი აცვია უთეთრესი“[20]. „უთეთრესი“ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ეს ჯაჭვის პერანგი ვერცხლისაა. აქვე, ამასთან დაკავშირებით, ისტორიული ხასიათის ცნობაცაა მოწოდებული: „გიორგი მეფეს, თამარის მამას, თვით ვერცხლისა შეუქნია სალამასურის სახესა ზედა და მას ჩაიცმიდენ“[21].

ქართველ რაინდს, ისე როგორც ევროპელ რაინდსაც ბრძოლის დროს თავი დაცული ჰქონდა რკინის თავსაბურავით. ეს საბურავი საქართველოში სხვადასხვა ფორმისა და სახის ყოფილა და ამისდა მიხედვით სხვადასხვა სახელწოდებასაც ატარებდა. სულხან-საბა ორბელიანი თავის ქართული ენის ახსნა-განმარტებით ლექსიკონში ამ თავდაცვითი საჭურვლის 4 სახეობას ჩამოთვლის: რკინის კვერცხისებრი ფორმის თავსარქველს, რომელსაც როგორც წინა, ისე უკანა მხარეს ჩამოსაწევ-ასაწევი ზარადი ახლდა და ზუჩი ანდა მუზარადი ეწოდე-

---

18 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, კომუნისტი, 1937, № 55.

19 კ. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ჯავშანი. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1956, XIX—B, გვ. 282.

20 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 1965, გვ. 81.

21 იქვე.

ბოდა; თუ მას ზარადი არ ჰქონდა საერთოდ, მაგრამ ცხვირის დასაფარავი — გრძელი საცხვირე ჰქონდა მიბმული, ჩაფხუტი იყო; თუ მხოლოდ თავის კეფას და კისრის ნაწილს ფარავდა, ჩაჩქანად იწოდებოდა, ხოლო ლითონის ჯაჭვისაგან გაკეთებული თავსარქველი — ჩაბალახი იყო.

ეთნოგრაფი კ. ჩოლოყაშვილი, რომელსაც საგანგებოდ შესწავლილი აქვს ფეოდალური ხანის ქართული საჭურველი, ასკვნის, რომ ქართველი მეომრები 4 სახის თავსარქველს ხმარობდნენ: მაღალწვერიან მუზარადს, ჯამის ფორმის ჩაჩქანს, ჯაჭვით ნაქსოვ ჩაბალახს და კომბინირებულ თავსარქველს, რომელიც ჯამის ფორმის ჩაჩქანისა და მასზე ჩამობმულ ჯაჭვისაგან შედგებოდა[22].

სხვადასხვა ფორმის მუზარადია გამოსახული XV საუკუნის მინიატურებზე, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. მათ შორის გამოირჩევა მუზარადები, რომელიც, როგორც ჩანს, სამხედრო, წინამძღოლების მეთაურებისათვის არის მხოლოდ დამახასიათებელი[23].

ჩაბალახი XI საუკუნის ნიკორწმინდელის დაწერილშიც იხსენიება. ამ საბუთების შემდგენელი წერს, რომ მან დებორიანის ძისაგან იყიდა პარტახი, რის საფასურადაც გაუღია ერთი ცხენი და გუდამაყრული ჩაბალახი. გარდა ამისა, იყიდა ყანა და საფასურად მისცა „ჩაბალახი ვეცხლი დრამა კ.“[24] თუ დავუშვებთ, რომ აქ სიტყვა ვერცხლი ჩაბალახის მსაზღვრელია, გამოდის, რომ ის, ჩაბალახი, ზოგჯერ ვერცხლისაც ყოფილა.

ის პირნი, რომელნიც ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით ამ საბრძოლო იარაღების — ჯაჭვის, ქაფის, ჩაბალახის, ხმლის შემსყიდველები არიან, რაინდთა საზოგადოებას უნდა ეკუთვნოდნენ, იმ წრეს, რომლისთვისაც აბჯარი ცხოვრებისეული აუცილებლობა იყო. მართლაც, წირქვალელი თუ დებორის-ძენი, იარაღის მსყიდველნი, ამ საბუთის მიხედვით სოციალურად დაწინაურებულნი ჩანან და მიწებისა და გლეხების მფლობელები არიან[25].

თავდაცვითი საჭურვლის აუცილებელ კომპონენტს ფარი შეადგენდა. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაცული ფარები მრგვალი ფორმისაა. განირჩევა მათი 3 ტიპი: ხისა, ტყავგადაკრული,

---

22 კ. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეთნოგრაფია, საჭურველი. 1964.

23 Л. А. Ш е р в а ш и д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

24 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 27, 33.

25 მ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XI საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის შესახებ (ნიკორწმინდელის „დაწერილი“), გვ. 87—91.

ტყავისა ლითონით შეჭედილი და ლითონისა ლითონითვე შეჭედილი. უმეტეს წილად მრგვალი ფორმისა ჩანს ფარი ძველი ქართული საილუსტრაციო მასალის მიხედვითაც, თუმცა ოვალური, მოგრძო ფორმისაც გვხვდება[26].

მრგვალი ფორმისა იყო ფარი პირველ ხანებში ევროპის შუა საუკუნეებშიც, მაგრამ XI საუკუნის შუა ხანებიდან ის მოგრძო, ოვალურ ფორმას ღებულობს. ასეთი სახის ფარი კაცს მხრებიდან დაწყებული ვიდრე ფეხებამდე ფარავდა. როგორც XI საუკუნის დამლევის კედლის ერთ-ერთი გამოსახულებიდან ჩანს, ფარის სიგრძე ევროპაში ზოგჯერ 1 მეტრსა და 30 სმ-მდეც კი აღწევდა, ხოლო სიგანე — 56 სმ-ს[27].

საინტერესოა ამ მხრივ ოვალური ფორმის ფარი, რომელიც XIII—XV სს-თა ქართული ხელნაწერის ერთ ილუსტრაციაზე გვხვდება[28]. მისი ქვედა ბოლო წაწვეტებულია. სურათზე ის მიწაზეა დარჭობილი და ასეთი სახით იქვე გამოხატულ ორ მეომარ-წმინდანს თითქმის წელამდე წვდება, ხოლო ხელში აღებულს თუ წარმოვიდგენთ, ისე, ალბათ, ადამიანის თითქმის მთელ ფიგურას, მხრებიდან მუხლებამდე ფარავდა.

„დავითიანის“ XV საუკუნის მინიატურებზე უფრო მეტად მრგვალი ფორმის ფარებია გამოსახული, თუმცა არის ბოლო წაწყვეტებული ნუშისებური ფარებიც, რომელიც განზომილებით ჭარბობს მრგვალ ფარებს (თუ მრგვალი ფარის დიამეტრი 60×40 სმ სიგრძისაა, ოვალურისა 90×40 სმ-ია). რადგან ნუშისებრი ფარები რიტუალური სცენების ამსახველ მინიატურებზეა გამოსახული, ხელოვნებათმცოდნე ლ. შერვაშიძე, რომელმაც ეს მინიატურები შეისწავლა, თვლის, რომ ასეთი ფარები XV საუკუნეში არ იხმარებოდა და მხოლოდ ტრადიციით იყო გამოსახული ხატის ტიპის გამოსახულებებზე, სადაც მას პარადული, სიმბოლური ფუნქცია ჰქონდა და არა საბრძოლო მნიშვნელობა. ასეთივე ფარებია გამოსახული მსგავსი სიუჟეტების მქონე მრავალ სხვა ქართულ ძეგლზე[29]. ამგვარი ფარები, ლ. შერვაშიძის თქმით, საქართველოში უძველესი დროიდან იყო ცნობილი. ლ. შერვაშიძე ყურადღებას აქცევს, რომ მინიატურებზე ქვეითი მეომრები უსათუოდ

---

26 კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საბრძოლო იარაღი. ფარი. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVIII B, 1954, გვ. 227—252.

27 L. Gautier, La Chevalerie, 1960, II გამ., გვ. 337.

28 კ. ჩოლოყაშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია. საჭურველი.

29 Л. Шервашидзе, О грузинской светской миниатюре, 1864, с. 61.

ფარით არიან გამოსახულნი, ხოლო ცხენოსანი უფრო ხშირად — უფაროდ[30].

ფარი, მართლაც, ქვეითი მეომრის საჭურვლის აუცილებელი კომპონენტი იყო, ხოლო ცხენოსანი მეომარი არა ყოველთვის ხმარობს ფარს. ფარის სამაგიეროდ მას საიმედოდ იფარავს მძიმე ჯავშანი საბარკულებით, სამხარიღლიებით და რკინის ფილებით, რომლებიც ფარავენ ხელებს მხრებიდან ვიდრე იდაყვებამდე, მუხლებს, წვივებს. ამგვარი რთული ჯავშანი ძნელი სატარებელია ქვეითი მეომრისათვის, ამიტომ ის, ჩვეულებრივ, ჯაჭვის პერანგით და მუზარადით (ზოგჯერ სამხარიღლიებისა და საბარკულების დამატებით) კმაყოფილდება. ამიტომაც იყო აბჯარი „საქვეითო" და, მაშასადამე, საცხენოსნოც: ამირან დარეჯანის ძე, ერთ მშვენიერ დღეს „შეეკაზმა საქვეითოთა აბჯრითა და აიღო ფარი" და ასე გავიდა საბრძოლველად[31].

ცხენი, რომლითაც რაინდი საბრძოლველად გადიოდა, აგრეთვე ჯავშნით იყო დაფარული. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: სამხედრო საჭურვლის ისტორიაში ცნობილია, თითქოს, XII საუკუნეში ცხენის ჯავშანი ისპობა და ამ დროიდან მოყოლებული მძიმედ შეიარაღებულნი აღარ გამოდიოდნენ. ეს მხოლოდ ნაწილობრივადაა მართალი, რამდენადაც სხვა ქვეყნებს ეხება; საქართველოში ასე არ უნდა ყოფილიყო. „ხელმწიფის კარის გარიგებაში" ჩვენ ამის დამადასტურებელ საბუთს ვნახავთ, თუკი ზარდახანაში შენახული საჭურველის სიას გადავთვალიერებთ"[32].

მართლაც, საქართველოში, როგორც ამას XI—XII სს-თა ქართული ნარატიული წყაროები და სხვა სახის მასალები მოწმობს, მეომარ-რაინდს ბრძოლის დროს სათანადოდ შეჯავშნული ცხენი უნდა ჰყოლოდა.

ჯუანშერის სიტყვით, ვახტანგ გორგასალი საბრძოლველად ჯავშნიანი ცხენით გამოდიოდა: „განაწესნა ვახტანგ სპანი... და აღჯდა ტაიჭსა შეჭურვილსა ჯავშანითა და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა"[33].

„ამირანდარეჯანიანის" მოქმედი პირნიც, ავტორის თქმით, რკინის ფირფიტებით შეჯავშნულ ცხენებზე ისხდნენ ბრძოლის დროს: საბრძოლველად გამზადებულ ბუმბერაზს „დაეკიდნეს რკინანი ცხენი-

---

30 ლ. შერვაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

31 „ამირან-დარეჯანიანი", გვ. 402.

32 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1962, გვ. 277.

33 ქ. ცხ. I, გვ. 154; ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 278.

სად სატკივართა ადგილთა და თუითცა ჩამოეკიდნეს რკინანი"[34]. ანდა — „გამოვიდა აზარმანიკ შეკაზმული და ეკიდნეს რკინანი სატკივართა ადგილთა თავისასა და ცხენისაცა"[35]; „გამოვიდა სეფედავლე, თეთრსა ტაიჭსა ზედა იჯდა. ჰოლოტიკნი რკინანი დაეკიდნეს სატკივართა ადგილთა ცხენისაღცა და თუითცა; ჩაბალახი გარდაეკიდნეს ეგრევე ცხენისა მკერდსა, თავსა და ფერდსა"[36].

„ხელმწიფის ტარის გარიგების" მიხედვით, სამეფო ზარდახანაში საომარ საჭურველს შორის ინახება „საცხენე ჯავშანიც". აქვეა „ცხენის ყელსაბამი მოჭედილი, კანჯრის კუდი და ამისთანა ყველა"[37]. „ამისთანა ყველა", როგორც აქვე ირკვევა, ცხენის აკაზმულობის სხვა შემამადგენელი ნაწილებია: უნაგირი („მოჭედილი და ხამი"), „ცხენის ყელსაბამი მოჭედილი", საუბეური, კანჯრის კუდი (ანუ გარეული ვირის კუდი, რომელსაც, ჩანს მათრახად იყენებდნენ) და სხვა[38].

შ ე მ ტ ე ვ ი ი ა რ ა ღ ი. ფეოდალურ საქართველოში გავრცელებულ საბრძოლო იარაღს, ჩვეულებრივ, მკვლევარნი ოთხ ჯგუფად ჰყოფენ — მკვეთელ, საძგერებელ, დასარტყმელ და სასროლ იარაღებად[39].

მ კ ვ ე თ ე ლ ი ი ა რ ა ღ ი. XI—XII საუკუნეთა საქართველოში მკვეთელი იარაღის ძირითად სახეობას ხმალი წარმოადგენდა. ხმალს გარდა, ახლო მანძილზე საკვეთ იარაღად ზოგჯერ დაშნა გამოიყენებოდა.

ვახუშტი ბაგრატიონი თავისი ნაშრომის შესავალში, ნარკვევში — „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი", ჩამოთვლის რა საქართველოში გავრცელებული საომარი იარაღის სახეობებს, მკვეთელ იარაღთაგან ასახელებს მხოლოდ ხმალსა და ხანჯალს. ამის გამო აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ ვახუშტის მის წინარე საუკუნეებში გავრცელებული ბევრი იარაღი აკლიაო. „ყველაზე გასაკვირველია, — წერს ივ. ჯავახიშვილი, რომ მას მახვილის დასახელებაც კი დაჰვიწყებია და მოკლე წვეტიანი მკვეთელი საჭურველთაგან მხოლოდ ხანჯალი ღა გახსენებია"[40].

ჩვენ ვფიქრობთ, ვახუშტის შემთხვევით არ გამოჩენია მკვეთელ

---

34 „ამირან-დარეჯანიანი", გვ. 47.

35 იქვე, გვ. 68.

36 იქვე, გვ. 475.

37 ქსძ, II, გვ. 87.

38 იქვე.

39 ასეთი თანამიმდევრობით ჩამოთვლის ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოში გავრცელებულ საბრძოლო იარაღებს: ქ. ცხ. IX, გვ. 18; იხ. აგრეთვე: ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, 1962, გვ. 223.

40 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

იარაღებში მახვილი. ისტორიკოსი ასახელებს ძირითადად საბრძოლო იარაღების იმ სახეობებს, რომელიც მის დროს ანდა მის უწინარეს ახლო ხანებში იხმარებოდა საქართველოში. ამიტომაცაა, რომ მოიხსენიებს ხანჯალს, რომელიც შედარებით გვიან ჩნდება საქართველოში და არ ასახელებს მახვილს, რომლის ფართოდ ხმარებაც, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, საქართველოში IX—X საუკუნეებს დიდად არ გადასცილებია. ამავე მიზეზით არ ახსენებს ვახუშტი არც დაშნას, რომელიც, როგორც ჩანს, მისი დროისათვის აღარ იხმარებოდა და რომლის ადგილიც თანდათან ხანჯალმა დაიჭირა.

ჩვენი ვარაუდი, რომ მახვილი დაახლოებით X საუკუნის შემდეგ არსებითად ხმარებიდან გამოდის და მის ადგილს იკავებს ხმალი, ძირითადად წერილობითი წყაროების ჩვენებას ემყარება (არქეოლოგიური მონაცემები ამის თაობაზე, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია). წერილობითი წყაროების ცნობები კი ასეთია:

XI—XII საუკუნეების ნარატიულ წყაროებში სიტყვა „მახვილი" უმთავრესად ზოგადად იარაღის მნიშვნელობით იხმარება. შედარებით უფრო ხშირად ამ სიტყვას ჯუანშერი ხმარობს. „სიბრალული დისა ჩემისა განლევს გულსა ჩემსა ვითარცა მახვილი ცეცხლისა"[41], ათქმევინებს ჯუანშერი მეფე ვახტანგ გორგასალს დის ტყვეობაში ყოფნის გამო; ვახტანგ მეფემ, წერს იგივე ისტორიკოსი, „აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ჰკუეთდა მახვილი"[42]; და კიდევ: „მოსწყდა სატლითა სარკინოზთაგან ოცდათხუთმეტი ათასი, ხოლო მახვილითა — სამი ათასი"[43]. აქ სრულიად გარკვევით მახვილი მკვეთელი საბრძოლო იარაღის ზოგადი მნიშვნელობით არის ნახმარი — სატლით, ანუ მუცლის სენით დაიღუპაო 35 ათასი კაცი, იარაღით კი 3 ათასიო. ხოლო საომარ შეტაკებათა დროს ჯუანშერის გმირები იყენებენ არა მახვილს, არამედ სხვადასხვაგვარ იარაღს, ხოლო უპირატესად ხმლით იბრძვიან[44].

ასევე ზოგადად, განყენებულად იარაღის მნიშვნელობით იხმარება „მახვილი" 1084 წლის ძეგლში — პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში[45], ანდა 1103 წლის „ძეგლისწერაში რუის-ურბნისის კრებისა"[46].

დავით აღმაშენებელი, მისი ისტორიკოსის გადმოცემით, ხმლით იბრძვის, მაგრამ იგივე ავტორი ხატოვან თქმებში ხმარობს სიტყვა „მახვილს": ქართველმა მოლაშქრეებმა მტერი „მოსრეს პირითა მარხვილი-

---

41 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 150.
42 იქვე, გვ. 154.
43 იქვე, გვ. 237.
44 იქვე, გვ. 152, 155.
45 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 68.
46 იქვე, გვ. 123.

სათა, რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა"[47]. ასეთსავე გამოთქმას ვხვდებით „მატიანე ქართლისაჲშიც": „მოსრნეს" ან „დაიხოცნეს" „პირითა მახჳლისათა"[48]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ერთხელ მაინც ხმარობს მახვილს საკუთრივ იარაღის მნიშვნელობით — დავით მეფის მიერ შვილის მეფედ კურთხევისას: დავითმა შვილს „შეარტყა წელთა ძლიერთა მახჳილი"[49]. „ისტორიანი და აზმანის" ავტორი კი თამარის მეფედ დასმის ცერემონიის აღწერისას ხმალს ასახელებს და არა მახვილს[50], ისე როგორც XIII საუკუნის ძეგლი „წესი და განგება მეფეთ კურთხევისა"[51].

XI და XII საუკუნეთა მხატვრულ ორიგინალურ ნაწარმოებებში, როგორიცაა „ამირან-დარეჯანიანი" და „ვეფხისტყაოსანი", სადაც ქართული რაინდული საჭურვლის მრავალი სახეობაა დასახელებული, ყველაზე გავრცელებული საომარი იარაღია ხმალი.

„ამირანდარეჯანიანი" სავსეა გმირთა შორის ორთაბრძოლების აღწერილობებით. ყველაზე ხშირად ამ ბრძოლებში და თითქმის აუცილებლად მოწინააღმდეგენი ხმალს ხმარობენ[52]. იმ სახლის კედელზეც, რომელსაც, ამ ნაწარმოების მიხედვით, მეფე აბესალომი და მისი დიდებულები წაადგნენ ნადირობის დროს, გამოხატული ყოფილა შესანიშნავი რაინდი („შუენიერი ჭაბუკი") ამირან დარეჯანის ძე, რომელსაც „ჯაჭვი ეცვა ტანსა და ჯრმალი ჯელთა ჰქონდა"[53].

ხშირად რაინდი, რომელიც ორთაბრძოლაში მონაწილეობისათვის ემზადებოდა, ველზე გამოდიოდა არა ერთი, არამედ ორი და ზოგჯერ სამი ხმლითაც კი. მაგალითად, „ამირან-დარეჯანიანის" ერთ-ერთი გმირის, სეფედავლეს შესახებ ნათქვამია, რომ მას „სამნი ჯრმალნი დაეკიდნეს: ერთი ალმედად[54], ერთი წელთა შემოერტყა და მესამე ტახტსა[55] ჩამოეკიდა"[56]. ხმალი „ამირანდარეჯანიანში" თითქმის ყველა ბრძოლა-შებმის დროს ფიგურირებს, მახვილი კი ამ საგმირო ბრძოლებით აღსავსე ნაწარმოებში ერთხელაც არ იხსენიება.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, XI—XII საუკუნეთა საქართველოში ძირითადი შემტევი იარაღი ხმალია. ის მეომარ-რაინდის სამხედრო აღ-

---

47 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 340.

48 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 285, 288, 316.

49 იქვე, გვ. 363.

50 იქვე, ტ. II, გვ. 27.

51 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 51.

52 „ამირან-დარეჯანიანი", გვ. 67—70, 98, 103, 107, 147, 236, 250, 254, 345—347, 356, 374, 381, 407, 417, 473, 479, 524, 545, 560, 561.

53 იქვე, გვ. 8.

54 სულხან-საბას განმარტებით, „ალმედად" — „ნიშნავს მხარიღლივ".

55 ტახტა, იმავე განმარტებით, ცხენის უნაგირია.

56 „ამირან-დარეჯანიანი", გვ. 475.

ჭურვილობის აუცილებელი კომპონენტია. მას რაინდი მუდამ თან ატარებს. „წყლისა პირს“ განმარტოებით მჯდომ „უცხო მოყმეს“, ტარიელს, როსტევან მეფე თავის ლაშქართან ერთად ნადირობისას რომ გადაეყარა, არა სამხედრო, არამედ საერო ტანსაცმელი ემოსა — კაბა ვეფხის ტყავით შემკობილი, ქუდი ვეფხისავე ტყავისა, ხოლო წელზე კი ხმალი („ჯრმალ-კაპარჭი“) ერტყა[57].

„ვეფხისტყაოსანშიც“ რაინდული საჭურვლის არაერთ იარაღს ვხვდებით ყველაზე ხშირად — ხმალს. ხმალი ამ პოემაში 55-ჯერ არის ნახსენები, როგორც მოქმედი საომარი იარაღი, ხოლო სიტყვა მახვილი სულ 3-ჯერაა ნახმარი და ისიც არა ბრძოლისა თუ ორთაშებმის აღწერისას, არამედ ან ზოგადად იარაღის მნიშვნელობით[58], ან კიდევ ზედსართავის სახით, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგ ტაეპში:

მოახსენეს: ესე გზაა მულღაზანზარს მიმავალი,
მუნ დაგხვდების მეფე ჩვენ მშვილდ-ფიცხელი, მახვილ-ჯრმალი[59].

მახვილი ამ კონტექსტში, ცხადია, ხმლის სიმკვეთრის აღსანიშნავად ნახმარი ზედსართავია.

უნდა ითქვას, რომ მახვილი საბრძოლო იარაღებს შორის არ არის დასახელებული არც XIV საუკუნის ძეგლში „გარიგება ჯელმწიფის კარისა“, სადაც სამეფო ზარდახანაში დაცული საომარი საჭურველია ჩამოთვლილი[60]. XIV საუკუნის „ძეგლი ერისთავთაშიც“ მეომარნი ორთაბრძოლის დროს, ჩვეულებრივ, ხმალს მიმართავენ[61]. არ იხსენიება მახვილი მოქმედ იარაღად არც XI—XVIII სს. ქართულ დოკუმენტებში.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში ასე განმარტავს „მახვილს“ — ესე არს მსწრაფლ მკვეთელი რკინა გინა თვალი და „გონება“, მაგრამ მოქმედ საომარ იარაღად მახვილს არ წარმოსახავს (იმ დროს, როდესაც დეტალურად აღწერს ხმალს და სხვა საბრძოლო იარაღებს).

დაბოლოს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც ძველი ქართული იარაღის მდიდარი კოლექციაა დაცული, მახვილი საომარ იარაღებს შორის წარმოდგენილი არ არის[62].

ამასთანავე, „მახვილი“, როგორც საკვეთელი სახმარი იარაღი, სა-

---

57 „ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 93.
58 იქვე, სტროფი 172, 597.
59 იქვე, სტროფი 973.
60 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 87.
61 იქვე, გვ. 108, 115.
62 გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების გზამკვლევი, 1979, გვ. 17.

კმაოდ გავრცელებული ჩანს ადრეფეოდალური ხანის ქართულ წერილობით წყაროებში. ბიბლიის უძველეს თარგმანებში ის ხშირად იხსენიება (ზოგჯერ მას შეესატყვისება იქ „საპარსველი“ ან „რკინა“). იარაღის გარდა მახვილი იქვე აღნიშნავს „გალესილს“, „ბასრს“, ხოლო ზმნა მახუვა — ლესვას[63]. საომარი იარაღის მნიშვნელობით იხსენიება „მახვილი“ X—XI საუკუნეთა ხელნაწერშიც, რომელსაც პირობითად გამომცემელი „მამათა სწავლანს“ უწოდებს[64]. მახვილს ასახელებს X საუკუნის დამდეგს მწერალი სტეფანე მტბევარი[65]. საინტერესოა, რომ ილ. აბულაძე „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, რომელიც X საუკუნემდელ სალექსიკონო მასალას ემყარება“, „მაჯვილის“ ერთ-ერთ განმარტებად იძლევა „ხმალს“, ხოლო „ჯრმლისას“ — „მახვილს“[66], როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ძველ ქართულ, X საუკუნემდელ ხელნაწერებში „მახვილი“ და „ჯრმალი“ ერთიმეორის შესატყვისებად იხმარება. მაგალითად, ქართული ბიბლიის ერთ ხელნაწერში თუ არის „იჯადე ჯრმალი შენი“, მეორე. ხელნაწერშია — „იჯადე მახვილი შენი“[67]. შესაძლოა, რომ „მახვილს“ „ჯრმლით“ შედარებით უფრო გვიანდელი გადამწერიც ცვლის.

ამრიგად, წერილობითი ცნობები თითქოს ნათლად გვიჩვენებს, რომ დაწყებული დაახლოებით XI საუკუნიდან „მახვილი“ მკვეთელი იარაღის უკვე ზოგადი, კრებითი სიტყვაა და კონკრეტულ, მოქმედ საომარ იარაღად თითქმის აღარ გვხვდება. ასეთად ამ დროისათვის ხმალი გვევლინება.

ჩვეულებრივ, ხმლის გავრცელება დაკავშირებულია ხოლმე საომარი აღჭურვილობის დამძიმება-გართულებასთან და ცხენოსანი ლაშქრის გავრცელებასთან. მახვილი გამოიყენებოდა როგორც ქვეითი, ისე ცხენოსანი მეომრის მიერ, ხოლო ხმალი მხოლოდ ცხენოსანი მეომრისათვის არის მოსახერხებელი გამოსაყენებლად, ვინაიდან ის მანევრირების მეტ შესაძლებლობას აძლევს ცხენოსან მეომარს და უფრო შორეული მანძილიდან და, ამასთანავე, უფრო ზუსტ დარტყმას უზრუნველყოფს. სწრაფ, საცხენოსნო ბრძოლაში ხმლის დარტყმის ძალა იზრდება და შედეგად ამისა სრულიად აშკარაა მხედრის ხმლით შეიარაღების უპირატესობა. მკვეთელი იარაღის სწორედ გამრუდებული პირი გა-

---

63 ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ლექსიკონი, 1973, გვ. 227.

64 მამათა სწავლანი. X და XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ. 1955.

65 ჩვენი საუნჯე, ტ. I, 1960, გვ. 93.

66 ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ლექსიკონი, გვ. 224, 570.

67 იგივე ლექსიკონის დასახელებული გვერდები.

ცილებით უფრო მოსახერხებელია მხედრისათვის, ვიდრე ქვეითი მეომრისათვის[68].

ამრიგად, ხმლის საყოველთაოდ გავრცელება უშუალოდ არის დაკავშირებული მძიმედ შეიარაღებული ცხენოსან-მეომრის ტიპის გამოკვეთა-ჩამოყალიბებასთან, რაც საქართველოში IX—X საუკუნეებში მიმდინარეობს და XI საუკუნისათვის განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება. მახვილი თანდათან იდევნება ხმლით (ჩვეულებრივ, მკვეთელი იარაღის მრავალი გარდამავალი ფორმა არსებობს ხოლმე) IX—X საუკუნეების მანძილზე, უმთავრესად არაბებთან ბრძოლის პროცესში (აღსანიშნავია, რომ არაბებთან ბრძოლის შედეგად ყალიბდება დასავლეთ ევროპის ფეოდალურ ქვეყნებშიც ძლიერი კავალერია). დაახლოებით ამავე თარიღს უჭერს მხარს მოტანილი ქართული წერილობითი წყაროებიც. ხმალი, როგორც ცნობილია, ფეოდალურ საქართველოში სოციალური დაწინაურების დამახასიათებელი ნიშანი იყო. ის იყო ძალაუფლების სიმბოლო. მეფის კურთხევისა ანდა ზოგიერთი უმაღლესი სახელმწიფო მოხელეთა ხელდასმის დროს, მეფესა თუ დიდმოხელეს, ნიშნად უფლებამოსილებისა, საზეიმოდ გადაეცემოდა ხოლმე ხმალი.

XIII საუკუნის ძეგლში „წესი და განგება მეფეთ კურთხევისა“ აღწერილია მეფის კურთხევის ცერემონია, რომელიც სვეტიცხოველში ტარდება. ცერემონიაზე დამსწრე დიდ მოხელეთაგან ამირსპასალარი „ჯრმალ-მორტყმული“ მიჰყვება მეფეს და ორივე ხელით უჭირავს სამეფო ხმალი. ამირსპასალარს მოსდევენ ასევე „ჯრმალ-შემორტყმული“ ამილახვარი და მეაბჯრეთუხუცესი. კურთხევის ცერემონიის დაწყების წინ ჯვარისმტვირთველი ჩამოართმევს ამირსპასალარს სამეფო ხმალს და საკურთხეველს მიაყრდნობს, ცერემონიის დასასრულს ამირსპასალარი მეფეს მოწიწებით შემოარტყამდა ხმალს წელამდე[69].

ხმალი შეადგენს როგორც ამირსპასალარის, ასევე ერისთავების რეგალიას. „ჯელმწიფის კარის გარიგებაში“ ნათქვამია, რომ დარბაზობის დროსაც მტბევარს საჯდომს უკან ფარი და ხმალი უდევს, რადგანაც ის, ტბეთის ეპისკოპოსი, ამავე დროს შავშეთის ერისთავიც არის[70].

ივ. ჯავახიშვილის თქმით, „აღსანიშნავია და საყურადღებო, რომ მახვილი და ხმალი ბიზანტიაში სამეფო ნიშნებად არ იყო მიჩნეული, დასავლეთ ევროპაში კი, სახელდობრ, საფრანგეთსა და ბრიტანეთში, ხმალმახვილი სამეფო სამკაულის აუცილებელ კუთვნილებად ითვლება.

---

68 А. Н. Кирпичников, Древнерусское оружие, вып. I. 1966 (Мечи и сабли) IX—XIII вв., ст. 62.

69 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 51, 53.

70 იქვე.

ამ მხრივ, მაშასადამე, მაშინდელი საქართველო დასავლეთ ევროპას უფრო უახლოვდებოდა, ვიდრე მეზობელსა და მისაბაძავად მიჩნეულ ბიზანტიას"[71].

მკვეთელ იარაღებში, ჩვეულებრივ, ასახელებენ ხანჯალსაც, მაგრამ, როგორც აღნიშნავს ი. ჯავახიშვილი, სპარსულიდან შემოსული „ხანჯალი" „XV საუკუნემდე სრულიად უცხო სიტყვაა ქართულისათვის". ივ. ჯავახიშვილის აზრით, ძველად ამგვარ იარაღს მახვილი ერქვა: „მოხდა თუ არა თვით იარაღში რაიმე ცვლილება სახელის შეცვლასთან დაკავშირებით, ეს გამოსარკვევია, მაგრამ რომ ძველად ხანჯლის მაგვარი იარაღი არ არსებულიყო, ეს ძნელი წარმოსადგენია"[72]. ჩვენი აზრით, ხანჯლის მაგვარი, ე. ი. მანძილზე სახმარი მკვეთელ იარაღად ძველად გამოყენებული იყო დაშნა. ის XI—XII საუკუნეების ძეგლებში, განსაკუთრებით კი „ამირანდარეჯანიანში" მკაფიოდ ჩანს.

სულხან-საბას განმარტებით, დაშნა „მოკლე ხმალია". ი. ჯავახიშვილის აზრით, დაშნა IX—X საუკუნეებში „ფართოდ გავრცელებული ტერმინი იყო". დაშნა იმდენად მცირე ზომის იარაღი იყო, რომ მისი ჩექმის ყელში შენახვა შეიძლებოდა. დაშნას ხელჩართულ ბრძოლაში ხმარობდნენ[73].

„ამირან-დარეჯანიანში" დაშნა რამდენიმეჯერ არის ნახსენები: „წესი იყვის დარეჯანისძისა, რომე ორნი დაშნანი იქით და აქეთ მოგუშიგან ესხნიან". ამ იარაღით ამირან დარეჯანის ძემ ზღაპრულ გველს მუცელი გაუპო[74]. დაშნას მიმართავს ამირანი დევთან შეჭიდების დროსაც. დაშნით ამოუგდო მან დევს თვალი[75], დაშნით მოიგერია ვეშაპიც[76]. ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი დაშნით იკლავს თავს: „მოგუსა შიგან დაშნა ეპყრა, ამოიღო და გულსა დაიცა... გარდაიჭრა ცხენისაგან და ფიცხლავ მოკუდა"[77].

XI—XII საუკუნეთა სხვა ძეგლებში დაშნა არ შეგვხვედრია.

საძგერებელი იარაღები სულხან-საბას თავის ლექსიკონში ერთ კრებით სახელწოდებაში აქვს გაერთიანებული — „ლახვარი". მისივე განმარტებით, ლახვრის ანუ საძგერებელი იარაღის სხვადასხვა სახეობაა ცნობილი — ო რ ო ლ ი, გ მ უ რ ი, ს ა თ ხ ე დ ი, გ ე ო ნ ი, შ უ ბ ი, ხ ი შ ტ ი დ ა ზ უ ფ ა ნ ი. განირჩევიან ურთიერთისაგან ისი-

---

71 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაკე. II, გვ. 206.

72 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., გვ. 262.

73 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., გვ. 98.

74 „ამირანდარეჯანიანი", გვ. 98.

75 იქვე, გვ. 102.

76 იქვე, გვ. 347.

77 იქვე, გვ. 388.

ნი პირის და ბუნის ფორმით, სიგრძე-სიგანით. ასე მაგალითად, სათხედი მოკლე შუბია, ხოლო ხიშტი პირგრძელი ლახვარი. ზუფანი სასროლი მოკლე შუბია, გმური და გეონი კი საბას ხელშუბად აქვს განმარტებული.

ამათ გარდა, გვიან საუკუნეებში გვხვდება აგრეთვე მაზრაკი, რომელსაც სულხან-საბა შუბად განმარტავს. ზოგიერთ ლექსიკონში ის განმარტებულია როგორც „ტარმოკლე შუბი"[78].

XVIII ს. საქართველოში ცნობილი საძგერებელი იარაღის ამ მრავალ სახეობათაგან XI—XII საუკუნეთა ქართულ ორიგინალურ თხზულებებში გვხვდება ო რ ო ლ ი (var. ჰოროლი), შ უ ბ ი და ხ ი შ ტ ი, სწორედ ეს სამი საძგერებელი იარაღი აქვს მოხსენიებული ვახუშტისაც ძველად საქართველოში ხმარებული იარაღის სახეობათა ჩამოთვლისას. ამათ გარდა, სამხედრო იარაღთა ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს, როგორც ჩანს, კინენიც, საკმაოდ გავრცელებული საბრძოლო იარაღი XI ს. საქართველოში თუკი კერძოდ „ამირანდარეჯანიანის" მიხედვით ვიმსჯელებთ.

ჰ ო რ ო ლ ი. ი. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „საძგერებელი" საჭურვლის სახელთაგან ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში ყველაზე ხშირად ჰოროლი გვხვდება, რომელიც შუბისმაგვარი საძგერებელი იარაღი იყო"[79]. ი. ჯავახიშვილის სიტყვით, ჰოროლის ხსენება გვაქვს ჯუანშერის თხზულებაში, შავთელის „აბდულმესიანში", „ამირანდარეჯანიანში", მაგრამ, წერს ის, „ფრიად საყურადღებო გარემოებაა, რომ ... ჰოროლი ... ქართულ „ვისრამიანისა" და „ვეფხის ტყაოსანის" ავტორებს არცერთხელ ნახმარი არა აქვთ", რაც შემთხვევითი გარემოება არ უნდა იყოს და იმის დამამტკიცებელია, რომ „XI საუკუნეში, ის სასაუბრო ენის ცოცხალს განძეულს უკვე აღარ ეკუთვნოდა და მწიგნობრულ სიტყვად იყო ქცეული"[80].

ჰოროლი გვხვდება XI ს. სხვა ავტორებთანაც[81] (ლეონტი მროველი, სუმბატ დავითის ძე), იშვიათად გვხვდება XII ს. „ისტორიანსა და აზმანში"[82] და უფრო გვიანდელ თხზულებებში, მაგრამ აქ უკვე ამ სიტყვის ხმარებას მართლაც-და მწიგნობრული ელფერი ადევს.

განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ ოროლს, როგორც საძგერებელ იარაღს, „ამირანდარეჯანიანის" გმირები. საბრძოლო იარაღებიდან ხმლის შემდეგ ყველაზე ხშირად ისინი ოროლს ხმარობენ. ოროლით

---

78 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. VI, 1980, გვ. 603.

79 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 224.

80 იქვე, გვ. 225, 226.

81 ქ. ცხ. 1, გვ. 46.

82 იქვე, გვ. 8.

ვარჯიშობენ ჭაბუკ-რაინდები თავისუფალ დროს საწვრთნელად. „ერთსა დღესა, — ვკითხულობთ „ამირან-დარეჯანიანში“, — იმღეროდა ოროლითა ამბარი არაბი, და ხედვიდეს ყოველივე მისისა სიმშვენიერისათვის და მღერისა მისისათვის“[83] (ოროლით „მღერა“ ოროლით ვარჯიშს ნიშნავს. ზმნა „მღერას“ ძველ ქართულში ის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაც მას დღეს აქვს, არამედ ნიშნავდა „თამაშს“ ანდა „დაკვრას“, „ხელვარჯიშს“). ამბრი არაბმა გადაწყვიტა შებმოდა ინდო ჭაბუკს და მოიკითხა, რით უფრო იბრძვიან მის ქვეყანაშიო. „მოაჯსენეს: „ოროლითა“. მოხდა ამ ორი სახელგანთქმული ჭაბუკის შებმა: „უყრიდეს ოროლითა და ერთმანცა ვერა ცნა ჯობნა“ და იყო „აბჯართა ზედა ცემისა ჭეხა, რომელ აღარა ისმოდა რა ყურთა კაცისათა ჴმა და იძროდა ქვეყანა“. ბოლოს ინდომ შეუტია, „ჰკრა ოროლი და გატეხა იგი პოლოტიკნი რკინანი, აბჯარი და, რაცა იყო ტანსა მისსა, ყუელა და დაკოდა ცოტად“[84].

ემზადებიან რა ჭაბუკნი საბრძოლო შეჯიბრებისათვის, უთანხმდებიან ხოლმე ერთმანეთს თუ რომელი იარაღით შეეჭიდნენ. ზოგჯერ ასეთად არა ჩვეულებისამებრ ხმალს, არამედ ოროლს გამოარჩევენ. განთქმულმა ჭაბუკმა სეფედავლემ შეუთვალა არანაკლებ სახელმოხვეჭილ ამირან დარეჯანის ძეს: „ხვალე ოროლით შევიბნეთო“. შეიბნენ რა, იმ დღეს, სეფედავლეს „დარჩომოდა ჯობნა“, ვინაიდან „იცოდა ... ომი კარგად ოროლითა ამირან, მაგრამ სეფედავლე თურმე უკეთ იცოდა“. მომდევნო დღეებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს უკვე „შუბით, ჯრმალით და ლახტით“, მაგრამ ვერცერთმა ვერ აჯობა[85].

იარაღის თუ სპორტული ვარჯიშის ამა თუ იმ სახეობაში ერთგვარი დასპეციალება ხდებოდა. თუ ერთ რომელიმე სახეობაში ერთი ჭაბუკი იყო დახელოვნებული, მეორე სახეობაში მეორენი ჯობნიდნენ. მაგალითად, მშვილდოსნობაში, თურმე, ყველას მზეჭაბუკი სჯობნიდა, ხოლო „ოროლითა მომღერალსა ყუელას ორდაბარელი სჯობდა“ და ა. შ.[86]

ოროლი, „ამირან-დარეჯანიანის“ მიხედვით, რკინის იარაღი ჩანს, რომელსაც გაუყრიდნენ მოწინააღმდეგეს, აზიდავდნენ ზევით და მიწაზე დაანარცხებდნენ კაცს: ბუმბერაზმა ლასურ „აიხუნა ოროლნი და არქუა ამირან დარეჯანის ძესა, ვითა: „აწვე, ახლა მოსვლასა ნახო ჭაბუკობა ჩემიო“ ... ჰკრნა ოროლნი მკერდსა და იყო უნაგირთაგან...

---

83 „ამირან-დარეჯანიანი“, გვ. 159.
84 იქვე, გვ. 168—169.
85 იქვე, გვ. 470, 473.
86 იქვე, გვ. 540.

დაჰკრა ქუეყანასა და მოკლა“[87]. ჩანს ისიც, რომ ოროლს ხის ტარი აქვს: „ამირანდარეჯანიანის“ გმირები ერთხელ ზღაპრულ ფრინველებს გადაეყარნენ. ფრინველები მათ ფეხთ მკვდარნი დაეცნენ. „ეშმაურნი საქმე არისო, იფიქრეს ჭაბუკებმა და ხელი არ ახლეს, მხოლოდ „ოროლის ტარები მიჰყვეს. ცეცხლი გამოვიდა, ოროლები დაიწუა“[88].

შ უ ბ ი. ი. ჯავახიშვილის დაკვირვებით, უძველეს ქართულ ძეგლებში შუბი არ გვხვდება. ამ დაკვირვებას ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონიც“ ადასტურებს, რომელშიც რამდენადაც ის X საუკუნემდელი ძეგლების მასალაზეა აგებული, ეს სიტყვა შეტანილი არ არის.

„საყურადღებოა, რომ შუბი, — წერს ი. ჯავახიშვილი, — თუ არ ვცდები, არც „ამირან-დარეჯანიანშია“, „ვისრამიანის“ ქართველ ავტორს კი პირიქით, ჰოროლის მაგიერ უკვე შუბი აქვს ნახმარი“. შუბს ხმარობს შოთა რუსთაველიც, ხოლო ჰოროლი მას „არც ერთხელ არ წამოსცდენია“[89]. აქედან ი. ჯავახიშვილი სამართლიანად ასკვნის, რომ შუბი ქართულ მეტყველებაში XI—XII საუკუნეებიდან შემოდის და ცვლის ოროლს.

უნდა აღინიშნოს, რომ შუბი „ამირან-დარეჯანიანში“ კი გვხვდება, მაგრამ ძალიან იშვიათად, მეტადრე ოროლთან შედარებით. შუბი ამ ნაწარმოებში მხოლოდ 3-ჯერ არის ნახსენები[90] და იქნებ შემდეგშიც იყოს ჩაწერილი ოროლის ნაცვლად. რამდენიმეჯერაა მოხსენებული შუბი რუსთაველის პოემაში[91]. აქ ის რაინდის აუცილებელს და დამამშვენებელ იარაღად წარმოგვიდგება — „ვის ჰშვენის — ლომსა, — ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა“[92].

საბას განმარტებით, შუბი არის „ლახვარი პირ სამძგიდე და ბუნგრძელი“. შუბის ბუნი, ჩვეულებრივ, მსუბუქი ხისგან იყო გამოთლილი, რომლის ბოლოზეც ფოლადის წვეტი მაგრდებოდა. შუბი იმდენად მკვეთრი იყო, რომ ისე როგორც ოროლი, ზოგჯერ მოწინააღმდეგის თავდასაცავ რკინის საჭურველსაც ჩახვრეტდა ხოლმე.

შუბი შუა საუკუნეთა რაინდების ერთ-ერთი მეტად გავრცელებული საომარი იარაღი იყო ევროპაშიც. თუ დავუჯერებთ რუას მოწმობას, შუბის გამოყენების უფლება ევროპელ მეაბჯრეებს არ ჰქონდათ, მათ მხოლოდ ფარითა და მახვილით უნდა ებრძოლათ[93]. საქარ-

---

87 „ამირან-დარეჯანიანი“, გვ. 238.

88 იქვე, გვ. 590,

89 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 227, გვ. 228.

90 „ამირან-დარეჯანიანი“, გვ. 40, 363, 373.

91 „ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 439, 445, 446, 1146.

92 სტროფი 1607.

93 Руа, История рыцарства, 1898, გვ. 57.

თველოში შუბით შეიარაღებული არიან მეფის მესაწოლე მსახურებიც — „ჯელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მეფეს 700 მესაწოლე ჰყავს, რომელთაგან ყველა შუბოსანია[94].

XIII საუკუნეში შედგენილ „მეფეთა კურთხევის წესსა და განგებაში“ სამეფო დროშისა და შუბის გამოტანა მეფედ კურთხევის ცერემონიალში შედის[95].

გარკვეული რიტუალური მნიშვნელობა აქვს ამ იარაღს XV საუკუნის დამდეგის ახლო ხანებში დაწერილი თხზულების „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით: როსტომ ქვენიფნეველს ცხრაზმის ერისთავად ხელდასმას მოსდევს ასეთი ცერემონიალი: მეფე მოსავს ერისთავს — „სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა“, შეაცმევს ბეჭედსა და საყურეს და საკუთარ სარტყელს შეაბამს; უბოძებს აგრეთვე საჭურველს, თოროსან ცხენს, დროშასა და შუბს. მაშასადამე, შუბი შედის იმ რეგალიებში, რომელიც ახლად დანიშნულ ერისთავს გადაეცემა და რომლითაც ერისთავად კურთხევის აქტი აღინიშნება.

ამავე ძეგლის მიხედვით, ერისთავ ქვენიფნეველს თავის რაზმში 72 შუბოსანი ჰყავს[96].

კ ი ნ ე ნ ი. იარაღთა ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს კინენიც. ლახვარის ზოგადი სახელით გაერთიანებულ იარაღთა ჯგუფში სულხან-საბა ორბელიანს ეს სიტყვა თავის ლექსიკონში შეტანილი არა აქვს, მაგრამ კინენის განმარტება იქვე მოცემული აქვს ცალკე: „საბრძოლელია ბუმბერაზთა; მსგავსი შუბისა ტარისა, სხვილი შესაყარად და ასაზიდველად“ და აქვე მოტანილი აქვს სათანადო მაგალითი „ამირან-დარეჯანიანიდან“. ამ იარაღს საბა, როგორც მოტანილი მაგალითიდანაც ჩანს, უნდა ვიფიქროთ, „ამირან-დარეჯანიანის“ გზით იცნობდა. ამ ნაწარმოებში ის მრავალჯერ გვხვდება, მაგრამ, თუ არ ვცდებით, გვხვდება თითქმის მხოლოდ აქ. საბას თავის განმარტებისათვის ერთი საინტერესო შენიშვნაც აქვს დართული: კინენს „ვიეთნი შუბის პირსაც დაასხმოდეს“, რაც იმას ნიშნავს, რომ კინენს, რომელიც, ჩანს, რკინის კეტს წარმოადგენდა, ზოგჯერ შუბის პირსაც უკეთებდნენ.

„ამირან-დარეჯანიანის“ მიხედვით, კინენი, ისე როგორც ოროლი, ისეთი იარაღია, რომელსაც ბრძოლის დროს მოწინააღმდეგეს ჩასცემდნენ, გაუყრიდნენ, აიტანდნენ ზევით და მიწაზე დაანარცხებდნენ. მოგვაქვს სათანადო მაგალითები ამ ნაწარმოებიდან:

---

94 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 57.
95 იქვე, გვ. 50, 51.
96 იქვე, გვ. 109.

ესე იყო წესი ამბრი არაბისა: „რა გაგრძელდის ომი, დაიწყოს სროლა ცხენისა და კაცისა კინენითა“[97].

იმავე ამბრი ჭაბუკმა სხვა ბრძოლაში „აიღო კაცი უნაგირისაგან კინენითა, გასტყორცნა, და დასცა ლაშქართა ზარი“[98].

და კიდევ სხვა ბრძოლაში „შეუყარნა კინენი“ ამბრიმ მოწინააღმდეგეს, „აიღო უნაგირთაგან, გასტყორცნა“[99].

ასევე იქცევა ინდო ჭაბუკიც. მან თავის მოწინააღმდეგეს „შეუყარნა კინენი და აიღო უნაგირთაგან, დაჰკრა ქვეყანას ზედა“, მაგრამ არ მოკლა[100]. როგორც შემდეგ განაცხადა დაზარალებულმა — „ინდო ჭაბუკი გარდამეკიდა, ამიღო კინენითა, ქუეყანასა დამკრა და შევბნდიო“[101] — გონება დაუკარგავს.

ხოლო ერთმა ბუმბერაზმა თავის მოწინააღმდეგეს „შეუყარა კინენი... აიღო უნაგირთაგან და ქუეყანასა დაჰკრა და მოკლა“[102].

ერთი მებრძოლი ჭაბუკი ყვება თავის ამბავს: „შემოუვლეთ ერთმანეთსა ნავარდი და შეუტიეთ. შემომიყარა კინენი ქუეშე და ვერა ამძრა. ფიცხელი თურმე ამზიდნა, კინენი გაუტყდეს“[103].

მეორე ჭაბუკი კი ასე აღწერს თავის შეტაკებას მტერთან: „შემომიტივა. შიშითა შუბი ვეღარ შემომცა. შეამაღლა და გარდმომკრა კინენი და ზედა დამალეწა“[104].

კინენი ერთხელ იხსენიება „ისტორიანსა და აზმანშიც“[105].

მართალია, კინენი, როგორც ვხედავთ, ზოგჯერ ილეწება, ტყდება ფიცხელ ბრძოლებში, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც რკინის და არა რაიმე სხვა მასალისაგან ნაკეთები ბოლოწაწვეტებული კეტი უნდა იყოს.

რკინის კეტს ვხვდებით „ვეფხისტყაოსანშიც“. ავთანდილი შეიარაღდა მეკობრეთა ლაშქართან საბრძოლველად. „ჩაიცვა ტანსა აბჯარი“, ცალ ხელში რკინის კეტი დაიკავა: მეორეთი, ხმალამოწვდილი მოწინააღმდეგეთ ხოცავდა. როდესაც მეკობრეებმა ავთანდილს „აძგერეს ძელი, რომელსა ზედა სახნისი ჰგებოდა“, ავთანდილმა „კეტი ჰკრა, ძელი მოსტეხა“ „და გააქცია მტერი[106]. „ამირანდარეჯანიანშიც“

---

97 „ამირან-დარეჯანიანი“, გვ. 133.
98 იქვე, გვ. 139.
99 იქვე, გვ. 15.
100 იქვე, გვ. 160.
101 იქვე, გვ. 163.
102 იქვე, გვ. 73.
103 იქვე, გვ. 81.
104 იქვე, გვ. 286.
105 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 9.
106 „ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 1041, 1042.

კინენის გარდა, „რკინის არგანიც“ იხსენიება, რომელიც ასევე რკინის კეტს წარმოადგენს[107].

ხ ი შ ტ ი: „ამირან-დარეჯანიანში“ იხსენიება კიდევ ერთი საძგერებელი იარაღი — ხიშტი, რომელიც „უბრალო საჭურველი კი არ ყოფილა, არამედ საფალავნო და საჭაბუკო შეჯიბრებისთვისაც კი საკადრისად ყოფილა ცნობილი“[108].

„ამირან დარეჯანის ძემან შეიბნა ორნი ჯრმალნი და აიხუნა ხიშტნი და შეუტივნა[109]; ასევე, შეეკაზმა სეფედავლე და გაჯდა ცხენსა, და ხიშტნი აიხუნა[110]; „მზემან ჭაბუკმან აბჯარი ჩაიცუა, ცხენსა შეჯდა და ხიშტნი ჯელთა აიხუნა. გენახა, ამას ბრძანდებით, თუ ერთი კაცი ამისებრი არავის უნახავსო“[111]. აღსანიშნავია, რომ ხიშტს ყველა ეს ზემოხსენებული ჭაბუკი ზღაპრულ ცხოველებთან — ვეშაპთან და სხვა მხეცებთან შებმის დროს იყენებს — მზეჭაბუკმა მხეცს პირში „ხიშტნი ჰკრნა“ და „ყიამდის ჩაჰკუეთა“, ხოლო სეფედავლემ მარტორქას „ჰკრა ხიშტი მკერდსა და ნახევრამდის დაასო“. ამირან დარეჯანის ძემ კი ვეშაპს „ჰკრა ხიშტი პირს და შეალეწა ზედა“.

სულხან-საბას განმარტებით, ხიშტი არის პირგრძელი ლახური, ძგიდე — მახვილი, ტარ-კოტა“.

დ ა ს ა რ ტ ყ მ ე ლ იარაღთაგან ამ ხანაში აღსანიშნავია ლახტი და მათრახი.

ლახტი იხსენიება „ვეფხისტყაოსანშიც“ და „ამირან-დარეჯანიანშიც“. ფატმანთან შემოჭრილი უცნობი ყმის მოსაკლავად რომ გაემართა ავთანდილი, ლახტს წამოავლო ხელი[112]. დევებთან შებმის ერთ-ერთი საბრძოლო სცენის აღწერისას რუსთაველი ამბობს: „დევთა ყვირილი, ზახილი ზეცამდის აიწეოდა, მათისა ლახტის ცემითა ქვეყანა შეირყეოდა“[113].

საბრძოლო იარაღად ხმარობენ ლახტს „ამირან-დარეჯანიანის“ გმირებიც:

სეფედავლესა და ამირანს შორის გამართულ შებმა-შეჯიბრის

---

107 „ამირან-დარეჯანიანი“, გვ. 65 (ბადრი იამანის ძეს მისმა მოწინააღმდეგემ „ათი წყრთა რკინის არგანი გაუგზავნა: „ესეთსავე მე ავიღებ და დღეს ამითი შეევებნეთო“). სულხან-საბას განმარტებით, არგანი კეტს ნიშნავს.

108 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 235.

109 „ამირან-დარეჯანიანი“, გვ. 345.

110 იქვე, გვ. 406.

111 იქვე, გვ. 524.

112 „ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 1109.

113 იქვე, სტროფი 655.

დროს, შეთანხმდნენ, რომ მშვილდ-ისარს არ გამოიყენებდნენ და „ყოველსავე შუბითა, ჯრმლითა და ლახტითა იბრძოდეს“[114].

ამბრი არაბმა შებმა შესთავაზა ერთ ბუმბერაზს და ლახტი გაუგზავნა — დღეს ამით შევიბნეთო. ბრძოლის დროს ამბრიმ „ჰკრა ლახტი მას ბუმბერაზსა და ზურგი მოსტეხა და მუნვე მოკლა“ (ეს მოკვლა სიმბოლურად არის ნათქვამი. მეორე დღეს უკვე ბუმბერაზი იწვევს ამბრის საპასუხო შეჯიბრში და სთავაზობს — დღეს ახლა ხმლით შევებათო)[115].

ლახტი, როგორც გვიჩვენებს „გარიგება ჯელმწიფის კარისა“, საშეფო ზარდახანაში დაცული ერთ-ერთი იარაღთაგანია[116]. მეფედ კურთხევის „წესი და განგება“ უჩვენებს, რომ მეფის კურთხევის ცერემონიის დროს ეზოთ-უხუცესს, ჩუხჩარეხს და მეაბჯრეთ-უხუცესს, რომელნიც მეფის უკან დგანან, „სამეფო ფარი და ლახტი ჰქონდეს და ქარქაში“[117].

ლახტი იხსენიება უფრო გვიანდელი XV—XVIII სს. ნაწარმოებებში (ფარსადან გორგიჯანიძესთან, ვახუშტი ბაგრატიონთან და სხვაგან). სულხან-საბას განმარტებით, ლახტი „უმკუეთლო საცემი საომარი“ იარაღია. მეომარს ის, ჩვეულებრივ, წელზე ჰქონდა ხოლმე გარჭობილი[118].

დაბოლოს, რაინდს, როგორც ცხენოსან მეომარს, ხელთ ეჭირა მათრახი, რომელსაც, გარდა პირდაპირი დანიშნულებისა, ზოგჯერ თავდამსხმელთა მოსაგერიებლად იყენებდა ხოლმე. ეს იყო საგანგებო საბრძოლო მათრახი. ეთნოგრაფ კ. ჩოლოყაშვილის სიტყვით, „საბრძოლო მათრახი სხვადასხვა სიმსხოსი იყო და ძველად ქართველი მეომრის აუცილებელ თანმხლებ საგანს წარმოადგენდა... საბრძოლო მათრახს ჩვეულებრივი მათრახისაგან განსხვავებით, მსხვილი და ენაბრტყელი ბოლო ჰქონდა“[119].

წყლის პირად განმარტოებით მჯდომ ტარიელს „ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა“[120], რომლითაც როსტევან მეფისაგან მიგზავნილ მონა-მსახურებს სასტიკად გაუსწორდა: „ჰკრა ერთმანეთსა, დახოცნა თავსა ხელ აუპყრობელად, ზოგსა გადაჰკრის მათრახი მკერდამდის გასაპობელად“[121].

ამავე ამბავს შემდეგში ავთანდილი ასე აღუწერს ტარიელს: „შენ

---

114 „ამირან-დაჯერანიანი“, გვ. 473.

115 იქვე, გვ. 145, 147.

116 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 87.

117 იქვე, გვ. 51.

118 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 247.

119 კ. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეთნოგრაფია, საუურველი, 1964.

120 „ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 85.

121 სტროფი 94.

ველნი წითლად შეჰღებენ სრულად სისხლისა მიდენით"; „ყველაკასა მათრახითა თავი უხრმლოდ გარდაჰკვეთეთ"[122].

ტარიელი ამის შემდეგ ტიალ მინდორზე გადაეყარა სამ ვაჟკაცს, რომელნიც დაედევნენ მას. მათაც ტარიელმა „თავსა გარდაჰკრა მათრახი, ვნახეთ სისხლისა კი დენით". ერთი მათგანი კინაღამ მოჰკლა: „მით ერთითა მათრახითა თავი ისე გარდაჰფრიწა, ვითა მკვდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა"[123].

ს ა ს ტ რ ო ლ ი ი ა რ ა ღ ი. სასროლო იარაღთაგან XI—XII საუკუნეთა საქართველოში მშვილდ-ისარს ჰქონდა ერთგვარი გამოყენება. ის ქართველი რაინდის საომარი აკაზმულობის შემადგენელი ნაწილი იყო. მეომარს წელზე შემორტყმული ჰქონდა საისრე ანუ კაპარჭი—ისართა შესანახი ბუდე. ხმარებაში იყო ისართა სხვადასხვა სახეობა. „ჩვეულებრივ ისარს ფრთები ჰქონდა, რასაკვირველია, მოძრაობის გასაადვილებლად სხვადასხვა მიმართულებით, ზოგს ორივე, ზოგს კი ოთხივე მხრივ"[124]. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ისართა კოლექციაში უმთავრესად სამფრთიანი ისარია შემონახული.

სულხან-საბა თავის ლექსიკონში ისრის 12 სახეობას ჩამოთვლის. ისინი, ჩანს, მოყვანილობით ან მასალით განირჩევიან. სამფრთიან ისარს საბას განმარტებით ყოიალი ეწოდება. იყო ისარი ბოძალის სახელწოდებით, ესაა ორპირი ისარი (მას ამირან დარეჯანის ძე ნადირობის დროს იყენებს); არის ისარი, რომელსაც ქეიბური ჰქვიან, ხოლო ზოგიერთნი სანადიროს ეძახიან და სხვ.

მშვილდ-ისარს „ვეფხისტყაოსანის" გმირები ხშირად ხმარობენ, მაგრამ უმთავრესად ნადირობის დროს, ნადირ-მხეცთა მოსაკლავად: — „პურად და საჭმლად მივენდე ჩემსა მშვილდსა და ცერასა", ამბობს ველად გაჭრილი ავთანდილი, რითაც მიგვანიშნებს, რომ თავისი ხელით მოკლული ნადირით საზრდოობს. ამასვე გვამცნობს ტარიელის სიტყვები — „მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან რეულმან". როსტევან მეფეც იმედოვნებს, რომ „უცხო მოყმის" საძებრად წასული ავთანდილი ამ გზით მუდამ იშოვის საზრდოს — „ვიცი არ მოგკლავს შიმშილი, რაზომცა დია ირები: შენ შენი მშვილდი დაგარჩენს, შენთა ისართა პირები".

მშვილდ-ისარის ხსენებას ხშირად ვხვდებით „ამირან-დარეჯანიანშიც", აქაც უმთავრესად ზღაპრულ ცხოველებთან ჭიდილის სცენებში. მაგალითად, ამირან დარეჯანის ძეს გზაზე უზარმაზარი გველი შემო-

---

122 სტროფი 287, 288.

123 სტროფი 208, 209.

124 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 245.

ხვდა. ამირანმა „ამოიღო მშვილდი, გარდაუცა და შესტყორცნა ისარი ბოძაღი და წარუკვეთა თავი“ გველს[125]. მაგრამ მარტორქის წინააღმდეგ მშვილდ-ისრის გამოყენება სეფედავლემ უკადრისად ჩათვალა: „ისრითა მოკვლა მარტორქისა არა ჭაბუკთა „ჯელი არის“, თქვა და ხიშტითა და ხმლით გაათავა ნადირი[126].

მშვილდ-ისარს „ამირან-დარეჯანიანის“ გმირები ნადირობის დროს ხმარობენ: „ზოგნი ნადირობდიან მშუალდითა, ზოგნი ქორითა, ზოგნი ავაზითა, ზოგნი ძაღლითა და ვითაც ვის სწადდის“[127]. ჭაბუკთა ერთი ჯგუფის შესახებ ასეა ნათქვამი: „მშუილდოსანნი იყვნეს კარგნი და მონადირენი“[128]. მშვილდოსნობა სპორტული ვარჯიშის ერთ-ერთი სახეობა იყო: „კარგნი ჭაბუკნი იყვნეს და კარგნი მშუილდოსანნი და მოასპარეზენიო“[129].

მაგრამ ორთა შებმისას კი წესი არ იყო მშვილდ-ისრის ხმარება და თუ რომელიმე ჭაბუკ-რაინდი გამოიყენებდა მას, დასაძრახისად ითვლებოდა: ხაზართა მეფის ძე ხოსრო კარგი მშვილდოსანი იყო. „შეირტყა მშუილდ-კაპარჭი“ და ბუმბერაზთან შესაბმელად გავიდა. გასვლისთანავე მოწინააღმდეგეს „შესტყორცნა ისარი“ და მოკლა. ქება შეასხეს, „მაგრამ აუგად დაუდვეს მშუილდითა შებმა მას ხოსრო ხაზართა მეფისა ძესა“[130]. მეორეჯერ ამავე ხოსრომ კვლავ გამოიყენა, უკვე ფარულად მშვილდ-ისარი ამირან დარეჯანის ძესთან შეჭიდებისას. ამის გამო ამირანმა „მუხთალი“ უწოდა მას[131].

მშვილდ-ისარი ძირითადი იარაღთაგანი იყო საომარ ველზე, რასაც XV საუკუნის ქართული მინიატურები თვალნათლივ ასახავენ (იხ. მაგალითად, ციხის ალყის სცენები)[132].

ჩვენ განვიხილეთ ის საბრძოლო იარაღები, რომელიც XI—XII საუკუნეების ძეგლებში გვხვდება და ქართველი მეომარ-რაინდის საბრძოლო აღჭურვილობას შეადგენდა.

---

125 „ამირან-დარეჯანიანი“, გვ. 97.
126 იქვე, გვ. 406—407.
127 იქვე, გვ. 363.
128 იქვე, გვ. 603.
129 იქვე, გვ. 605.
130 იქვე, გვ. 234.
131 იქვე, გვ. 248—250.
132 А. Шервашидзе. О грузинской светской миниатюре, 1964, с. 68.

თავი IV

„ჰაგუკ-მოყმეთა“ ეპოქა საქართველოში, „საქმენი საჰაგუკონი“

1. პოლიტიკური დაშლილობის ხანა საქართველოში

VII საუკუნის შუა ხანებიდან საქართველოში არაბი დამპყრობლები გაბატონდნენ. VII საუკუნის 30-იანი წლებიდან არაბთა ხელისუფლებამ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ე. წ. თბილისის საამირო ჩამოაყალიბა, რომლის სათავეშიც არაბებისგან დაყენებული მოხელე — ამირა ჩადგა.

არაბთა სახალიფო VII—VIII საუკუნეების მანძილზე კიდევ უფრო ძლიერდება და მრავალ ქვეყანას იპყრობს, მაგრამ მალე, მეტადრე IX საუკუნის დამდეგიდან, მას უკვე დაცემის ნიშნები დაეტყო. ამ დროიდან დაპყრობილ ქვეყანაში დასმული მოხელეები სახალიფოსაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობენ და ზოგჯერ ამას აღწევენ კიდეც. აღარ დაემორჩილა ხალიფას საქართველოში დაყენებული ამირაც. ამირას დამოკიდებულება არაბეთის სახელმწიფოსაგან თანდათან სულ უფრო ნომინალური გახდა და ამირა საბოლოოდ ერთ-ერთ ადგილობრივ მთავრად იქცა.

თუ თავდაპირველად თბილისის საამირო მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა, VIII საუკუნის დამლევიდან საამიროს ტერიტორია თანდათან შეიკვეცა და მკვეთრად შეიზღუდა.

VIII ს. 80-იან წლებში თბილისის საამიროს გამოეყო და ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა კახეთი ქორეპისკოპოსით სათავეში.

XI ს. დასაწყისში კი თბილისის საამიროს გამოეყო და ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა საქართველოს სამხრეთი ნაწილი — ტაო-კლარჯეთის სამთავრო.

დასავლეთ საქართველოში ამ დროისათვის ცალკე სამთავროს შეადგენდა ეგრის-აფხაზეთი, რომლის გამგებელი ერისთავი გარკვეული დროიდან მეფის ტიტულს ატარებდა.

ქართლში VIII საუკუნის ბოლოს ქართლის ერისმთავარს აშოტ ბაგრატიონს ვხედავთ, მაგრამ ეს ენერგიული მმართველი ვერ შეეწყო

რა არაბთა ბატონობას, იმ დროს რომ მძვინვარებდა ქართლში, ან იქნებ ვერ შეეგუა ქართლის მსხვილ ფეოდალთა თავნებობას, დატოვა ქართლი და სამხრეთ საქართველოში, თავის სამკვიდრო მამულში — არტანუჯში გადაინაცვლა და ენერგიულად შეუდგა იქ თავისი სამფლობელოს საზღვრების გაფართოებას და მალე შავშეთ-კლარჯეთის ძლიერი სამთავრო შექმნა.

ასე წარმოიქმნა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე IX საუკუნისათვის რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მსხვილი სამთავრო. ოდესღაც ერთიანი და ძლიერი ქართლის სამეფოს მცირე პოლიტიკურ ერთეულებად დაშლა ფეოდალურ ურთიერთობათა გამარჯვების უშუალო შედეგს წარმოადგენდა, რაც სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ყველა ფეოდალური სახელმწიფოსათვის: მთელი მწარმოებელი მოსახლეობის ფეოდალური ექსპლუატაციის უღელში მოქცევის ბაზაზე ჩამოყალიბებულ სენიორიებს, ჩვეულებრივ, დამოუკიდებლობის ძლიერი მისწრაფება ახასიათებთ, ეს კი სახელმწიფოს დაშლას და დაქუცმაცებას იწვევს. სწორედ ამის გამოა, რომ VIII საუკუნის მიწურულიდან, თუ IX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს წვრილ სამეფო-სამთავროებად დაშლის პროცესი — თითოეული მცირე ფეოდალური უჯრედი, ფეოდალური სენიორია თავის უშუალო მბრძანებელს, უახლოეს სიუზერენს უჭერს მხარს და ხელს უწყობს ამ უკანასკნელის სამფლობელოს ცალკე პოლიტიკურ ორგანიზმად გამოყოფას.

IX საუკუნის მანძილზე ფეოდალური დაქუცმაცების პროცესი ჯერ კიდევ გრძელდებოდა. კახეთს გამოეყო ჰერეთის სამთავრო; ტაოკლარჯეთი დანაწილდა მრავალ, ფაქტიურად დამოუკიდებელ წვრილ სამეფოდ და სამთავროდ.

შედარებით უფრო მტკიცეა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებული მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება — ეგრისაფხაზეთის სამთავრო, რაც აიხსნება, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს აკად. გ. მელიქიშვილი, ამ რეგიონში „თავისუფალ მთიელთა მასის აქტივობით, თავისუფალ მრავალრიცხოვანი მასის არსებობით. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა სწორედ ამ სამეფო-სამთავროებში ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენს და განსაზღვრავდა აქ მის დიდ სიძლიერეს"[1].

მსგავსი, მაგრამ შედარებით სუსტად გამოხატული მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ კახეთშიც. აქაც ჯერ კიდევ არსებობს ადრეფეოდა-

---

[1] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოს ფეოდალურ ურითერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, 1973, გვ. 54—55.

ლური ხანის ძლიერი გადმონაშთები — თავისუფალი მეთემეები აქ შედარებით უფრო დიდხანს შემორჩენენ, ძლიერია მთა[2].

ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია, რომ IX საუკუნის მანძილზე ქართლის შიდა რაიონები განსაკუთრებით დაქუცმაცებულია. ის მრავალ მცირე და არამცირე ფეოდალურ ერთეულად სენიორია-სამთავროდ არის დაყოფილი და მტკიცე ცენტრალური ხელისუფლება იქ არ არსებობს. ერისმთავრის, როგორც უზენაესი მმართველის, მნიშვნელობა თანდათან ეცემა და IX საუკუნის დამდეგს, აშოტ ბაგრატიონის ქართლიდან წასვლის შემდეგ, ფაქტიურად უქმდება კიდეც[3]. ქართლის ტერიტორიაზე მიმოფანტულ სამთავროთა მეთაურები — მთავრები სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ.

ფეოდალური სენიორების სიმრავლით და ფეოდალური დაშლა-დაქუცმაცების პროცესის შეუჩერებელი წინსვლით ხასიათდება სამხრეთ საქართველოც. სამთავროებს შორის აქ მეთელი IX და X საუკუნეების მანძილზე დაუცხრომელი ბრძოლები წარმოებს, თითოეული მათგანი ერთიმეორის ხარჯზე თავისი საზღვრების გაფართოებას ცდილობს და ახალი ტერიტორიების შემოერთებისათვის იბრძვის.

ამ დაუცხრომელი ბრძოლების ვითარებაში რაინდობის მნიშვნელობა და წონა განუზომლად იზრდება. სამთავრო, რომელსაც კარგად გაწვრთნილი და მრავალრიცხოვანი რაინდი ჰყავს — ე. ი. სამხედრო სამსახურის ვალდებული მრავალი ვასალი, მსხვილ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებას ახერხებს და წარმატებით განაგრძობს ბრძოლას შემდგომი გამსხვილებისათვის, ტერიტორიული გაფართოებისათვის. ამიტომაა, რომ ყოველი ძლიერი სამთავრო ყოველნაირად ცდილობს მოიმრავლოს ვასალი-რაინდები.

მთელი ქვეყანა დიდი და მცირე მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეებით მიმოიფინა. ყოველი ფეოდალური სენიორია გამაგრებული პუნქტი იყო, რომელსაც შესაბამისად დიდი თუ მცირე სამხედრო რაზმი იცავდა. ფეოდალთა ურთიერთთავდასხმები, მკვლელობა, ციხეთა მიტაცება, ყმათა გადაბირება და მიმძლავრება, მეფე-მთავართა პოლიტიკური დაჯგუფებანი, კავშირები, დამახასიათებელია IX—X საუკუნეთა საქართველოსათვის. შინაომებს ზედ ერთვოდა გარეშე მტრების თავდასხმები, უპირატესად არაბთა სახალიფოდან მოვლენილი სამხედრო ექსპედიციების სახით, რაც დიდ ზიანს აყენებდა საქართველოს.

ერთ-ერთი ასეთი და ყველაზე მრისხანე შემოსევა საქართველოში 852—854 წლებში მოხდა, მას არაბთა სარდალი ბუღა თურქი ედგა

---

[2] გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52—54.
[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 506.

სათავეში. არაბთა ლაშქარმა სომხეთი და ქართლი ააოხრა და სისხლით მორწყო.

არაბებთან ბრძოლაში არაერთმა ქართველმა მეომარ-რაინდმა ისახელა თავი.

არაბთა სახალიფოს დასუსტებისა და დაშლის შემდეგ მის ნანგრევებზე აღმოცენდნენ მაჰმადიანური სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობდნენ თავისი ხელისუფლების გავრცელებას საქართველოზე. X საუკუნეში ამ მხრივ ყველაზე ენერგიულად აზერბაიჯანის არაბი ამირები მოქმედებდნენ. განსაკუთრებით მძიმე იყო აზერბაიჯანის ამირა აბულ-კასიმის შემოსევა საქართველოში, რომლის დროსაც აბულ-კასიმის ჯარმა სასტიკად მოარბია ქართლი და ჯავახეთი. ქართულმა რაინდულმა ლაშქარმა საკადრისი პასუხი გასცა შინ შემოსეულ მტერს.

ამგვარ სისხლისმღვრელ ბრძოლებში იწრთობოდა და ხორცს ისხამდა სამშობლოს ცნება მთელი საქართველოს გაგებითაც. მზადდებოდა დაშლილ-დაქუცმაცებული ქართული მიწების ერთ მთლიანობაში, ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება.

რაინდობა ამ ვითარებაში ის ძალა იყო, რომელსაც ესა თუ ის ქართული სამეფო და სამთავრო ემყარებოდა თავის ბრძოლაში მიწების გამსხვილებისათვის, საზღვრების გაფართოებისათვის, მებრძოლ პოლიტიკურ ერთეულთა შორის პირველობის მოპოვებისათვის, დაბოლოს, საქართველოს გაერთიანებისათვის.

რაინდული ლაშქარი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ადგილს იკავებს.

2. საქართველო პოლიტიკური გაერთიანების ხანაში

საქართველოს საზოგადოებრივი განვითარება IX—X საუკუნეების მანძილზე შემდგომ წინსვლას განაგრძნობდა. ფეოდალიზმის გამარჯვება, ისე როგორც ჩვეულებრივ, ყველა ფეოდალურ ქვეყანაში, მძლავრ ეკონომიკურ აღმავლობას იძლევა შედეგად. სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება.

აღმავალი ეკონომიკა მძლავრად საჭიროებს დაშლილ-დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანებას და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას. ერთიანი სახელმწიფოს შექმნით დაინტერესებული არიან ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმული ძალები. მათ ისეთი სახელმწიფო სურდათ, რომელიც მოსპობს სასაზღვრო მიჯნებსა და საბაჟოებს, წონა-ზომის სხვადასხვა სისტემებს, რაც მრავალი სამთავრო-სენიორიის არსებობის პირობებში ხელშემშლელ ფაქტორს ქმნიდა სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებისათვის. მტკიცე ცენტრალისტური სახელ-

მწიფოს არსებობით, წესრიგის შემომტანი ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებით დაინტერესებული იყო გლეხთა კლასიც, რომელსაც ამგვარი ხელისუფლება თავისი შეზღუდული და შერყვნილი უფლებების დასაცავად და აღსადგენად სჭირდებოდა.

სახელმწიფოებრივი გაერთიანების სულისკვეთება თანდათან სულ უფრო ძლიერდებოდა და სამეფო-სამთავროთა ცდებს სამფლობელოთა გამსხვილებისაკენ, ახალი სამფლობელოების შემოერთებისაკენ, რასაც საბოლოო ჯამში ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბება უნდა მოეცა, სულ უფრო და უფრო მეტი მხარდამჭერი და მომხრე გაუჩნდა. განსაკუთრებული აქტივობა ამ მიმართულებით ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გამოიჩინა. ეს მოძრაობა საქართველოს ცალკეული ნაწილების პოლიტიკური გაერთიანებით დასრულდა კიდეც. ამ დიდი საქმის განხორციელების ფაქტიური მხარე ასეთი იყო: ქართლის ერისთავად (ერისმთავრად) დადგინებულმა იოანე მარუშის ძემ X საუკუნის 70-იან წლებში წინადადებით მიმართა ტაოს მეფეს დავით კურაპალატს, რომელიც ქართველ მეფე-მთავართა შორის ამ დროისათვის უძლიერეს მფლობელად ითვლებოდა, თავისთვის დაეჭირა ქართლი ან არა და თავისი შვილობილის, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების სამეფო დინასტიის წარმომადგენლის მეფე გურგენის ძის ბაგრატისათვის გადაეცა. დედის მხრიდან ბაგრატი ეგრის-აფხაზთა მეფესთან იყო ნათესაურად დაკავშირებული და მას ერთადერთ მემკვიდრედ ითვლებოდა. ეს გონებამახვილური ჩანაფიქრი იყო: სრულიად კანონიერი გზით ერთი მეფის ხელში აქცევდა მთელ სამხრეთ საქართველოს, ქართლსა და ეგრის-აფხაზეთს. დავით კურაპალატმა ამ წინადადებას ენერგიულად დაუჭირა მხარი და იმას მიაღწია, რომ ბაგრატს, გურგენ მეფის ძეს, საქართველოს ყველა ეს ნაწილი დაუმორჩილა. ბაგრატი გაერთიანებული საქართველოს მეფე შეიქნა და მართავდა საქართველოს 978 წლიდან 1014 წლამდე ბაგრატ III-ის სახელით.

თავისი მეფობის მანძილზე ბაგრატ III-ს არაერთხელ მოუხდა მსხვილ ფეოდალთა შინაგანი რეაქციის დათრგუნვა, რასაც მეფე ძლიერი და გადამჭრელი ზომებით ანხორციელებდა. საქართველოს პოლიტიკურ ერთიანობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ დასაწყისი. პირველ რიგში საჭირო იყო ქართული მიწების პოლიტიკური გაერთიანების ბოლომდე მიყვანა, ე. ი. ერთიანი ქართული სახელმწიფოს გარეთ ჯერ კიდევ დარჩენილი ნაწილების (კახეთი, ჰერეთი, თბილისის საამირო) შემოერთება. საჭირო იყო სახელმწიფოს მმართველობის მტკიცე ცენტრალისტურ საწყისებზე გადაყვანა. ეს დიდი პრობლემები XI—XII საუკუნეთა ქართველი მეფეების უპირველეს საზრუნავს შეადგენდა.

3. „საქმენი საჰაგიოგრაფნი“ (IX—XII სს.)

საქართველოს ისტორიამ ამ პერიოდის არაერთი გამოჩენილი რაინდის შესახებ შემოგვინახა ცნობა, თუმცა ამასთანავე არაერთი სახელოვანი რაინდის სახელი და „საქმე საჰაგიოგრაფო“ ჟამთასვლას უკვალოდ გადაჰყვა. სიტყვაძუნწმა საისტორიო თხზულებებმა ჩვენთვის სასურველი სისრულით და გულისყურით ვერ აღნუსხა მათი ვინაობა და საგმირო საქმეები. დოკუმენტურმა მასალებმა კი ძალიან მცირე რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე ამ შორეული ეპოქიდან. და თუ მაინც ზოგიერთი ღვაწლმოსილი რაინდის სახელი და ამბავი გადარჩა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უმთავრესად ისევ ძველ ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობას უნდა ვუმადლოდეთ.

IX საუკუნის საქართველოში ერთ-ერთი ასეთი გამოჩენილი მეომარი-რაინდის ღვაწლის შესახებ თხრობა შემონახულია ამავე საუკუნის უცნობი ავტორის თხზულებაში „ცხოვრება და წამება წმინდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისა“.

კოსტანტი, ზედწოდებით კახი, ყოფილა „კაცი წარჩინებული ფრიად და დიდ ყოვლისა ქუეყანასა ქართლისასა“, მისი სახელი განთქმული იყო „ქუეყანათა შორიელთა, ვიდრემდის მეფეთაცა მისმენილ იყო მისთჳს“.

არაბი სარდლის ბუღა თურქის საქართველოში შემოსევის დროს გაშლილ ბრძოლებში მას დიდად უსახელებია თავი. ამის შესახებ, გარდა ხსენებული ძეგლისა, ცოცხალი მოწმობა შემოგვინახა ატენის ტაძრის წარწერამ ამოკვეთილმა ამ ამბის ახლო ხანებში. წარწერა ლაკონიურად გვამცნობს, რომ 853 წლის 5 აგვისტოს ბუღა-თურქმა თბილისი გადაწვა და ამავე წლის 26 აგვისტოს შეიპყრო მან ერისთავი კახი და ძე მისი თარხუჯი. ცხადია, ეს უნდა იყოს ჰაგიოგრაფიული ძეგლის კოსტანტი-კახი. ეს ძეგლი მოგვითხრობს, რომ არაბებმა მას სარწმუნოების გამოცვლა, გამაჰმადიანება შესთავაზეს და სამაგიეროდ სიცოცხლის შენარჩუნებასა და დიდ პატივს პირდებოდნენ. მაგრამ კოსტანტი-კახი არაბებმა ვერ დაიყოლიეს. მას საკმაო სულიერი ძალა აღმოაჩნდა, რომ არ ეღალატა სამშობლოსა და სინდისის წინაშე. მიყენებული წამების შემდეგ (კოსტანტის „სცემდეს მახვილითა ქედსა მისსა“, მაგრამ ვერარას გახდნენ), არაბთა ხელისუფალის ხალიფა ჯაფარის ბრძანებით კოსტანტის თავი მოჰკვეთეს 853 წლის 10 ნოემბერს „დღესასწაულსა წმინდისა გიორგისა, რომელსაც თანაზიარ იქმნა“. კოსტანტი-კახის ღვაწლი, ამრიგად, წმინდა გიორგის ღვაწლთან იქნა გათანაბრებული.

კოსტანტი-კახი, ეს სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებული რაინდი, ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

კიდევ ერთი ასეთივე გმირი-რაინდის სახელია შემონახული საქართველოს ისტორიაში, ესაა გობრონ-მიხეილი, რომელმაც ამირა აბულ-კასიმის შემოსევის დროს ისახელა თავი.

907—915 წლებში ამიერკავკასიაში არაბი ამირა აბულ-კასიმ იუსუფ-აბუ-საჯის ძე ლაშქრობდა. სომეხთა მეფემ სუმბატმა ვერ გაუძლო მის შემოტევებს და ლტოლვილმა ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შეაფარა თავი. ამის შემდეგ აბულ-კასიმი საქართველოსაკენ წამოვიდა. დაიპყრო კახეთის ციხეები, მოარბია ქართლი და სამცხეს გადავიდა. მოაოხრა რა იქაურობაც, მიადგა თმოგვის ციხეს, მაგრამ აქ მედგარ წინააღმდეგობას შეხვდა და ციხე აუღებელი დარჩა. შემდეგ აბულ-კასიმმა ყველის ციხეს შემოარტყა ალყა. ყველის ციხე არსიანის გზას უდარაჯებდა და მტკიცედ იყო გამაგრებული. მისი მფლობელი იყო ერისთავთერისთავი გურგენი. ციხეს 133 ჩინებული აზნაური იცავდა. მათ შორის იყო ვინმე აზნაური გობრონიც მეორე სახელად მიქელად წოდებული. ქართული საისტორიო წყარო მას ჰაბუკს უწოდებს. ამ ზედწოდებით, ცხადია, არა მისი ასაკობრივი ვითარებაა გამოხატული, არამედ მისი სოციალური და პროფესიული მდგომარეობა. რაინდი გობრონ-მიქელი განსაკუთრებით გამოირჩეოდა თურმე ციხის დამცველთა შორის.

მტერი ციხეს მრავალი ფილეკვანით — ლოდის სატყორცნი მანქანებით უტევდა, ხოლო სიმრავლე მომხდურთა მიერ გატყორცნილი ისრებისა, მეტიანეს გამოთქმით, „შეიპყრობდა ჰაერს მზისასა“, მტერს თან წამოღებული ჰქონდა ასეული აქლემი ისრებით და სხვა იარაღით დატვირთული. შეტევა ფიცხელი იყო, მაგრამ, როგორც მოგვითხრობს ისტორიული წყარო, „ციხოვანნი მჯნედ იყვნენ“ და მტრის შემოტევებს მედგრად იგერიებდნენ. ყველის ციხის ალყა 28 დღეს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში გობრონი თავის თანამოძმეებთან ერთად ყოველდღე ებრძოდა მტერს ხელჩართულ ბრძოლაში „და ძლევისა მისგან უმეტეს განაკვირვნა ყოველნი“. ბოლოს აბულ-კასიმის ლაშქარმა ფილეკვანთა დახმარებით მოახერხა ციხის ქვის კედლის განგრევა. ციხე დაეცა და მეციხოვნენი იძულებულნი შეიქნენ დანებებოდნენ მტერს.

ტყვედ შეპყრობილთაგან განსაკუთრებული ყურადღება გობრონს მიაქცივს, ვითარცა სახელგანთქმულ „მხედარს“ (მეომარს) და რჩეულ „ჰაბუკს“. მას ქრისტიანული რჯულის დატოვება და მაჰმადიანობის მიღება შესთავაზეს და სამაგიეროდ დიდი ჯილდო და მთავრის პატივის ბოძება აღუთქვეს. გობრონის თანამედროვე, X საუკუნის მწერლის გადმოცემით, ამირა აბულ-კასიმს ასეთი სიტყვებით მიუმართავს გობრონისათვის: „სიკეთე სიჰაბუკისა შენისა“ მეცოდება და სასიკვდი-

ლოდ მშურს „მჯედრობა შენი“ და თუ რჯულს შეიცვლი, რა დიდი რაზმის, ათასეული თუ ათი ათასეულის მეთაურობასაც ისურვებ, დაგნიშნავ მეთაურად, მოგცემ სასახლეს, კარვებს, მონებს, აქლემებს, მრავალნაირ შესანიშნავ საჭურველს და ლაშქრის ერთ-ერთ ყველაზე პატივცემულ და რჩეულ წინამძღოლად გამყოფებო. ჭაბუკმა გობრონმა უარი განაცხადა მამა-პაპეული რჯულის უარყოფასა და მტრის სამსახურში გადასვლაზე. სამშობლოს ღალატს მოწამებრივი სიკვდილის გვირგვინი არჩია. მრავალი წამების შემდეგ გობრონ-მიქაელს 914 წლის 17 ნოემბერს თავი მოჰკვეთეს.

სიცოცხლეს გამოასალმეს ყველის ციხის დამცველი სხვა აზნაურებიც.

'ყველის ციხის დაცვას და გობრონის მოწამებრივ ღვაწლს აღნიშნავს XI საუკუნის ისტორიული თხზულებაც — „მატიანე ქართლისაჲ“: ყველის ციხეში იყოო „ჭაბუკი ერთი, სახელით გობრონ; ებრძოდა შიგნით გამოღმართ ყოველთა დღეთა მოყუასთა თჳსთა თანა, და ვითარ წარიღეს ციხე იგი, შეიპყრეს წმინდა გობრონ და აწამეს“[4].

გობრონ-მიქაელ ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მისი ღვაწლი სამშობლოსა და ქრისტიანული ეკლესიის წინაშე ეპისკოპოსმა სტეფანე მტბევარმა აღწერა თხზულებაში „წამება წმინდისა მოწამისა გობრონისი“.

ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია, რომ თუ ადრე (V—VII სს.) ქართული მარტვილოლოგია ისეთ თხზულებებს ქმნიდა, სადაც მარტოოდენ ქრისტიანული სარწმუნოების წინაშე ღვაწლდადებულ პირთა ცხოვრება იყო გადმოცემული (წმინდანების — შუშანიკის, ევსტათის, აბოს, კოლაელთა წამებანი), ახლა იქმნება თხზულებანი პირველ რიგში სამშობლო ქვეყნის დაცვისათვის თავდადებულ გმირთა დამსახურების უკვდავსაყოფად და სადიდებლად. წმინდანთა რანგში აჰყავდათ ისინი, ვინც სიცოცხლეს არ ზოგავდა შემოსეული მტრისათვის საკადრის პასუხის გასაცემად, ეწამება სამშობლო ქვეყნის და მშობლიური სარწმუნოების ერთგულებას. სამშობლო ქვეყნის იდეალი ამ დროს ახალ სიმაღლეზეა აყვანილი.

კოსტანტი-კახი და გობრონ-მიქელი ის გამოჩენილი რაინდებია, რომელთა სახელებმაც ჩვენამდე მოაღწია მათი მოწამებრივი სიკვდილის გამო, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის წყალობით.

IX—X საუკუნეთა მანძილზე რაინდობის მთელ მასას აწევს გარეშე მტერთა შემოსევებისაგან სამშობლოს დაცვის მძიმე ამოცანა. X საუკუნის დასასრულიდან მატულობს ჩვენი ცნობები ქართული

---

4 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 263—264.

რაინდული ლაშქრის მოქმედებებისა და მიღწევების შესახებ. შესაძლებლობა გვაქვს თვალი გადავადევნოთ ცალკეულ დიდებულ აზნაურთა საგვარეულოების წარმომადგენელთა რაინდულ მოღვაწეობას. ერთ-ერთი ასეთი საგვარეულოა ტაოს ფეოდალური სახლის წევრი იოანე ათონელი. ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში ის უმთავრესად თავისი მწიგნობრული საქმიანობით არის ცნობილი. მართლაც, მან დიდი კვალი დასტოვა ქართული კულტურის დარგში. მაგრამ შემონახული ცნობებით ისიც ირკვევა, რომ მის მიერ განვლილი ცხოვრების ნაწილი, ცხოვრების მთელი პირველი პერიოდი საომარ ველზე მიღწეული წარმატებებით ყოფილა აღნიშნული. როგორც ჩანს, ამ დროისათვის (X ს-ის დასასრული) უკვე ყალიბდება ქართველი რაინდის ისეთი ტიპი, რომელსაც არა მხოლოდ სამხედრო წვრთნა და სამხედრო საქმეთა ცოდნა აქვს მიღებული, არამედ დახვეწილი მწიგნობრული განათლებაც და რომელიც თავისი რაინდული ვალის მოხდის შემდეგ ხშირად ქართული კულტურის სარბიელზეც სტოვებს კვალს. ასეთია, მაგალითად, იოანე ათონელი (მთაწმინდელი), მისი საერისკაცო სახელია აბულჰერ, X საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა, საქართველოს გარეთ ქართული მონასტრების — ამ დროის კულტურულ-საგანმანათლებლო მძლავრი კერების, დამაარსებელია. საბერძნეთში, ათონის მთაზე მან დააარსა ე. წ. ივერთა ლავრა, სადაც მისი თაოსნობით ნაყოფიერი მოღვაწეობა გაიშალა ბერძნული ენიდან ქართულად წიგნების თარგმნისა და გადაწერის დარგში. ამ მხრივ დიდი ამაგი ქართულ მწიგნობრობას და მწერლობას იოანესთან ერთად მისმა უმცროსმა შვილმა ექვთიმემ დასდო. ათონის ივერთა მონასტერი „შეიქმნა მკვიდრ სამწერლობო-სამეცნიერო დაწესებულებად, რომელიც საქართველოს მაშინდელ განათლებულ ქვეყნებთან აერთიანებდა“ (ივ. ჯავახიშვილი).

ამასთანავე ირკვევა, რომ იოანე ათონელი, სანამ ის ბერად აღიკვეცებოდა. განთქმული ყოფილა რაინდულ საქმეთა ასპარეზზედაც. 1042—1044 წლებში გიორგი მთაწმინდელმა (ხუცესმონაზონმა) დაწერა თხზულება — „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი“, სადაც იოანეს შესახებ აღნიშნავს, რომ ის იყო „მშობელთა და პაპათაგან დიდებული და წარჩინებული და საჩინო მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მჴნე და ახოვანი და გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი წ ყ ო ბ ა თ ა შ ი ნ ა; მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისაჲთა და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულის მის-ყოფითა; და სავსე შიშითა ღვთისათა და ყოველთავე კეთილისა საქმითა, და ფრიად საყვარელი და საკუთარი კეთილად ხსენებულისა დავით კურაპალატისა“.

ეს მოკლე დახასიათება მრავლის მთქმელია: დავით კურაპალატის მთავრებს შორის აბულჰერ-იოანე „დიდებული და წარჩინებული და საჩინო“ ყოფილა. ის დავით კურაპალატის საშუალო ვასალი—„საკუთარია“; შემკულია საუკეთესო ფიზიკური თვისებებით — „მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისადთა“; გამოირჩევა თავისი გონებრივი და სულიერი თვისებებით — არის „ბრძენი და გონიერი“ და ღვთის მოსავი; ცნობილია კეთილი საქმეებით და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ამჯერად ჩვენთვის, ყოფილა „განთქმული წყობათა შინა“; მაშასადამე, გამოჩენილი და სახელოვანი მეომარი, ბრძოლა-შებმის ოსტატი („წყობა“, როგორც ცნობილია, ძველ ქართულში შებმასა და ბრძოლას აღნიშნავს). ისტორიკოსი ალ. ხახანაშვილი ნაშრომში „Очерки по истории грузинской словестности“ ასე ახასიათებს მას: „преподобный Исаии... был известен своими военными подвигами и храбростью на службе царя Давида Курапалата“[5] — ასეთია იმდროინდელი რჩეული რაინდის დახასიათება.

რჩეული მეომრის კიდევ უფრო დიდი სახელი ჰქონია ტაოს მთავართა — ჩორჩანელთა საგვარეულოს თვალსაჩინო წარმომადგენელს— იოანე-თორნიკეს: გიორგი მთაწმინდელი მას „დიდ თორნიკეს“ უწოდებს; მისი სახელი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბიზანტიის საიმპერატორო კარზეც ყოფილა განთქმული. ეს ის თორნიკეა, რომელიც საქართველოს ისტორიაში თორნიკე ერისთავის სახელით არის ცნობილი. თორნიკე ერისთავს წილად ხვდა განსაკუთრებული როლი შეესრულებინა X საუკუნის 70-იან წლებში საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობაში. ამ ნიჭიერი სარდლის წინამძღოლობით ქართულმა ლაშქარმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ფარგლებს გარეთ და თავისი ძლევამოსილება ცხადყო. ეს ისტორიული ფაქტი ქართული, სომხური თუ ბიზანტიური წყაროების ცნობებზე დაყრდნობით ზედმიწევნით არის გამოკვლეული ქართულ ისტორიოგრაფიაში[6]. მოკლედ გადმოვცემთ ჩვენც ამ ამბავს: 976—979 წლებში ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყდა სამხედრო ფეოდალური არისტოკრატია მისი უძლიერესი წარმომადგენლის, ბიზანტიის მხედართმთავრის ბარდა სკლიაროსის მეთაურობით. ბარდა სკლიაროსმა თითქმის მთლიანად დაიპყრო ბიზანტიის იმპერიის აზიური ნაწილი და

---

[5] А. Хаханов, Очерки по истории грузинской словестности, вып. II, 1897, გვ. 12.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, 1948, გვ. 126; ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში. 1969; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 478—479; ს. უაუხიშვილი, გეორგიკა, V, 1963, გვ. 38—39; Н. Ломоури, К восстанию Барды Склира, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, 1957.

იმპერიის სატახტო ქალაქისაკენ, კონსტანტინოპოლისაკენ მოიწევდა შეუჩერებლივ. ბიზანტიის მთავრობას ამ მძიმე განსაცდელის ჟამს საქართველოს დახმარების იმედი გაუჩნდა და გადაწყვიტა ტაოს ძლიერი მეფის დავით კურაპალატისათვის მიემართნა დახმარების თხოვნით. საქართველოსთან ეშუალოდ დაკავშირების საშუალება ამ დროს ბიზანტიისათვის გაძნელებული იყო, ვინაიდან ბარდა სკლიაროსს სამიმოსველო გზები ჩაეკეტა. ამიტომ ბიზანტიის მთავრობამ ასეთ საშუალებას მიმართა. მისთვის ცნობილი იყო, რომ ბიზანტიის ტერიტორიაზე მდებარე მონასტერში იმყოფებოდა მონაზვნად, ხოლო წარსულში საბრძოლო დიდებით მოსილი რაინდი, დიდი თორნიკე. მასთან ბიზანტიის მთავრობამ სასწრაფოდ მოციქულები აფრინა ვედრებით სამეფო კარზე გამოცხადებულიყო.

იოანე-თორნიკე, ბრძოლებში ნაცადი კაცი, „წყობათა შინა აღზრდილ იყო და სალაშქროთა საქმეთა“ დიდად გამოცდილი. მაგრამ საბრძოლო დიდებით განვლილი ცხოვრების შემდეგ, მონასტერში ბერად იყო აღკვეცილი და დარჩენილი სიცოცხლის მშვიდობასა და მყუდროებაში გატარებას აპირებდა. მაგრამ განგებამ სხვაგვარად განსაჯა. საბრძოლო ვნებათა ღელვის მთავარი განსაცდელი თორნიკეს ჯერ კიდევ წინ ედო.

ბიზანტიის მთავრობისაგან მოვლენილმა წარჩინებულმა მთავარმა დედოფლის წიგნები გადასცა მონასტრის წინამძღვარს ათანასის, აგრეთვე იოანე ათონელს და იოანე-თორნიკეს. გიორგი მთაწმიდელის სიტყვით, ამ წერილებში ნათქვამი ყოფილა: „უღმრთო სკლიაროსი გაგუადგა და ჯმელითა კერძი ყოველი დაიპყრა. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქუენსა, რაჲთა თჳნიერ ყოვლისა მიზეზისა იოვანე-თორნიკე მოვიდეს მეფობისა ჩუენისა“. „და სხუანი მრავალნი ვედრებანი და ქენებანი* ეწერნეს სამეუფოთა მათ წიგნთა შინა“[7].

მაგრამ სამონაზვნო ცხოვრებისათვის გამზადებული თორნიკე უარს ამბობდა „სოფლის შფოთთა“ საქმეებში ჩარევაზე. მონასტრის წინამძღვარმა ათანასიმ და თორნიკეს სულიერმა მოძღვარმა იოანე (ათონელმა) საბოლოოდ მაინც დაითანხმეს თორნიკე და ის ბიზანტიის სამეფო კარზე გამოცხადდა. აქ თორნიკე დიდი პატივით მიიღეს. გიორგი მთაწმინდელის გადმოცემით, ბიზანტიის დედოფალმა, რომელიც მცირეწლოვანი შვილის ბასილის მაგიერ მართავდა ქვეყანას, გვერ-

---

* ქენება — ხვეწნა-მუდარა.

[7] „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა, აღწერილი გლახაკისა გიორგისა მიერ ხუცესმონაზონისა“. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, 1967.

დით მოისვა თორნიკე და თავის შვილებს — ბასილს და კონსტანტის თორნიკეს „ფერჯთა შევარდნა უბრძანა“ დახმარების მუდარით.

დაიწერა „წიგნები ვედრებისა“ დავით კურაპალატის სახელზე და თორნიკე მოციქულად გაემგზავრა ტაოს მეფე დავითთან, გააცნო მას საქმის ვითარება. დავითი დათანხმდა ლაშქრის გაგზავნაზე თორნიკეს წინამძღოლობით ბიზანტიის მისაშველებლად. დავითმა, ამასთანავე, თავისი მოთხოვნებიც წარუყენა ბიზანტიის მთავრობას — დაეთმო მისთვის ტაოს მოსაზღვრე მიწა-წყალი. თორნიკე „რჩეულ მხედართაგან“ შედგენილ 12 ათასიან ქართულ ლაშქარს ჩაუდგა სათავეში და გაშალა ბრძოლა ბარდა სკლიაროსის ჯარების წინააღმდეგ (ზოგიერთი წყაროს ცნობით, თორნიკესთან ერთად ქართულ ლაშქარს სარდლობდა აგრეთვე ტაოს მთავარი ჯორჯიკიც). ბიზანტიელთა ლაშქარმა ქართველების დახმარებით ბარდა სკლიაროსს მწვავე დამარცხებები მიაყენა, რომელთაგან გადამწყვეტი იყო ბრძოლა მდ. ღალისის პირას. ქართულმა ლაშქარმა თორნიკეს მეთაურობით სკლიაროსის ჯარებს ირანის საზღვრამდე სდია და ხელთ იგდო დიდძალი ქონება. ბიზანტიის ხელისუფლებასთან წინასწარ დადებული შეთანხმების ძალით მთელი ნაალაფევი ქონება თორნიკეს საკუთრებად იქცეოდა: თორნიკემ მოპოვებული სიმდიდრის ნაწილი თავის ლაშქარს გაუყო, ნაწილი კი თავისთვის დაიტოვა — „ნატყუენავი დიდძალი ფრიად: ოქრო და ვერცხლი და სტავრა და სხუა ესევითარი“. ამ სიმდიდრით შემდგომ იოანემ და თორნიკემ ათონის მთაზე ქართველთა მონასტერი ააშენეს. თვითონ თორნიკე ამ ლაშქრობის შემდეგ კვლავ მონაზვნურ ცხოვრებას დაუბრუნდა.

გაწეული დახმარების საზღაურად ბიზანტიამ დადებული პირობისამებრ დავით კურაპალატს გადასცა ტაოს მოსაზღვრედ მდებარე ვრცელი პროვინციები.

ქართული რაინდული ლაშქრის ამ ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ ნარატიული წყაროების გარდა, დოკუმენტური ხასიათის ცნობებიც გვაქვს. ესაა ამ ფაქტის ახლო ხანებში ამოკვეთილი წარწერა ზარზმის ეკლესიაზე და X საუკუნის ერთ ხელნაწერზე გაკეთებული მინაწერი. ზარზმის ეკლესიის წარწერა გაკეთებულია, როგორც ჩანს, ამ ლაშქრობის მონაწილე ივანე სულას ძის მიერ. წარწერა გვამცნობს, რომ ზარზმის ეკლესიის ეგვტერი აშენებულია „მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი“ და დავით კურაპალატმა „უშუელა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგუავლინნა, სკლიაროსი გავაქციეთ“[8].

---

8 ლაპიდარული წარწერები, I, 1980, გვ. 280—281.

X საუკუნის ერთი ხელნაწერის მინაწერი კი მოგვითხრობს, რომ, როდესაც ბიზანტიაში გამოჩნდა „ქაცი განლაღებული“ და „აღუდგა წმიდათა მეფეთ“, იოვანე თორნიკ-ყოფილი „სწრაფად მოიწია“ დავით კურაპალატთან და „ბრძანებითა ამათითა დააჭეა“ სკლიაროსის ბოროტი განზრახვა და ტახტზე განამტკიცა „წმინდანი მეფენი“ ბიზანტიისა[9].

იოანე-თორნიკესა და იოანე-ათონელის თაოსნობით აშენებულ ქართველთა მონასტერში ათონის მთაზე ბოლო დრომდე შენახული ყოფილა თორნიკეს საომარი საჭურველი. XVIII საუკუნის მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც ეს მონასტერი მოინახულა, გადმოგვცემს, რომ „მონასტრისა მის საგანძურსა ძეს მრავალნი ქართველთაგან შემოწირულნი საყდრისა სამკაულნი თუ შესამოსელნი და კუალად ძეს თორნიკის საჭურველნი: ზუჩი, ჯაჭვნი და აბჯარი და ჯრმალი“[10].

ცნობილი ქართველი მეცნიერის ს. ყაუხჩიშვილის ცნობით, 1903 წელს ბერძნულ ენაზე გამოცემულ წიგნში „მთაწმინდა“, სადაც მოთხრობილია ქართველთა მონასტრის შესახებაც, აღნიშნულია, რომ ქართველთა მონასტრის ბიბლიოთეკაში დღემდის ინახებაო ამ უმამაცესი მებრძოლის, თორნიკეს ჯაჭვის პერანგის შესაკრავი და მისივე ისარი თათრული სახისა ნაწილობრივ შეჭყლეტილი[11].

ქართული რაინდობის თვალსაჩინო წარმომადგენლებად გვევლინებიან თორნიკეს და მისი ძმის იოანე-ვარაზვაჩეს შვილებიც. როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ისინიც საომარი ბრძოლებით აღსავსე გზას შესდგომიან და ქართული რაინდული ლაშქრის სახელისა და დიდებისათვის სიცოცხლე შეუწირავთ. იოანე-ვარაზვაჩეს შვილები, როგორც X საუკუნის ერთ ქართულ ხელნაწერზე შემონახული მინაწერებიდან ვგებულობთ[12], ყოფილან — ძიქელ ჩორდვანელ და თორნიკე-ძცირე. ვარაზ-ვაჩეს და თორნიკეს ამავე წყაროს ძიხედვით, კიდევ სამი ძმა ჰყოლიათ — ბაგრატ, არშუშა და აბუჰარბ. ამათი შვილებია: ჩორდვანელ-პატრიკი და ბაგრატ, პატრიკიენ.

ერთ-ერთ ამ ორ ჩორდვანელთაგანს X საუკუნის დამლევს ბიზანტიაში აგრეთვე უსახელებია თავი თავისი სამხედრო საქმიანობით: როდესაც ბიზანტიის იმპერატორს ბასილ II-ს კიდევ ერთხელ აუჯანყდა სამხედრო არისტოკრატია ამჯერად ბარდა ფოკას მეთაურობით, დავით

---

9 გეორგიკა, V, გვ. 38—39.

10 ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ელ. მეტრეველის გამოცემა, 1956, გვ. 22.

11 გეორგიკა, V, გვ. 42.

12 თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, 1892, წ. I, გვ. 108.

კურაპალატი ამ უკანასკნელს, აჯანყებულ ბარდა ფოკას მიმხრობია და მის დასახმარებლად თავისი ლაშქარი გაუგზავნია. ამავე დროს ბარდა ფოკას მხარეზევე მცირე აზიაში მოქმედებს კიდევ ერთი ნაწილი ქართული ლაშქრისა, რომელსაც ჩორდვანელი მეთაურობს. XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოზ ტარონელის ცნობით, ბასილ კეისარმა ჩორდვანელის წინააღმდეგ თავისი ჯარი გაგზავნა, რომელმაც ორჯერ გაუმართა ბრძოლა ჩორდვანელს და მეორე ბრძოლაში დერჯანიის მხარეში, ბაგარანდის მინდორზე 990 წელს რომ მოხდა, ჩორდვანელი მოკლეს. ეს ბრძოლა, როგორც ჩანს, გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო, ვინაიდან ისტორიკოსი აქვე ასკვნის: „ამიერიდან მთელ საბერძნეთში მშვიდობიანობა დამყარდა“[13]. სტეფანოს ტარონელი კიდევ ერთი ჩორდვანელის შესახებ იძლევა ცნობას და მას თორნიკეს ძმისშვილს უწოდებს. ეს ჩორდვანელი, მაგისტროსი, სტეფანოსის სიტყვით, 988 წელს ტყვედ ჩავარდა, როდესაც ბიზანტიის ლაშქრის სათავეში (მაგისტრ დალასენთან ერთად) არაბებისაგან იცავდა ანტიოქიას[14].

გარდა ამისა, ალეპოელი არაბი ისტორიკოსის ქემალ-ედდინის ცნობით, X საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ბარდა ფოკა ჩრდილო სირიაში შეიჭრა, ბიზანტიელთა მეწინავე ლაშქარს სათავეში ქართველი ედგა (ქართველი რაზმის მეთაურის სახელი ქემალ-ედდინს დამახინჯებით აქვს მოცემული, მაგრამ სახელის დაბოლოება „ელ“-ზეა და ვარაუდობენ, რომ ის შეიძლება ჩორდვანელად იქნას წაკითხული. ეს ქართველიც იღუპება ბრძოლაში).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვარაზ-ვაჩესა და თორნიკეს ჩამომავლობა მამების საბრძოლო მოღვაწეობის კვალს გაჰყოლია, ზოგი მათგანი დაღუპულა კიდევაც საომარ ველზე და ვერ მიუღწევია იმ ასაკამდე, როდესაც, ბრძოლებგადახდილი რაინდები თავინთი საბრ-

---

[13] Всеобщая история Степаннса Таронского, Асохика. Пер. с арм. Н. Эмина, 1864, გვ. 180, ციტირებული გვაქვს ვ. კოპალიანის წიგნიდან „საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში“, 1969, გვ. 62.

[14] Всеобщая история ..., გვ. 190—191; ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63, მოჰყავს რა სტეფანოს ტარონელის ეს ორივე ცნობა, ვ. კოპალიანი გაკვირვებას გამოთქვამს — როგორ მოხდა, რომ 988 წ. ტყვედ წაყვანილი ჩორდვანელი 980-იანი წლების დამლევს დერჯანიის და ტარონის რაიონებში მოქმედ აჯანყებულთა ბანაკს ჩაუდგა სათავეში, იქნებ ქრონოლოგიური შეცდომაა სტეფანოზ ტარონელის ცნობაში და უფრო ადრე დაატყვევესო იგი. ვ. კოპალიანს, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამოეპარა, რომ X საუკუნის ხელნაწერის მინაწერიც ორ სხვადასხვა ჩორდვანელს იხსენიებს და სტეფანე ტარონელის ორი ცნობაც ორ სხვადასხვა ჩორდვანელს გულისხმობს.

ძოლო იარების მოშუშებასა და განვლილი ბობოქარი ცხოვრების გახსენებასღა ეძლევიან ხოლმე ჩვეულებრივ და ხშირად სამონასტრო სავანეებს აფარებენ თავს, ამქვეყნიური ცხოვრების ცდომილებათა მონანიებას უძღვნიან დარჩენილ სიცოცხლეს.

ჩორდვანელის სახლიდან გამოსულმა გამოჩენილმა ქართველმა რაინდებმა თავიანთი სამშობლოს გარეთ დალიეს დღენი და თავიანთი საბრძოლო ენერგია სხვა სახელმწიფოს საქმეებს შეალიეს. მაგრამ მათში მუდამ ცოცხლობდა ეროვნული შეგნება და როდესაც კი შესაძლებლობა ეძლეოდათ, ქართულ საქმეს, ქართული მონასტრის მშენებლობას ჰკიდებდნენ ხელს და ქართული კულტურის განვითარებისა და აღმავლობისათვის იღვწოდნენ.

განსაკუთრებით ითქმის ეს XI საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანის შესახებ.

ქართული რაინდობის ტიპიურ წარმომადგენლად XI საუკუნეში გვევლინება გრიგოლ ბაკურიანის ძე, იმ დროის ფართოდ ცნობილი პირი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. გრიგოლ ბაკურიანის შესახებ ცნობები შემოგვინახა ქართულმა, ბიზანტიურმა და სომხურმა წყაროებმა.

დღეს ჩვენ გვაქვს არაერთი ქართული და არაქართული გამოკვლევა, სადაც ეს ცნობები სათანადოდ გაანალიზებულია და მათ საფუძველზე, შესაძლებლობის ფარგლებში, აღდგენილია გრიგოლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბევრი საინტერესო ფაქტი, მოცემულია, ამასთანავე, მისი ახლო ნათესავების ვინაობისა და საქმიანობის დადგენის ცდაც.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში გრიგოლ ბაკურიანი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ინტერესს იწვევს იმდენად, რამდენადაც ის არის ამ ეპოქის, კერძოდ XI საუკუნისათვის, მეტად დამახასიათებელი მოღვაწე და პირველ რიგში გამოჩენილი მეომარი, რომელმაც თავისი ჩინებული საბრძოლო თვისებების წყალობით მაღალ მდგომარეობას მიაღწია. დამახასიათებელია ამ დროისათვის, რომ მაღალ მდგომარეობას საბრძოლო წარმატებათა მოპოვების გზით მან მიაღწია არა საქართველოში, რომლის ღვიძლი შვილიც იყო თავისი წარმოშობით, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ, უმთავრესად ბიზანტიის იმპერიაში.

არსებულ გამოკვლევათა მონაცემებზე დაყრდნობით მოკლედ ჩამოვაყალიბებთ გრიგოლ ბაკურიანის ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად ფაქტებს[15].

---

15 გრიგოლ ბაკურიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფაქტები შედარებით ყველაზე სრულად თავმოყრილი აქვს სომეხ ბიზანტინისტს ვ. არუთინოვა-ფიდანიანს წიგნში „Типик Григория Бакурианш“ და ჩვენც, პირველ რიგში, ამ გამოკვლევას

გრიგოლ ბაკურიანის ძე ტაოელ წარჩინებულ საგვარეულოს ეკუთვნოდა. გრიგოლის მამას ერისთავთერისთავის მაღალი პოსტი ეჭირა. როგორც თვითონ გრიგოლი წერს, მამეული ქონებიდან წილი მას არ შეხვედრია — დედას საგვარეულო ყმა-მამული გრიგოლის დებისათვის ვაუტანებია მზითევში. გრიგოლი და მისი ძმა აბასი კი, თავინთი ვასალებით — ყმებითა და მსახურებით ტოვებენ საქართველოს და საზღვარგარეთ მიდიან ბედ-იღბლის საძებრად — ბიზანტია, სომხეთი, სირია — ის ქვეყნებია, სადაც გრიგოლის მოღვაწეობა მიმდინარეობდა 1064 წლამდე. ამ პერიოდში მან, როგორც ჩანს, უკვე თვალსაჩინო მდგომარეობა და სახელი მოიპოვა, ვინაიდან 1064 წელს ის ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან საკმაოდ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო სამხედრო დავალებებს ღებულობს.

X საუკუნის დამდეგს ბიზანტიამ საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე თავისი სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი — ივირიის საკატაპანო შექმნა, ძირითადად ქართული და სომხური მიწებისაგან შემდგარი. მისი მთავარი ციხე-სიმაგრე ქ. ანისი იყო. 1064 წელს ამ ოლქს დიდი საფრთხე დაემუქრა თურქი სელჩუკების სახით. მძიმე გასაჭირის ჟამს კონსტანტინოპოლიდან ანისს სასწრაფოდ გაგზავნილ იქნა გრიგოლ ბაკურიანი, რათა ანისის გამაგრება და დაცვა უზრუნველეყო. ეს დავალება ბიზანტიის მხრიდან გრიგოლის სამხედრო ტალანტის მაღალ შეფასებად და დიდი ნდობის მაჩვენებლად არის კვალიფიცირებული სპეციალურ საისტორიო ლიტერატურაში[16]. გრიგოლს, მართლაც, ენერგიული ზომები მიუღია ქალაქის გასამაგრებლად, მაგრამ ის მცირე დრო, რაც მის განკარგულებაში იყო და ადგილობრივი ჯარის არარსებობა, რის გამოც ანისის ციხე-სიმაგრის დაცვა მოქალაქეებს ეკისრებოდათ, ანისის დაცემა განაპირობეს. თურქ სელჩუკთა სულთნის ალფ არსლანის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ანისის ციხე-სიმაგრეს. ალყა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მართალია, ანისის ციხე-სიმაგრის აღება თურქებმა ვერ შესძლეს, მაგრამ საბოლოო ჯამში ქ. ანისი მაინც დაიმორჩილეს, დაიდო საზავო ხელშეკრულება.

გრიგოლი ამის შემდეგ კვლავ მონაწილეობს ბიზანტიის ომებში და, როგორც ჩანს, წარმატებით. ამ გზით მან მნიშვნელოვანი მამულები შეიძინა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ხოლო ბიზანტიის მთავრო-

---

ვეყრდნობით. ვერ გავიზიარებთ მხოლოდ ამ აეტორის აზრს, თითქოს გრიგოლი ტაოს სომხური საგვარეულოს წევრი იყოს. ეს შეხედულება მთელი დამაჯერებლობით უარყოფილია ბოლოდროინდელ გამოკვლევაში (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971; ნ. ლ ო მ ო უ რ ი К истории грузинского Петрицонского Монастыря, 1981 და სხვ.) და სადღეისოდ, ვფიქრობთ, გრიგოლის ქართველობა ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს.

[16] В. А. А р у т ю н о в а-Ф и д а н я н, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

ბისაგან მაღალ თანამდებობას ღებულობს — ხდება ივირიის ოლქის მმართველი — დუკა და უფრო გვიან კი აღმოსავლეთის დიდი დომესტიკოსი, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთის სამხედრო ძალების მთავარსარდლის მაღალი პოსტი მიეცა. ამ პერიოდშია, რომ გრიგოლი, როგორც ამას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება", ბანას (ტაო) მისული მეფე გიორგი II-ს ეწვევა და ვრცელ ტერიტორიას გადაცემს — ოლთისს, კარს, კარნუ-ქალაქს ციხე-სიმაგრით და „მის მომდგომ ქვეყანას"[17]. ამ მიწებს საქართველოსათვის ძვირფასი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. გიორგი მეფემ ეს ადგილები საიმედოდ გაამაგრა და ციხე-სიმაგრეთა მცველებად შავშელი აზნაურები ჩააყენა[18]. ეს მიწები იმ საკატაპანოს ნაწილი იყო, რომელიც გრიგოლს ჰქონდა სამმართველოდ მიცემული ბიზანტიის მთავრობისაგან. ცხადია, ამ მიწების საქართველოს მეფისათვის თვითნებურად გადაცემა გრიგოლს არ შეეძლო, მაგრამ, ეტყობა, მას ბიზანტიის მთავრობისაგან სათანადო სანქცია მიღებული ჰქონდა. ბიზანტიას ამ დროს ძალიან ავიწროებენ თურქი სელჩუკები, ზედიზედ იკავებენ მის პროვინციებს და ამ დროსაა, რომ აღმოსავლეთის დომესტიკოს და ივირიის დუკას გრიგოლ ბაკურიანს უჩნდება იდეა საქართველოს გადასცეს მისდამი სამმართველოდ ჩაბარებული მიწები და რამდენადაც ამ მიწებს მაინც სელჩუკთა ხელში გადასვლის საფრთხე ემუქრებოდა, ბიზანტია ამაზე ადვილად დაითანხმა.

70-იანი წლების მეორე ნახევარში გრიგოლის სამოღვაწეო ასპარეზი ბალკანეთზეა გადატანილი. გრიგოლს აქ გაწეული სამსახურის სამაგიეროდ ბიზანტიისაგან დიდძალი მამულები აქვს მიღებული.

80-იანი წლების დამდეგს გრიგოლი აქტიურად ერევა ბიზანტიის შინაპოლიტიკურ ვითარებაში: 1081 წელს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტის ხელთ ჩაგდების მიზნით შეთქმულებას აწყობს კომნენთა არისტოკრატული საგვარეულოს წარმომადგენელი ალექსი კომნენი. ამ შეთქმულების აქტიური მონაწილეა გრიგოლ ბაკურიანი. წარმატების შემთხვევაში მას ალექსი კომნენი დასავლეთის დიდი დომესტიკოსის ტიტულის ბოძებას შეპირდა. შეთქმულებმა გაიმარჯვეს გრიგოლის ენერგიული ხელშეწყობით. ალექსი კომნენმა საიმპერატორო ტახტი დაიკავა და გრიგოლ ბაკურიანს მიცემული პირობა შეუსრულა — დასავლეთის დიდ დომესტიკოსად, ე. ი. ბიზანტიის იმპერიის ევროპული ნაწილის მთელი სამხედრო ძალების მთავარსარდლად დანიშნა.

1083 წელს ბულგარეთში, რომლის ტერიტორიაზეც გრიგოლს დიდძალი მამულები ჰქონდა შეძენილი, აარსებს ქართველთა მონას-

---

17 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318.

18 იქვე.

ტერს და უწერს მას წესდებას. ეს მონასტერი, პეტრიწონის მონასტრის სახელით ცნობილი, XI—XII საუკუნეებში ქართული კულტურისა და განათლების ერთ-ერთ მძლავრ კერას წარმოადგენდა.

დასავლეთის დიდი დომესტიკოსის პოსტზე დანიშნული გრიგოლ ბაკურიანი წარმატებით განაგრძნობს ბიზანტიის იმპერიის სამსახურს: 1081 წელს ბიზანტიის სახელმწიფოს დიდი შეტაკებები აქვს ისეთ ძლიერ და საშიშ მტერთან, როგორიც იყვნენ ნორმანი ვიკინგები. ამჯერად მათ სათავეში ედგა ენერგიული რობერ გვისკარი. მისი მეთაურობით 1081 წლის გაზაფხულზე ნორმანთა ჯარი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადავიდა და გაშალა სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომელსაც გრიგოლ ბაკურიანი წარმატებით იგერიებს თავისი ხელქვეითი ჯარების მეშვეობით. ამასთანავე, ბიზანტიის მთავრობის დავალებით, მოწინააღმდეგის ძალების დასასუსტებლად, გრიგოლი მიმართავს ცალკეული ნორმანი გრაფების მოსყიდვა-გადმობირებას.

ამავე ხანებში ბიზანტიას თავს ესხმიან პაჭანიგთა და ყივჩაღთა მომთაბარე ტომები, გრიგოლი წარმატებით აწარმოებს მათ წინააღმდეგაც ბრძოლას და ბრწყინვალე გამარჯვებებსაც აღწევს. შემდეგში განსაკუთრებული სიამოვნებით გრიგოლი იგონებდა ერთ-ერთ ასეთ გამარჯვებას პაჭანიგებზე და წერდა პეტრიწონის მონასტრისათვის დაწერილ ტიპიკონში, რომ ჩემს შემდეგ კიდევ დიდხანს ეხსომებათო ეს საკვირველი „ძლეულებაი". ამ ომში მიღწეული გამარჯვების ჯილდოდ იმპერატორ ალექსი კომნენს სხვა ძვირფასეულობებთან ერთად თავისი საკუთარი სამეფო შესამოსელიც უწყალობებია გრიგოლისათვის[19]. ყივჩაღებთან ერთ-ერთ ბრძოლაში კი გრიგოლი ტყვედ ჩავარდნილა. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ის კვლავ სარგებლობს იმპერატორ ალექსი კომნენის დიდი ნდობით და უხვი წყალობით. ალექსი დიდად აფასებდა გრიგოლ ბაკურიანის სამხედრო ტალანტს, ანდობდა მას დიპლომატიურ მისიებს (ბოემუნდ გვისკართან მოლაპარაკება და სხვა.).

1086 წელს ბიზანტიას აუჯანყდნენ პავლიკიანები, რომელნიც შეუერთდნენ პაჭანიკებს. მათ წინააღმდეგ იმპერატორმა ალექსიმ გაგზავნა თავისი სამხედრო ძალა გრიგოლ ბაკურიანისა და ვრახის მეთაურობით. ბიზანტიის ჯარი ამჯერად რიცხობრივად საგრძნობლად მცირე იყო (ძირითადი ძალები ბიზანტიას ამ დროს ნორმანების წინააღმდეგ ჰყავდა დაბანდებული). პაჭანიკებთან და პავლიკიანელებთან შებმის დროს ბიზანტიელთა ჯარმა გამანადგურებელი დამარცხება განიცადა. ამ ბრძოლაში ჰპოვა თავისი ცხოვრების დასასრული გრიგოლ ბაკურიანმა: ერთ-ერთ ხელჩართულ ბრძოლაში, როგორც აღწერილი აქვს ანა

---

19 ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

კომნენოსს, უბედური შემთხვევის გამო (თავი დაჰკრაო მუხის ხეს) გრიგოლი დაიღუპა[20].

მთელი ცხოვრება ახალგაზრდობიდან დაწყებული სიკვდილის წუთამდე გრიგოლმა საომარ ველზე, ბრძოლებში გაატარა, ისე როგორც, მისივე თქმით, ნათესავებმა მისმა („თჳსთა") და მრავალრიცხოვანმა მისმა „ერმა" (ამ „ერში" გრიგოლი, ჩანს, თავის ყმა-ვასალებს, სამხედრო რაზმს გულისხმობს): „ჰასაკითგან სიყრმისა ჩემისაჲთ, — წერს გრიგოლი, — და ვიდრე სიბერედ ჩემამდე არაოდეს უდებ ვიქმენ დათხევად სისხლთა ჩემთა და თჳსთა ჩემთასა და მრავლისა მის ერისა ჩემისასა"; „მცირედნი-ღა ვინმე ჩუენგანნი მომკუდარ არიან სარეცელსა ზედა თჳისსაზე მშვიდობით, უფრო მეტად მტერთაისა მახვილითა მომწყდარ არიან"[21].

გრიგოლის ცხოვრების დასასრულიც ამ სიტყვების ცხადლივი დადასტურებაა.

ახლო ნათესავთაგან გრიგოლი „ტიპიკონში" იხსენიებს თავის მამას ერისთავთერისთავს ბაკურიანს და ძმას აბასს. აბასმა გრიგოლთან ერთად გაიზიარა სამშობლოდან გადახვეწილი მეომარ-რაინდის საბრძოლო თავგადასავლებით სავსე ცხოვრება და სამხედრო სამსახურის გზით ბიზანტიის მთავრობისაგან დიდი პატივი (მაგისტროსის ტიტული) და მამულების წყალობა მოიპოვა. მოპოვებული სიმდიდრის ნაწილი, აბასის ანდერძის თანახმად (1083 წლისათვის აბასი უკვე გარდაცვლილია), გრიგოლმა მონასტრის მშენებლობას მოახმარა, ისე როგორც საკუთარი მონაგებიც, ხოლო მამულები მონასტერს შესწირა.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, გრიგოლი და აბასი, დაწყებული მათი მამა-პაპიდან, გამოჩენილ რაინდ-მეომართა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ. მკვლევართა მიერ დადგენილია[22], რომ ჯერ კიდევ გრიგოლის პაპის მამა — ჯოჯიკი ერისთავთ-ერისთავი და, მაშასადამე, საერისთავთ ერისთავოს ჯარების წინამძღოლი იყო. ეს ის ერისთავთერისთავი ჯოჯიკია, რომელიც დავით კურაპალატმა თორნიკე ერისთავთან ერთად 12 ათასიანი ჯარის სათავეში ბარდა სკლიაროსის აჯანყების წინააღმდეგ გაგზავნა ბიზანტიაში (X ს. 70-იანი წლების მეორე ნახევარი).

გრიგოლის პაპა, აგრეთვე ერისთავთერისთავი, სახელად ვაჩე-ბაკურიანი თავის ძმებთან, თევდატსა და ფერსთან ერთად 983—984

---

[20] Анна Комнина, Алексиада, изд. Я. Н. Любарского, т. II, 1965.

[21] ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

[22] ამ საკითხებზე აღსანიშნავია ე. ჰონიგმანის, ა. კაჟდანის, გ. ლიტავრინის, ვ. არუთინოვა-ფიდანიანის, ს. ყაუხჩიშვილის (გეორგიკა V), ვ. კოპალიანის და სხვათა ნაშრომები.

წლებში სათავეში უდგას დავით კურაპალატის მხედრობას. 998 წ. ის მონაწილეობს ბრძოლაში არაბთა წინააღმდეგ, რომელსაც დავით კურაპალატის ჯარები ეწევიან. ხლათთან ბრძოლაში ის ტყვედ ვარდება.

ვაჩე-ბაკურიანს და მის ძმებს — თევდატსა და ფერსის ბიზანტიის მთავრობამ პატრიკიოსის ტიტული უბოძა.

ფერსი (ანდა ფერის) ჯოჯიკის ძე ქართული, სომხური და ბიზანტიური წყაროებით კარგად არის ცნობილი. მას დიდი თანამდებობა ეკავა—ჩრდილო ტაოს მმართველისა—მეფე გურგენ ბაგრატის ძე ბაგრატიონის კარზე. როდესაც დავით კურაპალატი 998 წ. ბრძოლას ეწეოდა ამირას წინააღმდეგ, გურგენ მეფემ მას 6 ათასი რჩეული ცხენოსანი გაუგზავნა ფეროს ჯოჯიკის ძის მეთაურობით. ქართველთა და სომეხთა ერთობლივი ბრძოლა არაბთა ამირას წინააღმდეგ ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკურ ურთიერთობათა მკვლევარი, ისტორიკოსი ვ. კოპალიანი აღნიშნავს: „ბრძოლაში გამარჯვების ერთ-ერთი ორგანიზატორი და მეთაური ფერის ჯოჯიკის ძე იყო, რომლის ხელქვეითები უნდა ყოფილიყვნენ იმ ომის გმირები (ასევე გამოჩენილი ქართველი რაინდები, გ. ა.) — ძმები გამრეკლები.

შემთხვევითი არ იყო, რომ 1001 წელს ბასილ კეისარმა სხვა ქართველ წარჩინებულებთან ერთად ფერის ჯოჯიკის ძე სამშობლოს მოაცილა და იძულებით ბიზანტიაში წაიყვანა. იგი, ჩანს, მშობლიური ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო და მისი ტაოში დატოვება ბასილი კეისრისათვის სრულებითაც არ იყო ხელსაყრელი“[23].

შემდეგში, ბიზანტიაში ყოფნის დროს, ფერის ჯოჯიკის ძე გარეული აღმოჩნდა ბასილი კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, რომელსაც ფარულად საქართველოს მეფე გიორგი I-ც უჭერდა მხარს. შეთქმულების მონაწილეთ ბასილ კეისარმა თავი მოჰკვეთა და ამ უკანასკნელთა რიცხვში ფერის ჯოჯიკის ძეც იყო.

ფერისის შვილი ჯოჯიკი (ე. ი. გრიგოლის მამის ბიძაშვილი) დოროსტოლის სტრატეგად იხსენიება. 1001 წ. ბიზანტიის კეისარმა ის პატრიკიოსის ხარისხში აიყვანა.

გრიგოლის მამა ალუზ-ბაკურიანიც ერისთავთერისთავია. გრიგოლის გადმოცემით, ის ადრე გარდაიცვალა. შესაძლებელია, ბრძოლის ველზე ანდა იქ მიღებული ჭრილობისაგან — თავიანთ სარეცელზე ხომ იშვიათად კვდებოდნენ გრიგოლის ნათესავები და როგორც თავად ამბობს გრიგოლი: „უფრო მეტად მტერსაჲსა მახჯლითა მომწყუდარ არიან“, და, როგორც ზემოთ დავინახეთ, გამოირჩევიან ვითარცა მე-

---

[23] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112 (ქართულ, სომხურ და ბერძნულ-ლათინურ წყაროებზე დაყრდნობით ვ. კოპალიანს დადგენილი აქვს ძირითად ხაზებში ფერის ჯოჯიკის ძის მოღვაწეობა. ჩვენ ამ გამოკვლევას ვემყარებით).

ომარნი და ჯარების წინამძღოლნი. უდავოდ მაღალი საბრძოლო თვისებების მქონე პროფესიონალი მეომარ-რაინდი ჩანს თვითონ გრიგოლი. იმპერატორ ალექსი კომნენის ქალიშვილი ანა თავის ცნობილ თხზულებაში „ალექსიადა“ ასე ახასიათებს გრიგოლს: ეს იყო „ტანით მცირე, მაგრამ სულით კი უდიდესი მეომარი“.

გრიგოლ ბაკურიანმა მაღალი მდგომარეობა და დიდი სახელი მოიპოვა სწორედ თაობებით გამომუშავებული მაღალი სამხედრო გაწვრთნილებისა და აგრეთვე თავისი თვალსაჩინო სამხედრო ნიჭის წყალობით.

სომეხი მეცნიერი ვ. არუთინოვა-ფიდანიანი თავის გამოკვლევაში „Типик Григория Бакуриана“ გრიგოლის პიროვნების დახასიათებისადმი მიძღვნილ პარაგრაფში აღნიშნავს „Религиозная терпимость, преданность клану, полководческие таланты (как следствие постоянных военных занятий на протяжении многих поколений) — эты черты не были индивидуальными, присущими только Григорию или только Пакурианам. Это характерные и постоянные признаки очень своеобразного социального слоя, котэрый можно назвать пограничной аристократией.

Пакурианов же следует считать классическим образцом этого слоя“[24].

რაც შეეხება მეომრულ თვისებებს, ეს მართლაც, არ იყო ნიშანდობლივი მხოლოდ გრიგოლისათვის და მხოლოდ ბაკურიანებისათვის, ის მართლაც-და, გარკვეული სოციალური წრისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ არა მხოლოდ „სასაზღვრო არისტოკრატიისათვის“, როგორც ამას წერს ციტირებული ნაშრომის ავტორი, არამედ მთელი იმ რაინდული საზოგადოებისათვის, რომელიც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა და თვალსაჩინო ძალას ქმნიდა ფეოდალურ საქართველოში IX—XII საუკუნეების მანძილზე.

შესაძლოა, ერთი შეხედვით საოცრად გვეჩვენოს, რომ გრიგოლ ბაკურიანი, ანდა რომელიმე სხვა გამოჩენილი თუ რიგითი ქართველი რაინდი, საქართველოს მკვიდრი, ქართული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი ამ ხანებში ესოდენ ხშირად ბიზანტიის იმპერატორის სამსახურს, ბიზანტიის საგარეო მტრების წინააღმდეგ ბრძოლას, თუ საიმპერატორო კარის შინაპოლიტიკური საქმეების მოწესრიგებას ალევს ხოლმე თავის ნიჭსა და ენერგიას და ხშირად სიცოცხლესაც კი, ამავე დროს გულში ყოველთვის თავისი სამშობლო ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტად რჩება და ყოველთვის ახლოა მისთვის საქართველოს

---

[24] В. А. Арутюнова-Фиданян, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

სახელმწიფო ინტერესები. ამის ცხადი მაგალითია გრიგოლ ბაკურიანის ცხოვრებაც. ბიზანტიისაგან თავისი სამხედრო სამსახურის ნაცვლად ჯილდოდ მიღებულ მიწებს ის საქართველოს სამეფოს გადასცემს, გარდა ამისა, აარსებს ქართული კულტურის კერას — პეტრიწონის მონასტერს და დაუღალავად ზრუნავს მის გაძლიერებაზე. ფრანგი მკვლევარი, გრიგოლ ბაკურიანის სამონასტრო ტიპიკონის ბერძნული ტექსტის გამომცემელი ლუი პტი ასე ახასიათებს გრიგოლს: „გულით ქართველი, მხურვალე პატრიოტი, თითქმის ფანატიკოსი“[25].

ამ ერთი შეხედვით თითქოსდა წინააღმდეგობრივ ფაქტებს — სამშობლოს გულმხურვალე სიყვარულს და ამავე დროს უცხო სახელმწიფოთა სამსახურში თავდადებას და სიცოცხლის შეწირვას — თავისი ახსნა მოეპოვება, ის ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკურ სიტუაციაშია საძიებელი. საქმე ისაა, რომ X—XI საუკუნეთა ქართული სახელმწიფო ჯერ არ იყო იმდენად ძლიერი, რომ თავისი მეომარ-რაინდების ფართო ინტერესები დაეკმაყოფილებინა, ე. ი. აქტიური საგარეო პოლიტიკა და დაპყრობითი ომები ეწარმოებინა, რაც, ჩვეულებრივ, ყველა ქვეყანაში რაინდობის განვითარების მასაზრდოებელი აუცილებელი სტიმულია ხოლმე. X—XI საუკუნეებში საქართველოს ხშირად გარეშე მტრების — ჯერ ბიზანტიის, შემდეგ თურქ სელჩუკთა თავდასხმების მოგერიება უხდებოდა. მათი შემოტევების მოგერიება ქართული ლაშქრის ერთადერთი საომარი სარბიელია ამ დროს. არ ხდება არც რაიმე თვალსაჩინო გამარჯვებები — რაინდს რომ სახელის მოპოვების შესაძლებლობას მისცემდა, არც მდიდარი ნადავლის მოპოვება ხდება, არც მიწებისა და სამფლობელოების შემოერთება, რაინდობას ყმა-მამულის გაზრდის პერსპექტივებს რომ დაუსახავდა. რაინდი-მოლაშქრისათვის კი მთავარი მიზანსწრაფვა სახელის მოხვეჭასთან ერთად საომარი ნადავლის ხელთგდება, სიმდიდრის მოპოვებაა. ეს საერთოდ ყველა ქვეყნის რაინდული ლაშქრის დამახასიათებელი მოვლენა და ნიშანია. ამის შესახებ ევროპელი ისტორიკოსების არაერთ ნაშრომშია საუბარი. მაგალითად, ფრანგმა ისტორიკოსმა ჟ. დიუბიმ სპეციალური წერილი უძღვნა ამ საკითხს და ამ ფაქტის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების დადგენის ცდას იძლევა. ის მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ მოვლენის მიზეზია მაიორატის კანონი. XII საუკუნის საფრანგეთში იქმნება ფეოდალთა განსაკუთრებული კატეგორია (წყაროებში ისინი იხსენიებიან „juvenes“-ის სახელით — ახალგაზრდა, უმცროსი), ისინი ფეოდალის უმცროსი შვილები არიან, რომელთაც მიიღეს რაინდის წოდება, მაგრამ არა აქვთ საკუთარი მიწის სამფლობელო. ცხოვრებისეული არაუზრუნ-

---

[25] ციტირებული გვაქვს ა. შანიძის ზემოთ დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 23.

ველკოფილობის გამო მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ სამხედრო კონფლიქტში, წავიდნენ ჯვაროსანთა ლაშქრობაში (რამაც XII საუკუნეში დიდი გავრცელება ჰპოვა)[26]. ისტორიკოს ი. ბესმერტნის აზრით, ეს ახსნა სწორია, მაგრამ, მისი აზრით, ბოლომდე გახსნილი ვერ არის. ე. წ. „ძველი სენიორების" ქვეყნებში (ანუ იქ, სადაც ფეოდალური სენიორები დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა), განსაკუთრებით, ჩრდილოეთ საფრანგეთში, სადაც განსაკუთრებით სწრაფად ხდებოდა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება, შინაგანმა კოლონიზაციამ უკვე ამოწურა შესაძლებლობანი. სენიორალური მიწების არსებული ფონდი საკმაო აღარ იყო ფეოდალთა გაზრდილი რაოდენობისათვის და მათი გაზრდილი მოთხოვნილებებისათვის. საფრანგეთის შიგნით მატერიალური ბაზის გაფართოების საშუალება XII საუკუნეში რაინდობას დახშული ჰქონდა. ასე რომ, მეომრული სულისკვეთების მიზეზი, საბოლოო ჯამში, ფეოდალური ეკონომიკის განვითარების თავისებურებებთან არის დაკავშირებული ამ პერიოდში[27].

საქართველოც XI საუკუნეში, იგივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, უკვე „ძველი სენიორიების" ქვეყანაა და შინაგანი კოლონიზაციის შესაძლებლობანი მას ძლიერ შეზღუდული აქვს. ამიტომაა, რომ ქართული რაინდული რაზმები, აგრეთვე გამოჩენილი ქართველი მეომარსარდლები მიდიან იქ, სადაც მათთვის, მათი საქმიანობისათვის ფართო ასპარეზია გაშლილი და სადაც მათ სახელისა და დიდების მოხვეჭა, ახალი მიწების შეძენა და სიმდიდრე ელით. ერთ-ერთი ასეთთაგანი იყო გრიგოლ ბაკურიანი თავისი ძმით აბასით. ორივენი ბედისმაძიებელთა იმ რიცხვს ეკუთვნიან, რომელთაც ცხოვრებამ სავსებით გაუმართლა იმედები — საქართველოს ფარგლებს გარეთ სამხედრო სამსახურის გზით ამ თავისებურმა კონდოტიერებმა მაღალი მდგომარეობა, დიდი სახელი და სიმდიდრე მოიხვეჭეს.

მიდიან საზღვარგარეთ ბედის საძიებლად ამ დროს წვრილი აზნიურ-რაინდებიც. მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ ეპიზოდი, მოთხრობილი ქართველი მემატიანეების მიერ ბაგრატ IV-ის გამეფებასთან დაკავშირებით: როდესაც გარდაიცვალა მეფე გიორგი I, სამეფო ტახტზე მცირეწლოვანი ბაგრატი — 9 წლის ყმაწვილი აიყვანეს. ამ დროს ტაოელი აზნაურების მთელი გუნდი გადაუდგა ახლად გამეფებულ ყმაწვილ მეფეს და ბიზანტიაში გადავიდა. ამათგან მემატიანეები ასახე-

---

[26] G. Duby, Dans la France de Nord-Oest au XIIe siècle: les „Jeunes" dans la société aristocratique, Annales. Economies. Sociétés. Civilisation, 1964, № 5, გვ. 835—846.

[27] Ю. Л. Бессмертный, Причины воинственности средневековых рыцарей, Вопросы истории, 1965, № 7.

ლებენ ვაჩე კარიჭის ძეს და ბანელ ეპისკოპოსს იოვანეს და ზოგადად აღნიშნავენ, რომ მათთან ერთად გადავიდნენ „უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელიმე ციხოვანნი და რომელიმე უციხონი“ და ბერძენთა მეფე კონსტანტინეს ეახლნენ. როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, ეს აქტი — ტაოელ აზნაურთა ბიზანტიის მხარეზე გადასვლა, მასობრივ ხასიათს ატარებდა და მათ ძირითად ნაწილს ფეოდალთა ფართო მასა შეადგენდა. აზნაურთა ბიზანტიაში გადასვლა მომდევნო წელსაც ხდება. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს აქტი გაგებულია როგორც ცენტრალურ ხელისუფლებასა და დიდგვარიან აზნაურთა შორის წარმოებული შინაკლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი. სახელმწიფო ცენტრალიზაციისათვის ბრძოლის პერიოდში, რასაც ცენტრალური ხელისუფლება მიმართავდა, შინაკლასობრივი ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვარიან აზნაურობას შორის მთელი ძალით იჩენდა თავს. რამდენადაც მმართველობის ცენტრალიზაცია სასტიკად ემუქრებოდა დიდგვარიან აზნაურთა სენიორალურ უფლებებს. მაგრამ ამჯერად სულ სხვა ვითარება იყო შექმნილი — სამეფო ტახტზე სუსტი ხელისუფალი მცირეწლოვანი მეფე იჯდა, რომელსაც არ შესწევდა უნარი ფართო ცენტრალისტური პოლიტიკის გასატარებლად, ე. ი. სწორედ ის მდგომარეობა იყო შექმნილი, რომელიც ესოდენ სასურველი იყო მსხვილი აზნაურებისათვის. ასეთ დროს მათი წასვლა ქვეყნიდან ნიშნად პროტესტისა სამეფო ხელისუფლების მიმართ, სრულიად გაუმართლებელი, არალოგიკური იქნებოდა. ცხადია, რომ აქ სხვა მიზეზია საძიებელი, მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძირითადად წვრილ და საშუალო აზნაურთა გადასვლის ფაქტთან ბიზანტიაში. სუსტი სამეფო ხელსუფლების არსებობის პირობებში, როდესაც სახელმწიფოს არ ძალუძს აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება და მეომარ-რაინდებს არა აქვთ საგარეო ომებში მონაწილეობის პერსპექტივები, ისინი ამჯობინებენ თავიანთი ძალების გამოყენებას ბიზანტიის სამსახურში და ამ გზით სახელისა და მატერიალური სარფის მიღწევას.

მდგომარეობა ამ მხრივ მკვეთრად და არსებითად იცვლება XI საუკუნის ბოლოდან, როდესაც სახელმწიფოს სათავეში უდგება ახალგაზრდა ენერგიული მეფე დავით IV აღმაშენებელი, მისი ენერგიული მოქმედების შედეგად საქართველო სახელმწიფოებრივი ძლიერების მაღალ საფეხურს აღწევს და ინტენსიური ზრდა-განვითარების გზას ადგება. იწყება რაინდული ეპოქის აყვავების ხანა.

4. საქართველოს გაერთიანებული ფეოდალური მონარქია — რაინდობის აყვავების ხანა (XI—XII სს.)

საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელსაც დასაბამი X საუკუნის ბოლო მეოთხედში მიეცა, ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარების გაზრდილ მოთხოვნილებებს ემყარებოდა და მთელი ფეოდალური საზოგადოების მისწრაფებებს და ნება-სურვილს ასახავდა. მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება მხოლოდ საფუძველი იყო ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესაქმნელად, რის განხორციელება აუცილებელი იყო სახელმწიფო გაერთიანების შენარჩუნებისა და, საერთოდ, ქვეყნის შემდგომი საზოგადოებრივი წინსვლის უზრუნველყოფისათვის. მომდევნო XI და XII საუკუნეები ამ ამოცანის, მტკიცე ცენტრალისტური სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლის ხანაა. მთავარი დაბრკოლება ამ მხრივ მსხვილი ფეოდალური სენიორიების სიძლიერე — მათი დამთავრებული, მტკიცედ ჩამოყალიბებული სახეობა იყო, ბატონყმური წყობით, ვასალიტეტის ფართო ქსელით, მტკიცე საიმუნიტეტო უფლებებით. ფეოდალი-სენიორი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებაში თავისი ფართო პოლიტიკურ უფლებათა შეკვეცისა და გაუქმების რეალურ საშიშროებას ხედავდა მართებულად. ამიტომაცაა, რომ გაერთიანებული სახელმწიფოს არსებობის პირველსავე წლებიდანვე დაწყებული დიდგვარიან ფეოდალებსა და სამეფოს ხელისუფლებას შორის გამუდმებულ ბრძოლებსა და შეტაკებებს აქვს ადგილი.

სხვაგვარია საშუალო და წვრილ ფეოდალთა პოზიცია ძლიერი სამეფო ხელისუფლების მიმართ. ისინი მეფის გარშემო ცდილობენ დაჯგუფებას და ზურგს უმაგრებენ მეფეს ბრძოლაში მსხვილ ფეოდალთა უაღრესად გაფართოებულ უფლებათა წინააღმდეგ. გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს უკვე პირველივე მეფის, ბაგრატ III-ის (975—1014) გარშემო შემოკრებილი ჩანან ფეოდალთა ფართო მასები და მათი სახით, კარგად გაწვრთნილი და მრავალრიცხოვანი რაინდული ლაშქრის მეშვეობით ბაგრატ მეფე აღწევს თავის პირველ გამარჯვებებს შინაპოლიტიკურ სარბიელზე. მან იმასაც მიაღწია, რომ როგორც აღნიშნავს მემატიანე, ურჩ ფეოდალებს ჩამოართვა მსხვილი თანამდებობანი „და ადგილთა მათთა დაადგინა ერთგულნი და მოსწრაფედ

მორჩილნი ბრძანებათა მისთა... და განამრავლა ლაშქარი თჳსი უმეტეს ყოვლისა ჟამისა“.

გაზრდილი სამხედრო ძალის წყალობით მეფე ბაგრატმა წამოიწყო ბრძოლა საქართველოს გაერთიანებული სამეფოს გარეთ დარჩენილი ქართული მიწა-წყლის, ქართული სამთავროების — კახეთის, ჰერეთის, ტაოკლარჯეთის შემოერთებისათვის და წარმატებებსაც მიაღწია. მაგრამ მას ჯერ კიდევ შემოუერთებელი რჩებოდა თბილისი, ტაშირი, შულავერ-ბოლნისის ხეობები. გარდა ამისა, კახეთ-ჰერეთის სამთავროც მალე კვლავ ჩამოშორდა, საგარეო ვითარება მთელი XI საუკუნის მანძილზე, ვიდრე მის დასასრულამდე, არ იყო ხელსაყრელი საქართველოსათვის. საქართველოს ბიზანტიის ძლიერი შემოტევების მოგერიება უხდება. ამასთანავე საქართველოს შიგნით არ ცხრება ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. გადაუწყვეტელია მსხვილი და ძლიერი საფეოდალოების სენიორალური დამოუკიდებლობის საბოლოო ალაგმვის საქმე. ბაგრატ III-ის შემდეგ მისი მეძკვიდრე მეფენი — გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II ამავე დიდი პრობლემების წინაშე დგანან. მაგრამ განსაკუთრებით მძიმე საგარეო ვითარება შეექმნა საქართველოს XI საუკუნის შუა ხანებიდან, როდესაც მას ახალი საგარეო საფრთხე გაუჩნდა თურქ-სელჩუკთა მომთაბარე ტომების სახით. მათ დაიპყრეს ერანი, ერაყი, არაბთა ხალიფატის დედაქალაქი ბაღდადი და ამიერკავკასიაშიც შემოიჭრნენ. თურქ-სელჩუკთა ტომებმა დაიკავეს აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი. საქართველოს ეკონომიკა დიდი საფრთხის წინაშე დადგა. აღმოსავლეთ საქართველო თურქი მომთაბარეების საძოვრებისა და სანადირო ადგილად იქცა[28].

ამ რთულსა და მძიმე ვითარებაში, 1089 წ. სამეფო ტახტს იკავებს მეფე გიორგი II-ის ძე 16 წლის დავითი შემდეგში აღმაშენებლად წოდებული.

თურქი სელჩუკების საქართველოს საზღვრებიდან განდევნა პირველი რიგის უმნიშვნელოვანეს ამოცანად გაიხადა მაღალნიჭიერმა ახალგაზრდა მეფემ და მხნე, დაუღალავი ბრძოლის გზით ხელი მიჰყო ამ დიდი ამოცანის შესრულებას.

უპირველეს ყოვლისა, გამეფებისთანავე დავითმა დიდი ყურადღება მიაქცია ქართული რაინდული ლაშქრის გაძლიერების და მისი საბრძოლო დისციპლინის ამაღლების საქმეს. დავითის თანამედროვე ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ საქართველოს მხედრობა ძალიან შემცირებული იყო რიცხობრივად ტყვედ ჩავარდნისა და სხვა მიზეზების

---

28 საქართველოს ისტორის ნარკვევები, ტ. III, გვ. 209.

გამოო, ხოლო ისინიც, ვინც კი შემორჩნენ, ცხენებისა და იარაღის ნაკლებობას განიცდიდნენო. დავითმაც გამეფებისთანავე სათანადო ყურადღება მიაქცია რაინდული ლაშქრის იარაღსაჭურვლით და ცხენებით მომარაგებას. ამასთანავე ასევე დიდი ყურადღება მიაქცია მან ლაშქრის წვრთნას და დისციპლინის ამაღლებას. ამავე ისტორიკოსის სიტყვით, ქართული ჯარი „თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარი და ფრიად მოშიშნი“ ყოფილა. ალაშქრებდა რა მათ, ხშირ-ხშირად მეფე დავითი ბრძოლის პროცესში წვრთნიდა და ასწავლიდა საბრძოლო ხელოვნებას; ყოველნაირად ხელს უწყობდა მეომრებში მხნეობისა და გმირობისაკენ სწრაფვის დანერგვას. განსაკუთრებით მხნედ მებრძოლთ აჯილდოებდა და ქებას ასხამდა, ხოლო ჯაბანთა ჰაიცხავდა, სასაცილოდ იგდებდა — ქალის ტანისამოსით მოსავდა. საბრძოლო დისციპლინის ამაღლების მიზნით მეფემ აკრძალა მოლაშქრეთა შორის „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება, ღმრთისა საძულელი ან ყოველი უწესობა“.

ამრიგად, დავითმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული რაინდული ლაშქრის ორგანიზაციისა და განმტკიცების დარგში. მან დიდად გაამრავლა და გააძლიერა რაინდებისაგან შემდგარი ლაშქარი, დიდად აღამაღლა და განამტკიცა მისი ბრძოლისუნარიანობა. მთელი XII საუკუნის საქართველოს სამხედრო ისტორია ამის ცხადლივი ნათელყოფაა.

საბრძოლო დისციპლინის ამაღლების მიზნით მეფემ აკრძალა მოლაშქრეთა შორის „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება, ღმრთისა საძულელი და ყოველი უწესოება“.

საომრად გაწვრთნილი და დისციპლინირებული რაინდული ლაშქრის მეშვეობით მეფე დავით აღმაშენებელი ენერგიულად შეუდგა ქართული სახელმწიფოს გაერთიანების პროცესის დასრულებას, ქართული მიწების განთავისუფლებას უცხოელ დამპყრობთაგან და სახელმწიფო საზღვრების მტკიცედ დაცვას. რაინდულ ლაშქარს მოქმედების ფართო ასპარეზი გამოუჩნდა. ამიერიდან რაინდობა თავის სამხედრო ძალას და ნიჭს ბიზანტიის დაცვასა და კეთილდღეობას კი აღარ ალევს, არამედ ახლა დავით მეფემ რაინდობა, სამშობლო ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა და განმტკიცების, საზღვრების დაცვის და გაფართოების კეთილშობილურ საქმესახურში ჩააყენა.

ქართული სახელმწიფოს გაძლიერება, ცხადია, არაფრად მოეწონებოდათ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოცენებული სახანოების მაჰმადიან მფლობელებს, რომლებიც საქართველოს გაძლიერებაში წინასწარ ხედავდნენ საკუთარი პოლიტიკური არსებობის მოსალოდნელ საფრთხეს. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი მორიგი გამარჯვების შემდეგ, კერძოდ, საქართველოს მიერ კახეთ-ჰერეთის საბოლოო

შემომტკიცებისთანავე, მაჰმადიანი ხანები განძის ათაბაგის მეთაურობით გაერთიანებული ძალებით დაეცნენ საქართველოს. მტერი მრავალრიცხოვანი იყო, ქართველებს შედარებით მცირე ძალებით მოუხდათ შებმა. ბრძოლა მოხდა ერწუხთან (დღევანდელი საინგილოს ტერიტორიაზე). დავით მეფის ლაშქარმა დიდი გამარჯვება — XII საუკუნის ისტორიკოსის სიტყვით — „ჯმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა“ მოიპოვა მტერზე. ბრძოლაში დავითი თვითონაც უშუალოდ მონაწილეობდა. დავითის ისტორიკოსი წერს: „ხოლო თჳთ მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თჳთ წინა უვიდიდა, და ვითა ლომი შეუზახებდა ჯმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა; და თჳთ გოლიათებრ მომართებდა და მკლავთთა მტკიცითა დაამჯობდა ახოვანთა, სვრიდა და დასცემდა წინა დამთხეულთა ყოველთა, ვიდრემდის ფრიადისა ცემისაგან... ხმლითა მისით უკმომდინარითა სისხლითა წელნი აღსავსე ესხნეს... და მას დღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს და მეოთხესცა ზედა მჯდომმან სრულ ყო მის დღისა ომი“[29] და დაბრუნდა თავის ბანაკში და შეიხსნა რა სარტყელი, მისი წელის არიდან გადმოიღვარა სისხლი. დამსწრეთ ერთი პირობა მეფე დაჭრილი ეგონათ, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს ჰტრის სისხლი იყო, დაღვრილი ორთაბრძოლის, ესე იგი, პირისპირ შეჭიდების დროს. ბრძოლის სწორედ ეს ხერხი — ორთაბრძოლა იყო დამახასიათებელი რაინდული ომებისათვის ჩვეულებრივ. როგორც ვხედავთ, მეფე დავითი არა მარტო სარდლობდა, ხელმძღვანელობდა რაინდების შეჭიდებას გარეშე მტრებთან, არამედ თვითონაც პირადად მონაწილეობდა იარაღით ხელში სისხლისმღვრელ ბრძოლებში. ის ჭეშმარიტად, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეფე-რაინდი იყო.

დავითის დროს და მისი თაოსნობით, რაინდული ლაშქრის ძალთა ხერხიანი გამოყენების მეშვეობით, ბოლომდე იქნა მიყვანილი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული მიწების შემოერთება. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ დასაწყისი იყო. დავით მეფემ კარგად იცოდა, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჩამობუდებული თურქ-სელჩუკთა აგრესიული სასულტნოები საქართველოს მშვიდობიანი არსებობის მუდმივი მუქარა იქნებოდა, რომ ისინი მუდამჟამ ყოველ ღონეს იხმარდნენ საქართველოსათვის წაერთმიათ სელჩუკთა მესაქონლე მეურნეობისათვის ესოდენ საჭირო ნაყოფიერი საძოვრები.

დავითი ხედავდა რა კარგად ამ დიდ საფრთხეს, გადამწყვეტი

---

[29] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 329.

ბრძოლისათვის ემზადებოდა სასულტნოთა მაჰმადიანური რაკალის მოსაშლელად.

ამასთანავე, ცხადი იყო მისთვის ისიც, რომ ამ მეტად დიდი და რთული ამოცანის შესასრულებლად მარტოოდენ საქართველოს შინაგანი ძალები ვერ იქნებოდა საკმარისი. საჭირო იყო დამატებითი სამხედრო ძალის გამოძებნა და ამიტომ იყო, რომ დავითმა, როგორც გადმოგვცემს წყაროები, ჩრდილოეთ კავკასიიდან მეშველი სამხედრო ძალის სახით ყივჩაღთა ტომის 40 ათასი სახლი გადმოიყვანა საქართველოში და დააბინავა. მიუხედავად ყივჩაღთა დიდი რიცხვისა, საქართველოს სამხედრო ძალების ძირითად ბირთვს კვლავ ადგილობრივი ფეოდალური ლაშქარი — რაინდობა წარმოადგენდა.

დავით IV-ის გამეფებიდან დაწყებული და შემდგომ, მთელი XII საუკუნე სწორედ ის ეპოქა იყო, რომელიც ქართული ფეოდალური ლაშქრის — რაინდობის მისწრაფებებს, მიზნებსა და იდეალებს სავსებით პასუხობდა — ხშირი ძლევამოსილი საგარეო ომები სამშობლოს სასახელოდ გმირობის გამოჩენის ფართო ასპარეზს იძლეოდა. ამასთანავე, ახალ-ახალი მიწების და მთელი პროვინციების შემოერთება, ახალ-ახალი ციხე-სიმაგრეების აღება, დიდძალი ალაფის ხელში ჩაგდება — რაინდების კეთილდღეობისა და მოღონიერების, მათი გამდიდრების მუდმივი წყარო იყო, რაც განსაკუთრებით სჭირდებოდა, პირველ ყოვლისა, რაინდობის ფართო ფენებს — საშუალო და წვრილ ფეოდალებს.

ამდენად, დავით აღმაშენებელი, რომელიც ასე ხშირად ალაშქრებდა თავის რაინდულ ჯარს, სწორედ ის მეფე იყო, რომელიც განსაკუთრებით სასურველი და მიმზიდველი ჩანდა რაინდობის ფართო ფენებისათვის და ზრდიდა მათ ლტოლვას სამეფო ხელისუფლების გარშემო შემომტკიცებისაკენ. ხოლო ახალ-ახალი მიწების შემოერთება მეფეს საშუალებას აძლევდა თავის ერთგულთა უხვად დაჯილდოებისათვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ. ამას კი არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა დიდგვარიან ფეოდალთაგან ვასალების გაბნევა და მეფის გარშემო შემოჯგუფება, რაც, ცხადია, დიდგვარიან ფეოდალთა დიდ წყრომას იწვევდა. ამიტომაცაა, რომ, როგორც წერს დავითის ისტორიკოსი, საზოგადოების არა ყველა ფენა იყო კმაყოფილი იმ ფართო საომარი ოპერაციებით, რომელსაც დავით მეფე აწარმოებდაო. ისტორიკოსი თავის თხზულებაში საუბრობს მეფის „ვინმე მაბრალობელთა“ შესახებ, რომლებიც უკმაყოფილონი ყოფილან მხედრობის „განუსუენებულის მოლაშქრობისა და მიმოსვლის გამო“.

ვინ უნდა იყვნენ ეს „მაბრალობელნი“ მეფისა? ვფიქრობთ, ესენი სწორედ დიდგვარიან აზნაურთა წრეში არიან საძიებელნი და მხოლოდ იქ. სწორედ მათ ჰქონდათ ამისათვის საფუძველი. მეფე ფარ-

თოდ იყენებს რა საბრძოლო მიზნებისათვის როგორც თავის საკუთარ, ასევე დიდგვარიან აზნაურთა ვასალებს და გამოჰყავს ეს, ასე ვთქვათ, „კერძო“ ვასალები ფართო სახელმწიფოებრივ ასპარეზზე; ისინი მეფის ხელის შემყურენი ხდებიან და, ცხადია, მრავალი მათგანი ლამობს და ეძებს მეფის უშუალო ვასალობას. ამდენად მართებულია აზრი ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული, რომ დავით მეფე თავის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში ძირითადად საშუალო და წვრილ აზნაურთა ფართო ფენებს ეყრდნობოდა.

ქართული რაინდული ლაშქარი დავით მეფის დროს განუწყვეტლივ იწრთობოდა და ძლიერდებოდა გადატანილი ბრძოლების კვალდაკვალ. იზრდება მისი პოლიტიკური წონა და მნიშვნელობა. ახლა მას უფრო დიდი მასშტაბის ამოცანა ეკისრებოდა — საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს დაცვა, გარეშე მტერთა შემოტევების მოგერიება, ქართული ეროვნული თვითშეგნების, თვითმყოფობის განმტკიცება, სახელმწიფოს გაზრდილი პოლიტიკური მნიშვნელობის კიდევ უფრო გაფართოება, მისი საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე მტკიცედ გამოყვანა.

აღსანიშნავია, დავით აღმაშენებლის წარმატებანი შინაგანი რეაქციის, მსხვილი ფეოდალური სენიორების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ღონისძიებანი სახელმწიფო მმართველობის ცენტრალიზაციის დარგში. დავითის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ახალი ეტაპი იყო ქართული ცენტრალისტური სახელმწიფოს შექმნისა და შემდგომი განვითარების გზაზე. დავითის ღონისძიებანი სამეფო სასამართლოს ცენტრალიზაციის, ფეოდალთა სენიორალური იმუნიტეტის შეზღუდვის მიმართულებით, ცალკეული მსხვილი სენიორიების ლიკვიდაცია (ბაღვაშთა, აბულეთის — ძეთა[30]), სამოხელეო წყობილების ცენტრალიზაციისაკენ მიმართული ღონისძიებანი, საეკლესიო მმართველობის დემოკრატიზაცია და სხვა რეფორმები, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დავითის ღონისძიებანი სამხედრო დარგში. ყოველივე ამან მტკიცე საფუძველი შეუქმნა ქართული სახელმწიფოს სამხედრო და პოლიტიკურ ძლიერებას და ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების დონე. XII საუკუნეში საქართველო შინაგანი ეკონომიკური გაძლიერებისა და საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობის შეუჩერებელი ზრდის გზით მიდის და დიდი პოლიტიკის ასპარეზზე იწყებს გამოსვლას.

დავითის მიერ წარმოებულ მრავალ ომს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ცნობილი დიდგორის ბრძოლა, რომელსაც ფართო საერ-

---

30 რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შინაკლასობრივი ბრძოლა საქართველოში, 1973, გვ. 73—100.

თაშორისო რეზონანსი ჰქონდა. ბრძოლა მოხდა თურქ-სელჩუკთა მიერ მოწყობილ მაჰმადიანი მფლობელების მრავალრიცხოვან კოალიციასთან. სელჩუკიანები მეტად საშიშ მტერს წარმოადგენდნენ არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი ევროპისათვის ბიზანტიის მეთაურობით. სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლა ჯვაროსნულ ომად იქნა გამოცხადებული, რომელშიც ევროპის ქვეყნების რაინდობა ღებულობდა მონაწილეობას. ევროპას სათანადო ინფორმაცია ჰქონდა საქართველოს მიერ თურქ სელჩუკების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების თაობაზე, ისე როგორც ქართველებს ჯვაროსანთაგან წარმოებული ბრძოლების შესახებ და ამდენად საკვირველი არაა, რომ, როგორც გვამცნობს XII საუკუნის ევროპული, აღმოსავლური და ქართული წყაროები, ქართულ ლაშქართან ერთად დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია 200 ფრანგ ჯვაროსან რაინდსაც.

1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორთან მომხდარ ომში მონაწილეობდნენ როგორც სელჩუკთა ისე ქართველთა მხრით მრავალათასიანი ჯარები. ჯარების რიცხვის შესახებ სხვადასხვა და უმეტეს წილად გადაჭარბებული ცნობებია შემონახული, ზოგიერთი ცნობის თანახმად ქართველთა მხარეზე 40 ათასიანი ჯარი იბრძოდა. სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი კი დიდად ჭარბობდა ამ რიცხვს. მიუხედავად ამისა, ომი ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. მოპოვებულმა გამარჯვებამ დავითს გზა გაუხსნა ჯერ კიდევ მაჰმადიან მფლობელთა ხელში მყოფ თბილისის და მისი მიმდებარე მიწების ასაღებად. 1122 წლის დამდეგს თბილისი საქართველოს შემოუერთდა „და ამით დაასრულა დავით აღმაშენებელმა ქართული მიწა-წყლის შემოერთება-შემომტკიცების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი“[31].

დავით მეფის მემკვიდრე, დემეტრე მეფე აგრძელებს მამამისის საგარეო პოლიტიკას. ამ პოლიტიკის არსი, ქართული მიწების შემოერთებისა და თურქ მომთაბარეთა ძლიერი შემოტევების მოგერიების შემდეგ, ითვალისწინებდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოცენებული თურქული საამირო-სასულტნოების წინააღმდეგ ბრძოლას. თურქობის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მოკავშირენი იყვნენ „სომხეთისა და რან-შარვანის მოძმე კულტურული ხალხები“[32].

XIII საუკუნის საისტორიო თხზულება — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ დემეტრე მეფეს უწოდებს „მჯნეს ჯდომათა შინა და ძძლეს ბრძოლასა შინა“, რაინდს — „ჭაბუკს გორგასლიანს“.

დემეტრე განაგრძობს ბრძოლას საქართველოს მეზობლად წარ-

---

31 შ. მ ე ს ხ ი ა, ძლევაჲ საკვირველი, 1972.

32 საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, I, გვ. 186—187.

მოქმნილ მუსლიმანურ საამირო-სასულთნოების წინააღმდეგ, რომლებიც არ თმობენ თავიანთ პოზიციებს ამიერკავკასიაში.

XII საუკუნის 20-იან წლებში მეფე დემეტრე I თურქთაგან მიტაცებულ დმანისის ციხესა და ქ. ხუნანს იბრუნებს; 1130 წელს წარმატებით იგერიებს ხლათის სულთნის შემოტევას და ბრძოლის ველზე ძოპოვებული ნადავლით, როგორც შენიშნავს მემატიანე, მეფემ „აღავსნა საჭურჭლენი და ლაშქარნი მისნი“[33]; 1138 წელს დემეტრემ ილაშქრა ქ. განძის ასაღებად, საიდანაც ნიშნად გამარჯვებისა ჩამოიტანა ქალაქის კარი (ის დღესაც ინახება გელათის მონასტერში); ამავე დროს გრძელდება ბრძოლა ქ. ანისისათვის, რომელსაც დიდი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის.

როგორც ვხედავთ, ქართულ რაინდულ ლაშქარს საზრუნავი და საქმე არ ელევა და მის საქმიანობას ამ დროსაც გარკვეული წარმატებები ახლავს. ხოლო განსაკუთრებით ფართო გასაქანი კი რაინდობას XII საუკუნის ნახევარში, მეფე გიორგი III-ის დროს მიეცა. გიორგი III-ის მეფობა (1156—1184) აქტიურ საომარ მოქმედებათა გაშლით ხასიათდება. გიორგის სამეფო ტახტზე ასვლისთანავე მოეწყო ლაშქრობა სომხეთის ტერიტორიაზე აღმოცენებული მაჰმადიანური სამთავროს — ხლათის სასულტნოს წინააღმდეგ. განუწყვეტელი ლაშქრობები ეწყობა მომდევნო წლებშიც. საქართველო მკვეთრად უპირისპირდება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ თურქმანულ საამირო-სასულტნოებს და აქ მოსახლე ქრისტიანული ხალხების ბრძოლის მოთავედ გამოდის. ცილობის ძირითადი ობიექტი საქართველოსა და საამირო-სასულტნოებს შორის ამ პერიოდში ქ. ანისია. ანისის დაუფლებისათვის იბრძვიან არზრუმის მფლობელი სალდუხი, ხლათის სულტანი სუქმან II. ეს უკანასკნელი 1160 წელს კიდევ ერთხელ შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. ქართულმა ლაშქარმა შემოსეული მტერი სასტიკად დაამარცხა.

1161 წელს გიორგი III-მ ანისის ქრისტიანი მოსახლეობის ხელისშეწყობით ანისი საქართველოს შეუერთა. ამ ფაქტს ამიერკავკასიის მაჰმადიანი მფლობელების კოალიციური ლაშქრობა მოჰყვა. ქართულმა ლაშქარმა კვლავ იზეიმა მტერზე გამარჯვება.

60—70-იანი წლების მანძილზე თითქმის არ წყდება ქართული რაინდული ლაშქრის საომარი ექსპედიციები. უმეტეს წილად ისინი ქართველთა წარმატებით მთავრდება. გრძელდება ბრძოლა ანისისათვის.

---

33 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 366.

და როდესაც 70-იან წლებში ერთ ხანს მშვიდობა ჩამოვარდა, რაინდობამ გიორგი მეფეს მაშინვე თავისი უკმაყოფილება აუწყა: არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა![34] მოთხოვნა ტიპიურია ყველა ქვეყნის რაინდული ლაშქრისათვის.

ამ მოწოდების საპასუხოდ გიორგი მეფემ ლაშქარი რამდენიმე გუნდად გაჰყო და გაგზავნა სხვადასხვა მიმართულებით: ტაოს, შავშეთისა და კლარჯეთის ლაშქარი ოლთისის და ბანას ოლქების მოსარბევად; მესხნი და თორელნი — კარისა და აშორნიის; ქვემო ქართლის მოლაშქრები ამირსპასალარით სათავეში — მტკვრის სანაპიროს ჩაყოლებით განძამდე; სამეფო დომენის, ქართლისა და ლიხთიმერის შეერთებული სამხედრო რაზმები მტკვრის ორივე სანაპიროს მოსარბევად გაიგზავნენ განძიდან ვიდრე ხლათამდე; ჰერ და კახ მოლაშქრეებს ალაზნის შესართავიდან შირვანამდე ადგილების მორბევა მიენდოთ[35]. ეს ის მხარეები იყო, რომელთა საქართველოსათვის შემოერთებას ანდა იქ საქართველოს პოლიტიკური გავლენის გავრცელებას ქართული სახელმწიფოს მთავრობა, როგორც ეს ნათქვამია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომში, საჭიროდ თვლიდა თავისი „სამხედრო-პოლიტიკური და სტრატეგიული უზრუნველყოფისათვის. ეს იყო წინასწარი ბრძოლით დაზვერვა გადამწყვეტი ლაშქრობის წინ“[36].

ამ საომარ ექსპედიციებს, გარდა პოლიტიკური ავტორიტეტის გაზრდისა და ახალ-ახალი მიწებისა თუ ციხე-სიმაგრეების შემოერთებისა, მნიშვნელოვანი მატერიალური დოვლათიც მოჰქონდა, რაც სამხედრო დიდების და სახელის მოხვეჭასთან ერთად მოლაშქრეებისათვის არანაკლებ მიმზიდველ სტიმულს წარმოადგენდა.

ქართული რაინდული ჯარის საომარი განწყობილება, მისი ბრძოლის უნარიანობის განსაკუთრებული ზრდა მთელი სიცხადით გამოჩნდა თამარის მეფობაში (1184—1213). თვალნათლივ გამოჩნდა ამ დროისათვის ქართული რაინდული ლაშქრის პოლიტიკური გავლენისა და მნიშვნელობის საგრძნობი ზრდა. არცერთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოვლენა ამ დროს, არცერთი პოლიტიკური გამოსვლა არ ხდება რაინდობის („ლაშქრის“, „სპის“) აქტიური მონაწილეობის გარეშე.

აღწერს რა თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიას, ქართული ისტორიული წყარო აღნიშნავს, რომ ახლად კურთხეულ მეფე-ქალს „თაყვანი სცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა „შჯდსავე სამეფოსათა“[37].

რიდესაც „უგვარო“ ხელისუფალთა წინააღმდეგ დიდგვარიანთა გამოსვლის შემდეგ მსახურთუხუცესი აფრიდონ გადაყენებულ იქნა

---

34 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 5.

35 იქვე, გვ. 16.

36 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 279—280.

37 ქართლის ცხოვრება, II, 27.

თანამდებობიდან, ისტორიული წყაროს გამოთქმით მოხდა ეს „ნებითა და თნევითა ლაშქართათა“.

სრულიად აშკარაა მოლაშქრეთა აქტიური მონაწილეობა მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის გამოსვლაში, რომელიც პარლამენტის მაგვარი სათათბიროს („კარავის“) დაწესებას ისახავდა მიზნად. გამოსვლა უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ ამ მეტად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოძრაობაში ლაშქარი ყუთლუს მხარეზე ყოფილა და მას ზურგს უმაგრებდა. მას შემდეგ, რაც ყუთლუ-არსლანი შეპყრობილ იქნა და „ცნეს ესე“ ლაშქართა თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა მისისა“, მოლაშქრენი „შეიყარნეს და უკუადგეს თამარს“. მათ მოითხოვეს ყუთლუს განთავისუფლება და უვნებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ ძალას გამოიყენებდნენ[38].

შემდეგ, როდესაც თამარს საქმროდ შეურჩიეს რუსი მთავრის ძე იური და ჩამოიყვანეს საქართველოში, ეს ამბავი თამარს მოახსენეს „პატრიარქმან, დიდებულმან, ვაზირთა და ს პ ა თ ა“ და განამზადეს ქორწილი თამარის ნებართვის გარეშე. და შემდეგ, როდესაც თამარი უარს ამბობდა გათხოვებაზე, ის მისმა მამიდამ რუსუდან „დედოფალმან და ს პ ა თ ა აიძულეს ქმნად“[39].

თამარის მეფობაში განსაკუთრებით ფართო ასპარეზი ეძლევა რაინდულ ლაშქარს თავის გამოჩენისა და გამდიდრებისათვის. საქართველო ამ დროს გამუდმებულ ლაშქრობებს აწარმოებს სხვადასხვა მიმართულებით, არსებითად ეს არის ქართული ლაშქრის ტრიუმფალური სვლა ამიერკავკასიისა თუ უფრო შორეული მასშტაბით. შეიძლება ითქვას, წელიწადი არ გადის ლაშქრობების გარეშე. მათი უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. ეს ლაშქრობანი, როგორც წესი, ქართველთა ძლევა-გამარჯვებით და დიდძალი ალაფის ხელთ ჩაგდებით ბოლოვდება ხოლმე.

XII საუკუნის დასასრულისათვის საქართველოს ტერიტორია მისდამი დამორჩილებულ ყმადნაფიცი ქვეყნებით არის გარშემორტყმული. ქართული ჯარები უტევენ თურქმანული ტომების მიერ მინატაცებ მიწა-წყალს ამიერკავკასიაში და მცირე აზიის მიმართულებით, ლაშქრობენ სპარსეთის ტერიტორიაზე, ჩადიან კასპიის ზღვამდე; იგერიებენ დიდი წარმატებით მაჰმადიან მფლობელთა დიდ კოალიციურ გამოლაშქრებას —ცნობილი 1206 წლის ბასიანის ომი. ბასიანის ომში მოპოვებულ ქართველთა დიდ გამარჯვებას ასეთ შეფასებას აძლევს ივანე ჯავახიშვილი: „ყველასათვის ცხადი გახდა, რომ კავკასიის სამ-

---

38 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30.

39 იქვე, გვ. 37.

ხრეთის საზღვარზე საქართველოს სახელმწიფოს არც აღმოსავლეთის, არც დასავლეთის საშიშარი მეტოქე არ ჰყავდა"[40].

1210—1211 წლებში ქართველები სპარსეთს ლაშქრობენ და ხორასანამდე ჩადიან. ამ ექსპედიციამაც ქართულ ლაშქარს დიდი სახელი მოუხვეჭა[41].

მემატიანეს თქმით, „დალეწეს სპარსეთისა ქალაქნი და მარანდი ამოსწყუიდეს და ერანის ქუეყანა. ესდენად სიშორესა შინა მივიდენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა"[42].

ლაშქრობებს შორეულსა და არაშორეულ ქვეყნებში, გარდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისა და გავლენის ზრდისა, ის სარგებლობაც მოჰქონდა ქართული სახელმწიფოსათვის, რომ დაპყრობილი მიწებიდან უამრავი სიმდიდრე შემოდიოდა როგორც ძღვნისა და ხარკის, ასევე საომარი ნადავლის სახით. „ისტორიანისა და აზმანის" მოწმობით, საქართველო ხარკს ღებულობს განძის, სომხითის, ნახჭავნის, კოლას, არტაანის, კარნუ-ქალაქის, ერზინკის და მათ მიმდგომი სხვა ქალაქებისაგან[43]; საქართველოს სისტემატურად „მოუდიოდა გარეშემოთადაღმა ხარაჯა და ძღუენი ურიცხუ"[44].

იმდროინდელ წყაროთა თხრობა ქართული ლაშქრის მიერ მოპოვებულ ძლევა-გამარჯვებათა შესახებ სავსეა ბრძოლებში მოპოვებული „უთვალაეი და მიუწდომელი ალაფის" და ნადავლის აღწერით. ესაა ოქრო, ვერცხლი, თვალმარგალიტი და სხვა „განძი აურაცხელი", ესაა ათასობით ტყვე, უამრავი ოთხფეხა საქონელი, „სიმრავლე საჭურჭლეთა, ოქროთა და ლართა", რომელსაც „ვინმცა უძლო აღრიცხვად"[45].

აი, ერთ-ერთი ლაშქრობის ამგვარი შედეგი: „ხელთ იგდეს ქალაქი, თჳთ სულტანი, ცოლნი და შვილნი მისნი და ყოველი სიმდიდრე სულტნისა ქალაქისა. ესრეთ აღივსნეს სიმდიდრითა აურაცხელთა, თუალთა და მარგალიტთა, ოქროთა და ვერცხლითა, ჭურჭლითა ოქროსა და ვერცხლისათა, შესამოსლითა, საფენელითა და ყოველითა სიმდიდრითა ეგოდენ გამდიდრებულისა ქალაქისა, რომელ მოთხრობა ძნელ სადმე არს. აღივსნეს ცხენითა, ჯორითა, აქლემითა, საქონელი მათი თჳთ მათვე საჯედართა ძლით აჰკიდეს და წარმოემართნეს... აღივსო

---

40 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 279.
41 იქვე, გვ. 287.
42 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369.
43 იქვე, II, გვ. 99—100.
44 იქვე, გვ. 103
45 იქვე, გვ. 73—74.

ყოველი ქვეყანა სიმდიდრითა, ოქროთი, ვერცხლითა, თუალითა, მარგალიტითა"[46].

სპარსეთს ჩასული ქართველი მოლაშქრეები, შემოადგნენ რა ქ. თავრიზს, მოციქულები მოუვიდათ თხოვნით არ აეოხრებინათ ქალაქი. სამაგიეროდ ძღვენის მორთმევას აღუთქვამდნენ: ოქროსა და ვერცხლს, „უამრავლი თუალი პატიოსანს" და „მარგალიტს ძვირფასიანს". და, მართლაც, „მოიღეს ოქრო და ვერცხლი, ლარი, ცხენები, ჯორი, და აქლემი, თუალი, მარგალიტი, შესამოსელი, საზრდელი კმასაყოფი ლაშქართათვის. აღივსნეს დიდი და მცირე"[47]. თავრიზიდან ქართულმა ჯარმა მიანას ქვეყანას მიმართა. აქაც უვნებლობის ფასად მიანას მელიქმა მისცა „ოქრო და ვერცხლი და ქვანი ძვრფასისანი. აღავსნა მანცა ყოვლითა სიმდიდრითა"[48].

სპარსეთის სხვა ქალაქები კი მოლაშქრეებმა ბრძოლით დაიმორჩილეს და იქაც ისე „აღივსნეს საქონელითა", რომ გზის გაგრძელება ველარ შესძლეს და შინისაკენ ჰქნეს პირი. გზა-გზა კი მაინც ისევ ძღვნითა და არმაღნით ივსებოდნენ[49]. წამოუღიათ პირადად თამარ მეფისთვისაც — „თუალნი დიდ-ფასისანი, ძვრად საპოვნელნი და ჭურჭელნი უცხონი". მეფემ ამ ლაშქრობით მოპოვებული სიმდიდრისაგან წესისამებრ „მრავალნი გასცა ობოლთა და გლახაკთა ზედა და ლაშქართა ზედა გაყო საჭურჭლე დიდი; აღვსებულნი კუალად აღავსნა".

მატერიალური დოვლათის მოპოვება ლაშქრობათა შედეგების ერთი მხარეა. არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნია ისტორიკოსს ომი და ლაშქრობა, როგორც საშუალება მოლაშქრე-რაინდის მიერ სახელის მოხვეჭისა.

„დიდი და სასახელო საქმე" შესთავაზა ივანე მსახურთუხუცესმა დავით სოსლანს — ლაშქრობა გელაქუნისა და გურალუქის მიმართულებით.

ჯარების წინამძღოლნი ლაშქრობათა დაწყების წინ მიმართავენ რა მეომრებს განმამხნევებელი სიტყვებით, მათ ყურადღებას ამახვილებენ იმაზედ, რომ თუ წარსულში, ვახტანგ გორგასლისა ანდა დავით აღმაშენებლის დროს, იყვნენ სახელის მაძიებელი მეომარნი, რომელნიც სასიკვდილოდ სდებდნენ თავს ბრძოლის ველზე, რათა „ისტორიისაგან" ქება და შესხმა დაემსახურებინათ, ახლა დროა გადავაჭარბოთ მათ და ვაჯობოთ — „გარდავსტაცოთ ქება მაქებელთა და შემსხმელთაო". რაინდობისადმი მიმართულ ამგვარ სიტყვებში, რომელ-

---

46 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 102—103.
47 იქვე, გვ. 106.
48 იქვე, გვ. 107.
49 იქვე, გვ. 109.

საც „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი გადმოგვცემს, მივიწყებას არ არის მიცემული არცერთი რაინდული იდეალი: გარდა წინაპართა საბრძოლო სახელისა და დიდების, მოლაშქრეთ შეახსენებენ იმ გმირებსაც, რომელნიც თავიანთ მიჯნურთა სახელის ხსენებით სდებდნენ თავს საომარ ველზე, ანდა ბრძოლაში თავს სწირავდნენ ქრისტეს ღვაწლისათვის: „მოვიგონნეთ ვიეთნიმე სჯულისა და ქრისტეს კუალთა შედგომილებისათვის თავის-მსხმელნი ლანძღუთა და ტაფათა და კატაპელტთანი, და ვინმე გმირნი გოლიათნი, სახელის მძებრობისათვის არამრიდნი სიკუდილისანი ,და ვინმე მიჯნურნი და მნათობთა მათთა მოგონებითა ყოვლად უწყალოდ მქნელნი ჯორცთა და სულისანი. აჰა, ჩვენცა ჯელნი ჯრმლად და სული ღმრთად!“[50]

ღვთის მსახურება, გამოჩენილი მეომარ-რაინდის სახელის მოპოვება, მიჯნურისათვის თავის დადება, აი, ის სამი მთავარი იდეალი, რომელსაც თავს უნდა სწირავდეს ჭეშმარიტი რაინდი (ყველა ფეოდალური ქვეყნისა) და რასაც ქადაგებდნენ ქართული რაინდული ლაშქრის მეთაურნი ზემოთ მოტანილ სიტყვაში (ამ იდეალთა შორის ნახსენები არ არის პატრონისათვის თავის დადება, რაც რაინდის უპირველესი ვალი იყო, მაგრამ ის თავისთავადაც იგულისხმებოდა და ამ სიტყვის ავტორი (თუ მისი ჩამწერი) ამისათვის აღარ გარჯილა).

ამ იდეალებს სწირავდნენ ქართველი რაინდებიც თავს და „სახელს მიუწდომელსა და სარგებელს გამოუთქმელსა“ აღწევდნენ.

ქართველ მეფეებს, რომელნიც მოლაშქრეებთან ერთად ხმლით იბრძოდნენ საომარ ველზე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ჭაბუკ-მოყმეებს უწოდებს.

ამ საისტორიო წყაროს თქმით, გიორგი III იყო „სახელგანთქმული და უძლეველი მხედარი და უებრო ჭაბუკი“[51]. „სახელგანთქმული ჭაბუკი გორგასალიანი“ იყო გიორგი III-ის მამაც მეფე დემეტრე I.

გამოჩენილ მოყმედ გვისახავს ხსენებული წყარო თამარის მეუღლეს, დავით სოსლანს — ის იყო მოყმე, „წყობათა და ომთა შინა მჯნე“[52].

საუკეთესო ჭაბუკ-მოყმეებად რაცხს ისტორიკოსი მაღალი რანგის ზოგიერთ ხელისუფალთ: ამირსპასალარ და მანდატურთუხუცეს ყუბასარის შესახებ წერს, რომ ის „კარგი მოყმე და ჭაბუკი იყო“. „გაზრდილი პატრონთაგან“, „მოყმე ღირსი სპასპეტობისა“, „კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა“ იყო ამირსპასალარი ზაქარია სარგისის ძე მხარგრძელი, ასევე სხვა მხარგრძელებიც. მწი-

---

50 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 69—70.

51 იქვე, გვ. 11.

52 იქვე, გვ. 46, 100.

ბნობართუხუცესი ანტონი ყოფილა „კაცი შესახედავათაცა ჭაბუკი და გუარტომადაც“, ე. ი. წარმოშობითაც. მოყმეებად მოიხსენიებიან მსახურთუხუცესი ივანე, ჰერეთის ერისთავი გრიგოლ „და სხვანი“.

მაღალ სახელმწიფო თანამდებობის არმქონე პირთაგან „გამოცდილ ჭაბუკად“ წოდებულია სომხითელი აზნაურისშვილი ზაქარია ვარამის ძე, რომელიც დიდებულთა მორიგი განდგომის ჟამსაც ბოლომდე მეფის ერთგულად დარჩენილა.

ამავე დროს, ამ ერთეულ ჭაბუკ-მოყმეთა გარდა, ისტორიკოსი მათ მთელი მასის სახითაც წარმოგვიდგენს: „ლაშქრობენ მოყმენი“[53]; „იმერნი და ამერნი მოყმენი“ იბრძოდნენ ისე, „რომელი კმა იყო ძუელთაცა გოლიათთა და ჭაბუკთა ომად“; „ძლევა ბუმბერაზთა და მოყმეთა თამარისთა“; „თამარმა ნახნა მოყმენი მისნი პირითა ბრწყინვალითა“. „მოყმენი თამარისანი“, „დიდებულნი ბუმბერაზნი და მოყმენი“, ეს რაინდული მასაა, რომელიც ძლევამოსილად ლაშქრობს და იმარჯვებს მრავალრიცხოვან ომებსა და ბრძოლებში. XII საუკუნე ქართული რაინდობის აყვავების ზენიტი იყო.

ამავე დროს მთელი XII საუკუნის მანძილზე სახელმწიფოში არ ცხრება შინაკლასობრივი ბრძოლები ძირძველ დიდგვარიანთა მოთავეობით თავიანთი ნახევრად დამოუკიდებლობის და სენიორალური პრივილეგიების აღდგენისა და შენარჩუნებისათვის რომ წარმოებს.

ბრძოლის ამ ასპარეზზეც სამეფო ხელისუფლება, როგორც ჩანს, ისევ თავის უშუალო ვასალებს, თავის ერთგულ მოყმე-ჭაბუკთა ფართო მასას ეყრდნობა და იმარჯვებს.

ჯერ კიდევ გიორგი III-ის დროს, 1178 წელს მოხდა მსხვილი შეიარაღებული აჯანყება დიდგვარიანი ფეოდალის ივანე ორბელის მეთაურობით. ეს აჯანყება, რომელშიც მრავალი დიდგვარიანი აზნაური მონაწილეობდა, მიზნად ისახავდა ძლიერი მეფის, გიორგი III-ის ნაცვლად მისი ახალგაზრდა ძმისშვილის ბატონიშვილ დემნას აყვანას ტახტზე. ეს დიდი გამოსვლა გიორგი III-მ ძირფესვიანად ჩაახშო. ძლიერ ფეოდალთა ასე ფართოდ ჩაფიქრებულ და კარგად ორგანიზებულ აჯანყებაზე სამეფო ხელისუფლების სრული გამარჯვება მისი მოყმე ვასალების თვალსაჩინო რიცხობრივი ზრდის თვალნათლივი მოწმობაა.

დიდგვარიანთა უკანასკნელი მსხვილი შეიარაღებული გამოსვლა უკვე თამარ მეფის დროს, XII საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს მოხდა, როდესაც საქართველოდან განდევნილ თამარის მეუღლის, იური ანდრიას ძის გარშემო დაჯგუფდა უმაღლესი არისტოკრატია და მისი ტახტზე აყვანა სცადა. ამ ძლიერ შემოტევასაც გაუძლო სამეფო ხელისუფლებამ და მოიგერია ის. ამის შემდეგ ასეთ, ანდა თუნდაც

---

53 ქართლის ცხოვრება, გვ. 45.

უფრო მცირერიცხოვან და მცირე მნიშვნელოვან გამოსვლას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ადგილი აღარ ჰქონია. სრულიად ცხადი ხდებოდა, რომ საქართველოს XII საუკუნის დამლევისათვის სრული უნარი შესწევდა ძლიერი ხელით გასწორებოდა ყოველგვარ შინაპოლიტიკურ გამოსვლას და მღელვარებას. ესეც სამეფო ხელისუფლების ირგვლივ შემოკრებილ მოყმე-ჭაბუკთა რიცხობრივად გაზრდილი ლაშქრის და მისი მაღალი საბრძოლო ძლევამოსილების უტყუარ ნიშანს წარმოადგენდა იმ ბრწყინვალე გამარჯვებებთან ერთად, რომელსაც ეს ლაშქარი აღწევდა შინ შემოსეული მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში თუ საქართველოს მიწა-წყლის გარეთ წარმოებული მრავალრიცხოვანი ომებისა და სამხედრო ექსპედიციების მსვლელობაში.

საქართველოს სამხედრო ძლიერება შეესაბამებოდა ქვეყნის მზარდ ეკონომიკურ აღმავლობას. ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება, ქალაქების გაძლიერება-აყვავება ბუნებრივი შედეგი იყო იმ ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, რომელსაც საქართველო, დაწყებული XI საუკუნის დასასრულიდან, მტკიცედ და განუხრელად ადგა. ეს განვითარება სრულ საფუძველს უქმნიდა იმას, რომ სახელმწიფო ეკონომიკური აყვავების კიდევ ახალ საფეხურზე ასულიყო და სამეფო ხელისუფლების საყრდენი ძალების შემდგომი გაფართოების შედეგად, წარმატებით დაგვირგვინებულიყო საქართველოში ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ორსაუკუნოვანი პროცესი.

მაგრამ სახელმწიფო განვითარების ეს ნორმალური სვლა XIII საუკუნის დამდეგს საერთაშორისო დიდ პოლიტიკურ გართულებათა შედეგად დაირღვა და დიდი ხნით შეფერხდა. მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობა, თემურლენგის გამანადგურებელი შემოსევები, ყველაზე უფრო კი ბიზანტიის იმპერიის დაცემისა და მის ადგილას თურქთა გაბატონების შედეგად საქართველოს მაჰმადიანურ რკალში მოქცევა, ყველაფერმა ამან ერთად დიდი ხნით ჩამოაცილა საქართველო მსოფლიო ცივილიზაციის მაგისტრალურ ხაზს და დიდად შეაფერხა და შეაჩერა ქვეყნის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა.

თავი V

„ზნენი საჭაბუკონი“

1. წვრთნა

მომავალ ჭაბუკ-მოყმეთა აღზრდა, საბრძოლო თვისებების გამომუშავება სიყმაწვილიდანვე იწყებოდა ხოლმე. ჩვილ ასაკიდანვე ბავშვს მიუჩენდნენ მწვრთნელს, სამხედრო საქმესა და აღზრდაში დახელოვნებულ მასწავლებელს, რომელიც შეასწავლიდა ცხენზე ჯდომას და იარაღის ხმარებას.

ჭაბუკ-მოყმეთა წვრთნა-აღზრდის თაობაზე XI—XII საუკუნეთა საქართველოში საინტერესო ცნობებს შეიცავს იმდროინდელი ქართული რომანი „ამირან-დარეჯანიანი“. ამ ნაწარმოებში, მაგალითად, მოთხრობილია არაბთა მეფისწულის, შემდეგში გამოჩენილი ჭაბუკის ამბრი არაბის შესახებ, როდესაც ის 5 წლის შეიქნა, მამამისმა გამზრდელად ცნობილი რაინდი — „ლომი ჭაბუკი“, შეჯიბრებებში მრავალ გზის ნაცადი და სახელმოხვეჭილი აბუტარი მიუჩინა, კაცი, რომელსაც „ვერავინ დაუდგის წინა მტერი დღეთა მისთა“. მეფემ მას დაავალა — ასწავლე ჩემს შვილს „ომი და აბჯართა კაზმა და ვითა სჯობდეს ჭაბუკს ყველას არაბეთსა შინა“. აბუტარმაც აღუთქვა, რომ არ დაიშურებდა ცოდნასა და გამოცდილებას და, მართლაც, დიდი მონდომებით წვრთნიდა და ასწავლიდა პატარა ამბრის „კაცობრივ საქმეთა ყველასა“. 7 წლის ამბრის აბუტარი ასწავლიდა უკვე „ოროლითა მღერას“, „მშვილდოსნობას“ და სხვას, რაც „საჭაბუკო საქმე“ იყო.

საჭაბუკო აღზრდის ერთ-ერთ აუცილებელ საგანს სანადირო ხელოვნების შესწავლა წარმოადგენდა და მწვრთნელი და აღსაზრდელიც, აბუტარი და ამბრი, ნადირობდნენ და, ნათქვამია, თითქოსდა „სადაცა მინდორსა შიგან ლომი დახუდის, მან ცოტამან ყმამან ვითა კატა მოკლის“.

ნადირობა, როგორც ცნობილია, სამხედრო წვრთნის საუკეთესო სკოლა იყო საქართველოსა[1] და საერთოდ ფეოდალურ ქვეყნებში, „ამი-

---

[1] იხ. ქ. ჩხატარაიშვილი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. 1979, გვ. 151—200.

რან-დარეჯანიანის“ თანახმად, მას დიდი ადგილი უჭირავს ქართველი რაინდის ცხოვრებაშიც. ნადირობის სხვადასხვა წესი არსებობდა: „ზოგნი ნადირობდიან მშუილდითა, ზოგნი ქორითა, ზოგნი ავაზითა, ზოგნი ძაღლითა და ვითაც ვის სწადდის“[2]. სანადიროდ გასულ ამირან დარეჯანის ძეს მკლავზე, მაგალითად, ეჯდა თეთრი ქორი. აფრინდა რა ხოხობი, მას ამირანმა ქორი მიუტია. ქორმა ხოხობი დაიჭირა და ამირანს მიუტანა[3]. აქვე აღწერილია ნადირობის ერთ-ერთი სცენა, სადაც 111 ავაზა და 1 თეთრი ქორი მონაწილეობს[4].

ჭაბუკის წვრთნის საქმეში უდიდესი ადგილი საცხენოსნო სპორტის დაუფლებას უკავია. ამიტომაცაა, რომ ამბრი და აბუტარი „ასპარეზს სცემდნენ“. ასპარეზი საცხენოსნო ვარჯიშისა თუ სხვა სპორტულ თამაშობათა მოედანი იყო. 7 წლის ამბრი ამ მოედანზე ეუფლებოდა სპორტის სხვადასხვა სახეობას და მათ შორის უმნიშვნელოვანესს — ცხენოსნობას.

15 წლის რომ შეიქნა ამბრი, მას საუკეთესო ცხენი შეურჩიეს. ჯირითობდა და „იმღერდა“ (ვარჯიშობდა) რა გაშლილ მოედანზე, მაყურებლები ამბობდნენ, რომ ასეთი შესანიშნავი ცხენოსანი მეორე არ დაბადებულა ქვეყანაზეო. ახლა უკვე მას საბრძოლო ნათლობის ძიღება-ღა დარჩენოდა.

რაინდული აღზრდის შესახებ ზოგიერთ ცნობას ვპოულობთ „ვეფხისტყაოსანშიც“. ტარიელი მოუთხრობს ავთანდილს თავისი წარსული ცხოვრების შესახებ და ამბობს, რომ 15 წლის ასაკიდან დაწყებული მას მეფე ზრდიდა და რომ მან სანაქებოდ შეისწავლა სროლა და ასპარეზობა, ნადირობა და ბურთაობა[5].

რაინდული აღზრდის დაახლოებით ასეთივე პროცესი ჩანს ამავე ხანის საფრანგეთშიც ძველი ფრანგული მხატვრული ლიტერატურის მონაცემებით. ფრანგი ისტორიკოსი ლეონ გოტიე წიგნში „La chevaleric“ (რაინდობა) აღწერს რა რაინდულ ზნე-ჩვეულებებს და ემყარება შუა საუკუნეთა მხატვრულ ლიტერატურაში შემონახულ ცნობებს, რაინდული წვრთნის შესახებ ასე მოგვითხრობს: რაინდის აღზრდა ადრეულ სიყმაწვილიდანვე იწყებოდა. აღზრდის ძირითადი მიზანი სამხედრო ხელოვნებისა და ცხენოსნობის დაუფლებაა: 7 წლიდან დაწყებული ბავშვი გამოდიოდა ქალების ზედამხედველობიდან და კაცების ხელთ გადადიოდა. პირველდაწყებით აღზრდას ბავშვი შინ ღებულობდა. მას ასწავლიდნენ უმთავრესად ცხენოსნობას, ფარიკაობას და

---

2 „ამირან-დარეჯანიანი“, გვ. 363.

3 იქვე, გვ. 496.

4 იქვე, გვ. 335.

5 „ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 332, 333.

ნადირობას. ყველაზე ძნელი ფარიკაობის შესწავლა იყო. პირველდაწყებითი მომზადების შემდეგ ბავშვს ჩვეულებრივ გზავნიდნენ რომელიმე საუკეთესოდ განსწავლულ რაინდთან. იმდენი სახის ფარიკაობა არსებობდა, რამდენი სახის იარაღიც იყო — ვარჯიშობდნენ, ფარიკაობდნენ მახვილით, შუბით, კეტით. სამხედრო და ფიზიკური წვრთნის საუკეთესო საშუალება იყო ნადირობა. ყმაწვილ-მოზარდებს ამ საქმეში თავიანთი მასწავლებლები ჰყავდათ. ნადირობის სწავლებას კურსი ორი ნაწილისაგან შედგებოდა — ნადირობა ძაღლით და ნადირობა შევარდენით.

სამხედრო ხელოვნების გარდა, რაინდად გამზადებულ ყმაწვილს ასწავლიდნენ საფრანგეთში სხვა საგნებსაც — წერა-კითხვას, ღვთისმეტყველებას, ისტორიას, გეოგრაფიას და სხვ. ასწავლიდნენ კურტუაზიის — გალანტური, თავაზიანი ქცევის წესებს. უნერგავდნენ ფეოდალურ და რაინდულ იდეალებს. ერთ-ერთ ნაწარმოებში, მაგალითად, ასეთი სიტყვით მიმართავენ აღსაზრდელს: გაიხსენეთ, რასაც ჟონგლიორები გვიგალობენ ხოლმე — იყავით ხელგაშლილნი, ვინაიდან, რაც მეტს გასცემ, მეტ პატივს მოიპოვებ და უფრო მდიდარი იქნები. ცარიელი შეპირებებით ნუ დაკმაყოფილდები, გაცემულს ნუ დაუთვლი. შენი ქონება, სიმდიდრე უქონელ რაინდებს, უბედიღბლო პატიოსან ხალხს გაუზიარე (რა ახლოსაა ეს დარიგება რუსთაველის მოხდენილად ნათქვამ აფორიზმთან: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია“).

ასწავლიან მომავალ რაინდებს მათი ცხოვრების ნორმებს, უნერგავენ პრინციპს — „შერცხვენას სიკვდილი სჯობს.. მოუწოდებდნენ მიებაძათ ამ მხრივ წმინდა მეომრებისათვის — მიქელ, გიორგი, მორისისა და სხვებისადმი, ლიტერატურული და ისტორიული გმირებისადმი“[6] (რუსთაველი — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“).

აღსაზრდელს, მომავალ რაინდს, ანუ როგორც მათ საფრანგეთში უწოდებდნენ — პაჟს თანდათან აჩვევდნენ და ამზადებდნენ ტურნირებისათვის — რაინდული სასპორტო შეჯიბრებებისა და ორთაბრძოლებისათვის, აჩვევდნენ სხვადასხვა მოვალეობების შესრულებას, რაც რაინდებს მოეთხოვებოდათ. მაგალითად, პაჟები წვრთნიდნენ და ხედნიდნენ მოსათვინიერებელ ცხენებს; მძიმედ შეიარაღებულნი ვარჯიშობდნენ სირბილსა და ღობე-ყორეებზე გადახტომაში, ეუფლებოდნენ შუბის ხმარებას, იარაღის ტყორცნას მიზანში. პაჟები გამოცდილი რაინდების კარზე იძენდნენ ომების, ნადირობის ხელოვნების ცოდნას, ძაღლების და ფრინველების დაგეშვას. სწავლობდნენ ჰადრაკის თა-

---

[6] L. Gautier, La Chevalerie, 1960.

მაშასაც — ითვლებოდა, რომ ეს თამაში ადამიანს ჩაფიქრების ჩვევას და ლოგიკური მსჯელობის უნარს უვითარებდა. ყოველი პაჟი მიისწრაფოდა გამხდარიყო რაინდის საჭურველთმტვირთველი. ეს იყო პირველი ნაბიჯი ნამდვილ რაინდად გადაქცევის გზაზე. პაჟი, რომელიც გარკვეულ წარმატებას მიაღწევდა სამხედრო ხელოვნების შესწავლის საქმეში და წესიერი ყოფა-ქცევითაც ვამოიჩენდა თავს, საჭურველთმტვირთველად იქნებოდა განწესებული. მას ასეთ შემთხვევაში საზეიმოდ გადასცემდნენ მახვილს. შემდეგი საფეხური უკვე რაინდად კურთხევა იყო, რაც, როგორც აღნიშნავენ ევროპული რაინდობის მკვლევარნი, ჩვეულებრივ, დაახლოებით 15 წლის ასაკში ხდებოდა და დიდი ზეიმით ტარდებოდა.

შვილების აღსაზრდელად გარეშე რაინდისათვის მიბარება იმით იყო გამოწვეული, რომ ახალგაზრდას რაც შეიძლება მკაცრი აღზრდა მიეღო.

მას შემდეგ რაც ახალგაზრდები საკმარისად შეეჩვეოდნენ საჭურველთმტვირთველის მოვალეობებს, მათ გზავნიდნენ ხელმწიფის კარზე. აქ ისინი დახვეწილ საკარისკაცო ეთიკეტს და წეს-ჩვეულებებს ითვისებდნენ.

ბაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ „ამირან-დარეჯანიანის“ ცნობებს. ამ ნაწარმოების მიხედვით, საჭაბუკოდ გამზადებული ახალგაზრდა, რა წამოიზრდებოდა, წვრთნას გაივლიდა და ძალას იგრძნობდა, ეძებდა შემთხვევას გამოეჩინა თავი, ღირსშესანიშნავი საბრძოლო საქციელი ჩაედინა, „ლომი ჭაბუკის“ სახელი მოეპოვებინა. ამბრი არაბმა, ყმა აბუტარის აღზრდილმა, მალე ნახა ასეთი შესაძლებლობა. ერთხელ ამბრის ვიღაც ცხენოსანი შეხვდა და აუწყა, რომ მის ქარავანს მეკობრენი დაეცნენ თავს და მათ გამოვექეცო. ამბრი, აბუტართან ერთად, უმალვე გაეშურა მეკობრეებთან შესაბმელად. გაშლილ მინდორზე წამოეწივნენ მეკობრეთა სამათასიან ლაშქარს. აბუტარი უშლიდა ამბრის შებმას — ჯერ ახალგაზრდა ხარო, მაგრამ ამბრიმ მიუგო — აბა, გამომცადეო, და ფიცხლავ ეკვეთა მეკობრეებს. გადმოცემა ამბობს, რომ ამ ჭიდილში ამბრის 1000 კაცი მოუკლავს. ათასიც აბუტარმა მოკლა, ხოლო გადარჩენილებმა გაქცევით ძლივს უშველეს თავს. „ეს იყო პირველი ომი ამბრისა“, ნათქვამია ნაწარმოებში.

სახელის მოხვეჭის საუკეთესო საშუალება ჭაბუკისათვის საბრძოლო მიღწევებით განთქმული რაინდთან შეხვედრა იყო, მასთან ძალის გამოცდა. ასე დაიწყო თავისი საბრძოლო ცხოვრება ჭაბუკმა ბადრი იამანის ძემ, ამირან დარეჯანის ძის უახლოესმა თანამებრძოლმა: „რა მოიწიფა“ ბადრი, „სადა სახელოვანი ჭაბუკი ითქმოდის, წავიდის, შეების და აჯობის“. მაგრამ ამ გამარჯვებათა მიუხედავად, ის მაინც ვერ გრძნობდა სრულ კმაყოფილებას და ჭმუნვამაც კი შეიპყრო — აღარ

ნადიმობდა, აღარც ნადირობდა დადარდიანებული. ბოლოს ვიღაცამ ურჩია — ზღვათა მეფის ასულის მოსაყვანად წადი, იქ შეგხვდება მრავალი უნარჩევესი ჭაბუკი და მათთან შებმით და მათზე გამარჯვებით გამოიჩენ თავსო. ბადრიმ სიხარულით მიიღო ეს რჩევა, აიყოლია თავისი ყმა ინდო ჭაბუკი და გაემგზავრა „ლომი ჭაბუკის“ სახელის საძებრად და მოსაპოვებლად, „ჭაბუკობა გუინდა, — განაცხადა მან, — და აწ გამოვჩნდებით, რა-ძი ჭაბუკნი ვიყვნეთო“. ზღვათა მეფესთან მიმავალმა ბადრიმ გზაში მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა, არაერთი ჭაბუკი დაამარცხა და რა ჩააღწია ზღვათა მეფის საბრძანებელს, იქაც სასახელოდ იჩინა თავი, რითაც — „გაასრულა ჭაბუკობა“ — მტკიცედ დაიმკვიდრა „ლომი ჭაბუკის“ სახელი, სრულყო ყოველი ჭაბუკის ოცნება — მოიხვეჭოს საზოგადოებრივი აზრი — თქვან, „არავინ არისო მისებრ ამ ქვეყნად“.

სახელის მოსახვეჭადაა, რომ „ამირან-დარეჯანიანის“ გმირები მუდამ ხეტიალსა და მგზავრობაში არიან, რათა შეხვდნენ მათებრ მოხეტიალე ჭაბუკებს და ძალასა და მოხერხებაში შეეჯიბრონ. ყოველ ასეთ ჭიდილში მოპოვებული გამარჯვება მათ დიდ სახელს უხვეჭს. ჭაბუკისათვის სასახელოდ ითვლებოდა გარეულ მხეცებთან შეჭიდებაც — ლომებთან, ვეფხვებთან. „ამირან-დარეჯანიანის“ ჭაბუკები ხოცავენ მათ და კიდევ სხვადასხვა ზღაპრულ ნადირებს: ვეშაპებს, უზარმაზარ გველებს და რაღაც უცნაურსა და მეტად საშიშ ზღაპრულ მხეცებს.

ნადირობა, რომელიც მეომართა სამხედრო და ფიზიკური წვრთნის საუკეთესო საშუალება იყო, კარგ ფიზიკურ ფორმას უნახავდა რაინდს და უზრუნველჰყოფდა მზადყოფნას ლაშქრობა-ომებისათვის, ამასთანავე ნადირობა ჭაბუკთა საყვარელი დროსტარებაც იყო. ამიტომაცაა, რომ დიდი კოლექტიური ნადირობანი მეფე-ფეოდალთა კარზე ხშირად იმართებოდა ხოლმე და რაინდული ლაშქრის საბრძოლო მზადყოფნის ერთგვარ დათვალიერებას წარმოადგენდა. XI—XII საუკუნეთა (და უფრო გვიანდელი) ქართული ისტორიული წყაროები თუ მხატვრული ლიტერატურის ძეგლები უხვ ცნობას შეიცავს ამ საგანზე.

ნადირობის შესახებ საქართველოში, როგორც — სამხედრო წვრთნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახეობაზე, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ არის ნათქვამი[7] და ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

შედარებით ნაკლებადაა ცნობილი საისტორიო ლიტერატურაში

---

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია. 1930, 1; ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, 1941; ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, 1979, (თავი II. ნადირობა — „ლაშქრობის მასწავლებელი“, გვ. 151—200).

სარაინდო ტურნირები, იმ დროინდელი ქართული სიტყვით რომ ვთქვათ — საჭაბუკო ასპარეზობანი XI—XII საუკუნეების საქართველოში რომ იმართებოდა და რომლის შესახებაც უხვ მასალას კვლავ „ამირან-დარეჯანიანი“ გვაწვდის.

2. ასპარეზობა

ლაშქრობა-ომებისაგან თავისუფალ დროს ჭაბუკ-მოყმენი სპორტულ წვრთნასა და შეჯიბრებებში მონაწილეობას ანდომებდნენ. ეს იყო, ნადირობასთან ერთად, გართობისა და ამასთანავე ფიზიკური წვრთნის და საბრძოლო ვარჯიშის მეტად გავრცელებული და ჭაბუკ-მოყმეთათვის ძლიერ მიმზიდველი სახეობა. ამგვარი ღონისძიებების ქართული სახელი „ასპარეზობა“ იყო.

„ასპარეზი“ და მისგან ნაწარმოები „ასპარეზობა“, „მოასპარეზე“, XI—XII საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებული სიტყვაა. ამ ხანის ძეგლებში ის არცთუ იშვიათად გვხვდება.

„ასპარეზი“, როგორც ნათქვამია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, სპარსული ენიდან არის შემოსული და სპარსულად „ასბრიზ“ — „ცხენის სარბენს“ აღნიშნავს. უნდა ვიფიქროთ, ქართულშიც თავდაპირველად ის ასეთი მნიშვნელობით გადმოვიდა, მაგრამ თანდათან უფრო ფართო შინაარსი მიიღო და არა მარტო ცხენოსნობისათვის განკუთვნილ სარბენს ანუ მოედანს წარმოადგენდა, არამედ სხვა სპორტულ თამაშობათა და შეჯიბრებათა ადგილსაც შეერქვა საერთოდ. აქედან ნაწარმოები სიტყვა „ასპარეზობა“ კი ამგვარ თამაშობათა და შეჯიბრებათა აღმნიშვნელი ზოგადი სახელი გახდა. ხოლო „მოასპარეზე“ მათ მონაწილესა და ამგვარ შეჯიბრებებში გაწვრთნილ კაცს შეერქვა.

„ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილია, რომ როსტევან მეფემ დაიჩივლა — კაცი არ მეგულება, რომელსაც ჩემგან „ესწავლნეს სამამაცონი ზნენია“ და მგვანდეს „მშვილდოსნად ანუ კვლა ბურთაობითა“. ამაზედ ავთანდილმა მორიდებით მიუგო მეფეს — განა „მოასპარეზედ ვინ მგავსო?“ — გადავწყვიტოთო ეს საკითხი, გავეჯიბროთო[8]. მშვილდოსნობაში, ბურთაობაში და ალბათ სხვა ამგვარ საქმეში გაწვრთნილი კაცი ავთანდილმა ერთი ტოლფასოვანი ზოგადი ცნებით — „მოასპარეზეთი“ გამოხატა.

სულხან-საბას განმარტებით — „მოასპარეზობა არს მჯედართა

---

[8] „ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 262, 267.

მიერ ანძათა ისრისა სრევა, ბურთთა ყვანჭითა ცემა, საგანთა სროლა და ეგე ვითარნი"[9].

ტარიელი ამბობს: „სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა". აქაც ასპარეზი სხვადასხვა სპორტულ სახეობათა კრებითი სახელი ჩანს.

ასპარეზობა და მოასპარეზე „ისტორიანსა და აზმანშიც" გვხვდება. დავით სოსლანზე აქ ნათქვამია, რომ ის ყველას სჯობდა „მშვილდოსანსა, ცხენოსანსა და მცურავს, მოასპარეზესა, მწიგნობარსა და ყოველსა ნასწავლსა ჴელთა სიკეთითა"[10]. მშვილდოსნობა, ცხენოსნობა და ცურვა, სპორტის ის დარგებია, რომელშიც დავითს ბადალი არ ჰყავდა და, მაშასადამე, დავით სოსლანი საუკეთესო იყო როგორც მოასპარეზეთა, აგრეთვე მწიგნობართა და სხვა სასიკეთო ხელობის მცოდნეთა შორის. ვფიქრობთ, ასე უნდა იქნეს გაგებული ზემოთ ციტირებული წინადადების აზრი.

„ამირან-დარეჯანიანში" ხშირად ვხვდებით გამოთქმებს: „ასპარეზს ცემა", „ასპარეზითა მღერა" — სასპორტო ვარჯიშისა და თამაშობის მნიშვნელობით[11]. ჭაბუკი, რომელსაც რაღაც ჭმუნვა და მწუხარება შეიპყრობდა, თავის უგუნებობას იმით გამოხატავდა, რომ „არცა ნადირობდა, არცა ასპარეზობდა". ერთ-ერთი ჭაბუკი ასე აღწერს გატარებულ დღეებს: „დავყვენით მრავალნი დღენი და ვასპარეზობდით, ვიმღერდით, ვნადირობდით და სიხარული იყვეს დიდი". „ასპარეზობისა" და „მღერის" უფრო დაკონკრეტებული შინაარსიც არის მოცემული აქვე: „მშვილდოსანსა ყუელასა მზეჭაბუკი სჯობდა, მოასპარეზსა ყუელასა ორტაველი სჯობდა, ცხენოსანსა ყუელასა დორათ დილამი სჯობდა, მონადირესა ყუელასა მოსორ ნადირისძე სჯობდა, მოჭადრაკესა ყუელასა აბირ იამანელი სჯობდა და მცურავსა ყუელასა ღამარ ღაზნელი სჯობდა"[12]. მაშასადამე, „მღერასა" (ვარჯიში, თამაშობა) და „ასპარეზობაში" ნაგულისხმევია: ცხენოსნობა, მშვილდოსნობა, ოროლით მღერა, ჭადრაკის თამაში, ცურვა და საკუთრივ ასპარეზობა ანუ საასპარეზო მოედანზე (თანამედროვე გაგებით — სტადიონზე) სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში (ორთაბრძოლა, ოროლის მიზანში სროლა, ბურთაობა) მონაწილეობა. „ასპარეზობაში" ნაგულისხმევია სპორტის ის სახეობანიც, რომელიც ეწყობოდა არა სპეციალურად შეჯიბრებებისათვის განკუთვნილ მოედანზე — საასპარეზო ადგილას, არამედ გაშლილ სივრცეში — ტყეში, ველზე, წყალში (ნადირობა, ცხენოსნობა,

---

9 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 296 (სიტყვა „თამაშობას" განმარტება).

10 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 48.

11 „ამირან-დარეჯანიანი", გვ. 117, 267 და სხვ.

12 „ამირან-დარეჯანიანი", გვ. 540.

მშვილდოსნობა ცურვა), ანდა, პირიქით, მცირე სივრცეში, ვიწრო წრეში (ჭადრაკის თამაში).

ქართული ლიტერატურული ძეგლების მოწმობით, XI—XII საუკუნეთა საქართველოში ხშირად ეწყობოდა ხოლმე საგანგებო შეჯიბრებანი საუკეთესო ჭაბუკ-მეომართა გამოვლენის მიზნით. შეჯიბრის მონაწილეთა შორის იდებოდა შეთანხმება, თუ საბრძოლო იარაღის რომელი სახეობით შეებმებოდნენ ერთმანეთს. ტარდებოდა წინასწარი სამზადისი, იმართებოდა საბრძოლო მოედანი და სხვა ღონისძიებანი ტარდებოდა. შეჯიბრს საზეიმო ხასიათი ჰქონდა და მაყურებელთა დიდ რაოდენობას იზიდავდა. მაყურებლები იყოფოდნენ იმისდა მიხედვით, თუ ვინ რომელ მოასპარეზეს უჭერდა მხარს. ჭაბუკთა შეჯიბრს ხშირად მეფე ესწრებოდა დედოფალთან და სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან ერთად და დიდებულების თანხლებით.

ყოველივე ამის შესახებ ცოცხალ წარმოდგენას იძლევა „ამირანდარეჯანიანი“, სადაც არაერთი ამგვარი საჭაბუკო ასპრეზობა-შეჯიბრია აღწერილი. მაგრამ სანამ ამ ლიტერატურულ ძეგლში შემონახულ ასპარეზობათა აღწერას მოვიხმობდეთ, ჯერ მოვიტანთ თამარის ისტორიკოსის, „ისტორიანი და აზმანის“ ავტორის ცნობას ერთ-ერთი, ასე ვთქვათ, რაინდული ტურნირის შესახებ, რომელიც თამარ მეფის კარზე გაიმართა სტუმრად ჩამოსულ მაჰმადიან მფლობელთა, შარვანშაჰისა და ამირ-მირმანის პატივსაცემად. სტუმრები თავიანთი მრავალრიცხოვანი ამალით იყვნენ მოსულნი და თან ახლდათ „დიდებულნი და მოყმენი მათნი“. საზეიმო მიღების შემდეგ გაიმართა დიდი პურობა, ნადიმი, რასაც შემდეგ მოჰყვა მთელი კვირის მანძილზე სხვადასხვა გართობანი, ნადირობა, ბურთის თამაში. ბოლოს გაიმართა შეჯიბრი სტუმართა და დამხდურ მოყმე-ჭაბუკთა შორის. მათი შებმის საყურებლად თვით მეფე თამარიც გამობრძანდა საასპარეზო მოედანზე. მიუხედავად სტუმრად ჩამოსულთა თავდაჯერებისა და საუკეთესო მებრძოლთა სახელისა, შეჯიბრი ქართველ მოყმეებს მოუგიათ ადვილად. „ისლიმნი, დაჯერებულნი მეცხიერობისანი და მძლე-მბრძოლნი, მსწრაფლ იძლივნეს დავით მეფისა. მისთა მოყმეთაგან და შეიქცეს ძლეულნი და მჭმუნვებელნი“, — წერს ისტორიკოსი[13].

„ამირან-დარეჯანიანში“ დაწვრილებით არის ხოლმე აღწერილი რაინდული ასპარეზობანი. აი, ერთი ასეთი: ზღვათა მეფეს ბევრი სმენოდა ჭაბუკ ბადრი იამანის ძის საგმირო საქმეთა შესახებ, თავადაც იხილა და ძლიერ მოეწონა ეს ჭაბუკი. შეუთვალა: „შვილო ბადრი, დიდი ჭირი გინახავს ზღუათა ზედა და გზათა შინა და დიდნი ომნი

---

[13] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 67.

გარდაგივლიან, რომე არავის უქნიან ნაქმარნი ეგეთნი. მეც სიძე ეგეთი ჭაბუკი მინდა. აწ გაასრულე ჭაბუკობა შენი“: შეები ჩემს სამ ბუმბერაზს და თუ გიმარჯვებ, ჩემი სიძე იქნებიო. ბადრიმ უპასუხა: „მე ჭაბუკობისა ძებნად წამოსული ვარ სახლით ჩემითა. აწე, თუ ათასიცა გყავს, ვირე არ შეებმი, თუმცა შენ შემრთევდე, მე არცა ეგრე შევირთო“.

გადაწყდა მოეწყოთ ასპარეზობა, რომელზეც ბადრი იამანის ძე შეეჯიბრებოდა ზღვათა მეფის სამ ფალავანს. გაიშალა სამზადისი, დაინიშნა საასპარეზო დღე. დანიშნულ დღეს დილაადრიან მეფე გამოვიდა და ქალაქის შუაგულს აღმართულ ციხის აივანზე დაბრძანდა. გვერდით დაისვა ცოლი და დიდებულნი. შეჯიბრის საყურებლად გარს მოადგა გარეშე ხალხიც; ზოგი ციხის ზღუდეებზე მოკალათდა; ზოგი გარედან, ქუჩა-უბნებიდან უმზერდა საასპარეზო მინდორს. ზოგიც გალავანის კარს შიგნით შემოუშვეს. ციხის წინ მდებარე საასპარეზო მინდორზე საგანგებოდ მოწვეულნი იყვნენ მებუკე-მედაფდაფენი, რომელთა ხმამაღალი დაკვრა და საყვირი მაყურებელთა შეძახილებსა და ერიამულთან ერთად ყიჟინას სცემდა იქაურობას და მებრძოლთ საომარ ცეცხლსა და აღტყინებას უღვივებდა. მებრძოლნი საგანგებოდ შეკაზმულ-შეიარაღებულნი, ცხენზე ამხედრებულნი გამოდიოდნენ შესაჭიდებლად. მოწინააღმდეგეთა შორის გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა. ბადრის ჭიდილი ზღვათა მეფის პირველ ბუმბერაზთან მთელ დღეს გაგრძელდა — „დილითგან ვიდრე 9 საათამდინ“. გამარჯვებული არ ჩანდა. ბოლოს ბადრი იამანისძის ყმამ, ინდო ჭაბუკმა პატრონს ხმამაღლა შესძახა — „შენმა მზემან, არა შენებურად გხედავთ!“ ამ სიტყვების გაგონებაზე ბადრის გულს ბრაზი შემოაწვა, შორს გაიყვანა ცხენი და ძლიერად შემოაჭენა, ფიცხლად შეუტია მეტოქეს და ისეთი ძალით დაჰკრა ჩაბალახზე ხმალი, რომ გულამდე ჩაჰკვეთა. მეტოქე გულგანგმირული დაეცა მკვდარი.

იზრიალა ხალხმა. გამარჯვებულს ქება-დიდება შეასხეს. მეფემ საჩუქრები უძღვნა, გამარჯვება მიულოცა. „და თქუა ყოველმან ერმან — არა არს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა ჭაბუკი ბადრი იამანისძისებრიო“.

გავიდა რამდენიმე დღე. ერთ საღამოს მეფემ კვლავ შეუთვალა ბადრის — ახლა ჩემს მეორე ჭაბუკს უნდა შეებაო. ბადრიმ ხალისიანად გასცა თანხმობა: „დიდად ვისწრაფი, ორნივე ერთგვარ შემომაბენიო“... თანახმა იყო ორ დანარჩენ ბუმბერაზს ერთად შებმოდა. კვლავ განმეორდა ყოველივე: „დილასა გამოვიდა მეფე და დაჯდა მასვე ადგილსა, დაისხნა დიდებულნი, დაიდვა ნადიმი. და ეგრეთვე ზღუდეთა ზედა წამოდგეს ყოველნი კაცნი და სცემდეს ბუკსა და დაბდაბსა, და ეგრევე ზმა იყო ქალაქსა შინა“.

ეს მეორე შებძა კიდევ უფრო ფიცხელი გამოდგა, „გაჭირდა ომი“, მაგრამ ახლა უკვე მთელი ხალხი ბადრი იამანის ძის მხარეზე იყო, დიდი თუ მცირე, ყველა მისთვის „ტიროდაო“, ანუ დღევანდელი გამოთქმით—გულშემატკივრობდა. ბრძოლას კი თანდათან სულ უფრო მეტი ცეცხლი ეკიდებოდა, სულ უფრო ცხარე და დაუნდობელი ხდებოდა. უკვე მეტოქეთა ყმანიც ჩაებნენ ურთიერთ შორის ბრძოლაში, აქაც, თურმე, ბადრის ყმა ინდო ჭაბუკი ძლევდა მოწინააღმდეგეს. ბადრიმ ეს მეორე შერკინებაც მოიგო და კვლავ სასიკვდილოდ გასწირა მეტოქე. „იყივლეს მაშინვე სრულიად მოქალაქეთა და თქუეს: „კურთხეულმცა არის მარჯუენე შენი და ჭაბუკობა შენი“. მეფემ მიულოცა და საჩუქრები უძღვნა.

ამ მეორე გამარჯვების შემდეგ მეფემ თავის ასულს შესთავაზა — ნუღარ გამოვცდით მესამედ ამ ძლიერ ჭაბუკს და ისე დაგაქორწინებთო. ქალმა გადაჭრით უარჰყო ეს შესაძლებლობა: „მე ეგეთი ქმარი არ მინდა, რომ ეგრე ვგონებდე, თუ მისი დამართებითი (=დამამარცხებელი) კაცი არისო და ანუ უკეთესი ქუეყანასა ზედაო. აწ შეაბით ისი ძესამეცა და, თუ აჯობოს-ღა დავძორჩილდე ბრძანებასა თქუენსა“. ბადრი ჭაბუკმაც გადაჭრით განაცხადა, რომ აუცილებლად მიაჩნია შებმა მესამე მეტოქესთანაც. ისევ მოეწყო ასპარეზობა: „დილასა გამოვიდა მუნვე ზღუათა მეფე და დაჯდა მასვე ადგილსა. გუერცა დაუჯდა დედოფალი, და დაისუეს შუა ასული, და მათ გარე დაისხნეს დიდებულნი და ემოსა ქალსა ძოწეული ოქრო-ქსოვილი და ვთქვი: „თუმცა არა ჯორციელია, მზე არისო“. წამოდგა ზედა ყოველი ქალაქი, და დიდი და მცირე ტიროდეს ბადრი იამანისძისათვის“. მესამე შეხვედრა ყველაზე ცხარი გამოდგა. ახლა უკვე მთელი დღის ბრძოლამაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული. ომი მეორე დღისათვის გადაიდო. თუ პირველ დღეს ბადრის მისმა მოწინააღმდეგემ გაუგზავნა რკინის არგანი „ათი წყრთა სიგრძისა“ და ამ იარაღით შებმა შესთავაზა, მეორე დღეს მანვე ახლა ხმლით შეჭიდებისაკენ მოუწოდა. „ამასთანავე, მოწინააღმდეგეებმა ამ მეორე დღეს ურთიერთშეთანხმებით პოლოტიკნი რკინანი შეიბეს „სატკივართა ადგილთა“ და თავთავიანთ ცხენებსაც დაჰკიდეს. მეფის ასულმა ბადრის წინა საღამოს საუკეთესო ცხენი გაუგზავნა და შეუთვალა — შენი ცხენი ომით მოღლილია და ახლა ამ ცხენით იბრძოლეო. ეს, ცხადია, მეფის ასულის განსაკუთრებული ყურადღების ნიშანი იყო. მეორე დღეს მეფის ასულიც გამოვიდა შეჯიბრის საცქერლად: „დილა რა გათენდა, გამოვიდა ზღუათა მეფე. დაჯდეს და შუაში დაისვეს ასული, და ეცუა მას მზესა ელვარე რამე... და წამოდგა ყოველი ქალაქი ხედვად“. მებრძოლთ სამ-სამი ხმალი ჰქონდათ თან. ორი ბრძოლის სიცხარეში ურთიერთს შეალეწეს. „იყო დილითგან მწუხრამ-

დის ომი და მათისა ომისაგან და ბუკისა და დაბდაბის ცემისაგან ყურთა ჴმა არ ჩავარდებოდა. გარდალეწეს ოროლი ჴრმალი ერთმანერთსა". ბოლოს ბადრიმ ისეთი ძალით შემოუქნია ხმალი მოწინააღმდეგეს, რომ ამ უკანასკნელს ბრძოლის ველიდან გაქცევაღა დარჩენოდა. ბადრი წამოეწია გაქცეულს, ზურგში ჰკრა ხმალი და გაათავა. საჭაბუკო ჭიდილი დამთავრდა. დასასრულს გაიმართა დიდი ქორწილი[14].

ბუმბერაზ-ჭაბუკთა ურთიერთშეჭიდების კიდევ მრავალი შემთხვევაა „ამირან-დარეჯანიანში" დეტალების ზოგიერთი ვარიაციით გადმოცემული. მაგალითად, ამბრი არაბის და ბუმბერაზ-ჭაბუკების შერკინების საყურებლად ხანთა მეფემ საგანგებო კარავის გამართვა ბრძანა თავისთვის. აქ დაისხა ხუთასი დიდებული და გაშალა ნადიმი, რომელზედაც „ამღერდნენ მგოსანნი". მინდორს, სადაც მეფის კარავი იყო გაშლილი და სადაც შეჯიბრი უნდა გამართულიყო, გარშემო ხალხი და ლაშქარი მოადგა საყურებლად. ამბრი ჭაბუკსაც სამ ბუმბერაზთან შებმა ელოდა. თითო დღეს თითო ბუმბერაზს შეება და დაამარცხა. ერთ დღეს რომ ლახტით იბრძოდნენ, მეორე დღეს ხმლით და მესამე დღეს კინენით. ბოლოს ორივე მხრის „ლაშქარიც" ჩაერთო ბრძოლაში და სანახაობას უკვე არა ორთა შებმის, არამედ უკვე კოლექტიური შეჯიბრის ხასიათი მიეცა[15]. ამგვარ შეჯიბრებათა დროს ზოგჯერ დროშებიც გამოჰქონდათ ხოლმე[16]. ბრძოლა წარმოებს, ჩვეულებრივ, ხმლით, შუბით, კინენით, ლახტით, ოროლით; ზოგჯერ მშვილდ-ისარსაც იყენებენ, რაც ასეთ შეჯიბრში აუგად ითვლება.

შეტევა იწყება ხოლმე ცხენზე ამხედრებულ მოწინააღმდეგეთა „ნავარდის" ანუ ურთიერთმიმართ წრის შემოვლით. ამ დროს მეომარნი თვალითა ზომავენ ურთიერთის შესაძლებლობებს, ეძებენ დაძგერების უკეთეს ფანდებს. შემდეგ „შეჰყივლებენ ერთმანეთს" — ეს საბრძოლოდ გაწვევაა, გაღიზიანებაა. ამას დაძგერება მოსდევს, რომელიც რამდენჯერმე მეორდება და დიდხანს გრძელდება, სანამ ერთ-ერთი მებრძოლთაგანი არ დაჰყრის ფარ-ხმალს მძიმედ დაჭრილი ანდა სულაც უგონოდ მკვდარი. ჭაბუკთა ბრძოლას თან ახლავს მებუკე-მედაფდაფეთა ყიჟინის ხმა, მაყურებელთა ხმამაღალი შეძახილები, ჟრიამული, იარაღის ჭეხა. ყველაფერი ეს კიდევ უფრო ზრდიდა ბრძოლის აზარტს: „ზახილი იყო და აბჯართა ზედა ცემისა ჭეხა, რომელ აღარა ისმოდა რა ყურთა კაცისათა ჴმა და იძრო ქვეყანა", ნათქვამია ხოლმე ბრძოლა-შეჯიბრის სცენების აღწერისას.

ცხადია, ამ თხრობაში ბევრია გაზვიადებული, ზოგჯერ ზღაპრუ-

---

14 „ამირან-დარეჯანიანი", გვ. 56—69.

15 იქვე, გვ. 230.

16 იქვე, 672.

ლიც, მაგრამ ძირითადი ქარგა, უეჭველია, ცხოვრებისეულია. ზღაპრული და გაზვიადებული ჩანს, მაგალითად, ყოველი შეჯიბრის დამთავრება დამარცხებულის ძოკვლით. ამგვარი ტრაგიკული ბოლო გამორიცხული არ იყო, ისე როგორც მძიმე ტრავმები და დასახიჩრებანი, მაგრამ, ჩვეულებრივ, გამარჯვებულის გამოვლინება უფრო მშვიდობიანი წესითა და რიგით წარმოებდა. მოწინააღმდეგის მოკვლა. როგორც „ამირან-დარეჯანიანიდანაც“ ჩანს, უღირსი საქციელი იყო რაინდისათვის შეჯიბრის დროს. როდესაც ღამარ ლაზნელმა, რომელზეც ნათქვამია წინასწარვე, რომ მუხთალიაო, შეჯიბრის დროს თავისი მოწინააღმდეგე, ამირ იამანელი მოკლა (ამირ იამანელს თავიდან ჩაბალახი ჩამოვარდნია და სანამ დაიხურავდა, ღაზნელმა შიშველ თავში ჰკრა ხმალი), „დაუმძიმდათ“, ე. ი. დამწუხრდნენ მეფე და იქ მყოფი ჭაბუკნი და „მეფემან საბოძუარი აღარ გამოსცა გამოვიდეს დღენი მრავალნი. არცა ინადირეს, არცა იასპარეზეს და აღარცა ნადიმი დაიდვეს. უმძიმდა ყუელასა“.

ჩვეულებრივ კი, ამგვარ ასპარეზობათა დროს გამარჯვებულის გამოვლენა ხდებოდა ასე: ერთ-ერთი მონაწილეთაგანი უარს იტყოდა ხოლმე ბრძოლის გაგრძელებაზე. ჭაბუკნი—დორათ დილამი და ორდაველი შეეჯიბრნენ, „იბრძოლეს დიდი ხანი, წინას ოროლითა და უკანის ჯრმლითა. იბრძოლეს დილიდგან ვიდრე საღამომდის. აჯობა დორათ დილამმან. აზომ, რომ ეგრე თქუა ორდაველმან: „აღარა ვიბრძვი“[17].

ყოველივე ზემოთ მოთხრობილი მრავალ მსგავსებას იჩენს ევროპელ რაინდებს შორის გავრცელებულ საბრძოლო წეს-ჩვეულებასთან—ტურნირის სახელით რომ არის ცნობილი. როგორც შენიშნავს ლ. გოტიე, რაინდული ტურნირები საფრანგეთში იშვა და აქედან გადავიდა გერმანიასა და ინგლისში. პირველი ტურნირები, გოტიეს თქმით, ნამდვილ ბრძოლებს წარმოადგენდნენ, ნამდვილ ომს გვანდნენ: ეს არ იყო ორთაბრძოლა, არამედ ხელჩართული ჯგუფური ხასიათის შეჭიდება იყო და იმით განსხვავდებოდა ნამდვილი საომარი ბრძოლისაგან, რომ წინასწარ ინიშნებოდა დღე და საათი და ასევე გარკვეულ დროს უნდა დამთავრებულიყო. შემდეგ ხანაში ეს იყო ორი მეტოქის ნამდვილი დუელი, უეჭველად წესებისა და თავაზის დაცვით, მაგრამ საზარელი და ხშირად სასიკვდილო. ყველაზე „თავაზიანი“, ყველაზე „დელიკატური“ ტურნირებიც კი დამწუხრებული იყო მრავალრიცხოვანი სიკვდილიანობით. ერთ-ერთ ტურნირზე, მაგალითად, 1240 წელს რომ ჩატარდა საფრანგეთში, 60—80 კაცის სიკვდილია დადასტურებული. ერთი უბრალო გართობისა და დროსტარებისათვის, ცხადია, ერთობ

---

[17] „ამირან-დარეჯანიანი“, გვ. 547—548.

დიდი მსხვერპლია. მოკლულთა გარდა, მძიმედ დაშავებულთა და დაჭრილ-დასახიჩრებულთა რაოდენობაც დიდი იყო.

თანდათან ბრძოლის ამ უხეში ფორმებიდან გადადიან უფრო რაფინირებულ სახეობაზე. მკვეთრ წვეტიან შუბებსა და ალესილ პირიან მახვილებს ცვლიან მობლაგვებული წვეტებიანი და პირდაჩლუნგებული შუბებითა და მახვილებით. სულ უფრო და უფრო ხშირდება ორთაბრძოლები, ხანგრძლივად მიმდინარე, სპექტატორების — მაყურებლების თვალწინ. ასეთ დროს მანდილოსან მაყურებელთათვის საგანგებო ხის პავილიონებსა და ტალავრებს აგებენ. შეჯიბრს თან სდევს ლხინი, ცეკვები, სიმღერა.

ტურნირები, ჩვეულებრივ, მრავალი დღის მანძილზე გრძელდება, ბოლო, დამამთავრებელი შებრძოლება ყველაზე ცხარე და განსაკუთრებით გრანდიოზული იყო ხოლმე. შეიძლება კაცს ერთფეროვანი მოეჩვენოს ბრძოლების აღწერები, მაგრამ იმდროინდელი საზოგადოებისათვის არცერთი შეჯიბრი არ ჰგავდა მეორეს. გამოყენებული იარაღის ნაირსახეობა, ბრძოლის სხვადასხვა განაწესი, შედეგების მოულოდნელობა ინტერესს აღვივებდა და ამწვავებდა. გამარჯვებულებს ძვირფასი ჯილდოები — პრიზები გადაეცემოდათ ხოლმე[18].

XIX საუკუნის ფრანგი მწერალი რუა წიგნში „რაინდობის ისტორია“ ასე აღწერს რაინდულ ტურნირს: ტურნირის დღე საგანგებოდ ცხადდებოდა წინასწარ ერთი ან რამდენიმე თვით ადრე. საგანგებო მსახურები, რომელთაც ჰეროლდები ერქვათ, ახლო-მახლო ქალაქებს და სოფლებს გამოუცხადებდნენ მოსალოდნელი ტურნირის დღეს და ბრძოლის პირობებს. დანიშნული დღისათვის ტურნირის გამართვის ადგილას თავს იყრიდნენ რაინდები თავიანთი ოჯახებით, მეაბჯრეებით, მსახურებით. საზოგადოების გასართობად მოედინებოდნენ ჟონგლიორები, მოცეკვავენი, მსახიობნი, მედოლენი, მემუსიკენი. აქ თავს იყრიდა ამ ოლქის მთელი თავადაზნაურობა. მეფე ან მთავარი ზოგჯერ მიწვევას უგზავნიდა სხვა მეფე-მთავრებსაც.

საბრძოლო მოედანი ხის გალავნით იყო შემოღობილი. ტურნირის დღეს საასპარეზო მოედნის ახლო-მახლო ადგილები ადრე დილიდანვე ივსებოდა მაყურებლებით, ზოგან შლიდნენ კარვებს, მორთულს ყვავილებითა და გირლიანდებით. გალავნის გარშემო ეწყობოდა დასაჯდომი ამფითეატრით, ეწყობოდა მდიდრულად, ფერად-ფერადი ქსოვილებით მორთული ლოჟები. თითოეული ლოჟის თავზე 4 შუბს ეჭირა წითელი მაუდის ბალდახინი ოქროს ფოჩებით გარშემოვლებული.

მოედანზე გამოდიოდნენ ტურნირის მონაწილე რაინდები თავიანთი მსახურებით. ხალხი მათ გამოჩენას ხმამაღალი შეძახილებით, მი-

---

[18] L. Gautier, დასახ. ნაშრომი, გვ. 291.

სალმებებით ეგებებოდა. რაინდებს შორის იყვნენ დებიუტანტებიცა და ბრძოლებში განთქმული მეომრები, რომელთა გმირულ საქმეებზე ტრუბადურები და მინეზინგერები მოუთხრობდნენ. იყვნენ ისეთი რაინდებიც, ვისაც უარი ჰქონდა ნათქვამი სამეფო ვვირგვინზე, საძაგელი და მრისხანე უზურპატორისაგან გამოხსნის სამადლობელოდ რომ შესთავაზა ხალხმა. მაგრამ ამ რაინდთ არ სურდათ ისეთი გვირგვინი და ისეთი ხელისუფლება, რომელიც მათ არ ეკუთვნოდათ დაბადებით. ისინი თავიანთ საგმირო და კეთილ საქმეებს სჩადიოდნენ წმინდა აღთქმის წიგნზე და ჯვარზე მიცემული ფიცის თანახმად და დასაცავად რაინდული მცნებისა — დახმარებოდნენ სუსტთა და შევიწროებულთ, სიკეთე და მოწყალება ეთესათ.

აქ შეიძლებოდა გვეპოვა რაინდები იარაღით დაძმობილებულნი, რომელთაც ერთი თასიდან დალიეს შეერთებული სისხლი და დაიფიცეს მარადიული მეგობრობა და ურთიერთდახმარება.

ბოლოს მოედანზე შემოდიოდა მეფე მაღალ სამოხელეო თანამდებობის პირთა თანხლებით და დედოფალი თავისი ამალით, ყველანი ულამაზესსა და უმდიდრეს ტანისამოსში გამოწყობილნი. როდესაც მეფე და დედოფალი დაიკავებდნენ თავიანთ ადგილებს — გალავანზე აღმართულ ცენტრალურ აივანს, გაისმოდა ჰეროლდმაისტერის საყვირი და სამხედრო თამაშობა იწყებოდა. იმსხვრეოდა იარაღი, ბრძოლის სიცხარეში ფარებსა და ქაფებს მოხვედრილი. იარაღის გამოცვლა ნებადართული იყო 12-ჯერ. მაყურებლები ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდნენ და აქეზებდნენ მებრძოლთ. ბოლოს მოედანზე ორი მებრძოლი-ღა რჩება და როდესაც ერთ-ერთი მათგანი იმარჯვებს, მაყურებლების შეძახილები და ბუკის საყვირი აგვირგვინებს ამას. გამარჯვებული დამარცხებულ მოწინააღმდეგეს მთელი სულდიდობით ეპყრობა და უმეგობრდება.

ტურნირი რამდენსამე დღეს გრძელდებოდა ხოლმე. იცვლებოდა მხოლოდ იარაღის სახეობანი. ხდებოდა ომის სხვადასხვა შემთხვევათა ინსცენირება: გამაგრებული პუნქტის იერიში, ანდა ხიდის აღება და მისთანა.

ბრძოლა მთავრდებოდა. იწყებოდა ჯილდოს გადაცემა გამარჯვებულისათვის. ჰეროლდები კრებდნენ დამსწრეთა ხმებს, მათ შორის მანდილოსნებისაც, რომელნიც სრულიად კომპეტენტურად ითვლებოდნენ ამ საკითხში. დაითვლიდნენ ხმებს და შედეგებს მეფეს ან უფლისწულს მოახსენებდნენ, რომელიც თავმჯდომარეობდა ტურნირს. ამის შემდეგ მსაჯნი ხმამაღლა, ყველას გასაგონად აცხადებდნენ გამარჯვებული რაინდის სახელს და ჰეროლდები ქება-დიდებით ამკობდნენ მას. ამას მოჰყვებოდა ზარების რეკვა, საყვირის — ბუკ-დაფდაფთა ცემა, მუსიკა — ციმბალსა და ფლეიტაზე დაკვრა, ტრუბადურებისა

და მენესტერლების სიმღერები. დედოფალი ჯილდოს გადასცემდა გამარჯვებულს და საპატიო გვირგვინით ამკობდა, მეფე სიტყვით მიმართავდა. გამარჯვებული რაინდი საპასუხო სიტყვაში მუხლმოდრეკილი მოწიწებით მადლობას უხდის მეფეს. დამსწრენი ულოცავდნენ გამარჯვებულს, ქება-დიდებას ასხამდნენ, ტაშით აცილებდნენ, ყვავილებს უფენდნენ ფერხთ.

დასასრულს იმართებოდა დიდი ნადიმი, რომელზეც სხვადასხვა სანახაობებს დიდი ადგილი ეჭირა[19].

ფრანგული რაინდობის ამ ჩვეულებათა აღწერილობებში, რომელსაც ლ. გოტიე და რუა იძლევიან შუა საუკუნეთა ფრანგულ მხატვრულ ნაწარმოებებში შემონახული ცნობების საფუძველზე, ბევრი რამ, როგორც ვხედავთ, „ამირან-დარეჯანიანში“ აღწერილ სცენებს მოგვაგონებს. ეს სრულიად მოსალოდნელი და ბუნებრივია. რაინდობა ყველგან რაინდობაა; ფეოდალური საზოგადოება, მათი ზნე-ჩვეულებანი, ყოფა-ცხოვრება, ინტერესები, იდეალები, ყველგან მსგავსია და მსგავსება მით უფრო თვალსაჩინოა, რაც უფრო ახლოსაა ქვეყნებს შორის საზოგადოებრივი განვითარების საერთო დონე.

რაინდული გართობისა და დროსტარების ერთ-ერთი სახეობა იყო ჭადრაკის თამაში. „ამირან-დარეჯანიანში“ ამაზე მითითებას ხშირად ვხვდებით. რაინდთა დროსტარების ერთი ცხადად დახატული სურათი ამ თხზულებიდან: „ნადიმი დაიდვის და იმღერდიან მოშაითონი და იქმოდიან აჯაბთა. ჰკედნიდიან რაინდნი ცხენთა და ზოგნი ჭადრაკთა იმღერდიან, ზოგნი ღუინოსა სმიდიან“[20].

ჭადრაკი რაინდების ერთ-ერთი საყვარელი თამაშობაოგანი იყო ევროპაშიც[21].

ჭაბუკ-მოყმეთა სასპორტო გართობა-თამაშობათა საყვარელი სახეობა ბურთაობაა. შარვანშაჰისა და ამირ-მირმანის პატივსაცემად გამართულ თამაშობებს შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავა შეჯიბრს ბურთაობაში. სტუმრებთან შეჯიბრში ქართველ მასპინძლებს გაუმარჯვნიათ და მეტოქეთა ქება-დიდება დაუმსახურებიათ. „ისმოდა ქება თჳთ ამირ-მირმანისი და დიდებულთა და ჰულამთა მისთა, ვითა: „ერაყსა, ადარბადაგანსა და ერანს ამათებრნი მობურთალნი არ დარჩომილან“, — გადმოგვცემს XII საუკუნის ისტორიკოსი[22].

XVIII ს. ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი თავისი ისტორიული და გეოგრაფიული შრომებისათვის წამძღვარებულ შესავალში — „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“, აღწერს რა მრავალ უძველეს

---

[19] Р у а, История рыцарства, 1898, გვ. 104—141

[20] „ამირან-დარეჯანიანი“. გვ. 363.

[21] L. G a u t i e r, დასახ. ნაშრომი.

[22] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 66—67.

ქართულ ჩვეულებას, იძლევა ცნობას იმ შეჯიბრებათა შესახებ, რომელიც იმართებოდა ხოლმე ძველად სხვადასხვა სახის დღესასწაულების დროს. მაგალითად, აღდგომას, წირვის შემდეგ მეფე „და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი“ ესწრებოდნენ „ასპარეზსს“, სადაც „დასვიან საძეფო თასი ოქროსი ანუ ვეცხლისა ყაბახსა ზედა. დაუწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა და, რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთობა და, რომელმან მჯარემან აჯობის, იყო მჯარე-თალარნი სამეფონი, და მისციან მათ თუთოთა თუთო (ეგრევე ქორწილისა. დიდ გამომჩუენებისა დღესა შინა ყვიან ესე ასპარეზსა ზედა)“[23].

ბურთაობაში გაწვრთნილება ჭაბუკ-მოყმის ერთ-ერთ ღირსებად ითვლება („ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით). როსტევან მეფე ნატრობს, რომ მას დაემსგავსოს ვინმე „მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა“[24]. ტარიელი ასე აღწერს თავის ცხოვრებას ფარსადან ძეფის კარზე: ვბურთაობდი და ვნადირობდი, „ვით კატასა ვხოცდი ლომსა“[25]; „მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან, მერმე ვიბურთი მოედანს მინდორით შემოქცეულმან“[26]. ბურთის თამაში, მობურთალობა ავთანდილის და ტარიელის თავშექცევისა და ვარჯიშის აუცილებელი კომპონენტი იყო[27].

3. „სახიობა“

ნადიმებზე (ჭაბუკ-მოყმეთა ასპარეზობას რომ ახლდა ხოლმე) დიდი ადგილი ეკავა ყოველგვარ სანახაობათა ჩვენებას, სახიობას. აქ სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე უკრავდნენ მგოსანნი და მუტრიბნი, მუშაითნი და ბახტნი. ასრულებდნენ სიმღერებს, ცეკვავდნენ. ნადიმების აღწერას „ამირან-დარეჯანიანში“, ჩვეულებრივ, თან სდევს ხოლმე გამოთქმები — „იმღერდეს მგოსანნი“[28], „დავდეევით ნადიმი და დაიწყეს მგოსანთა მღერა“. განცალკევებით იმ დარბაზისაგან, სადაც ნადიმი მიმდინარეობს, მის შორიახლოს, ზოგჯერ მგოსანთა მთელი ორკესტრია მოთავსებული: „იმღერდეს მგოსანნი ჩუენ ვერა ვხე-

---

23 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 29—30.
24 „ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 63.
25 იქვე, სტროფი 328.
26 იქვე, სტროფი 333.
27 იქვე, სტროფები 516, 823, 477.
28 „ამირანდარეჯანიანი“, გვ. 77.

დევდით, მაგრამ ჯმა ესრე გუესმოდა, ვითამცა ახლოს იდგომილიყვნეს. კედელთა გარეთ სადგომი იყო, მგოსანნი მუნ იმღერდეს"[29].

სხვა შემთხვევაში კი ნადიმზე „მგრგლივ მგოსანნი დგეს და იმღერდეს"[30].

მღეროდნენ მგოსანნი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილშიც[31].

ნადიმზე მგოსან-სახიობთა მონაწილეობის ჩვეულებას აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონიც. ის წერს, რომ სადღესასწაულოდ გაძართულ სპორტულ შეჯიბრებათა შემდეგ „შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი მგოსან-სახიობთა". და კიდევ: საახალწლო ზეიმის დროს მეფის სასახლეში „შემდგომად სრულიად სპათა მოლოცვისა შექმნიან პურობა დიდი, განცხრომითა და სახიობითა"[32].

„მგოსანი" XVIII და XIX საუკუნების ლექსიკონებში ახსნილია, როგორც „ვაჟნი და ქალნი კეთილად მომღერალნი ჯმითა სამუსიკოთა ებანთა და ბარბითთა ზედა" (საბა). ამ განმარტებას იმეორებს XIX ს. პირველი ნახევრის ლექსიკოგრაფის ნ. ჩუბინაშვილის განმარტებაც: „ვაჟნი გინა ქალნი მომღერალნი ებანთა და ბარბითთა ხმითა სამუსიკოჲთა".

არ იქნებოდა სწორი ამ განმარტებაში ნახმარი მიმღეობა „მომღერალნი", ზმნა „მღერა"-დან ნაწარმოები, დღევანდელი მნიშვნელობით გაგვეგო. „მღერა" ძველ ქართულში, უპირველეს ყოვლისა, და უფრო ხშირად ეწოდებოდა დაკვრას, თამაშს, ვარჯიშს და უკვე შემდეგ იმას, რასაც ჩვენ დღეს ვგულისხმობთ[33]. ამიტომ „ამირან-დარეჯანიანში" ნახმარი გამოთქმა — „იმღერდიან მგოსანნი" აქ უნდა ნიშნავდეს არა იმას, რომ მგოსანნი ხმით მღეროდნენ, არამედ იმას, რომ ისინი უკრავდნენ, უკრავდნენ სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, იყო ეს ჩანგი, ებანი, ბარბითი თუ სხვა. ასე რომ, „მგოსანი", თავისი ძირითადი შინაარსით, ძველ ქართულში არის დამკვრელი და არა მომღერალი. მაგრამ, ამასთანავე, საგულვებელია ისიც, რომ ინსტრუმენტზე დაკვრის დროს მგოსნები ზოგჯერ ხმასაც აყოლებდნენ ასრულებდნენ რა საკუთარ სიტყვებზე შექმნილ სიმღერებსაც და ამი-

---

29 „ამირან-დარეჯანიანი", გვ. 330.

30 იქვე, გვ. 332.

31 „ვეფხისტყაოსანი", სტროფი 1464.

32 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 30.

33 ილ. აბულაძის განმარტებით, „მღერა" ნიშნავს თამაშობას, ხტომას, ცეკვას და სხვ. „ძველი ქართული ენის ლექსიკონი", გვ. 303. დ. ჯანელიძის აზრით, „მღერა" თავდაპირველად ნიშნავდა „თამაშობას" (დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, რუსთაველი და სახიობა, 1967, გვ. 45). XII საუკუნეში „მღერას" უკვე დღევანდელი მნიშვნელობაც მიუღია — „ვეფხისტყაოსანში" ის არაერთხელ არის ნახმარი ასე.

ტომაა, რომ დღეს „მგოსანს“ პოეტის მნიშვნელობაც აქვს. მგოსნობა — ინსტრუმენტზე დაკვრა, ზოგჯერ, ხმის აყოლებით საკუთარ ტექსტზე, თავის განსაკუთრებულ გავრცელებას სწორედ ამ დროს, რაინდულ ხანაში ღებულობს, როდესაც ფართოდ შემოდის ჩვეულება — რაინდულ საგმირო საქმეთა სიმღერით შესხმა-შექება მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით.

ერთ პირში შერწყმული მომღერალი, მემუსიკე, პოეტი და ამავე დროს მუსიკის ავტორი, გავრცელებული იყო რაინდული ხანის ევროპაშიც და იქ ასეთი ხელოვანნი ტრუბადურების (საძხრეთ საფრანგეთი), ტრუვერების (ჩრდილოეთ საფრანგეთი), მენესტრელების (ინგლისი) და მინეზინგერების (გერმანია, შვეიცარია, ავსტრია) სახელით არიან ცნობილნი.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, კ. კუციას ნაშრომში „გუსან-მგოსახთა ხელოვნების საკითხისათვის“. საძართლიანად არის შენიშნული ძველ ქართულ ძეგლებზე დაყრდნობით, რომ „მგოსნის ხელოვნება ძველი ქართული თეატრალური კულტურის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენდა“; რომ „მგოსანთა ხელოვნებას არა მარტო უსმენდნენ, არამედ უყურებდნენ, „უჰვრეტდნენ“ კიდეც“[34] — „მგოსნები ლხინში გამართული წარმოდგენების დროს „იყენებდნენ თეატრალური ქმედობის თითქმის ყველა გამომსახველ საშუალებას — ცეკვას, მიმიკას, პანტომიმას; მათ აქსესუარებში შედიოდა სამკაულები, ნიღბები, საგანგებო სამოსელი და ა. შ.“[35]

„მღერიან“ (ანუ თანამედროვე ენით — უკრავენ) ნადიმებზე „მუტრიბნიც“. „ვეფხისტყაოსანში“ ნათქვამია: თინათინისა და ავთანდილის ქორწილში „მუტრიბნი მოდგეს ყოველგნით, ისმოდის ხმა წინწილისა“[36]; ან კიდევ: „შინა დავსხედით ნადიმად მას დღესა მინდორს რებულნი; მომღერალნი და მუტრიბნი არ იყვნეს სულ-დაღებულნი“[37]; ფატმანზე ნათქვამია, რომ ის იყო „მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული“[38] („მომღერალნი“, როგორც ჩანს, მოთამაშეებად, სანახაობათა ქმნელად უნდა გავიგოთ).

„ისტორიანსა და აზმანში“ მოთხრობილია, რომ როდესაც თამარ მეფის კარს სელჩუკიანი მფლობელი მუტაფრადინი ესტუმრა, ვითარცა წესი იყო, მას დიდი დარბაზობა მოუწყეს, სადაც წარმოდგენილი

---

34 კ. კ უ ც ი ა, დასახ. ნაშრომი, კრებ.: „აღმოსავლური კულტურა“, 1960, გვ. 63—64. XI—XII საუკუნეთა საქართველოში თეატრალურ სანახაობათა შესახებ. იხ. დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, რუსთაველი და სახიობა, 1967.

35 კ. კ უ ც ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

36 „ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 1552.

37 იქვე, სტროფი 368.

38 იქვე, სტროფი 1077.

იყო სხვადასხვა სანახაობანი, თამაშობანი და გართობანი, რომელშიც მუტრიბნიც მონაწილეობდნენ[39].

სულხან-საბას განმარტებით, მუტრიბი ჩანგზე დამკვრელი ქალია („ქალი მეჩანგე"). ასეთივე მნიშვნელობით აქვს ნახმარი ეს ტერმინი ბერი ეგნატაშვილსაც[40]. ხოლო XII საუკუნის ისტორიულსა და ლიტერატურული ძეგლებიდან პირდაპირ არ ჩანს, რომ მუტრიბნი მაინცდამაინც ქალი-მუსიკოსები ყოფილიყვნენ, მაგრამ მოულოდნელი აქ არაფერია. საინტერესოა, რომ ევროპაშიც ტრუბადურებად ხშირად ქალი-პოეტები და მემუსიკენი გვხვდებიან.

სიმღერა-დაკვრის გარდა, ნადიმებზე, ჩვეულებრივ, იმართებოდა ხოლმე სხვადასხვა სანახაობანი, „თამაშობანი", რომელშიც მონაწილეობდნენ ხოლმე ბახტნი და მუშაითნი. ბახტნი მოცეკვავენი იყვნენ[41], მუშაითი კი „თოკზე მოსიარულეს, ჯამბაზს[42]", „საბელზე მოთამაშეს"[43] წარმოადგენდა. „ვეფხისტყაოსანში" ნათქვამია, რომ ლხინში საძეფო კარზე „ძგოსახი და ძოშაითი უხმეს"[44]. „ამირან-დარეჯანიანის" მოთხრობით, ჭაბუკ-მოყმეთა ნადიმზე „იმღერდიან მოშაითნი და იქმოდიან აჯაბთა"[45]; „იმღერდეს მგოსანნი და მოშაითნი აჯაბთა იქმოდეს, რომელ ეგეთნი არავის უნახავს!"[46] ან კიდევ „მოშაითნი მოვიდეს და გააგრძელეს ნადიმი"[47]; „გარდავიჯადეთ ნადიმი... იყო დიდი სიხარული. ბახტნი და მოშაითნი იმღერდეს და განცხრებოდეს"[48] („იმღერდეს" ამ შემთხვევაში თამაშს, წარმოდგენის ჩვენებას აღნიშნავს). ამირან დარეჯანის ძე ესტუმრა ჭაბუკ სეფედავლეს, რათა ორთაბრძოლის შეჯიბრებაში გამოეწვია. სეფედავლემ დიდი პატივით მიიღო ამირანი და ჯერ ნადიმების გადახდა შესთავაზა: „ერთსა დღესა პურად შენსა ვიყვნეთ და მეორესა დღესა — ჩემსა. გაყვნა ორად მგოსანნი და მოშაითნი და მებუკე-მედაბდაბენი და ბახტნი. ნახევარნი ჩუენ თანა იყვნეს და ნახევარნი — მათ თანა"[49].

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მუშაითი არა მხოლოდ თოკზე მოსიარულე, აკრობატი იყო, არამედ კიდევ სხვა საკვირველებათა — „აჯაბთა" მოქმედიც, ანუ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ — ოინბაზი

---

39 ქ. ცხ., გვ. 43.
40 იქვე, გვ. 424.
41 სულხან-საბას განმარტებით — „უცხოებთა მროკავნი".
42 „ვეფხისტყაოსანი", 1951, ლექსიკონი, გვ. 279.
43 ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული.
44 „ვეფხისტყაოსანი", სტროფი 119.
45 „ამირანდარეჯანიანი", გვ. 363.
46 იქვე, გვ. 320.
47 იქვე, გვ. 331.
48 იქვე, გვ. 539.
49 იქვე, გვ. 464.

(фокусник). „ამირან-დარეჯანიანში“ ხომ ცალ-ცალკეა ნათქვამი „იმღერდიან მოშაითნი და იქმოდიან აჯაბთა“[50], ე. ი. თოკზეც ვარჯიშობდნენ და სხვა საოცრებასაც (აჯაბთა) აჩვენებდნენ.

თამარ მეფისა და დავით სოსლანის დაქორწინების გამო გამართულ ლხინშიც „ისტორიანსა და აზმანის“ მოწმობით „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა“[51]. „ზმა მგოსანთა და მუშაითთა“ საზეიმოდ გამართულ სხვა ნადიმების პროგრამის შემადგენელი ნაწილია ხოლმე ჩვეულებრივ[52].

ნადიმებზე გამართულ ლხინში მძლავრად გაისმოდა მებუკე-მედაბდაბეთა დაკვრაც. მებუკენი და მედაბდაბენი, ბუკსა და დაბდაბზე დამკვრელნი, დიდ მონაწილეობას ღებულობდნენ ორთაბრძოლებისა და ასპარეზობათა ორგანიზაციის საქმეში. მებუკენი ბუკის (საყვირის) მეშვეობით ბრძოლის დაწყებას ამცნობდნენ ხალხს, ჰკრებდნენ მაყურებლებს, ბრძოლის დროს კი მედაფდაფენი დაფდაფის (დოლის) ცემით აზარტსა და საბრძოლო ხალისს ქმნიდნენ. მებუკე-მედაფდაფენი, ამას გარდა, ესწრებოდნენ ნადიმებსაც, სადაც შეჯიბრებაში გამარჯვებამოპოვებულთ ქება-დიდებას ასხამდნენ.

„მოვიდეს იგი მებუკე-მედაბდაბენი, ქება შეასხეს ამირან დარეჯანის ძეს“[53], და კვლავ, უკვე სხვა გამარჯვების შემდეგ „მოდგეს მებუკე-მედაბდაბენი, შეასხეს ქება და წავიდეს“[54]; „მოვიდეს მებუკე-მედაბდაბენი, თაყუანი სცეს და ქება შეასხეს ამირან დარეჯანისძეს...“[55]. მებუკე-მედაფდაფეებს საგანგებო სადგომიც აქვთ მიჩენილი სამეფო სასახლის სიახლოვეს მუშაითებთან ერთად: „სამეფოსა სახლამდის ზღუდე-შექმნილი იყო სადგომი მებუკე-ძედაბდაბეთა, ძოშაითთა“[56]. დაბოლოს ტერმინ „სახიობა“-ს შესახებ. „მოვიდიან მებუკე-მედაბდაბენი და მგოსანნი, იყო სახიობა“[57], ნათქვამია ამავე ძეგლში. უძველეს ქართულ ტექსტებში „სახიობა“ სრულიად გარკვევით „გალობას“, სიძღერას აღნიშნავს. ასე გახსარტავს ძველ X საუკუნეძდელ ქართულ ტექსტებზე დაყრდნობით ილ. აბულაძე თავის ლექსიკონში. ასე აქვს განმარტებული სულხან-საბასაც მაგრამ, „სახიობა“ ანდა „სახეობა“, „ისტორიანსა და აზმანში“ რომ გვხვდება, ამ ძეგლის გამოცემისადმი დართულ ლექსიკონში გან-

---

50 „ამირან-დარეჯანიანი“, გვ. 464.
51 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 47.
52 იქვე, გვ. 66.
53 „ამირანდარეჯანიანი“, გვ. 290.
54 იქვე, გვ. 297.
55 იქვე, გვ. 303—304.
56 იქვე, გვ. 326.
57 იქვე, გვ. 305.

მარტებულია როგორც „სანახაობა“, „წარმოდგენა“, თამაშობა. მართლაც, ამ ძეგლის მონაცემების მიხედვით, ეს განმარტება სრულიად გამართლებელია. თამარ მეფის პირველი ქორწილის დროს, ნათქვამია ამ საისტორიო თხზულებაში, იყო „სიმრავლენი სახეობათანი... შუება, ძღუნობანი, გაცემანი“[58]; უცხოელი სტუმრის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე წარმოდგენილი იყო „მრავალგუარი სახეობანი“ მუტრიბთა და მოთამაშეთა მონაწილეობით[59]. თამარის მეორე ქორწილის დროს „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა სახიობათა“[60]. ამას გარდა, „სახიობას“ ვხვდებით ჟამთაღმწერელის თხზულებაშიც. იქ ნათქვამია, რომ მეფე ლაშა-გიორგი იყო „სახიობის მოყუარე, ღვინის მოყუარე და გემოთ მოყუარე“[61]; აქაც, საფიქრებელია, ლაშა-გიორგის სანახაობათა (და არა სიმღერის) მოყვარეობაზეა საუბარი.

„ამირან-დარეჯანიანის“ გამოცემისადმი დართულ ლექსიკონშიც „სახიობა“ განმარტებულია ასე: გართობა, თამაშობა, სანახაობა. ეს განმარტება კიდევ უფრო სრულია და რაინდული დროსტარების ზემოთ აღწერილ საერთო სურათს გამოხატავს.

მუსიკოსთა და მომღერალთა, აჯაბის მქმნელთა და „საბელზე მოთამაშე“ აკრობატთა, მოცეკვავეთა და სხვათა მონაწილეობით გამართული წარმოდგენები რაინდულ ცხოვრებას მეტი ბრწყინვალებითა და მიმზიდველობით ავსებდა.

---

58 კ. კეკელიძის გამ., გვ. 82; ქ. ცხ. II, გვ. 37; ქართული ენის ახსნა-განმარტებით ლექსიკონში „სახიობა“, სრულიად სამართლიანად, ორი მნიშვნელობით არის შეტანილი: 1. სანახაობა, წარმოდგენა, 2. ძვ. მუსიკალურ საკრავთა ხმა ან გალობა; მუსიკა.

59 კ. კეკელიძის გამ., გვ. 86; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 47. ზოგიერთ ვარიანტში ხელნაწერისა „მოთამაშეთა“ მაგიერ „მუშაითთა“ წერია.

60 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 47.

61 იქვე, გვ. 156.

თავი VI

ქართული და ევროპული რაინდობა

(მსგავსება და განსხვავება)

ქართულსა და ევროპულ რაინდობას უეჭველ მსგავსებასთან ერთად გარკვეული განმასხვავებელი ნიშნებიც ახასიათებს. მოკლედ შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე.

რაინდობა ევროპაში შედარებით უკეთ არის შესწავლილი საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის მიმართ. ყველაზე უფრო განვითარებული, ასე ვთქვათ, კლასიკური სახე მან საფრანგეთში მიიღო. ჩვენც ძირითადად საფრანგეთში განვითარებულ რაინდობის ტიპს შევადარებთ საქართველოში წარმოქმნილს და განვითარებულ რაინდობას.

ფრანგულ ისტორიოგრაფიაში არაერთი გამოკვლევა მოიპოვება სპეციალურად რაინდობის ისტორიისა და დახასიათებისადმი მიძღვნილი. ზოგიერთი მათგანი დაწვრილებით განიხილავს რაინდულ ზნეჩვეულებებს, ყოფა-ცხოვრებას, კულტურას, იდეალებს. ნაწილი გამოკვლევებისა კი სწავლობს მის ისტორიულ არსს, ფესვებს, მის ადგილს ფეოდალური ქვეყნის ისტორიულ განვითარებაში.

შუა საუკუნეთა საფრანგეთის რაინდული ყოფა დეტალურად აქვს განხილული XIX საუკუნის ფრანგ მწერალსა და მეცნიერს, ჩვენს მიერ ზემოთ უკვე არაერთხელ ხსენებულ ლეონ გოტიეს წიგნში „რაინდობა" („La Chevalerie"). ეს ნაშრომი მთლიანად ემყარება ცნობებს, რომელსაც ფრანგული საგმირო-სარაინდო მწერლობა — ე. წ. Chansons de Gestes იძლევა. აქ დეტალურად არის განხილული და აღწერილი მომავალი რაინდის ბავშვობის წლები, მისი რელიგიური და მორალური აღზრდა, სამხედრო-სპორტული წვრთნა, სწავლა-განათლება, ჭაბუკობის წლები, სამხედრო და სპორტული გამოცდის სხვადასხვა საფეხურები, სანამ რაინდის მდგომარეობას მიაღწევდეს, რაინდად კურთხევა, რაინდის საშინაო ცხოვრება, ყოფა, მისი სახლისა და კარის აღწერა, რაინდის სამხედრო ცხოვრება — ომებსა და ლაშქრობებში მონაწილეობა, რაინდული ტურნირები, ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაც გასდევს რაინდის ცხოვრებას დაბადებიდან გარდა-

ცვალებამდე და მრავალ საინტერესო ფაქტსა და საყოფაცხოვრებო დეტალს იძლევა. ამ ნაშრომის ძირითადი ნაკლი, გარდა წყაროთმცოდნეობის ბაზის სივიწროვისა (ემყარება, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ რაინდულ მხატვრულ ლიტერატურას), არის ის, რომ ნაშრომი ეწევა რაინდული ცხოვრების უაღრეს იდეალიზაციას, ხატავს რაინდის იდეალურ ტიპს, როგორც ყოველგვარ სათნოებათა გასახიერებას, რაც, ცხადია, რაინდის რეალური არსისაგან ერთობ დაშორებულია.

სპეციალურად რაინდობისადმი მიძღვნილ ნაშრომთაგან აღვნიშნავ, აგრეთვე, გუსტავ კოენის „რაინდობის ისტორიას შუა საუკუნეთა საფრანგეთში"[1]. ეს ნაშრომიც რაინდობის თავისებურ შესხმა-ხოტბას წარმოადგენს, მაგრამ, ამასთანავე, განიხილავს რაინდობას როგორც ისტორიული კატეგორიის წარმოშობას, სხვადასხვა რაინდული წესჩვეულებებისა და ცერემონიების მიმდინარეობას, მათ ისტორიულ ფესვებს და სხვა ამგვარ საკითხებს დაკავშირებულს რაინდობის ისტორიის ამა თუ იმ მხარესთან (მაგალითად, ეკლესიის როლს რაინდობის ევოლუციაში, სამხედრო-საეკლესიო რაინდული ორდენების დაარსების ისტორიას, რაინდობის დეკადანსის მიზეზებს XIV—XV საუკუნეებში და სხვა.

დაახლოებით ამავე ტიპის ნაშრომებია ლა კიურნ დე სენტ-პალეის ორტომიანი წიგნი, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, 1757 წელს გამოცემული — „მოგონებანი ძველ რაინდობაზე"[2], ან კიდევ რუას ნაშრომი „რაინდობის ისტორია"[3], თარგმნილი რუსულ ენაზეც[4]. ყველა მათგანს ერთი რამ საერთო აკავშირებთ — ისინი არ შეიცავენ რაინდობის როგორც გარკვეული სოციალური მოვლენის და სოციალური კატეგორიის მეცნიერულ ანალიზს და უმთავრესად რაინდული ყოფის აღწერას, რაინდული იდეალების გადმოცემას იძლევიან. ამგვარი ტიპის ნაშრომთაგან რამდენადმე განსხვავდება ანატოლ დე ბარტელემის ნაშრომი „რაინდობის განმარტებისათვის", გამოქვეყნებული გასული საუკუნის 60-იან წლებში[5]. ნაშრომში ვხვდებით საინტერესო დაკვირვებებს რაინდობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით.

რაინდობის არსის მეცნიერულ ანალიზს ვპოულობთ თანამედროვე

---

[1] G. Cohen, Histoire de la Chevalerie en France au Moyen Age, 1949.

[2] Mémoires sur l'ancienne Chevalerie, par La Curne de Sainte-Palaye, Paris, 1757.

[4] Руа, История рыцарства²—1898.

[5] Anatole de Barthelemy, De la qualification de chevalerie, Revue nobiliaire historique, t. IV, Paris, 1868, p. 1—13; 18—132.

ფრანგი ისტორიკოსების — მ. ბლოკის[6], ჟ. დიუბის[7], რ. ბუტრიუშის[8] და სხვათა ნაშრომებში, აგრეთვე რუსი მედიევისტის ი. ბესმერტნის გამოკვლევებში[9].

ფრანგული რაინდობის ისტორიის საკითხები განსაკუთრებით ვრცლად მიმოხილული აქვს მარკ ბლოკს, რომელმაც, ი. ბესმერტნის თქმით, განაზოგადა XX საუკუნის პირველი ორმოცწლეულის მრავალი ცალკეული გამოკვლევა და დიდი ნაბიჯი გადადგა ფეოდალური განვითარების ზოგიერთი მნიშვნელოვანი პროცესის გარკვევაში[10].

ნაშრომში „ფეოდალური საზოგადოება" მ. ბლოკს ცალკე გამოყოფილი აქვს თავი — „რაინდობა", სადაც ძირითადად ორი საკითხია გარჩეული — რაინდად კურთხევის ცერემონია და რაინდული კოდექსი[11]. მაგრამ, ამას გარდა, ამ ორტომიან გამოკვლევაში (განსაკუთრებით I ტომის მეოთხე თავში), მრავალ სხვა საინტერესო დაკვირვებას და დასკვნას ვპოულობთ ფრანგული რაინდობის შესახებ[12].

(ისტორიოგრაფიაში მიღებული აზრით, რაინდობა ევროპაში (მხედველობაშია საფრანგეთისა და რაინისპირა ტერიტორია) ძირითადად X საუკუნისათვის ყალიბდება. რაინდობა ამ დროს ეს არის ცხენოსან მეომართა რაზმი, მეფე-მთავართა სამხედრო სამსახურში მყოფი, რომლის წევრები ფლობენ ამ უკანასკნელთაგან მიღებული მიწის ნაკვეთებს — ფეოდებს, რაც საშუალებას აძლევს მათ მთელი თავიანთი დრო სამხედრო წვრთნისათვის მიეძღვნათ, ჰყოლოდათ საბრძოლო და სათადარიგო ცხენები და ძვირად ღირებული აღჭურვილობა.

X—XI საუკუნეების საფრანგეთში რაინდული რაზმის წევრად ყოფნა არ იყო დაკავშირებული იურიდიულ პრივილეგიასთან და რაინდად შესვლას რაიმე დაკანონებული ფორმა არ ახასიათებდა. რაინდად გახდომა შეეძლო ყველა თავისუფალ ადამიანს, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო და იყო ფეოდის მფლობელი ან კიდევ ასეთად

---

[6] M. Bloch, La société féodale, t. I—II, 1930—1940.

[7] G. Dyby, Situation de la noblesse en France au début de XIII s., 1969; მისივე — Les crigines de la Chevalerie, 1968; ეს ორივე ნაშრომი შესულია ჟ. დიუბის ნაშრომთა კრებულში: Hommes et structure du moyen âge, Paris, 1973; მისივე — Guerrier et paysans, Paris, 1973.

[8] P. Boutruche, Seigneurie et féodalité, t. 1—2, 1968—1970.

[9] Ю. Л. Бессмертный, Феодальная деревня и рынок в Западной Европе XII—XIII вв., 1969, с. 146; Причины воинственности средневековых рыцарей, ж. Вопросы истории, 1965, № 7.

[10] Ю. Л. Бессмертный, Феодальная деревня и рынок в Западной Европе XIII вв., 1969, с. 146.

[11] La Société féodale, t. I, გვ. 46—57.

[12] იქვე, გვ. 58—98.

გახდებოდა — ფეოდის მფლობელი შეიქნებოდა. გარკვეული დროიდან პრაქტიკაში შემოდის რაინდად მიღებასთან დაკავშირებით მარტივი ცერემონია: რაინდობის მაძიებელს რომელიმე, შედარებით ხნიერი რაინდი იარაღს გადასცემს, რასაც მოსდევს ხელის გულით დარტყმა მაძიებელის კისერზე ან ლოყაზე[13]. მარკ ბლოკი წერს, რომ ამ ცერემონიის ხსენებას ფრანგული დოკუმენტები XI საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყებს. ფიქრობენ, რომ აღნიშნული ცერემონია მომდინარეობს ძველ გერმანულ ტომებში გავრცელებული ჩვეულებიდან, რომელსაც ტაციტუსი აღწერს: სრულწლოვან ასაკს მიღწეულ ახალგაზრდას, როდესაც მას იარაღის ტარების უფლება ეძლეოდა, საჯარო კრებაზე ვინმე უხუცესთაგანი, ანდა ოჯახის მამა გადასცემდა იარაღს და თან ზემოაღწერილ დარტყმასაც მიაყენებდა ხოლმე. ეს იყო საომარი ნათლობის მსგავსი რიტუალი, რომელიც რაინდად კურთხევის ცერემონიალში იჩენს თავს გარკვეული დროიდან[14]. შემდეგ, იმისდაკვალად, რომ რაინდული შეგნება კიდევ უფრო გამოკვეთილ სახეს ღებულობს, რომელიც მკვეთრად თიშავს რაინდს იარაღს გარეშე დარჩენილი მასისაგან და ამ მასის ზევით აქცევს მას, ამგვარ გაერთიანებაში შესვლის ფორმალური აქტით სანქციონირების საჭიროება უფრო ძლიერად იგრძნობა. ამგვარი აქტის ძალით კიდევ უფრო მკვეთრად უნდა გახაზულიყო მდგომარეობის ცვლილება, რაც რაინდად შესვლას სდევდა. ამიტომაა, რომ რაინდად კურთხევის ცერემონიალი თანდათან სულ უფრო რთულდება. თუ საწყის ეტაპზე ტერმინი „რაინდი" გაიგებოდა როგორც ფაქტიური მდგომარეობა—სამსახური კაცისა ცხენითა და სრული საბრძოლო შეიარაღებით იმ პირის სასარგებლოდ, ვისგანაც ფეოდი უჭირავს, ახლა ყოველივე ამას გარდა, რაინდად გადაქცევისათვის რთული ცერემონიის შესრულებაა საჭირო, ცერემონიისა, რომლითაც რაინდს უკვე, ასე ვთქვათ, განაწესებენ. აქ აღსანიშნავია, აგრეთვე, ეკლესიის როლის გაძლიერება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეკლესია უკვე უშუალოდ და ძლიერ აქტიურად მონაწილეობს რაინდის კურთხევის ცერემონიალში. ~~ცერემონიალი~~ იწყება ხმლის დალოცვით: მომავალი რაინდი თავის ხმალს ეკლესიის საკურთხეველზე დებდა. ამ ჟესტს თან სდევდა ლოცვა. იარაღის კურთხევა ერთგვარი წინასიტყვაობა იყო. ამის შემდეგ ხდებოდა კაცის რაინდად კურთხევა — სრულდებოდა საეკლესიო ლიტურგია, რომელიც მთავრდებოდა სამღვდელო პირის მიერ ახლად ნაკურთხი რაინდისათვის იარაღის გადაცემით. შემდეგ ყოველივე ამას მოსდევდა, ჩვეულებრივ, ზეი-

---

[13] La Société féodale, t. I, გვ. 46.

[14] A. de Barthelemy, ღასახ. ნაშრომი, გვ. 4.

მი, სპორტული შეჯიბრებანი, რომელიც საბოლოოდ ნადიმით მთავრდებოდა.

თანდათან ცერემონიალი კიდევ უფრო რთულდებოდა. მას ემატებოდა კურთხევის წინა ღამის მარტოობაში, ეკლესიის მყუდროებაში გატარება, ღამისთევა, რასაც მოჰყვებოდა რიტუალური აბაზანის მიღება და სხვა.

აღწერს და ანალიზს უკეთებს რა ამ ცერემონიალს მ. ბლოკი, აქვე აღნიშნავს იმასაც, რომ არცერთი ამ რელიგიური რიტუალთაგანი არასოდეს ყოფილა რაინდად კურთხევისათვის სრულიად აუცილებელი. სხვადასხვა გარემოებანი, ამასთანავე, ხშირად ხელს უშლიდა მათ შესრულებას.

მ. ბლოკის თქმით, კურთხევის ამგვარი სახეობა XII საუკუნის შუისათვის ისახება[15].

ქართულ საისტორიო წყაროებს არ შემოუნახავს პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, სრულდებოდა თუ არა საქართველოში ახალგაზრდის მოყმე-ჭაბუკად მიღების ცერემონია. ცნობათა არარსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ფაქტის უეჭველ უარყოფას, მით უფრო, რომ აღებული ეპოქიდან ძალიან მცირე დოკუმენტური წყაროა მოღწეული ჩვენამდე და, ამდენად, აღნიშნული ტიპის ცერემონიების შესახებ ცნობების არარსებობა, შესაძლოა, შემთხვევითიც იყოს. მაგალითად, ევროპისათვის დეტალურად არის ცნობილი და მრავალჯერ აღწერილი ნარატიულ, დოკუმენტურ თუ სხვა ხასიათის წყაროებში ხელოვნების ძეგლებზე ის ცერემონიალი, რომელიც სრულდებოდა ვასალად მიღებისას. მას „ომაჟი“ ეწოდებოდა და დროთა მანძილზე ის სულ უფრო რთულდებოდა, დაემატა საეკლესიო რიტუალიც — სახარებაზე ფიცის წარმოთქმა, ე. წ. „ფუა“ („foi“). საქართველოში კი არც ამ ცერემონიის არსებობაზე გაგვაჩნია პირდაპირი ცნობები, მაგრამ ამის გამო არავინ არ უარყოფს ვასალიტეტს ფეოდალურ საქართველოში. ის უდავო ფაქტია აქ. ასე რომ, გარკვეულ მოვლენასთან დაკავშირებული ცერემონიალის შესრულება-არშესრულება თვით მოვლენის არსებობა-არარსებობას, ცხადია, ვერ განსაზღვრავს.

რაც შეეხება რაინდად კურთხევის ცერემონიალს ფეოდალურ საქართველოში, ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა მიუთითებს, რომ რაინდობაში შესვლას აქ გარკვეული, თუნდაც მარტივი რიტუალი ახლდა ხოლმე თან.

იარაღის საზეიმო გადაცემა საგანგებო შემთხვევებთან დაკავშირებით ფეოდალურ საქართველოში, საერთოდ, ფართოდ ყოფილა გა-

---

15 მ. ბ ლ ო კ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46—53.

ვრცელებული. ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ ეს აქტი მეფედ კურთხევის ცერემონიალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო[16], რამდენადაც მეფე უზენაეს მთავარსარდლად ითვლებოდა. იარაღის გადაცემა შედიოდა მეფის მიერ მსხვილი ფეოდალის ერისთავად დადგენის ცერემონიალშიც[17] — ესეც იმიტომ, რომ ერისთავი სამხედრო წინამძღოლი იყო თავის საერისთავოში. ბუნებრივი იქნებოდა დაგვეშვა, რომ ახალგაზრდა კაცის რაინდად ნათლობასაც იარაღის საზეიმოდ გადაცემა ახლდა. მაგრამ თითოეული ასეთი კერძო შემთხვევა იმდენად ხშირი იყო და თითოეული რაინდის ასეთად კურთხევის მნიშვნელობა არ იყო იმდენად დიდი, როგორც ვთქვათ, მეფედ კურთხევა, ანდა რომელიმე ფეოდალის მსხვილ მოხელედ დალოცვა, რომ აუცილებლად შემოგვრჩენოდა წერილობითი ცნობები ახალგაზრდა კაცის სარაინდო საქმეთა სარბიელზე კურთხევის ცერემონიალთა ჩატარების შესახებ. მეორე მხრივ, არსებობს ძველი ქართული წყაროების ერთი მეტად საინტერესო გამოთქმა — „თაყვანისცემა". „თაყვანისცემა" არ იყო მხოლოდ რაღაც სულიერი გრძნობების გამომხატველი ცნება, როგორც ის გვესმის დღეს, ის გარკვეული რიტუალის აღმნიშვნელი ტერმინიც უნდა ყოფილიყო.

სიტყვა „თაყვანისცემის" („თავყანისცემის") თავდაპირველი მნიშვნელობა, როგორც თვით სიტყვა გვიჩვენებს, „თავის მიწაზე ცემაა", ჟესტი, რომელსაც მიმართავდნენ უაღრესი და უმორჩილესი პატივისცემის გამოსახატავად. თანდათან ეს პირვანდელი მნიშვნელობა ფართოვდება და უძველეს ქართულ საღვთისმეტყველო ტექსტებში ის უკვე ლოცვასაც გულისხმობს[18] თავის მიწაზე ცემასთან ერთად.

XI—XII საუკუნეებში, ქართულ საისტორიო თხზულებებში გამოთქმა „თაყვანისცემა", „თაყვანისცა" უნდა გულისხმობდეს უზენაესი ხელისუფლებისადმი, მეფისადმი მისი ხელქვეითისაგან მორჩილებისა და უდაბლესი სამსახურის გამომხატველ რაღაც ცერემონიას. ეს ცერემონია, საფიქრებელია, მარტო წელში მოხრასა და თავის მიწაზე დადებით ანდა მუხლის მოდრეკით არ გამოიხატებოდა და, როგორც მინიმუმი, სიტყვიერ მიმართვას, გარკვეული ფორმულის წარმოთქმასაც გულისხმობდა, როგორც ჩანს. ამიტომაა, რომ ისტორიულ წყაროებში თაყვანისცემის ხსენებას ზოგჯერ უშუალოდ მოსდევს თაყვანისმცემლის მხრიდან ზემდგომი, თაყვანისცემული პირის მიმართ ქება-შესხმა და თავის შევედრებაც. მეფე დაეით სოსლანს, განძას მი-

---

16 ქსძ, ტ. II, № 20, გვ. 51, 53.

17 იქვე, № 37, გვ. 102; ვახუშტი ბაგრატიონი, ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი, ქ. ცხ., ტ. 4, გვ. 32.

18 ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 174.

სულს, მიეგებნენ „დიდებულნი და ვაჭარნი, ყადი და მულიმნი, დავრდომით მიწა-ქნით თაყუანისმცემელთა შეასხეს ქება დავით მეფესა და ცრემლით მოქენეთა შეავედრეს თავნი თჳსნი და შვილნი“[19]. ე. ი. საკუთრივ თაყვანისცემას — „მიწა-ქნით დავრდომას“, მოჰყვა ქების შესხმა და თავის შეევედრება, რაც ყმობას, ქვეშევრდომობის აღიარებას უღრიდა.

გამარჯვებულ მეფე დავით სოსლანსვე ეახლნენ შარვან-შაჰი და ამირ-მირმანი: „თაყუანის-ცეს, დალოცეს და ქება შეასხეს მეფესა და ბუმბერაზთა მისთა“[20]. მაშ, აქაც თაყვანისცემას მოსდევს დალოცვა, ქების შესხმა.

საინტერესოა „თაყვანისცემისაგან“ ნაწარმოები ზმნა — „ითაყუანა“. „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი გადმოგვცემს, რომ მეფე გიორგი II-მ ქალაქი ანისი უბოძა თჳსსავე ზემამულესა და ითაყუანა თავისა „თჳსის ყმად“[21]. მაშასადამე, ნება მიეცა ანისის მფლობელს თაყვანი ეცა მეფისათვის, ე. ი. მორჩილების აღმნიშვნელი გარკვეული ცერემონია შეესრულებინა, რის შემდეგაც მეფე მას თავის ყმად აღიარებდა. „ამირან-დარეჯანიანში“ ნათქვამია, რომ გამოჩენილ რაინდს მზეჭაბუკს ეახლა ექვსი ჭაბუკი — „მოვიდა თაყვანის-სცეს ყმად“. მზეჭაბუკმა, თავის მხრივ, მათ „საბოძუარი და საკარგავი უბოძა“, რის შემდეგაც ეს ექვსი ჭაბუკი „იყვნეს და მსახურებდეს ერთგულად“[22] ამ თავიანთ ახლად შეძენილ პატრონს. ამ სიტყვებით, ეპოქისათვის დამახასიათებელი პატრონყმური ურთიერთობის დამყარების მთელი რიტუალია გადმოცემული.

„თაყუანის-ცემის“ ცერემონიალი, როგორც ვხედავთ, ყმად თავის შეევედრების, ყმობაში შესვლის აქტს სდევდა თან, მაგრამ არამარტო ყმად შესვლას.

მეტად საინტერესოა ამ მხრივ გამოთქმა „ითაყვანა“ დარბაზის ყმად მიღებასთან დაკავშირებით ნახმარი. „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი მოგვითხრობს, რომ თამარ მეფემ ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის უმცროსი შვილი ივანე „ითაყვანა დარბაზის ყმად“. ზმნა „ითაყვანა“ დარბაზის მცველთა რაზმში ახალი წევრის შეყვანასთან დაკავშირებით ნახმარი, აგრეთვე გარკვეული ცერემონიალის შესრულებას უნდა გულისხმობდეს.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა აგრეთვე XII საუკუნის შუა ხანების ძეგლის, ფავნისის ეკლესიის კედლის მხატვრობაში ასახული ერთი სცენა: წმინდა გიორგი აკურთხებს მის წინაშე მლოცველ-

---

19 ქ. ცხ. II, გვ. 72.
20 იქვე.
21 იქვე, გვ. 15.
22 „ამირან-დარეჯანიანი“, გვ. 605.

თა პოზაში მდგომ პირებს — ფეოდალებს. წმინდანსაც და მის წინაშე მდგომ ფეოდალებს ახლავთ სამხედრო საჭურველი — მახვილი და ფარი. ფეოდალთ მოსავთ მდიდრული ტანსაცმელი, ნახევრად საერო და ნახევრად სამხედრო.

ხელოვნებათმცოდნე ე. პრივალოვას თქმით, რომელსაც დეტალურად შესწავლილი აქვს ძეგლი, ეს სცენა იმით გამოირჩევა, რომ აქ იგრძნობა სამხედრო რეგალიების განსაკუთრებული, საგანგებო ხაზგასმა. ამ სცენაში წმინდა გიორგისთან ერთად მონაწილეობენ სხვა წმინდანი მეომრებიც — თევდორე და დიმიტრი. წმინდა გიორგი, აღნიშნავს ე. პრივალოვა, მოქმედებს, აკურთხებს, ხოლო წმინდანები — თევდორე და დიმიტრი, ესწრებიან ამ აქტს[23]. მისივე აზრით, აქ ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ საჭურველის გამოხატვის რიტუალურ ხასიათზე, მის განსაზღვრულ სიმბოლურ მნიშვნელობაზე — „ქრისტეს მეომარი და ეკლესიის პატრონი გიორგი აკურთხებს ფეოდალებს და მათ იარაღს საომარ საგმირო საქმეებზე. ეჭვი არ არის, რომ აქ იარაღის კურთხევასთან გვაქვს საქმე[24].

თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ წმინდა გიორგი, როგორც ამ ნაშრომის ბოლო თავში შეეცდებით ვუჩვენოთ, ქართველ რაინდობას თავის მფარველ წმინდანად ჰყავდა შერაცხილი, შესაძლოა, ამ სცენაში დავინახოთ ანარეკლი იმ რიტუალისა, რომელიც ფეოდალის რაინდად მიღებისას სრულდებოდა და ზემდგომი პირის მიერ იარაღის გადაცემასა და კურთხევაში მდგომარეობდა.

XI საუკუნის ბოლოდან საფრანგეთის რაინდობის ისტორიაში აღინიშნება კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი — იშლება განსხვავება რაინდობასა და მაღალ ფეოდალურ არისტოკრატიას შორის და რაინდობა ამ დროიდან მოიცავს უკვე მთელ ფეოდალთა კლასს. ეს თვალსაზრისი განვითარებულია როგორც მ. ბლოკის ნაშრომში, ასევე ჟ. დიუბის და სხვათა ნაშრომებში[25].

მ. ბლოკისა და ჟ. დიუბის მიხედვით დოკუმენტურად დასტურდება, რომ XI საუკუნიდან საფრანგეთში იწყება და მთელი საუკუნის

---

[23] Е. Л. Привалова, Павнисн, 1977, გვ. 42—44.

[24] იქვე, გვ. 52.

[25] აღვნიშნავ ზოგიერთ მათგანს: M. Block, La soeiété féodale; L. Genicot, Les recherches relative à la noblesse médievale, Bulletin de la classe de lettres et des Seience morale et politique. 1975, t. 61, p. 45—68; G. Duby, Hommes et structures du Moyen Age, Paris, 1973, გვ. 325—343; G. Duly, Lignage, noblesse et chevalerie au XII s. dans la région maconaise: Une revision, Annales. Economie. Sociétés. Civilisation, 1972, p. 803—823; P. Van Luyn, Les milités dans la France du XI s., Le moyen âge, 1971, t. 77, № 1, 2. და სხვ.

მანძილზე წარმოებს რაინდობის ცნების თანდათანი გაფართოება და ამ ცნებაში ფეოდალთა კლასის საშუალო და წვრილ ფენებთან ერთად მისი უმაღლესი ფენის გაერთიანება. Miles-ი, რაინდობის აღმნიშვნელი ლათინური ტერმინი, ისე როგორც ლათინურიდანვე მომდინარე შუა ფრანგული ტერმინი chevalier (cabaleria) XI საუკუნის ბოლოდან მთელ „კეთილშობილთა“ კლასის, ნობლესის სინონიმი ხდება.

როგორ მოხდა ამ ცნების ესოდენი გაფართოება? ჟ. დიუბის მოცემული აქვს ამ მოვლენის ორი ძირითადი მიზეზი. ჟ. დიუბის თქმით, XI საუკუნისათვის მაღალი ფეოდალური საზოგადოება საფრანგეთში ორ ნაწილად დაიყო. ერთი მათგანი, უფრო მცირერიცხოვანი, ელიტა, ატარებდა ლათინურ ტიტულს dominus (ფრანგული — sire, ქართული, შესატყვისი — «ბატონი»). ფეოდალთა ეს ნაწილი ფლობდა საკუთარ ციხე-სიმაგრეებს, ფლობდა სენიორალურ უფლებებს. მეორე ნაწილი, ფეოდალთა ფართო მასა — chevalier, ანდა milites, სოციალურად და ეკონომიურად შედარებით დაბლა იდგა. ეს უკანასკნელნი პირველთ იქვემდებარებოდნენ, მათ გარკვეული ვალდებულებანი ეკისრათ ამ მაღალი სენიორების წინაშე, ქმნიდნენ მათ კარს, ლაშქრობა-ომების დროს თავიანთი სენიორების მხარეზე იბრძოდნენ. მეთერთმეტე საუკუნის შემდეგ (ზოგან XII საუკუნის დამდეგისათვის, ზოგან უფრო ადრე), განსხვავება ფეოდალთა ამ ორ ნაწილს შორის თანდათან და საკმაოდ სწრაფად იშლება. ეს ცვლილება გამოხატულია იმ დროინდელ ტერმინოლოგიაში. ტერმინი milites და chevalliers იქცევა უკვე საერთოდ კეთილშობილთა — noblesse-ის სინონიმად. ამავე დროს, უმაღლესი სენიორებისათვის დიდი მნიშვნელობის ამბავი ხდება რაინდად (chevallier-ად) კურთხევა, რაინდული შეიარაღებით აღჭურვა. ისინი თავს იმკობენ ამ ზედწოდებით — chevalier. ჟ. დიუბის მოჰყავს მაგალითი: XII საუკუნის წყარო — „L'histoire des comptes des Guines“ („გრაფ გინების ისტორია“), საუბრობს ამ მაღალი საფეოდალო სახლის ახალგაზრდა წევრზე, რომელიც dominus-ად იწოდება და ამავე დროს ყოველ ღონეს ხმარობს, რომ გახდეს miles-ი, რაინდი. მას აღარ ყოფნის, რომ იყოს „sire“ (ე. ი. ბატონი), წერს ჟ. დიუბი. მას ამას გარდა ჭირდება (და ეს არის მისთვის მთავარი), იწოდებოდეს chevalier-ად, რაინდად. მეორე მაგალითი — ერთ-ერთი მ თ ა ვ რ ი ს (prince) დედა თავისი კარტულარიის პრეამბულაში, სხვათა შორის, შენიშნავს, რომ მისი შვილები, ერთი ეპისკოპოსია, ხოლო მეორე — შევალიე. ერთი სიტყვით, შევალიეს ანუ რაინდის ტიტულს ახლა ატარებენ მაღალი სენიორები, ციხე-სიმაგრეთა მფლობელები — შატელენები. მეორე მხრივ, რიგითი რაინდები ისწრაფვიან თავიანთი ადგილსამყოფელი, მამული მიამსგავსონ მაღალი არისტო-

კრატიის მამულსა და კარ-მიდამოს. აგებენ ციხე-კოშკებს, უკეთებენ ღრმა თხრილებს, იმ დროს, როდესაც მათ არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდათ, ქვეყანაში მშვიდობა სუფევს. სუსტდება საქორწინო სეგრეგაცია უმაღლეს არისტოკრატიასა და ფეოდალთა ფართო მასებს შორის.

აღნიშნული დაახლოება-შერწყმის საფუძველი, როგორც აღნიშნავს ჟ. დიუბი, დაკავშირებულია შემდეგ მოვლენებთან: რეგიონების მეთაურები (მეფე, ჰერცოგი, გრაფი) იწყებენ მსხვილი არისტოკრატიის უფლებათა შეკვეცას. ჯარის შეკრება, უმაღლესი სასამართლო — უზენაესი ძალაუფლების ხელთ გადადის. მეორე მხრივ — რიგითი რაინდები გლეხთა სენიორალური ექსპლუატაციის უფლებებს იძენენ რეგიონის მეთაურთა ხელისშეწყობით, რომელნიც რაინდების მიზიდვით და უმაღლესი არისტოკრატიის დამდაბლებით არიან დაინტერესებულნი.

ამავე დროს მრავალი რამ არის საერთო, რაც მთელ ფეოდალთა კლასისათვის არის დამახასიათებელი და მეტად არსებითიც, კერძოდ ის, რომ ეს ის ნაწილია საზოგადოებისა, რომელიც თვითონ კი არ აწარმოებს, არამედ გლეხთა ექსპლოატაციის ხარჯზე ცხოვრობს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მეორე ასპექტიც — ზნე-ჩვეულებანი, ცხოვრების წესი. მიწისმფლობელი — წარჩინებულია ის თუ რიგითი ფეოდალი, — უპირველეს ყოვლისა, მეომარია. სამხედრო საქმე მთლიანად ამ კლასის ხელშია. მარკ ბლოკი წერს, რომ ამ დროისათვის უკვე სავსებით გამომუშავებულია ცნობილი თეორია, რომლის თანახმადაც ადამიანთა საზოგადოება სამ კატეგორიად (ordines) იყოფა — ვინც ლოცულობს, ვინც იბრძვის და ვინც შრომობს. მეომართა ამპარტავნება, განაგრძობს ბლოკი, სამღვდელოებაზე მაღლა აყენებდა თავს. ისინი ხომ ყოველგვარი სიკეთის დამცველები არიან, მათ შორის ღვთისაც და ყოველივე ღვთის გაჩენილისაც, აგრეთვე სამართლისა და სამართლიანობისა. ეს სიამაყე, ბლოკის თქმით, მათი კლასობრივი შეგნების არსებითი ინგრედიენტი იყო. ომი იყო მათი არა უბრალოდ ვალდებულება სენიორისა თუ მეფის მიმართ, არამედ ის მთელი მათი არსებობის დედააზრი.

აღნიშნული მოვლენები დამახასიათებელია XII საუკუნის ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვისაც. ქართული სიტყვა „ყმა“ (ვასალი), ადრე რომ დამორჩილებულს, დამოკიდებულ პირს აღნიშნავდა, თანდათან, როგორც ზემოთ ვუჩვენებდით, საერთოდ ფეოდალური კლასის ზოგად სახელად იქცა წარჩინებული თუ დიდებული ფეოდალების და მეფე-უფლისწულთა ჩათვლით. „ყმის“ ამგვარი ტერმინოლოგიური ტრანსფორმაციაც მჭიდრო კავშირში ჩანს იმ მნიშვნელობასთან, რომელსაც ლაშქრობა, სამხედრო სამსახური იძენს ფეოდალ-

თა კლასისათვის საერთოდ. ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში“ აღნიშნავდა, რომ ქართული რაინდობა იმ მხრივაც ჰგავს დასავლეთევროპულს, რომ საქართველოშიც „ლაშქარში“ ყოფნა და სამსახური მარტო მოქალაქეობრივი მოვლენა კი არ იყო, არამედ საპატიო და საამაყო უფლებად ითვლებოდა ყოველი კეთილშობილი ადამიანისთვის“[26]. ეს ის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიშანთაგანია, რომელიც საერთოა მთელი ფეოდალთა კლასისათვის და განმასხვავებელია საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან. რაინდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდის შედეგად, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ფეოდალთა ზედა ფენის სენიორალური უფლებების შეზღუდვასთან ერთად, რასაც სამეფო ხელისუფლება ატარებს თანამიმდევრულად სახელმწიფო ცენტრალიზაციისათვის ბრძოლის პროცესში, ხდება ფეოდალთა კლასის ამ ორი ფრთის ერთგვარი დაახლოება, რაინდული ცხოვრების წესისა და იდეალის მთელი ფეოდალური საზოგადოებისათვის მიმსიდველ წესად და იდეალად გადაქცევა. რუსთაველის ცნობილი სიტყვებიც — „მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“ მთელი საზოგადოების ამ ნიშნით დაყოფას გამოხატავს და სამღვდელოებასაც თუ დავუმატებთ, სწორედ იმ სამ ძირითად კატეგორიას გამოხატავს, რომელიც დამახასიათებელია შუა საუკუნეების ყველა განვითარებული ფეოდალური საზოგადოებისათვის.

საერთო სოციალური საფუძველი, ბუნებრივია, მსგავს იდეურ მიმართულებასაც წარმოშობს.

(დიდი სიახლოვე ჩანს ევროპაში ჩამოყალიბებულ რაინდულ კოდექსსა და რაინდული ეპოქის საქართველოში გავრცელებულ იდეალებს შორის.

ამ პერიოდის ქართული ლიტერატურა სავსეა საერთოდ რაინდობისათვის დამახასიათებელი იდეური ნიშნებით. ფეოდალურ სათნოებათა შორის პირველ ადგილზე დგას ფიზიკური ძალ-ღონის, ბრძოლის მაღალი ხელოვნებისა და უნარიანობის იდეალები. ბრძოლის და შეჭიდების განსაკუთრებული ტრფიალი, სახელისა და დიდების მოპოვების დაუშრეტელი წყურვილი, ტანჯვის, ყოველგვარ გასაჭირისა და სიკვდილის შიშის უგულველყოფა რაინდულ სათნოებათა ძირითად კოდექსს შეადგენს როგორც რაინდული ეპოქის დასავლეთში, ისე საქართველოშიც. რაინდს მოეთხოვება ეკლესიისა და სარწმუნოების დაცვა ურწმუნოთაგან, ქვრივ-ობოლთა და უძლურთა მფარველობა ძალმომრეობისაგან, ბრძოლა ყოველგვარ ბოროტ ძალთა წინააღმდეგ. გამომუშავებულია რაინდული ბრძოლის მტკიცე წესები — რაინდმა არ

---

26 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, 1928; წ. II, ნაკვ. II.

უნდა მოკლას დამარცხებული თუ არ არის ეს გამოწვეული თავდაცვის საჭიროებით და სხვა ასეთი.

რეალობა, ცხადია, შორს იყო იმისაგან, რომ ზუსტად დაეცვა ეს პრინციპები, რომელიც თავის იდეალად დასახა რაინდობამ. ეს იდეალებია ასახული აღნიშნული ეპოქის ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნების ძეგლებში. მათ განხილვას მომდევნო თავში შევეცდებით. ახლა კი უნდა შევჩერდეთ ქართული და ევროპული რაინდობის იმ ძირითად განმასხვავებელ ნიშნებზე, რომელიც XIII საუკუნის შუა ხანებიდან არის უმთავრესად შესამჩნევი, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც ქართული და ევროპული რაინდობის განვითარების გზები და პირობები უკვე არსებითად დაშორდა ერთი მეორეს.

რაინდობა XII საუკუნის შემდეგ თანდათან დახშულ კორპორაციად იქცევა დასავლეთ ევროპაში (ინგლისის გამოკლებით). მკაცრად ყალიბდება წესები, რომელთა მიხედვითაც ახალგაზრდა კაცის რაინდად მიღება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის მემკვიდრეობით ეკუთვნის რაინდობას, ე. ი. თუ მისი მამა, ან და ზოგჯერ მისი პაპაც კი აუცილებლად რაინდები იყვნენ. რაინდული წოდების მემკვიდრეობითობა იურიდიულად იქნა ცნობილი სწორედ იმ პერიოდში, როდესაც წარჩინებულებს გაუჩნდათ მწვავე მოთხოვნილება თავი დაეცვათ წარმოშობით მათთვის უცხო ე. წ. „ახალკაცებისაგან". ეს იყო შედეგი ღრმა სოციალური ძვრების რაინდული სამყაროს მიღმა რომ ხდებოდა და ახალი მძლავრი ძალის შემოტევასთან იყო დაკავშირებული. ეს ახალი ძალა, მზარდი ქალაქის პატრიციატი, გამოჩენას იწყებს და თვალსაჩინოდ საგრძნობელი ხდება XII საუკუნეში. ამ დროისათვის ის მნიშვნელოვან სიმდიდრეს ფლობს, ხოლო თავისი წესით, თავისი შეგნებით უცხოა რაინდობისათვის და იწყება „კეთილშობილთა" წოდების გამალებული ცდები თავი დაიზღვიონ ამ უცხო, მეტოქე ელემენტების შემოჭრისაგან. ამიტომაცაა, რომ რაინდთა კორპორაციული ორგანიზაცია, რაინდად კურთხევის გართულებული რიტუალით, მკაფიო გამოხატულებას ღებულობს[27]. ძირითადად ამით განსხვავდება ქართული რაინდობა თავისი ევროპული მოძმისაგან. საქართველოში რაინდობას დახშული, მკაფიო კორპორაციის სახე, არ მიუღია არასოდეს, ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე მოღწეული ცნობებისა და მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ.

არ წარმოქმნილა საქართველოში არც საეკლესიო-რაინდული ორდენები. ამგვარი ორდენების წარმოშობა დასავლეთ ევროპაში გვიანდელი მოვლენაა და დაკავშირებულია პირველ რიგში ჯვაროსნულ ომებთან.

---

[27] M. Bloch, დასახ. ნაშრომი, გვ. 46—96.

(აღსანიშნავია ისიც, რომ, საერთოდ, ეკლესიის გავლენა ქართულ რაინდობაზე არასოდეს ყოფილა იმდენად ძლიერი, როგორც ეს იყო დასავლეთ ევროპაში, სადაც ეკლესია ადრევე აქტიურად ერევა როგორც რაინდად კურთხევის საქმეში, ასევე რაინდთა მთელი საქმიანობის წარმართვაში, რის მკაფიო გამოხატულებაც ე. წ. ჯვაროსანთა ომებია.

აღნიშნული განსხვავება გაპირობებულია იმ ცნობილი ფაქტით. რომ დასავლეთში ეკლესია, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო დიდი ძალით სარგებლობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვიდრე ქრისტიანული აღმოსავლეთის ეკლესია.

არც ეს უკანასკნელი გარემოება, არც რაინდად კურთხევის რთული რიტუალები, არც რაინდული ორდენების არსებობა, ცხადია არ არის რაინდობის როგორც სოციალური მოვლენის მთავარი ნიშანი. ფეოდალიზმის განვითარების საერთო საზოგადოებრივი დონე წარმოშობს მსგავს სოციალურ მოვლენებს, რომელთა ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს ქართული და ევროპული რაინდობის მსგავსება იძლევა IX—XII საუკუნეებში.

ამ მსგავსების და სიახლოვის საფუძველი არის ის, რომ განვითარებული ფეოდალიზმის პირობებში ვასალიტეტის სისტემის ფართო განვითარების ნიადაგზე ყალიბდება პროფესიონალ-მეომართა მრავალრიცხოვანი წრე, რომელიც თანდათან ფეოდალთა კლასს მოიცავს მთელ თავის მთლიანობაში. ამ საზოგადოების შიგნით მკვეთრი დიფერენციაცია არსებობს — ისიც შედგება როგორც მაღალი არისტოკრატიისაგან მისი მწვერვალითურთ, მეფით სათავეში, ასევე დაბალი ეკონომიკური შესაძლებლობის ფეოდალ-მეომართაგან. მაგრამ გარკვეული ხანიდან მათ ყველას ერთი საზოგადო სახელი აერთიანებთ, საფრანგეთში — „შევალიე“, საქართველოში — „ყმა“, „ჭაბუკი“, „მოყმე“.

ფეოდალურ საქართველოში, ისე როგორც სხვა ამდენადვე განვითარებულ ფეოდალურ ქვეყანაში, ამ საზოგადოებამ მდიდარი სულიერი კულტურა შექმნა,) რომლის ზოგად მიმოხილვას შეეცდებით მომდევნო თავში.

თავი VII

ქართული რაინდული კულტურა

მძლავრ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღმავლობას, რომელსაც ქართულმა ფეოდალურმა სახელმწიფომ მიაღწია XI საუკუნისა და განსაკუთრებით XII საუკუნეში, ქართული კულტურის მაღალი და მრავალმხრივი განვითარება მოჰყვა შედეგად. ამ დროის კულტურა თავისი ხასიათით, ფორმითა და შინაარსით მაღალგანვითარებული ფეოდალური საზოგადოების მოთხოვნილების, მისი მიზანსწრაფვისა და ინტერესების მკაფიო გამომხატველი იყო.

აღმაელობას განიცდის კულტურის მრავალი დარგი. მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერების სხვადასხვა დარგი, განსაკუთრებით ისტორიოგრაფია, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, მთარგმნელობითი საქმიანობა და მრავალი სხვა.

ქვემოთ ჩვენ შევეხებით მხატვრული ლიტერატურისა და სახვითი ხელოვნების მხოლოდ ზოგიერთ დარგს და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სწორედ ამ სფეროში განსაკუთრებით აშკარად გამოიხატა იმდროინდელი ფეოდალურ-რაინდული საზოგადოების სულიერი კულტურა, ამ ეპოქის იდეალები, სულისკვეთება, ინტერესები და გემოვნება.

რამდენადაც XI—XII საუკუნეების საქართველოში საქმე გვაქვს ისეთ სამყაროსთან, სადაც ფეოდალურ-ვასალური ურთიერთობები მოიცავს და წარმართავს საზოგადოების მთელ ცხოვრებას, მისი კულტურაც, რომელიც ამ საზოგადოების გამომხატველია, ძირითადად ფეოდალურ-პატრონყმულ, ანუ ამ პერიოდისათვის — რაინდულ იდეალებსა და სულისკვეთებას ასახავს.

§ 1. მხატვრული ლიტერატურა

XI—XII საუკუნეებიდან რაინდული იდეალების ამსახველი ქართული ორიგინალური მხატვრული ლიტერატურის ორი ისეთი დიდად მნიშვნელოვანი ძეგლია ჩვენამდე მოღწეული, როგორიცაა პროზაული რომანი „ამირან-დარეჯანიანი“ და შოთა რუსთაველის ლექსად დაწე-

რილი რომანი „ვეფხისტყაოსანი“. ორივე ნაწარმოები რაინდული რომანის ჟანრს მიეკუთვნება. ამასთანავე, ეს ორი ძეგლი ამ ჟანრის განვითარების ორ სხვადასხვა დონეს ასახავს.

განვითარებული ფეოდალური ეპოქის მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში რაინდულ რომანს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ცნობილია, რომ ყველაზე ადრე ის საფრანგეთში იშვა და განვითარდა.

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებული განსაზღვრის მიხედვით რაინდულ რომანს ორი სავალდებულო მომენტი ახასიათებს: სიყვარულის თემა და ფანტასტიკა. ფანტასტიკა იგულისხმება ორი გაგებით — როგორც ზებუნებრივი, ზღაპრული, ასევე უჩვეულო, განსაკუთრებული, ყოველივე ის, რასაც ყოველდღიური ცხოვრების ზევით აჰყავს, ამაღლებს ადამიანს. ეს ორივე მომენტი თავგადასავლებსა და ავანტიურებთან არის დაკავშირებული, ნაწარმოებთა გმირები მრავალ სხვადასხვაგვარ უჩვეულო თავგადასავალს განიცდიან ხოლმე ცხოვრების მანძილზე და სწორედ ამგვარი ცხოვრებისაკენ ისწრაფვიან კიდეც. აღსანიშნავია ისიც, რომ ავანტიურებსა თუ საგმირო საქმეებს რაინდები სჩადიან არა იმდენად თავიანთი საგვარეულოსა თუ თავიანთი ქვეყნის სასახელოდ, არამედ პირადი დიდების და სახელის მოსახვეჭად.

ფრანგული რაინდული რომანები ემყარება ძველ, ანტიკურ სიუჟეტებს, ანდა უძველეს კულტურასა და ბრეტონულ სიუჟეტებს და თქმულებებს, მაშასადამე, მათი ცხოვრების დროისაგან ქრონოლოგიურად და გეოგრაფიულად დაშორებულ ამბებს. ხდება ამ სიუჟეტების ხელახალი გააზრება და ცხოვრებისეული მოთხოვნილებებისადმი მისადაგება. რაც უფრო დაშორებულია აღწერილი ამბები სინამდვილეს ტერიტორიისა თუ დროის მიხედვით, მით უფრო მეტი ინტერესის აღმძვრელია მკითხველისათვის თავისი ეგზოტიკით, უცხოურობით და უფრო ახლოსაა სასწაულებრივთან.

საინტერესოა, რომ რაინდობა ამ რომანებში გააზრებულია როგორც საერთაშორისო ინსტიტუტი, უცვლელად არსებული ყველა დროში. იგი ერთნაირად ახასიათებს ძველ რომსაც, მუსლიმანურ აღმოსავლეთსაც და ამ რომანების თანამედროვე ევროპულ საზოგადოებასაც. ამიტომ უძველესი ეპოქებისა თუ შორეული ქვეყნების ხალხთა ცხოვრება რომანებში წარმოდგენილია როგორც სურათი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებისა და რაინდული წრეების მკითხველთ შეეძლოთ ამ რომანებში როგორც სარკეში დაენახათ თავიანთი ყოფა-ცხოვრებისა და ცხოვრებისეული იდეალების ზუსტი ასახვა.

რაინდული რომანები, ჩვეულებრივ, შეიცავენ გმირთა სულიერი განცდების ანალიზს, მოქმედ პირთა გარეგნობის აღწერას, დაწვრილე-

ბით აღწერას იმ გარემოსი, სადაც მოქმედება ვითარდება. ხშირად შეხვდებით ახალგაზრდა რაინდის წვრთნა-აღზრდის, იარაღის ხმარების, ცხენოსნობის დაუფლების დეტალურ თხრობას; ვეცნობით რაინდის მაღალ ფიზიკურსა და საბრძოლო ღირსებებს, სულიერ თვისებებს, როგორიცაა სიმამაცე, სულდიდობა, სიქველე და კეთილშობილება, სუსტთა და ობოლთა მფარველობა, სახელისა და დიდების მოხვეჭის ტრფიალი, გულუხვობა და ხელგაშლილობა. რომანების ავტორებს იტაცებს ყოველივე იდუმალი და სასწაულებრივი. რომანები ფართოდ მოგვითხრობს რაინდული ორთაბრძოლებისა და კარის ზეიმების ამბებს. ერთ-ერთ ასეთ რომანში („რომანი ტროიაზე") აღწერილია 24 რაინდული შეჭიდება (ამათგან 13 დაწვრილებით). ასახულია, აგრეთვე, თავისებური რაინდული ძმობა, ურთიერთდახმარება, დაკარგული მოძმის საძებნელად წასვლა.

და კიდევ ერთი გარემოებაა დამახასიათებელი შუა საუკუნეთა რაინდული რომანისათვის საერთოდ და მეტად საინტერესო XI—XII საუკუნეთა ქართული მხატვრული ლიტერატურის ძეგლთა ჟანრობრივი განსაზღვრისათვის: რაინდული რომანების ორ სავალდებულო თემათაგან ერთი სასიყვარულო თემა, რაინდული რომანების შედარებით ადრინდელ ნიმუშებში ჯერ კიდევ ძალიან სუსტად არის წარმოდგენილი, სამაგიეროდ უხვად არის იქ მოცემული რაინდული ცხოვრების რომანტიკა, საგმირო ავანტიურები და თავგადასავლები, ყოველივე სასწაულებრივი[1].

ყოველივე ზემოთ თქმული მეტად ნიშანდობლივია შუა საუკუნეთა ქართული მხატვრული ლიტერატურის ხასიათის გასათვალისწინებლად, შუა საუკუნეთა ქართულ ლიტერატურაშიც განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რაინდულ რომანს. ჩვენამდე მოღწეული ამ ჟანრის ორ დიდ ნაწარმოებთაგან პირველი ამათგანი «ამირანდარეჯანიანი», როგორც ჩანს, ქართული რაინდული რომანის განვითარების შედარებით უფრო ადრინდელ ეტაპს გამოხატავს; სასიყვარულო თემა „ამირან-დარეჯანიანში" ძალიან მკრთალადაა წარმოდგენილი, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ნაწარმოების გმირები ზოგჯერ თავიანთ საბრძოლო-რაინდულ გამარჯვებათა გზით მეფეთა ასულების გულის მოგებას და მათთან დაქორწინებას აღწევენ. ამგვარი შემთხვევები ნაწარმოების ზოგიერთი საგმირო ამბის მხოლოდ დამა-

---

1 რაინდული რომანების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრისას ვემყარებით ევროპული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოებსა და ცალკეულ გამოკვლევებს, რომელთაგანც განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: История зарубежной литературы, под общей редакцией В. М. Жирмунского, М., 1959; Михайлов А. Д. Французский рыцарский роман, 1976.

გვირგვინებელი ეპიზოდებია, ხოლო ძირითადი ქარგა შეიცავს რაინდული ყოფა-ცხოვრების და რაინდულ საგმირო საქმეთა გადმოცემას. წარმოდგენილია შორეულ მოგზაურობათა რომანტიკა, დამეგობრების (თუ მეტოქეობა-შერკინების) ეპიზოდები სხვა რწმენისა და რასის წარმომადგენლებთან; შეხვედრები უცნაურ ცხოველებთან, ეგზოტიკური მცენარეები, საიდუმლო ციხე-სიმაგრეებში ჩამალული ურიცხვი განძეულობანი, ბრძენი სასწაულთ-მოქმედნი, მომხიბლავი მეფის ასულნი, ცბიერი გრძნეულნი; საცოლეს გამოყვანა შორეული ქვეყნიდან გზაზე მრავალ დაბრკოლებათა დაძლევა-გადალახვით და სხვა. დამახასიათებელია ისიც, რომ ნაწარმოების შექმნისას გამოყენებულია არაეროვნული წარმოშობის სიუჟეტები და მისადაგებულია ისინი არსებული სინამდვილისადმი, ქართული ფეოდალური საზოგადოების მოთხოვნილებებისა და გემოვნებისადმი. ისე როგორც ევროპულ რაინდულ რომანებში, „ამირან-დარეჯანიანშიც“ განსაკუთრებული გატაცება იგრძნობა ფუფუნება-სიმდიდრის აღწერით.

„ამირან-დარეჯანიანი“ მრავალი რაინდული სათავგადასავლო ამბის შემცველი დიდი ეპიკური ტილოა. დღეს უკვე დადგენილია, რომ ეს არ არის ერთ დროს და ერთი ავტორის მიერ შექმნილი ნაწარმოები. მაგრამ ის ერთი იდეით გაერთიანებული სხვადასხვა ამბისაგან და სხვადასხვა გმირის თავგადასავლისაგან შედგება. ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართ აღნიშნული აქვთ, რომ ამ თხზულებაში აღწერილი ამბების რამდენიმე ციკლი არსებობდა, რომელიც შემდეგ ერთ ავტორსა თუ რედაქტორს ამირან დარეჯანის ძის უპირატესობის ხაზგასმით მექანიკურად გადაუბამს[2]. მეცნიერთა აზრით, ნაწარმოებში შესულია ძველი დროის თქმულება-ლეგენდები, რომელთაგან ზოგი ქართული, ზოგი კი, შესაძლოა, სპარსული წარმოშობისაც იყოს, მაგრამ მთლიანად გაქართულებულია. ავტორს უსარგებლია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ცნობილი, „ამირანის ირგვლივ არსებული საგმირო ეპოსის მოტივებითა და სახეებით“[3].

„ამირან-დარეჯანიანის“ ავტორად უძველესი ქართული ლიტერატურული ტრადიცია მოსე ხონელს ასახელებს. როგორც ჩანს, ეს ის მწერალია, რომელმაც ცალკეული თქმულებები გააერთიანა, ლიტერატურულად გადაამუშავა და ერთი მთლიანი სახით მიაწოდა თავისი დროის მკითხველ საზოგადოებას.

თხზულების გმირთა ვინაობა, მოქმედების ასპარეზი არ არის ქართული. ამ გარემოებამ საბაბი მისცა ზოგიერთ მკვლევარს (ნ. მარი

---

2 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 67.

3 იქვე, გვ. 29, 71, და სხვ.; ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945, გვ. 33.

და სხვები) უარეყო „ამირან-დარეჯანიანის“ ქართული წარმოშობა და არაბულ-სპარსული სამყაროსადმი მიეკუთვნებინა ნაწარმოები, მაშასადამე, არაორიგინალურ, ნათარგმნ ძეგლად ჩაეთვალა. ამგვარი აზრის უსაფუძვლობა ქართველმა მეცნიერებმა (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე და სხვ.) სრული დამაჯერებლობით დაამტკიცეს და ზოგიერთი მსგავსება სპარსულ ლიტერატურულ ნაწარმოებთან, სრულიად სამართლიანად, მიაწერეს სპარსულ-არაბული კულტურის იმ საერთო გავლენას, რომელსაც ქართული ლიტერატურა ტერიტორიული სიახლოვისა თუ პოლიტიკურ ურთიერთობათა წყალობით განიცდიდა ხოლმე.

„ამირან-დარეჯანიანის“ სწორედ ქართულსა და არა აღმოსავლურ საწყისებს სხვა ნიშნებთან ერთად მთელი სიცხადით მოწმობს თხზულებაში ასახული ყოფა და ზნე-ჩვეულებანი, მთელი მისი სულისკვეთება, იდეალები, ყველაფერი ეს იმდროინდელი ქართულ სინამდვილის აშკარა ანარეკლია და გამოხატავს საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების დონეს, ქართული საზოგადოების სულიერ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს, ინტერესებსა და გემოვნებას, ყველაფერს იმას, რაც დამახასიათებელია რაინდული ეპოქისათვის საერთოდ. კ. კეკელიძის სამართლიანი თქმით, თხზულების ორიგინალობის მაჩვენებელია სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების, რაინდობის, ქალის კულტისა და პატრონყმური ურთიერთობის ის სურათი, რომელიც დამახასიათებელია ქართული ფეოდალური მონარქიის აღმავლობისა ე. წ. კლასიკურ ხანაში[4].

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ უცხო სიუჟეტების გამოყენება, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, საერთოდ რაინდული რომანისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანთაგანი და, ჩანს, ქართული რაინდული რომანის ნიშანდობლივი მხარეც არის.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ევროპული რაინდული რომანებისათვის დამახასიათებელი წარმოდგენა რაინდობის როგორც საერთაშორისო და ყველა დროს არსებული მოვლენის შესახებ დამახასიათებელია ქართული რაინდული რომანებისთვისაც, როგორც „ამირან-დარეჯანიანისა“, ისე „ვეფხისტყაოსნისთვის“, სადაც მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება წარმოებს ინდოეთსა, არაბეთსა და სხვა აღმოსავლურ ქვეყნებში, სწორედ ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი რაინდული ყოფა, სოციალური ურთიერთობანი და იდეალებია წარმოჩენილი.

აღსანიშნავია, რომ „ამირან-დარეჯანიანში“ შესულ თითოეულ ამბავს და ეპიზოდს ერთი საერთო სული, საერთო იდეალი ახასიათებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ყველა ისინი დაახლოებით ერთ ეპოქაშია

---

[4] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1952, გვ. 72.

შეთხზული და ერთი და იმავე საზოგადოების ლიტერატურულ გემოვნებას და ინტერესებს გამოხატავს. ეს ეპოქა განვითარებული ფეოდალური ხანაა, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს აღმავლობის და გაფურჩქვნის ხანა, ქართული რაინდობის ჩამოყალიბება-გაფორმების ეპოქა. და ის საერთო, რომელიც „ამირან-დარეჯანიანში“ შესულ ყველა ამბავს — ამირან დარეჯანის ძისა თუ თხზულების სხვა გმირთა თავგადასავლებს აერთიანებს, სწორედ ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი რაინდული იდეალებია.

„ამირან-დარეჯანიანის“ ჟანრობრივი რაობის საკითხზე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. მეცნიერთა ერთი ნაწილი მას სადევგმირო, სათავგადასავლო მოთხრობად თვლის, მეორე ნაწილს კი ის უყოყმანოდ რაინდულ რომანად მიიჩნია. ამ უკანასკნელთა შორისაა „ამირან-დარეჯანიანის“ პირველი მკვლევარი მ. ბროსე, კ. დონდუა, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, ს. სერებრიაკოვი და სხვ.

ი. ჯავახიშვილი თავის წერილში „ქართული ფილოლოგიისა და ძველი ქართული მხატვრული ეპოსის ისტორიის ამოცანები“, რომელიც მას დაუმთავრებელი დარჩენია და თავისი სიცოცხლის მანძილზე არ გამოუქვეყნებია, სვამს საკითხს „ამირან-დარეჯანიანის“ ჟანრობრივი რაობის შესახებ და გამოთქვამს აზრს, რომ ეს ნაწარმოები სარაინდო .რომანად მაშინ შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუკი იქ ორი გარემოება მაინც იქნება საგრძნობი: 1) ან რაინდებზე უნდა იყოს საუბარი, ან რაინდებისათვის უნდა იყოს განკუთვნილი ნაწარმოების შინაარსი, 2) რომანი მაშინ შეიძლება ეწოდოს, თუ შინაარსის მთავარი ნაწილი სამეჯნურო ამბავს შეადგენს[5]. პირდაპირ პასუხს დასმულ საკითხზე ნაშრომი არ იძლევა.

კ. კეკელიძის აზრით, „ამირან-დარეჯანიანის“ სახით „ჩვენ გვაქვს ნიმუში რაინდული რომანისა, რომელშიც მოცემულია რაინდული სამსახურის, საჭაბუკო თვისებების კოდექსი და ხაზგასმულია ფიზიკური ძალ-ღონის, მამაცობისა და ვაჟკაცობის კულტი“[6].

ალ. ბარამიძე 1945 წ. გამოცემულ „ნარკვევში ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ წერდა, რომ „ამირან-დარეჯანიანი“ თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია სარაინდო... სულისკვეთებით“, მაგრამ უფრო გვიან, 1965 წ. მან გამოაქვეყნა ნაშრომი „ამირან-დარეჯანია-

---

5 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 61—68.

6 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80; ამ ნაშრომის 1924 წლის გამოცემაში „ამირან-დარეჯანიანი“ სადევგმირო ხასიათის მოთხრობებად ანდა რომანად არის წოდებული (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1924, გვ. 43, 51—54).

ნის ჟანრობრივი რაობის საკითხისათვის“, სადაც უარჰყო ამ ნაწარმოების რაინდული რომანის ჟანრისადმი მიკუთვნება უმთავრესად იმ საფუძველზე, რომ აქ ვერ ვხვდებით რაფინირებულ, რაინდულ კურტუაზულ ყოფაქცევას და სიყვარულს და მით უფრო ქალის კულტს. ამასთანავე, ალ. ბარამიძემ, ჩვენი აზრით, სავსებით სწორად აღნიშნა, რომ ფალავნური ზნეობა და ვაჟკაცობა, რომელსაც უხვად შეიცავს ნაწარმოები, „რაინდობის (კურტუაზიული რაინდობის) მხოლოდ პირველი, დასაწყისი, პრიმიტიული საფეხურია. ამ საფეხურზე დგას ამირან-დარეჯანიანი. კურტუაზიული რაინდობის უმაღლესი საფეხურია „ვეფხისტყაოსანი“[7].

„ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ზოგად კურსში აღნიშნულია, რომ ნაწარმოების მთავარი გმირი — ამირანი დახატულია როგორც, სწორუპოვარი რაინდი, ყმების სამართლიანი პატრონი, ერთგული მსახური მეფისა“ და რაინდულ სიქველეთა მატარებელი პირი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დიდი ფიზიკური ძალის მქონე მეომარი, „ამირანი უანგაროდ იბრძვის, რაინდული აღთქმის თანახმად, ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ“, სუსტთა, დაჩაგრულთა დასაცავად; თავდადებით ემსახურება მეფეებს[8].

ნაწარმოები ასახავს იმ იდეალებს, რომელიც XI—XII საუკუნეთა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას ასაზრდოებდა და მის სულიერ კულტურას ქმნიდა, ესაა: პატრონყმური ერთგულება — პატრონისადმი ყმის ერთგული სამსახური, ყმური სიყვარული და მორჩილება; ბრძოლებში სიმამაცე და გმირობა, სამხედრო გაწვრთნილება, იარაღის ხმარების ოსტატობა და სპორტული დახელოვნება; ნაწარმოები ფიზიკური ძალის და ვაჟკაცობის აპოლოგიაა, ამ ლიტერატურულ ნაწარმოებში დახატულია რაინდის ისეთი ტიპი, რომელსაც არამცთუ არ ეშინია არავითარი სიძნელის, არავითარი საფრთხის, მძიმე დაბრკოლების, არამედ სწორედ ამას ეძებს, აქეთკენ ისწრაფვის, მისი ცხოვრების მიზანს და შინაარსს გმირული ბრძოლები და ამ ბრძოლების, ვაჟკაცური საქმეების გზით სახელის მოხვეჭა და განდიდება შეადგენს.

როგორც ეს სამართლიანად არის აღნიშნული „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები რამდენიმე სხვადასხვა ამბავს აღწერს, არსებითად ერთ გმირს, უკეთ, გმირის ერთ გარკვეულ ტიპს ასახავს. ნაწარმოების ყველა დადებითი მოქმედი პირი ერთგვარი პირადი ღირსებებით არის შემკული და ერთგვარად

---

7 ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, „ამირან-დარეჯანიანის“ ჟანრობრივი რაობის საკითხისათვის, თსუ შრომები, 1965, ტ. 114, გვ. 40—41.

8 ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 39, 40 (ამ ნაწილის ავტორია გ. იმედაშვილი).

ირჯება ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში. ეს ის ტიპია, ცხადია, რომელიც მისაბაძი და იდეალური უნდა იყოს ჭეშმარიტი რაინდისათვის, ის მისწრაფებანია, რომელიც ამ დროის ფეოდალურ საზოგადოებას თავის იდეალად გაუხდია და ესაა, რომ ნაწარმოებს განსაკუთრებით პოპულარულს ხდიდა იმ ეპოქის საქართველოში.

„ამირან-დარეჯანიანის“ უდიდეს პოპულარობაზე მეტყველებს, მაგალითად, ის, რომ მისი გმირები მოხსენიებული არიან XII საუკუნის საისტორიო თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, იხსენიებიან ისინი ამავე დროის პოემა „თამარიანშიც“[9], პოპულარულია „ამირან-დარეჯანიანი“ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში მომდევნო საუკუნეებშიც. ნაწარმოების ესოდენი პოპულარობა ადვილად ასახსნელია — ის შესანიშნავად პასუხობდა თავისი დროის ლიტერატურულ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ ნათქვამია: „ამირანის პოპულარობა ქართულ ფანტაზიაში იმას ნიშნავს, რომ გმირში ნაციონალურმა შეგნებამ დაინახა ეროვნული იდეალების განსახიერება, რომელთაც ის თავის ისტორიაში ჭვრეტდა და რის გამოც ის აიყვანა ნაციონალური გმირის გაგებამდე. მასში შეიცნო ქართულმა არსებობამ საკუთარი ენერგია და აქცია ივი ეროვნული სიდიადის სიმბოლოდ“[10].

საინტერესოა ამ მხრივ ის ფაქტიც, რომ XI საუკუნის ისტორიკოსის ჯუანშერის თხზულებაში ზოგიერთ აშკარა მსგავსებას ვხვდებ-თ „ამირან-დარეჯანიანთან“, არის იქ ადგილები, რომელიც საოცრად ემთხვევა „ამირან-დარეჯანიანში“ გამოყენებულ საომარი სცენების აღწერის მანერას. მკითხველს შეიძლება დაებადოს კიდევაც აზრი, ხომ არ არის ეს ორი თხზულება ერთი და იგივე ავტორის დაწერილი. ამ მსგავსებას სათანადო ყურადღება მიაქცია კ. კეკელიძემ როგორც თავის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში“[11], ასევე საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილ წერილში „ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია“[12]. საბოლოო ჯამში კ. კეკელიძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს საოცარი დამთხვევა უნდა აიხსნას იმ საერთო მოდუსის არსებობით, რომელიც შემუშავდა ე. წ. კლასიკური ხანის საქართველოში ომების წარმოების, რაინდთა შერკინების, იარაღის ხმარებისა და მამაცობის გამოჩენის საკითხში; ერთი სიტყვით, ზოგადი ტრაფარეტის არსებობით აღნიშნული საკითხების აღწერა-გადმოცემისას.

„ამირან-დარეჯანიანი“ უხვად წარმოგვიდგენს რაინდული ყოფის

---

9 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76—77.

10 ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 42.

11 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

12 ჩვენი მეცნიერება, 1923, № 4—5.

ამსახველ ზნე-ჩვეულებებს, მთელი სიცხადით გვიხატავს რაინდული ცხოვრებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს, ცხოვრებისეულ რეალიებს და დეტალებს, რაც განსაკუთრებით საინტერესოს ხდის ამ ნაწარმოებს ქართული რაინდობის ისტორიის გასათვალისწინებლად, ქართული რაინდობის დასახასიათებლად XI—XII საუკუნეთა საქართველოში. ნაწარმოებში მთელი უშუალობით, ცოცხლად არის აღწერილი საზეიმოდ მოწყობილი ასპარეზობანი და ორთაბრძოლები, მრავალრიცხოვანი ომები; მეომარ-ჭაბუკთა აღზრდისა და საბრძოლო წვრთნის მომენტები, მათი მიზანდასახული სწრაფვა საგმირო საქმეებისადმი; რეალისტური ფერებით არის დახატული რაინდმოლაშქრეთა დასვენების მომენტები, ლხინი და ნადიმი, გართობა-თამაშობანი.

„ამირან-დარეჯანიანი“ ჩვენამდე მოღწეულია XVII—XIX საუკუნეებში გადაწერილი პირებით, საუკუნეთა მანძილზე თავდაპირველი ლიტერატურული გაფორმების შემდეგ ის ისევ და ისევ გადამუშავება-შევსებას განიცდიდა, ამიტომ მისი თავდაპირველი ვარიანტის ზუსტი დათარიღება რამდენადმე ძნელია. კ. კეკელიძის აზრით, ის XII—XIII საუკუნეებს განეკუთვნება და მისი შექმნა უნდა მომხდარიყო არა უადრეს თამარის მეფობისა. კ. კეკელიძე თვლის, რომ „ამირან-დარეჯანიანის“ ჩვენამდე მოღწეული პროზაული ვერსია დაწერილია „თამარის მეფობის მიწურულში, შეიძლება მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგაც... 1220 წლამდე“[13]. არსებობს მეორე აზრიც, რომლის მიხედვითაც დაიწერა ის უფრო ადრე, XI—XII საუკუნეების მიჯნაზე[14], ს. კაკაბაძის აზრით კი, თხზულების თავდაპირველი ვარიანტი XI საუკუნის პირველ მეოთხედშია დაწერილი. ეს თარიღი, თხზულების პირვანდელი ვარიანტის მიმართ მაინც, სარწმუნო ჩანს. გარდა იმისა, რომ სასიყვარულო თემა შედარებით მკრთალადაა მოცემული, რაც დამახასიათებელია ადრინდელი პერიოდის რაინდული რომანებისათვის საერთოდ, მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ რაინდული ურთიერთობანი, ასახული ამ ნაწარმოებში, რაინდობის ისტორიის შედარებით უფრო ადრინდელ ეტაპს, X—XI სს. შეეფერება. IX—X და ნაწილობრივ XI საუკუნეების მანძილზე ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბების პროცესშია. შინა ომები, ბრძოლა ცალკეულ სამეფო-სამთავროთა შორის მრავალრიცხოვანი ვასალის, მეომარ-რაინდის დიდ საჭიროებას ქმნის. სამთავროთა მეთაურები მათ მიზიდვას ცდილობენ. მეომარ-რაინდები ხან ერთი, ხან მეორე მთავრის მხარეს ირჩევენ საერთო ბრძოლაში. ამასთა-

---

[13] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

[14] К. Д о н д у а, „Амиран-дареджаниани“, кн. Памятники эпохи Руставели, 1938, გვ. 92; ქსე, ტ. II, გვ. 396 (ავტორი გ. იმედაშვილი).

ნავე, გაჩენილია მოხეტიალე რაინდის ტიპი, რომელიც მიისწრაფის საომარი თავგადასავლებისაკენ, მისი მიზანია სახელის მოხვეჭა, საბრძოლო თვისებების გამოცდა და, ამავე დროს, სიმდიდრის მოპოვებაც. „ამირან-დარეჯანიანის“ გმირები სწორედ ასეთ მოხეტიალე ჭაბუკ-რაინდებს ჰგვანან, რომელთაც ხშირად არა აბადიათ რა გარდა ცხენისა, საომარი საჭურველისა და საჭურველმტვირთველი მსახურის მეტი.

„ამირან-დარეჯანიანის“ გმირები ბედისმაძიებელნი არიან. თავგადასავლის, სახელისა და სიმდიდრის მოხვეჭის ძიებაში უკიდეგანო ტიალსა და ტყიან გზებს ადგებიან. თავგადასავალი არა მარტო რაინდულ საბძოლო თვისებათა სასინჯია, არამედ უნდა მოუტანოს გმირებს და ხშირად მოაქვს კიდევაც სიმდიდრე და მაღალი მდგომარეობა. ყველაზე იღბლიანები მათ შორის სამეფოებსაც კი შოულობენ მეფის ასულებთან დაქორწინების გზით. „ამირან-დარეჯანიანის“ რაინდებს ხშირად ინდივიდუალისტური რაინდული მორალი ახასიათებთ, რაც ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან მოდის, როდესაც არ არსებობდა საერთო სახელმწიფოებრივი შეგნება. რაინდის ეს ტიპი განსაკუთრებით მიდრეკილია ყოველგვარი ავანტიურისადმი, რითაც თავისი მატერიალური მდგომარეობის გამოსწორებას ლამობს, თუმცა „ამირან-დარეჯანიანის“ არა ყველა გმირია ამ ტიპის რაინდი. ვხვდებით აქ მეფისწულებსაც (ამბრი არაბი), რომელთაც ოდენ სახელის მოხვეჭა ამოძრავებთ და რაინდული თავგადასავლების რომანტიკა იზიდავთ. ნაწარმოებიც ხომ არაერთდროულად შექმნილი თქმულებებისაგან შედგება. საფიქრებელია, მისი ცალკეული ნაწილები თანდათან იქმნებოდა.

„ამირან-დარეჯანიანი“ იმ სახით, რომელსაც დღეს ვიცნობთ, ტიპიური რაინდული სათაგადასავლო რომანია, რომელიც მთელი სიცხადით ასახავს განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის საფუძველზე წარმოქმნილ რაინდულ ყოფას, ზნე-ჩვეულებებს და იდეალებს. ამასთანავე, მასში ჯერ კიდევ ძლიერია ამ ყოფის ტლანქი, უხეში მხარეები. ყოველივე ამის გარდა, ის ახლოსაა ფოლკლორულ მასალასთან, რაც აგრეთვე რაინდული რომანის შედარებით ადრინდელ საფეხურზე მიუთითებს. ამ მხრივ, „ამირან-დარეჯანიანი“ ერთგვარ ნათესაობას ამჟღავნებს გმირულ ეპოსთან, რომელიც, აგრეთვე, ლიტერატურის საკმაოდ გავრცელებული ჟანრია საერთოდ ფეოდალურ ეპოქაში, მაგრამ მხოლოდ ნათესაობას და ისიც შორეულს. შინაარსი საგმირო ეპოსის, ჩვეულებრივ, ასეთ თემებს შეიცავს — უმთავრესად ისტორიულსა და სარწმუნოებრივ-პატრიოტულს — ბრძოლა გარეშე მტრების წინააღმდეგ სამშობლო ქვეყნისა და სარწმუნოების დასაცავად, მეფისადმი ერთგული სამსახური; ფეოდალური ანარქიის ამსახველი შინაარსები და იქნებ ყველაზე ნიშანდობლივი კი არის ის, რომ რა-

ინდულ-სათავგადასავლო რომანებისაგან განსხვავებით, გმირული ეპოსის ნაწარმოებია პათოსი ახლობელი და გასაგებია საზოგადოების ყ ვ ე ლ ა ფენისათვის, ის არ არის წოდებრივად შეზღუდული. აი, ეს ძირითადი შომენტებია, რომელიც მიუხედავად გარეგნული რაინდული ეპოქის, ნაწარმოების გმირული ეპოსის ჟანრისადმი კუთვნილებას განსაზღვრავს. ამგვარი ჟანრის ნაწარმოებებია მსოფლიო ლიტერატურის ცნობილი ძეგლები — „სიმღერა როლანდზე", „სიმღერა სიდზე", „ნიბელუნგები" და სხვ.

ვერცერთ ამ ნიშანთაგანს ვერ ვიპოვით „ამირან-დარეჯანიანში", ხოლო რაინდული ელემენტი აქ ზედაპირული შრე კი არ არის, როგორც ეს ხდება გმირული ეპოსის დამუშავებისას, არამედ ძირეულია, არსებითია, „ამირან-დარეჯანიანი" არ ემყარება ისტორიულ ფაქტებს, ვერ ვხვდებით აქ სამშობლო ქვეყნის დაცვას გარეშე მტრებისაგან, ვერც ფეოდალური ქიშპის აღმნიშვნელ ეპიზოდებს. ეს თემატიკა, რომელიც მეტად აქტუალურია ფეოდალური სახელმწიფოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ქართულ მწერლობაში ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებებში გვაქვს შემორჩენილი („წამებაი... ჰაბოისი", „ცხოვრებაი და წამებაი წმიდისა კოსტანტისი" და სხვ.). როგორც ჩანს, ჩვენში აგიოგრაფიულმა ლიტერატურამ ქართულ ისტორიოგრაფიასთან ერთად იკისრა ეს ფუნქცია, რომელიც ზოგიერთ ფეოდალურ ქვეყანაში გმირული ეპოსის ჟანრის ნაწარმოებებისათვის იყო უფრო დამახასიათებელი.

ამრიგად, „ამირან-დარეჯანიანი" ყველა ნიშნით ქართული ორიგინალური რაინდული რომანია, ამასთანავე მისი დასაწყისი ეტაპის გამომხატველი.

რაინდული რომანის აყვავების, სიმწიფის ხანას გამოხატავს ამავე რაინდული ეპოქის მეორე ნაწარმოები, ქართული მხატვრული ლიტერატურის მშვენება შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი".

„ვეფხისტყაოსანი" უფრო ძალიან საგულისხმოა ქართული რაინდული ლიტერატურის განვითარებაში არა მხოლოდ მისი შემოქმედის დიდი გენიის გამო. არამედ საერთოდ, ქართული ფეოდალური კულტურის ეფრო ძალიან დოხეზე ასვლის შედეგადაც.

„ვეფხისტყაოსანში" მოცემულია რაინდული რომანისათვის დამახასიათებელი ორივე თემა — სამეფოებრივ და საგმირო-სათავგადასავლო.

რუსთველური მეჯნუნობის შესახებ ლიტერატურაში ბევრი დაწერილა. ნ. ძარბა 1910 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „Культ женщины и рыцарства в поэме „Витязь в барсовой коже", გამოთქვა აზრი, რომ პოემაში ასახული „ქალის კულტი" ანუ იდეალიზებული, თაყვანისცემამდე მისული სიყვარული ქალისადმი დიდ

სიახლოვეს ამჟღავნებს შუა საუკუნეთა ევროპული ცხოვრების ანალოგიურ მოვლენასთან[15]. ნ. მარი ეყრდნობა რა ერთი მხრივ ვ. შიშმარიოვის ნაშრომს „К истории любовных теорий романского средневековья"[16], აღგენს ნათესაობას, ანდა ზოგ შემთხვევაში იგივეობას იმ სამყაროს, ევროპული და ქართული ლიტერატურისა, რომელთაც ამასთანავე უშუალო ურთიერთობა არასოდეს ჰქონდა. ეს სიახლოვე, კერძოდ აშკარად იჩენს თავს ქალისადმი სიყვარულის საკითხში: „ვეფხისტყაოსანში" ასახული სატრფოსადმი თაყვანისცემა, „დუმილი და მოთმინება", უზენაესი სიყვარულისათვის დამახასიათებელი — გულში ჩამარხვა ტანჯვისა, სატრფოსადმი დიდი ერთგულება, რაინდულ-ვასალური სამსახური, ნ. მარის სიტყვით, სრულ ანალოგიას ჰპოვებს შუა საუკუნეთა ევროპულ ე. წ. კურტუაზულ სიყვარულთან[17].

განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის, რომ ამგვარი ქალის კულტის აღმოცენებას საქართველოში ნ. მარი XII საუკუნის საქართველოს შინაგანი ცხოვრების პირობებს უკავშირებს. ის წერს: „Важно то, что в Грузии к концу XII века были условия для развития этого (საუბარია ქალის კულტზე გ. ა.) любопитного явления в литературе". მაგრამ ნ. მარი აქვე იმასაც შენიშნავს, რომ მომავალმა კვლევამ უნდა გადაწყვიტოს საკითხი, აღმოცენდა ქალის კულტი ქართულ ნიადაგზე ადგილობრივი და უცხოური გავლენების კვანძში, თუ ის მთლიანად სპარსულ გავლენას უნდა მიეწეროს. ქალის კულტის აღმოცენების ერთ-ერთ წყაროდ საქართველოში ნ. მარს მიაჩნდა ნეოპლატონიზმის გავრცელება XII ს. ქართულ მწერლობაში. ამასთანავე, ნ. მარი შენიშნავს:

«Без перелома в нравственных воззрениях и без внутренней подготовки, под одним внешним литературным влиянием древне-грузинское общество, находившееся в духовном подчинении христианской церкви, не могло ни выработать ни даже усвоить поклонение женщине. Нужна была собственная психологическая зрелость. К культу женщины в вех Тамары и озободному провозглашению любви к женщине, как явлению, равноценному культу Бога, вел несомненно длинный путь»[18].

საინტერესოა ისიც, რომ ნ. მარს არ გამორჩენია მხედველობიდან ამ კულტის ვიწრო წოდებრივი ხასიათიც.

---

[15] Н. Я. Марр, Вступительные строфы Витязя в барсовой коже, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. XII, СПб., 1910.

[16] ЖМНП, 1909, ноябрь, декабрь, с. 120—168.

[17] ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. VIII—IX.

[18] იქვე, გვ. XVI.

«Культ женщины, — წერს ნ. მარი, — идеализованная любовь с преклонением перед нею — детище его, этого изысканного образованного грузинского общества эпохи Тамары, а не народных масс»[19].

შუა საუკუნეთა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ცნობილმა რუსმა სპეციალისტმა ვ. შიშმარიოვმა რუსთაველის საიუბილეოდ 1938 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „შოთა რუსთაველი (რამდენიმე პარალელი და ანალოგია)"[20], ხაზგასმით აღნიშნა ვეფხისტყაოსნისეული სიყვარულის ძირეული განსხვავება შუა საუკუნეთა აღმოსავლური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი სიყვარულისაგან. სიყვარული „ვეფხისტყაოსნის" გმირთა, მოყმე-რაინდებისა, ვ. შიშმარიოვის თქმით, არის სიყვარული, გმირობა, სამსახური ვასალისა, რაც დამახასიათებელია ევროპის კურტუაზული ლიტერატურის გმირთათვის.

ვ. შიშმარიოვი, ნ. მარის კვალდაკვალ, სიყვარულზე ამგვარი შეხედულების ფესვებს ქართულ სოციალურ ურთიერთობათა სიღრმეში ხედავს, იმ სოციალურ ურთიერთობებში, რომელიც საერთო იყო ამ ორივე სამყაროსათვის XII საუკუნეში და რომელმაც ქართული „ყმის... ძველი ინსტიტუტის" თანდათან რაინდ-ყმად, კურტუაზულ რაინდად გადაქცევა მოგვცა[21].

„ვეფხისტყაოსანში" ასახული მიჯნურობის ინსტიტუტს შეეხო ზ. ავალიშვილი მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის საკითხები", რომელიც 1931 წ. დაიბეჭდა პარიზში. ზ. ავალიშვილიც დიდ მსგავსებას ხედავს ევროპის კურტუაზულ სიყვარულსა და XII საუკუნის ქართული პოეზიის მიჯნურობას შორის და მსგავსების ძირითად მიზეზად, მათ საერთო წყაროდ, არაბულ პოეზიას თვლის. ევროპულ სპეციალურ ლიტერატურაში რაინდული პოეზიისა და კერძოდ სატრფიალო პოეზიის მძლავრ წყაროდ არაბული პოეზიაა მიჩნეული, ნაჩვენებია ამ ზეგავლენის ისტორიული პირობები, ის სიახლოვე, რომელიც არაბულ სამყაროს ჰქონდა ესპანეთთან და ესპანეთის გზით საფრანგეთთან, სადაც იშვა და განვითარდა კურტუაზული ლიტერატურა. ამისდაკვალად ზ. ავალიშვილიც იმ სიახლოვეს, რომელიც XII საუკუნის ქართულსა და ევროპულ ლიტერატურას ახასიათებს, ხსნის იმავე არაბული პოეზიის გავლენით ქართულ ლიტერატურაზე, კერძოდ, სამიჯნურო პოეზიის სფეროში. არაბთა კულტურის გარკვეული ზემოქმედება, უეჭველია, ისტორიულად სრულიად ბუნებრივი იქნებოდა დაგვეშვა ორივეზე, შუა საუკუნეთა ევროპულსა თუ ქართულ კულტუ-

---

19 ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. I.

20 იქვე, გვ. XXXVIII.

21 ვ. შიშმარიოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 239.

რაზე, მაგარმ არსებული მსგავსების უმთავრესად ამ მიზეზით ახსნა არ ჩანს გამართლებული, არაბული პოეზიის ზეგავლენის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში რამდენადმე გადაჭარბებული გვეჩვენება, ცხადია, მთავარია აქ ის ცხოვრებისეული საფუძველი, რომელიც ცხოვრების საერთო წესს, ზნე-ჩვეულებებს, იდეალებსა და ფსიქიკას ქმნიდა.

მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანში", როგორც კულტურულ-ისტორიული მოვლენა, საგანგებოდ აქვს განხილული ნ. ნათაძეს ნაშრომში „რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი". ნ. ნათაძემ ამ წიგნის პირველ თავში — „რუსთველური მიჯნურობა როგორც ინსტიტუტი ევროპაში და ქართულ მწერლობაში" კონკრეტულად ჩამოაყალიბა და თვალნათლივ უჩვენა ის საერთო მოტივები, რომელიც უშუალო კონტაქტებისაგან ერთიმ დაცილებულ ევროპულსა და ქართულ კულტურას ახასიათებს სიყვარულის არსის გაგებასა და სამიჯნურო წეს-ჩვეულებათა საკითხში. ესაა: მიჯნურობა როგორც რაინდი-მიჯნურის მიერ სატრფოსადმი რაინდული მსახურება; მიჯნურობა მხოლოდ რჩეულთა კუთვნილება; სიყვარული ამამაღლებელი და გამაკეთილშობილებელი ძალა და სხვ.[22] ნ. ნათაძემ, ამასთანავე, უჩვენა ისიც, რომ არაბული პოეზია მოკლებულია რაინდული მიჯნურობის ძირითად მოტივს — „ქალის რაინდულ მსახურებას კეთილი საქმით და სიყვარულს როგორც ამამაღლებელი, ზნეობრივად შემცვლელი და გადამახალისებელი ძალის წარმოდგენას და, მაშასადამე, ამ აღმოსავლურ წყაროზე მითითება ვერ აგვიხსნის აღნიშნულ მოვლენას ვერც ამ ეპოქის ქართულ კულტურაში". „ამ მოვლენის ასახსნელად, — წერს ნ. ნათაძე, — უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ იმ ელემენტებს, რაც ამ ორ კულტურას — შუა საუკუნეთა ევროპისა და ამავე პერიოდის საქართველოს კულტურას — საერთო აქვს და რაც მათ სხვა კულტურებისაგან ანსხვავებს. ეს საერთოა ქრისტიანული რელიგია, ამ რელიგიაზე აღზრდილი და გამოკვებილი ეროვნული კულტურა, მისი ზნე-ჩვეულებანი, მსოფლმხედველობა და აზროვნების ჩვევები, რომლებიც განაპირობებენ არაბულ-სპარსულ სამყაროდან ნასესხები მიჯნურობის ინსტიტუტისა და მიჯნურობის კულტის შეცვლას ერთი და იმავე მიმართულებით". ეს მიმართულებაა — სიყვარულის დაკავშირება სავაჟკაცო-სარაინდო საქმიანობასთან, აქედანვე გამომდინარეობს სიყვარულის ამამაღლებელი გავლენაც[23].

ნაშრომში არ არის მივიწყებული არაბული პოეზიის მოტივების „ევროპასა და საქართველოში ერთნაირი გარდატეხის სოციალური საფუძვლებიც" და ნათქვამია, რომ „აქ პირველ რიგში უნდა მიეთი-

---

22 ნ. ნათაძე, რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი, 1966, გვ. 38—45.
23 იქვე, გვ. 57—58.

თოს იმ ფეოდალურ ურთიერთობებს და ამ ურთიერთობათა სოციალურ კატეგორიებში აზროვნების ჩვევებს, რომელიც ქართველ და დასავლეთევროპელ სამხედრო წოდებას ამ ეპოქაში საერთო ჰქონდათ"[24]. სრული ჭეშმარიტებაა და, ჩვენი აზრით, სწორედ ეს სოციალური ფესვებია ძირითადი და გადამწყვეტი. ერთგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობების საფუძველზე ერთგვარი ყოფა და მსგავსი კულტურა იქმნებოდა. არაბული გავლენა ნაკლები არ იყო სპარსულ ლიტერატურაზე, მაგრამ სიყვარულის თემის ამგვარი გადაწყვეტა იქ არ მიგვიღია. მეორე მხრივ, როგორც ზემოთ ხსენებულ ნაშრომში სწორად არის შენიშნული, „სამეჯნურო კულტის არსებობა იმ სახით, რა სახითაც ის ევროპასა და XII ს. საქართველოში გვაქვს, კულტურის ისტორიამ არ იცის. არ იცნობს მას არც მუსლიმანური აღმოსავლეთი, არც ქრისტიანული აღმსარებლობის სხვა სახელმწიფოები — ბიზანტია, სომხეთი, ქრისტიანული მოსახლეობა სირიისა, ეგვიპტისა და სხვ."[25]. მართლაც, არსად ჩამოთვლილ ქვეყნებში და არც აღმოსავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის განვითარება არ ყოფილა იმდენად ღრმა და იმ ტიპისა, როგორც ეს იყო დასავლეთ ევროპაში ან საქართველოში. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ასევე შუა საუკუნეთა საქართველოში განსაკუთრებული ფართო განვითარება ჰპოვა ფეოდალიზმის ისეთმა დამახასიათებელმა ინსტიტუტმა, როგორიც იყო ვასალიტეტი. ვასალიტეტმა კი მაღალგანვითარებული რაინდობა მოგვცა, განვითარებული რაინდული კულტურით, რაინდული ყოფით. ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივი ჩანს ერთგვარი ანდა თავისი ხასიათით ახლო მიმსგავსებული კულტურის გაჩენა ამ ორ ურთიერთდაშორებულ და თავთავიანთი სპეციფიკის, თავისებური ისტორიული პირობების მქონე სამყაროში.

კიდევ ერთი საინტერესო წერილია მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის" საკუთრივ მეჯნურობისადმი: ეს არის ს. სერებრიაკოვის წერილი „К вопросу о типологических соответствиях между творчеством певцов любви европейского средневековья и романом Руставели"[26]. აქაც შედარების საგანია სიყვარულის თემა „ვეფხისტყაოსანში" და ევროპულ რაინდულ რომანში. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ფრანგ ტრუბადურთა და რაინდული რომანების ავტორთა მსჯელობა სიყვარულის არსის საკითხზე სრულიად ახლოსაა იმ იდეებთან, რომელსაც რუსთაველი გამოთქვამს. მაგალითად, ფრანგი ტრუბადურები ხშირად უმღე-

---

24 ნ. ნათაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

25 იქვე, გვ. 59.

26 ძველი ქართული მწერლობის და რუსთველოლოგიის საკითხები, VII—VIII, 1976, გვ. 113—141.

რიან „სიყვარულს შორიდან“, რაც აშკარად მოგვაგონებს რუსთველურ „შორით ბნედას, შორით კვდომას“, მთავარი კი, რომელიც ევროპულ რაინდულ სიყვარულსა და რუსთველურ მიჯნურობას აახლოვებს, როგორც აღნიშნავს ავტორი, არის ქალის მაღალი სათაყვანებელი მდგომარეობა გაპირობებული არამარტო მაღალი სოციალური სტატუსით, ე. ი. არამარტო იმით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალები, თინათინი და ნესტან-დარეჯანი მეფის ასულნი არიან, არამედ იმით, რომ რაინდს, დაუწერელი რაინდული კოდექსის თანახმად მართებს, ვალდებულებად აწევს უჩვენოს სატრფოს გმირობა, გაუწიოს მას ვასალური სამსახური[27].

ნაშრომში მთელი სიცხადით არის ნაჩვენები იმ ავტორთა შეხედულების უსაფუძვლობა, რომელთაც მიაჩნიათ, თითქოს ფრანგული ლიტერატურა უარყოფს, „ვეფხისტყაოსნისაგან“ განსხვავებით, ცოლქმრულ სიყვარულს.

ნაშრომში სწორად არის გაანალიზებული რაინდული იდეალებისა და არსებული ისტორიული სინამდვილის ურთიერთზემოქმედების საკითხიც. როგორც დავინახეთ, განხილული ნაშრომების მიხედვით, „ვეფხისტყაოსანში“ ასახული მიჯნურობა, მისი გაგება, არსი, ხელოვნება წარმოდგენილია, როგორც საერთოდ რაინდული რომანის ჟანრისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი არსებითი ნიშანთაგანი.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთათვის დამახასიათებელია რაინდული კოდექსის სხვა არაერთი კანონი და თვისება.

ისევე როგორც თავისებურ, რაინდულ, მაღალზნეობრივ სიყვარულს დიდი ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსანში“, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს აქ მეგობრობა-ძმობის საკითხს.

ვ. შიშმარიოვის სიტყვით, „ვეფხისტყაოსნის“ გმირები — ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი არამარტო ყმა-რაინდები არიან, არამედ მოყმე — ძმობილები“, რაც შუა საუკუნეთა საფრანგეთისათვის დამახასიათებელ ე.წ. „კომპანიონაჟს“ მოგვაგონებს[28]. პოემის ამავე მოტივს ყურადღებას აქცევს ნ. მარიც და აღნიშნავს, რომ პოემის მიხედვით, ცხადია, ტარიელსა და ავთანდილს შორის და მათსა და ფრიდონს შორის დაძმობილება მომხდარა, რაც ევროპულ compagnons jurés-ს მოგვაგონებსო. მართალია, პოემაში პირდაპირ ნათქვამი არ არის, მაგრამ, ცხადია, რომ დაძმობილების აღსანიშნავი რაღაც სათანადო რიტუალი შესრულებულა. საინტერესოა აღინიშნოს, განაგრძობს ნ. მარი, რომ დაძმობილებულნი პოემაში „ამხანაგებად“ იწოდებიან

---

27 ძველი მწერლობის და რუსთველოლოგიის საკითხები, VII—VIII, 1976, გვ. 132.

28 ვ. შ ი შ მ ა რ ი ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 241.

(ტაეპი 631, 668), რაც ზუსტად პარალელურია იმისა, რაც ევროპული „compagnons“[29].

ძმობა-მეგობრობის იდეალი პოემაში უდიდეს ზნეობრივ სიმაღლეზეა აყვანილი[30]. დამეგობრებულ-დაძმობილებულთა ურთიერთდახმარება, მეგობრობისათვის „თავი ჭირსა არ დამრიდად“, ურთიერთსამსახური, ერთგულება და თავდადება პოემის კიდევ ერთი მაღალ იდეალთაგანია. ეს მოტივიც მიგვანიშნებს ევროპული რაინდული ლიტერატურის, კერძოდ, რაინდული რომანების ცნობილი ციკლის — „მეფე არტურის მრგვალი მაგიდის“ რაინდების ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც ავალებდა ამ ამხანაგობის თითოეულ რაინდს, თუკი რომელიმე მათგანი არ გამოცხადდებოდა შეკრებაზე დათქმული დროისათვის, წასულიყვნენ მის საძებნელად და გაეწიათ სასწრაფო დახმარება თუ მოძმე რაინდი რაიმე გასაჭირსა თუ ხიფათს განიცდიდა.

„ვეფხისტყაოსანში“ ასახული ძმობა-მეგობრობა ხალხთა მეგობრობაშია გადაზრდილი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა — ინდოელი ავთანდილის, არაბი ტარიელის და მულღაზანზარელი ფრიდიჯნის მეგობრობის სახით, რაც ამ პოემის კიდევ ერთ სიდიადედ და ამასთანავე თავისი ეპოქის კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშნად გვევლინება[31].

დასასრულს, „ვეფხისტყაოსნის“, ამ ქართული რაინდული რომანის კიდევ ერთი ნიშანდობლივი მხარე: პოემის გმირთა სახით ჩვენს წინაშეა მოყმე-რაინდის საინტერესო, ეპოქისათვის მეტად დამახასიათებელი ტიპი. ამ ტიპის რაინდი არის არა მარტო ფიზიკური ძალითა და სამხედრო გაწვრთნილებით გამოჩენილი პირი, არამედ მას ამასთანავე მაღალი სული, გონივრულობა, განსწავლულობა და დახვეწილი, სათანადო ეთიკეტით განსაზღვრული ზრდილობა ახასიათებს. „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი აფორიზმი — „ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა“, ამ ეპოქის ნაყოფია. ნ. ბერძენიშვილის თქმით, „ეს ლექსი მთელი ამ ეპოქის ... ეპიგრაფად ზედგამოჭრილია“ და — „ყველაზე უფრო სწორედ ამ სოციალური შფოთის ხანაში შეიძლება წარმოშობილიყო“[32].

„ზრდილობაში“ აღზრდა-განათლების, რაინდული განსწავლულებისა და გაწვრთნილების მთელი კომპლექსი იგულისხმებოდა, ის აღზრდა, რომელიც ვალდებული იყო მიეღო რაინდს, თუკი სურდა, რომ თავისი საზოგადოების ღირსეული წევრი გამხდარიყო. „ვეფხისტყაოს-

---

29 ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. XXIV—XXVI.

30 ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 100—106.

31 იქვე, გვ. 106—110.

32 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, 1974, გვ. 82, 83.

ნის“ მიხედვით, მოყმეს ამშვენებს გარეგნული სილამაზე, ფიზიკური ძალღონე, ზნეობრივი სიწმინდე და გონებრივი სისრულე... განსწავლულს, მოხდენილსა და გაწაფულ მოყმე-რაინდს, დახვეწილი გემოვნების პატრონს, ზრდილს, თავდაბალსა და თავაზიანს ჩვენია დარბაისლური ქცევა. მოყმე-რაინდი მოკრძალებასთან ერთად ზომიერად ამაყია, თავმრმწონე, თავმოყვარე და პატივმოყვარე“[33]. გულადობასა და მამაცობასთან ერთად ის „გულჩვილიცაა, მგრძნობიერი, შეშბრალებელი, კეთილშობილი“ და „არასოდეს არ აჰყვება მდაბიო შურისძიების გრძნობას[34]“. „ვეფხისტყაოსნის“ მოყმე „მფარველი და შემწეა ქვრივობოლთა, გლახაკთა, უპოვართა, დავრდომილთა, სნეულთა“, ხელგაშლილი და უშურველია[35].

ეს მოყმე-რაინდის ის ტიპია, რომელიც აშკარად უფრო მაღლა დგას ზნეობრივად „ამირან-დარეჯანიანის“ მოყმე-რაინდებთან შედარებით. ეს უკანასკნელნი ხშირად უხეშნი არიან, აუცილებლობის გარეშე ზოგჯერ უმრწყალოდ ხოცავენ და ყლეტენ მოწინააღმდეგეს ასპარეზობათა დროს.

„ვეფხისტყაოსნის“ მოყმე-რაინდები უფრო დახვეწილი, კულტურულ-ზნეობრივად უფრო მაღალგანვითარებული საზოგადოების წარმომადგენლები ჩანან.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ ეანრობრივი რაობის შესახებ. თავისი ფორმით და შინაარსით რუსთაველის პოემა ნამდვილ რაინდულ რომანს წარმოადგენს, დაწერილს რაინდების და რაინდობის შესახებ, განკუთვნილს რაინდული საზოგადოების გემოვნების დასაკმაყოფილებლად. ესაა ნაწარმოები, რომელმაც მთელი სისრულით ასახა დახვეწილი რაინდული საზოგადოების იდეალები, მისი მაღალი სულიერი მოთხოვნილებები და ინტერესები. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსთაველმა ამ ნაწარმოებით რამდენადმე კიდეც გაუსწრო თავის დროს, გამოხატა რა პოემაში ე. წ. რენესანსული სულისკვეთებანი. ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ამის შესახებ სრულიად გარკვეული აზრია შემუშავებული. კ. კეკელიძის თქმით, რუსთაველმა „შექმნა პოემა, რომელშიც რამდენიმე საუკუნით ადრე აისახა დასავლურ-ევროპული რენესანსის ჰუმანური იდეები და კეთილშობილური მისწრაფებანი“[36].

ალ. ბარამიძე წერს: „რუსთაველმა გაცილებით ადრე და გაცი-

---

33 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 137—138.

34 იქვე, გვ. 142.

35 იქვე, გვ. 141—142.

36 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 155.

ლებით უფრო მკაფიოდ იქადაგა ის იდეები, რაც საფუძვლად დაედო განათლებული კაცობრიობის ეგრეთწოდებულ რენესანსულ კულტურას"[37].

ასეთივე შეხედულებაა გამოთქმული უახლეს რუსთველოლოგიურ ლიტერატურაშიც. ხაზგასმულია, რომ „ვეფხისტყაოსანში" ჰუმანისტური ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი იდეალებია დასმული და დიდი მხატვრული ძალით გადაწყვეტილი. ს. ცაიშვილის სიტყვით, „ვეფხისტყაოსნის" იდეალური გმირები რენესანსული სულით არიან აღზევებულნი. ბრძოლა და ოპტიმიზმი, ცხოვრების წინაშე არგადრეკა „ვეფხისტყაოსნის" მსოფლშეგრძნების ქვაკუთხედია"; „რუსთაველის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი არის მაღალი ჰუმანიზმი. იგი თავით ბოლომდე გასდევს „ვეფხისტყაოსანს", მის მხატვრულ სისტემას, პერსონაჟებს, რომლებიც მოქმედებენ პოემაში და თავის აშკარად რენესანსული სულით გასაოცარი ძალით არღვევენ შუა საუკუნეთა წყვდიადში გაბატონებულ ქრისტიანულ ასკეტურ ჩარჩოებს. ამ თვალსაზრისით, რუსთაველი არის დიდი წინამორბედი იმ დიდი მოძრაობისა, რომელიც მომდევნო საუკუნეებში აღორძინდა და ევროპული ჰუმანიზმის სახელითაა ცნობილი"[38].

რენესანსი საქართველოში ცალკე დიდი პრობლემაა, რომელიც ჯერ ვერ ჩაითვლება სავსებით გადაწყვეტილად. მის შესახებ არსებულ ფართო ლიტერატურას, ცხადია, აქ ვერ შევეხებით. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ის უდავო ფაქტი, რომ რუსთაველის პოემა უხვად შეიცავს მრავალ ისეთ იდეას, ნიშანს, რომელიც რენესანსული კულტურისათვის არის დამახასიათებელი. ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველი, დიდი ჰუმანისტი პოეტი აღორძინების წინამორბედად გვევლინება აშკარად. ეს აზრი შესანიშნავად აქვს ჩამოყალიბებული ნ. ბერძენიშვილს: „რუსთაველმა — გენიალურმა მოაზროვნემ და შემოქმედმა დიდად გაუსწრო თავის დროსაც და თავის წარმომქმნელ საზოგადოებასაც" და „იგი ადრეული რენესანსის მოციქულად მოგვევლინა"[39].

ძირითადი კი, როგორც უკვე ითქვა, ისაა, რომ „ვეფხისტყაოსნის" სახით ჩვენ გვაქვს ფეოდალურ-რაინდული ფორმისა და შინაარსის ნაწარმოები, შექმნილი მძლავრი კულტურული აღორძინების ეპოქაში, რომელიც თავის მხრივ ემყარებოდა ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ აღმავლობას. ამიტომაცაა, რომ ეს პოემა

---

37 ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 223.

38 ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი, 1974, გვ. 10, 24.

39 კრებ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი", 1966, გვ. 7.

განსაკუთრებული ბრწყინვალებით გამოირჩევა მსოფლიო რაინდული ლიტერატურის საგანძურში როგორც აზრობრივი, ისე მხატვრული თვალსაზრისით, იმდენად, რომ მას, შეიძლება ითქვას, არც კი მოეძებნება ბადალი მის თანადროულ მსოფლიო ლიტერატურაში[40].

2. მოყმე-ჭაბუკის სახე XI—XII სს. ქართულ ხელოვნებაში

XI—XII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოყმე-ჭაბუკის ტიპმა თავისი ასახვა ჰპოვა არამარტო მის თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ სახვით ხელოვნებაშიც. მართალია, საერო მხატვრობის ნიმუშები ჩვენამდე ძალიან მცირედ არის მოღწეული (უმთავრესად ისევ ეკლესიის მოხატულობაში შემორჩენილ კტიტორთა და სხვა ისტორიულ პირთა გამოსახულებების სახით), მაგრამ, რომ საერო მხატვრობა ფეოდალურ საქართველოში დიდად განვითარებული ყოფილა, და კერძოდ პორტრეტული მხატვრობა, ამისი ცნობები საკმაოდაა, ცნობილი, რომ სამეფო თუ ფეოდალთა სასახლეების კედლები მორთული ყოფილა მხატვრობით, სადაც გამოსახული იყვნენ მეომარი მოყმე-რაინდები და ასახული იყო მათი გმირული საქმეები. მაგრამ საერო დანიშნულების ასეთ ნაგებობებს ჩვენამდე არ მოუღწევია, სამაგიეროდ იმდროინდელი სამხატვრო ხელოვნების შესახებ საქართველოში ნათელ წარმოდგენას იძლევა იმ დროის ეკლესიის კედლების მოხატულობანი, ხატები, ჯვრები და სხვ. და ამ სახის მხატვრობაშიც აისახა მოყმე-რაინდის გავრცელებული ტიპი. საეკლესიო თემატიკაში ის წარმოდგენილია წმინდა მეომართა გამოსახულებების სახით. ასეთი გამოსახულებები X საუკუნიდან დაწყებული განსაკუთრებით მრავლდება საქართველოში[41]. პირველ რიგში ეს ითქმის წმინდა გიორგის გამოსახულებათა შესახებ.

ვინაიდან, ჩვენი ვარაუდით, წმინდა გიორგის სახე ახლო კავშირში ჩანს ქართული რაინდობის სულიერ კულტურასთან, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც შევჩერდეთ წმინდა გიორგის კულტზე ფეოდალურ საქართველოში.

იმ ქვეყნებში, სადაც რაინდობა თავისი განვითარებული სახით არის წარმოდგენილი, რაინდებს, ჩვეულებრივ, თავიანთი საკუთარი მფარველი წმინდანი ჰყავთ ხოლმე. მუდმივი ხიფათით სავსე ცხოვრება, როგორსაც რაინდები ეწევიან, სრულიად გასაგებს ხდის რაინდების

---

40 ამასთან დაკავშირებით, მეტად ნიშანდობლივად ეღერს ფრანგული რაინდული ლიტერატურის საბჭოთა სპეციალისტის ა. მიხაილოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ „рыцарский роман в наивысших своих проявлениях выходит за ее рамки", А. Д. Михайлов. Французский рыцарский роман, 1976, გვ. 20.

41 Е. А. Привалова, Паннси, 1977, გვ. 36.

სწრაფვას იყოლიონ ზეციურ ძალთაგან საკუთარი მფარველი. საფრანგეთში რაინდების მფარველად წმინდა დიონისე ითვლებოდა, ინგლისში — წმინდა გიორგი. მრავალი რაინდული ორდენი წმინდა გიორგის თავის უზენაეს პატრონად აღიარებდა. მართლაც-და ის მასალა, რომელსაც ამ წმინდანის „ცხოვრება“ იძლეოდა, საუკეთესოდ გამოხატავდა რაინდების იდეალს: წმინდა გიორგი იყო უსამართლოების წინააღმდეგ მებრძოლი, გასაჭირში ჩავარდნილთა შემწე და ეადამრჩენელი, ჰუმანისტი, ძლევამოსილად წოდებული. გამოსახავდნენ ამიტომ მას ყოველთვის სრული შეიარაღებით, ხშირად ცხენზე ამხედრებულს.

გიორგი ერთ-ერთი პოპულარული წმინდანია ევროპის ქვეყნებშიც. მაგრამ ასეთად ის იქცევა XII საუკუნიდან დაწყებული, რამდენადმე უფრო გვიან, ვიდრე საქართველოში. აქ, როგორც გვიჩვენებს ისტორიული მასალა, წმინდა გიორგის კულტის გავრცელება უკვე IX—X საუკუნიდან შეიძლება ვივარაუდოთ. საქართველოში შემოსული წმინდა გიორგის კულტს, როგორც ჩანს, აქ ნაყოფიერი ნიადაგი ხვდება და საქართველო, შეიძლება ითქვას, მის ახალ სამშობლოდ იქცევა. საინტერესოა და ნიშანდობლივია, რომ აქ გავრცელდა არა იმდენად გიორგის მარტვილობის ამსახველი ფაქტები, რამდენადაც მისი, როგორც წმინდა მეომარ-რაინდის სახე.

ის ფაქტი, რომ საქართველოში წმ. გიორგის კულტს განსაკუთრებით ფართო გავრცელება ხვდა წილად, ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა შენიშნული. ჯერ კიდევ ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, არჩევდა რა „საქართველოს“ გეოგრაფიული სახელწოდების უცხოურ შესატყვისებს, „გიორგიას“ და მის ვარიანტებს სხვადასხვა ენაზე, ამ სახელწოდებას საქართველოში წმინდა გიორგის კულტის გავრცელებას უკავშირებდა და წერდა, რომ საქართველოში ქრისტიანობის მიღების შემდეგ, „მიერ ჟამისგან ნიშანი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარმოწამის გიორგისანი ყოველსა ივერიასა შინა, რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი, და ესეცა ამის მიერ იწოდა“[42].

ივანე ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს: „XIV—XV სს. გერმანელი მოგზაური ჰანს შლიტბერგერი წერდა, რომ ქართველები წმინდა გიორგის მეტის მეტად თაყვანსა სცემენო“. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, „არც ღმერთსა და იესო ქრისტეს, არც ერთი წმიდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში, რამდენიც წმიდა გიორ-

---

42 ქ. ცხ; IV, გვ. 40 (იქვე ისტორიკოსი „გეორგიის“ მეორე ახსნასაც იძლევა, სიხაზდვილესდან უფრო ახლოს: „გეორგ“ ბერძნულად მიწისმოქმედს ნიშნავს, საქართველო კი მიწისმოქმედების ქვეყანა იყო და მის ხალხსაც ამისდამიხედვით გეორგია ეწოდა).

გის სახელობაზეა აშენებული... ხალხში გავრცელებულია კიდეც რწმენა, რომ საქართველოში იმდენი წმინდა გიორგის ეკლესიაა და იმდენი წმინდა გიორგია, რამდენიც წელიწადში დღეებია... ვახუშტის... ცნობა, რომ მთა არ მოიპოვება საქართველოში, სადაც მის მწვერვალზე წმიდა გიორგის ეკლესია არ იყოსო, ძალიან გაზვიადებული არ არის და ჭეშმარიტებას უახლოვდება"[43].

იგივე აზრი გამოთქვა ქართველმა მეცნიერმა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა 1916 წელს დაბეჭდილ წერილში «Страна св. Георгия»: «Надобно сказать, что ни один святой не пользуется в Грузии такой широкою популярностью и таким почитанием, как святой Георгий»[44].

სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია წმინდა გიორგის კულტის საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობის ახსნაც. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამის მიზეზი არის ის, რომ წმინდა გიორგიმ წარმართული ღვთაების — მთვარის ადგილი დაიკავა, რომ „წმინდა გიორგი ქართველი ხალხის აზროვნებაში ქართველთა უძველესი, წარმართობის დროის სარწმუნოების უზენაესი ღვთაება და მფარველი, მთვარის განსახიერებაა"[45]. ამ მოსაზრების დამამტკიცებელ საბუთებს ივ. ჯავახიშვილი ქართულ ხალხურ შემოქმედებაში შემონახულ თქმულებებში პოულობს და ნათლად ასაბუთებს, რომ ის რიტუალი, რომელიც წმინდა გიორგის სახელთან არის დაკავშირებული, წარმართული დროის ზნე-ჩვეულებებიდან უნდა იყოს ნასესხები.

ამ განმარტების მთელ დამაჯერებლობასთან ერთად, ვფიქრობთ, მაინც ასახსნელი რჩება, თუ რატომ მაინცდამაინც წმინდა გიორგის დაუკავშირდა ქრისტიანულ ეპოქაში მთვარის როგორც უზენაესი ღვთაებისადმი დამახასიათებელი პატივისცემა, რის გამოც „ბორცვი არ დარჩენილა საქართველოში, რომ წმინდა გიორგის სახელობაზე აშენებული ეკლესია არ იდგეს", რომ იმდენი ეკლესიაა საქართველოში წმინდა გიორგის სახელობის, რამდენიც დღეა წელიწადში და ა. შ. იმისათვის, რომ წმინდა გიორგის კულტს უმთავრესი ქართული წარმართული ღვთაების—მთვარის ადგილი დაეკავებინა ქართულ ხალხურ ზნე-ჩვეულებებ-

---

43 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I, გვ. 43—44.

44 Л. М. Меликсет-Беков, Страна св. Георгия. Изв. кавк. отд. имп. русск. геогр. общ., 1916, Т. XXIV, № 2, с. 7.

45 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაკვ. 2, გვ. 210, ამ აზრის დამოწმებას არაერთი ქართველი მეცნიერის ნაშრომებში ვხვდებით. იხ. მაგ., Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, 1959; კ. კეკელიძე, ქრისტიანიზმი და მითრაიზმი, ეტიუდები... II, 1945, გვ. 352—353; ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში. 1971, გვ. 368 და სხვ.

ში მას უნდა განსაკუთრებული აღიარება მოეპოვებინა საზოგადოდ ადამიანთა აზროვნებაში და ამის შემდეგ, ბუნებრივია, შეეძლო შეეთვისებინა წარმართული დროის დავუშვათ უმთავრესი ღვთაების, მთვარის კულტისათვის დამახასიათებელი ელემენტები და რიტუალური ჩვეულები.

ჩვენი აზრით, წმინდა გიორგის განსაკუთრებული გავრცელება საქართველოში რაინდობის წარმოქმნა-ჩამოყალიბებას და რაინდული იდეალების გავრცელებასა და ღრმად ფეხმოკიდებას უნდა უკავშირდებოდეს. საქმე ისაა, რომ წმინდა გიორგის კულტის აღმოცენება და შემდეგ ფართოდ გავრცელება დროის მხრივ ზუსტად ემთხვევა რაინდობის წარმოქმნასა და შემდგომ განუხრელ ზრდასა და აღმავლობას განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის საქართველოში. ეს ორი მოვლენა (წმინდა გიორგის კულტის გაჩენა-გავრცელება და რაინდობის წარმოქმნა და განვითარება) დაახლოებით მაინც, ერთდროული და ურთიერთპარალელური ჩანს. გარდა ამისა, და მთავარიც ის არის, რომ ორივე მოვლენა იდეურადაც ურთიერთკავშირშია. უფრო სწორად, წმინდა გიორგის კულტის გამომუშავება რაინდული იდეალებისა და რაინდული ეპოქის გემოვნებისდა შესაბამისად მიმდინარეობდა.

წმინდა გიორგის კულტის წარმოქმნა-გავრცელების ისტორია მოკლედ ძირითად ხაზებში ასეთია: წმინდა გიორგის აგიოგრაფიული ტიპი მცირე აზიაში — კაპადოკიაში იშვა, საფიქრებელია, IV საუკუნეში (ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს V საუკუნისა, ვინაიდან მისი „წამების“ უძველესი ხელნაწერები V საუკუნეს ეკუთვნის). თავდაპირველად გიორგი წარმოადგენდა რიგით წმინდა მოწამეს ქრისტიანულ წმინდანთა პანთეონში. წმინდა გიორგის „წამებათა“ ადრეულ რედაქციებში მხოლოდ მისი მოწამეობრივი ღვაწლი იყო ძირითადად ხაზგასმული — ქრისტიანობისადმი ერთგულებისათვის გიორგის 70 წარმართი მეფე სდევნის და აწამებს, მისი წამება 7 წელიწადს გრძელდება და განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩევა.

მაგრამ თანდათან წმინდა გიორგის ლიტერატურული სახე თვალსაჩინო ცვლილებებს განიცდის. იქმნება მისი „ცხოვრებისა“ და „წამების“ ახალი რედაქციები, სადაც განსაკუთრებულ ხაზგასმას მის მიერ განხორციელებული სასწაულები პოულობს. სასწაულთა ეპიზოდებში გიორგი გვევლინება უკვე ცხენოსანი მეომრის სახით და მრავალ სასწაულებრივ გმირულ საომარ საქმეს სჩადის. წმინდა გიორგი, ამრიგად, თავმდაბალი მოწამისაგან მრისხანე მეომრად იქცევა.

ძველი ქართული ხელოვნების ძეგლები მოწმობს, რომ წმინდა გიორგის სახელი საქართველოში ჯერ კიდევ VII—VIII საუკუნეში იყო უკვე კარგად ცნობილი და პატივით მოსილი[46]. მაგრამ მისი გან-

---

[46] Е. Л. Привалова, Павниси, 1977, გვ. 64.

საკუთრებით დიდი პოპულარობა X საუკუნიდან ხდება საგრძნობი. კ. კეკელიძის გამოკვლევით, გიორგი კაპადოკიელის „წამება“ ქართულად პირველად X საუკუნეში ითარგმნა, მეორედ კი XI საუკუნეში, გიორგი ათონელის მიერ. კ. კეკელიძისავე თქმით, „წმიდა“ მხედართა „ცხოვრებასა“ თუ მარტვილობაზე მოთხოვნილება დაბადებულა ჩვენში X საუკუნის მიწურულიდან. ამგვარი მოთხოვნილების გაჩენას მეცნიერი ხსნის იმით, რომ ამ დროს „ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ყალიბდება ძლიერი ფეოდალური მონარქია... ძლიერი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების პროცესში საჭირო იყო სამხედრო თავდადებისა და რაინდული მამაცობის გამოვლენების მაგალითები. ამ მოთხოვნილებაზე პასუხს იძლევიან არა მარტო საერო, რაინდული ლიტერატურის ძეგლები, რომელნიც გარკვეული სახით XII საუკუნის მიწურულში იჩენს თავს, არამედ უფრო ადრე სასულიერო მწერლობაც „წმიდა“ მხედართა ცხოვრება-მარტვილობის სახით“[47]. მართლაცდა, „წმიდა“ მხედართა ცხოვრება-მარტვილობისადმი ცხოველი ინტერესის გაღვიძება, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს კ. კეკელიძე, რაინდული სულისკვეთების გაძლიერებასა და ფართოდ გავრცელებასთან არის მჭიდრო კავშირში. ამისდა მიხედვით წმიდა გიორგის კულტის აღმავლობა apriori-იც სწორედ IX, უფრო კი X საუკუნიდან არის სავარაუდებელი. წერილობითი წყაროები ამ ფაქტზე თვალნათლივ მიუთითებს, მაგალითად, IX ს. მეორე ნახევარში დაწერილი „ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისაჲ“ გამოჩენილი რაინდის კოსტანტი-კახას მოწამებრივი სიკვდილის თარიღად 10 ნოემბერს ასახელებს და კოსტანტის წმინდა გიორგის ღვაწლის თანამოზიარედ რაცხს: „აღესრულა იგი (კოსტანტი გ. ა.) კეთილითა აღსაარებითა თთუესა ნოენბერსა ათსა, დღესასწაულსა წმიდისა გიორგისსა, რომლისაცა თანა ზიარ იქმნა“[48]. X საუკუნის დამდეგს დაწერილი თხზულების—„წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონის“ ავტორი, სტეფანე მტბევარი გობრონის, გამოჩენილი რაინდის ღვაწლს, მის მოწამებრივ სიკვდილს სამშობლო ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში მეომარ-წმინდანების — გიორგისა და თევდორეს მარტვილობებს უდარებს[49]. X საუკუნის პირველ ნახევარში იოანე მინჩხი წერს საეკლესიო საგალობელს — „გალობანი წმიდისა გიორგისანი, თქმულნი ნეტარისა მინჩხისანი“. ეს საგალობელი აკროსტიხულია და აკრო-

---

47 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „წმიდა“ მხედარი“, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1945, II, გვ. 7.

48 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, 1964, გვ. 170.

49 იქვე, გვ. 182.

სტიხი ასე იკითხება: „წმიდაო გეორგი, შეეწიე გეორგი მეფესა წინაშე მეფეთა მეფისა და ადიდე“[50].

X ს. მეორე ნახევარში ექვთიმე მთაწმინდელი თარგმნის ანდრია კრიტელის „შესხმას ნიკოლოზ საკვირველთმოქმედისა და წმიდა გიორგისას“[51]. X საუკუნეშივე ითარგმნა, როგორც უკვე ვთქვით, წმინდა გიორგის ცხოვრებაც[52]. კათალიკოზ მელქისედეკის 1040 წლის სიგელში ეკლესიისადმი შეწირულ წიგნებს შორის დასახელებულია „წამებაჲ წმიდისა გიორგის“[53].

წმ. გიორგის კულტის საქართველოში ფართოდ გავრცელების მანიშნებელია ქართულ ლაპიდარულ წარწერებში წმ. გიორგის ხშირი მოხსენიება. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე IX—XIII საუკუნეთა 210 წარწერაა დღესდღეობით აღნუსხული[54]. აქედან წარწერათა თითქმის ერთ მესამედში — 66 წარწერაში, წმ. გიორგი იხსენიება. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი V—X სს. 170 წარწერაა შეტანილი „ქართული წარწერების კორპუსის“[55] პირველ ტომში. აქედან მხოლოდ 8 წარწერა იხსენიებს წმინდა გიორგის. აღმოსავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკაში ამ წმიდანის ხსენების ესოდენი იშვიათობა იმით აიხსნება, რომ „კორპუსის“ ამ ტომში შედარებით ადრეული — V—X საუკუნეების წარწერებია მოცემული.

XI—XII საუკუნეების მანძილზე განუზომლად მრავლდება როგორც წმინდა გიორგის სახელზე აგებული ეკლესიების, ისე მის გამოსახულებათა რიცხვი ხატებსა თუ ეკლესიის კედლებზე[56].

ცნობილი ქართველი მოყმე-რაინდი გრიგოლ ბაკურიანი, საბრძოლო-მეომრული საქმიანობით სახელმოხვეჭილი და გამდიდრებული, XI ს. შუა ხანებში ხელს კიდებს რა ეკლესიების მშენებლობას, აშენებს ეკლესიებს ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლის და „თავადსა მას ელვარედ მბრწყინვალესა მთავარ-მოწამესა და თავს ქრისტეს მარტვილთასა ახოვნად მოღუაწესა წმიდასა გიორგის“ სახელზე[57]. ამ

---

50 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 171—172.

51 იქვე, გვ. 206.

52 კ. კეკელიძე, ეტიუდები..., II, გვ. 7.

53 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 435.

54 ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვეთი I (IX—XIII სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, 1980.

55 ქართული წარწერების კორპუსი. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, 1980.

56 Г. Н. Чубинашвили, Чеканное искусство, გვ. 325, 371, 375. და სხვ. Е. Л. Привалова, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

57 ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1977, გვ. 68.

ეკლესიებისადმი შეწირულ ხატებს შორის ორი წმინდა გიორგისაა: „ხატი ერთი დიდი შეშისა, პეტალოთა ვეცხლითა შეჭედილი, წმიდისა გიორგისი“ და „სხუა ხატი ერთი წმიდისა გიორგისი და თევდორესი, სარუთითა და ვეცხლითა მოჭედილი“[58].

XII საუკუნისთვის განსაკუთრებით პოპულარული ხდება სახელი გიორგი (ამ ერთი საუკუნის მანძილზე საქართველოში ოთხი მეფე გიორგია ლაშა-გიორგის ჩათვლით).

წმინდა გიორგის სახე წინ უძღვის ქართველ რაინდებს მათ ბრძოლებში, რომელსაც ისინი სამშობლოს დასაცავად აწარმოებენ. შემთხვევით არ გაიხსენა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა დიდგორის განთქმული ბრძოლის აღწერისას „წმინდა მოწამე გიორგი“, რომელიც „განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა“ დავით მეფეს, ამ დიდი საბრძოლო გამარჯვების სულისჩამდგმელს საომარ ველზე. დავითი „მკლავითა თვსითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თჳთ იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა“[59].

მეფე გიორგი III-ის, ამ გვირგვინოსანი მოყმე-ჭაბუკის სახელმწიფო ბეჭედზე ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი იყო გამოსახული.

წმინდა გიორგის როგორც მებრძოლი მოყმე-რაინდის სახე ცოცხალია უფრო გვიანაც საქართველოში. ანტონ კათალიკოსი, ბიძინა, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავთა, უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ ამ მებრძოლ გმირებისადმი მიძღვნილ „შესხმასა და მოთხრობაში“, აღწერს რა მათ ბრძოლას სპარსელთა წინააღმდეგ, აღნიშნავს, რომ ამ მეომრებმა გაიმარჯვეს „შეწევნითა... ღმრთისმშობელისათა და თანამებრძოლებითა დიდებულისა მთავარმოწამისა გიორგისათა“[60], რომ მათ ბრძოლაში მიუძღოდა „ჭაბუკი ყოვლად შუენიერი, ჭურვილი, მჯდომარე თეთრსა ცხენსა ზედა, წინმავალი მათ შემწედ და დამცემელად უცხოთესელთა. და ჩუენთა ყოველთა იცოდეს, ვითარმედ იყო დიდი იგი მთავარმოწამე გიორგი“[61].

წმინდა გიორგის კულტის განსაკუთრებულ პოპულარობაზე მიუთითებს არა მარტო წერილობითი წყაროები, არა მარტო ის, რომ XI—XII საუკუნეების მანძილზე რამდენჯერმე ითარგმნა „წმინდა გიორგის ცხოვრება“ და მიმდინარეობს მისი გადამუშავება ახალ-ახა-

---

58 ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1977, გვ. 118.
59 ჯ. ცხ. I, გვ. 341.
60 ძველი ქართული აგიორგაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1980, გვ. 176.
61 იქვე, გვ. 177.

ლი მოთხოვნილებების და კვალად. წმინდა გიორგის პოპულარობის თანდათან სულ უფრო მეტ გავრცელებაზე მკაფიოდ მეტყველებს ქართული ხელოვნების ძეგლებიც.

ხელოვნების ისტორიის სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ წმინდა გიორგის გამოსახულებათა დიდ რაოდენობას ძველ ქართულ ხელოვნებაში. ეკლესიების კედლის მოხატულობა, ჭედური ხელოვნების ნაწარმოებები, ჯვრები, ხატები, მრავლად გადმოსცემს წმინდა გიორგის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდებს, სასწაულებს. აკად. გ. ჩუბინაშვილი განიხილავს რა ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლებს, მათ შორის წმინდა გიორგის ჭედურ გამოსახულებებს, აღნიშნავს, რომ X—XI საუკუნეთა საქართველოში უკვე ჩამოყალიბებულია წმინდა გიორგის თემის 3 სხვადასხვა და მეტად საინტერესო კომპოზიცია: 1. წმინდა გიორგი, როგორც მეომარი მზადაა საბრძოლველად. ის გამოსახულია მეომარ-რაინდის სრული აღჭურვილობით — ჯავშნით, მახვილით, შუბითა და ფარით, ზოგჯერ მშვილდ-ისრითა და კაპარჭითაც. 2. წმინდა გიორგი ებრძვის მტერს, 3. წმინდა გიორგი — გამარჯვებული, მტერი მიწაზეა დანარცხებული, დათრგუნვილია. გიორგის მოწინააღმდეგე, მტერი, უფრო ხშირად წარმოდგენილია ქრისტიანობის წინააღმდეგ მებრძოლი ბიზანტიელი წარმართი იმპერატორის დიოკლეტიანეს სახით.

არსებობს თითოეული ამ კომპოზიციის მრავალი სახესხვაობა — წმინდა გიორგი ზოგჯერ გამოსახულია ქვეითად, ზოგჯერ ის ცხენზე ამხედრებულია, მაგრამ ყოველთვის, წერს გ. ჩუბინაშვილი, ქართველი ოსტატები გამოხატავენ მას რაინდის სახით, რაც გაპირობებულია იმ დროინდელი საქართველოს სოციალური პირობებით, განვითარებული ფეოდალური ურთიერთობით. დღეს, შესაძლოა, არ გამოჩნდება გაბედული, განაგრძობს შემდეგ მეცნიერი, თუ ვივარაუდებთ ამ მეომარ-გიორგის სახის სწორედ ქართულ წარმოშობას[62].

აღსანიშნავია კიდევ მეორე გარემოება: წმინდა გიორგის გამოსახულებათა რიცხვი საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით განსაკუთრებით დიდია. ამის გამო გ. ჩუბინაშვილი მეტად საგულისხმო დასკვნას აკეთებს: „Естественно, таким образом, уже apriori приписывать Грузии важное значение в создании и развитии этой темы". ამ დროს არც ბიზანტიურმა ხელოვნებამ, არც მასთან დაკავშირებულმა ქრისტიანული აღმოსავლეთის და დასავლეთის ხელოვნებამ არ იცის ასე ადრეულ შუა საუკუნეებში წმინდა გიორგი. დასავლეთ ევროპაში უძველესი მისი გამოსახულებანი XII საუკუნისაა.

---

[62] Г. Н. Чубинаьвили, Грузинское чеканное искусство, 1959, зз. 251.

ბიზანტიურ ხელოვნებაში უძველესი მაგალითები ძტკიცედ დათარიღებული არ არის, ხოლო ლიტერატურაში მათ მიაკუთვნებენ აგრეთვე მხოლოდ XII საუკუნეს, ისიც კითხვის ნიშნით[63]. ყოველივე ამის საფუძველზე გ. ჩუბინაშვილს გამოაქვს მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები: X და XI საუკუნეების მანძილზე მხოლოდ საქართველოში გვაქვს ფართო ნაკადით წარმოდგენილი წმინდა გიორგის გამოსახულებანი; ამ გამოსახულებათა ტიპებისა და ვარიანტების განვითარება და მრავალფეროვნება მიგვითითებს, რომ საქართველო და არა ბიზანტია ანდა მისი რომელიმე მცირეაზიული პროვინცია იყო ის ადგილი, სადაც იშვა თვით აზრი ამგვარი ხატების შექმნისა და შემთხვევითი არ არის, რომ ის ბოროტი საწყისი, რომლის დამთრგუნველადაც გვევლინება წმინდა გიორგი გამოსახულებებში, უმთავრესად წარმოდგენილია ხოლმე გვირგვინოსანი ბიზანტიელი იმპერატორის სახით. ქართველი ოქრომჭედლები, ჩანს, პოლიტიკური ბრძოლის საკითხებს ზიარებულნი იყვნენ და მათ, იმდროინდელ საქართველოს საზოგადოებას საერთოდ, აღელვებდათ X საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან დაწყებული, ბიზანტიის ინტენსიური შემოტევა საქართველოზე; ქანდაკების განვითარების ეტაპები XI საუკუნის ქართულ ხელოვნებაში ანალოგიურია რომანული ქანდაკების განვითარებისა დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ქრონოლოგიურად ქართული ერთი საუკუნით უსწრებს მას წინ[64] (ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველო სოციალური განვითარების დონითაც ამ ეპოქაში ქრონოლოგიურად დაახლოებით ამდენითვე უსწრებდა წინ ევროპას და კიდევ უფრო ბიზანტიას).

ჩვენთვის მეტად საინტერესოა, აგრეთვე, ხელოვნებათმცოდნეების მიერ გამოთქმული მოსაზრებანი წმინდა გიორგის როგორც მეომრის და როგორც მხედრის ადგილობრივი ქართული წარმოშობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ XI საუკუნიდან ასეთ გამოსახულებათა რიცხვი ძლიერად იზრდება საქართველოში[65]. დამახასიათებელია ისიც, რომ გარკვეული დროიდან წმინდა გიორგის სასწაულების ციკლი იცვლება მისი სამხედრო გამარჯვებების შემცველი სიუჟეტების გამოსახვით. წმინდა გიორგის კულტის კავშირი რაინდულ კულტურასთან, მისი მძლავრი გავრცელება XI—XIII საუკუნეების საქართველოში ბევრ მეტად ნიშანდობლივ ასპექტში, გვაფიქრებინებს, რომ წმინდა გიორგის კულტს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა რაინდულ საზოგადოებაში. ის რაინდული საქმიანობის მფარველად და წარმმართველად

---

63 გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 369—370.
64 იქვე, გვ. 245, 370.
65 იქვე.

იყო აღიარებული და მისი სახე ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში რაინდული მოთხოვნილებების, იდეალებისა და გემოვნების მკაფიო გამომხატველი იყო.

*

ამრიგად, როგორც სრული უეჭველობით ირკვევა, ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, IX—XII საუკუნეები რაინდული კულტურის აყვავების ეპოქაა საქართველოში. ეს კულტურა თავის მხრივ ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრივი აღმავლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უშუალო შედეგი და გამომხატველია.

РЫЦАРСТВО В СРЕДНЕВЕКОВОЙ ГРУЗИИ

Резюме

К IX веку в Грузии, вместе с победой феодальных отношений, складывается и в X—XII веках достигает своего полного развития рыцарское войско, основанное на сюзеренно-вассальных отношениях и создает свою собственную высоко развитую культуру.

В вступлении и первой главе монографии, посвященной истории грузинского рыцарства, мы рассматриваем социально-экономические условия и предпосылки создания рыцарского войска, рассмотрены общие и отличительные черты грузинского и европейского рыцарства.

В связи с установлением развитых феодальных отношений и победой сеньоральной системы к X веку в Грузии создается сильное рыцарское войско, которое на протяжении X—XII вв. активно способствует усилению грузинского государства и успешному отражению натиска внешних врагов. X—XII века являются эпохой расцвета грузинского рыцарства. Мероприятия, проведенные царем Давидом Строителем в области военной подготовки и повышения дисциплины в рыцарском войске, усиливают его боевую мощь и способствуют завершению борьбы за объединение грузинского государства и защиты ее границ от набегов иноземных захватчиков.

Специальная глава посвящена вопросам воспитания будущего рыцаря. С малолетнего возраста будущий рыцарь поступал на воспитание к опытному рыцарю, который готовил его к будущей боевой жизни, обучая всем тайнам военного искусства, наездничеству, владению различными видами боевого оружия. Наилучшей школой постижения военного искусство было участие в охотах, устраиваемых как при дворе царя, так и в усадьбах отдельных феодалов. Кроме военного искусства, будущих рыцарей обучали отдельным наукам, а также канонам куртуазии — правилам галантного поведения, прививались рыцарские идеалы.

Излюбленным видом препровождения времени грузинского феодального общества являлись рыцарские турниры, спортивные соревнования, немало способствующие военной и физической подготовке молодых рыцарей.

Сравнительное изучение грузинского и европейского рыцарства дает возможность установить между ними множество общих черт, возникших вследствии сходных социально-экономических условий возникновения и развития феодальных отношений. Однако, вместе с тем имеются и некоторые малосущественные различия. Так например, в Европе с определенного времени возникают некоторые ограничения, а также рыцарские ордена, преследующие цель строго корпоративного обособления феодального рыцарского общества и направлены против проникновения в эту замкнутую корпорацию представителей «третьего сословия». Надобности в столь строгих мерах в Грузии X—XII вв. не имелось; слабее было в Грузии влияние церкви в вопросах организации и деятельности рыцарского общества и т.д.

Рыцарство Грузии X—XII вв. создает свою богатую духовную культуру. Литература этой эпохи отмечена такими замечательными произведениями, какими являются рыцарский приключенческий роман «Амиран-Дареджаниани», особенно же вершина поэтического наследия Грузии той эпохи, бессмертная поэма Руставели «Витязь в тигровой шкуре», в которой с большой поэтической силой отображены высокие рыцарские идеалы феодального общества Грузии той поры.

Идеалы духовной культуры рыцарской эпохи находим и в изобразительном искусстве того времени. На многочисленных иконах, крестах, настенных росписях храмов данного периода фигурирует тип рыцаря, представленный в виде святых воинов. Среди них особенно выделяются своей многочисленностью изображения св. Георгия, являющегося в Грузии покровителем рыцарей-воинов. Изображается он обычно в полном рыцарском вооружении в большей частью всадником, восседающим на белом коне и попирающим дракона, в лице которого подразумеваются внешние враги грузинского государства.

Произведения литературы, живописи, архитектуры того времени ясно свидетельствуют о широком развитии рыцарской культуры, являющейся следствием государственного подъема феодальной Грузии IX—XII веков.